# თბილისელები

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბაღ...
...ebi.ge
№24 (650) 10 – 16 ივნისი 1,50 ლარი



გვ. 18

**რა კაპრიზების დაკმაყოფილება უნდა მაკა ცინცაძეს და რისთვის არ ჰყოფნის მას ფინანსები**

ISSN 1987-569X
9 771987 569002

გვ. 74

**რატომ ეშინოდათ თანაწამყვანებს შალვა რამიშვილის და რატომ არ მოსწონს მას ვანო ჯავახიშვილი და ოთარ ტატიშვილი**



გვ. 75

**რატომ მოუწია ნიკო ნერგაძეს ოჯახის მიტოვება და რით განსხვავდება მისი „ფლეიბოური" და პარლამენტარული ცხოვრება**



გვ. 2

**რა ურთიერთობა ჰქონდა ბერასთან ნინა სუბლატს და რა გამოცდილება მიიღო მან ჯერ კიდევ პატარა ასაკში**



გვ. 15

**ვის დაჰმორჩილდა უსიტყვოდ თეონა თავართქილაძე და ვინ ულამაზებს მას ცხოვრებას**



გვ. 50

**როგორი ურთიერთობა ჰქონდა თინათინ წულაძეს ბაბუასთან, მიხეილ კოზაკოვთან და რა ამბავი ატყდა მის გამო დანიაში**

ჟურნალ „თბილისელებთან"
ერთად წიგნის ფასი
წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი
ჟურნალის გარეშე
წიგნის ფასი – 15 ლარი

მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




# გილოცავთ ამაღლებას!



**იან გილანს რომ შევხვდი, ვიფიქრე დედაჩემს წავუღებ ავტოგრაფს-მეთქი რომ გამოვედი შეხვედრიდან, იმდენი ხალხი ელოდებოდა ავტოგრაფებს, თან საათობით, აეროპორტში დახვდნენ, მაშინ ვიფიქრე: ვის შევხვდი-მეთქი...**

**პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის" ერთ-ერთმა მონაწილემ, ნინა სუბლატმა პირველივე გამოსვლისთანავე შეძლო მსმენელის მოხიბვლა. ნინა 18 წლისაა. ახლახან დაამთავრა სკოლა და მომავალში სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებას გეგმავს. ვისაც გსურთ, მისი პროექტში დარჩენა, დაუმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 093 700 008.**

# რა ურთიერთობა ჰქონდა ბერასთან ნინა სუბლატს და რა გამოცდილება მიიღო მან ჯერ კიდევ პატარა ასაკში

**ნინა სუბლატი**: უპირველეს ყოვლისა, ამ პროექტმა დიდი გამოცდილება მომცა. ძალიან დატვირთული რეჟიმით ვმუშაობთ, რაც მომავალში ბევრ რამეში შემიწყობს ხელს. დილიდან საღამომდე ვშრომობთ, ვშრომობთ და მერე კონცერტი გარკვეული შეჯამებაცაა, სადაც ვსწავლობთ საკუთარი თავის სწორად წარდგენას, რადგან, შეიძლება, ერთი ისეთი შეცდომა დაუშვა, მთლიანად ჩაგძიროს, აუტსაიდერში მოხვდე, ან საერთოდ გავარდე.

– **ანუ, ფიქრობ, აუტსაიდერში მოხვედრა ხშირად თქვენს შეცდომებზეა დამოკიდებული?**

– ხალხი იმ შეცდომებსაც კი ხედავს, რაც არ დაგიშვია და მით უმეტეს, ერთი შეცდომაც თუ დაუშვი, ეს ისე მოქმედებს, შეიძლება, მთელი კვირის ნაშრომი წყალში ჩაგეყაროს. ამ პროექტმა მომცა გამოცდილება, პოპულარობა, რომელზეც დიდად არ ვოცნებობდი, მაგრამ მაინც ძალიან კარგია. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხალხს ვუყვარვარ, მაფასებენ და რაღაცას ელოდებიან ჩემგან. ვისწავლე საკუთარი თავის ფასი, რადგან აქამდე არ მქონია ასეთი გამოცდილება, იმის საშუალება, დიდ სცენაზე დავმდგარიყავი. ახლა, შედარებით, კარგად ვიცი ყველაფერი და შეცდომებიც უფრო ნაკლებად მომდის. ზოგადად, კი ვიყავი თავდაჯერებული, მაგრამ არ ვიცოდი, ამდენი შესაძლებლობა თუ მქონდა.

– **ანუ, ამ აჩქარებულმა რიტმმა გარკვეული რეჟიმი ჩამოგიყალიბა?**

– კი. თუმცა ის, რომ არაპუნქტუალური ვარ, ვერ გამოვასწორე – ყველგან, ყველასთან ვაგვიანებ. ამასთან დაკავშირებით სულ პრობლემაა. მაგრამ, მივეჩვიე უფრო მეტ მუშაობას და როცა ვისვენებ, არ მჯერა, მგონია, რომ კიდევ რაღაც უნდა გავაკეთო. კარგია რეჟიმში ყოფნა, რადგან ძირითადად, გაზარმაცებულები ვართ და ეს ხელს შემიწყობს, პროექტის შემდეგაც არ მოვდუნდე და იმავე რიტმში გავაგრძელო ჩემი საქმე.

– **დაახლოებით წარმოდგენილი გაქვს, როგორი იქნება პროექტის მერე შენი ცხოვრება?**

– კონკრეტული გეგმები არა, თუმცა, რაღაც იდეები მაქვს. მინდა, საკუთარი ბენდი შევქმნა, საინტერესო მუსიკა გავაკეთო. მერე, ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, რამენაირად უცხოეთში მოვხვდე. რა თქმა უნდა, ეს მუსიკალურ სფეროს ეხება, რადგან სხვა არაფერი მეხერხება ისე კარგად, როგორც მუსიკა.

– **კარგად არა, მაგრამ საშუალო დონეზე სხვა რის კეთება გეხერხება?**

– ხატვა მეხერხება, ოღონდ ცუდად ვხატავ და არ ვიცი, საერთოდ მოვხვდები თუ არა აკადემიაში. კონსერვატორიაში ვერ ჩავაბარებ, რადგან ოპერის მომღერალი მე ვერ ვიქნები, პიანისტი გამოვიდე? – არც ეს მინდა. მოკლედ, ყველაზე ახლოს; რაც იყო ხელოვნებასთან, ეს ხატვაა და სამხატვრო აკადემია. საბოლოოდ ვარჩიე ხატვა, რადგან მახსოვდა, ბავშვობაში ვხატავდი. ყოველ შემთხვევაში, ნორმალურად ვხატავ, ძალიან კოშმარულად არა.

– **როგორ ცხოვრობდი კონკურსამდე?**

– ერთი წელი საკმაოდ დაკავებული გრაფიკი მქონდა, შემდეგ გავხდი აბიტურიენტი და მაშინაც დაკავებული ვიყავი. ბერასთან რომ ვიყავი სტუდიაში, მაშინ ყოველდღე გვქონდა მეცადინეობა. მერე ისევ მოვეშვი, გართობაზე გადავერთე. მაგრამ, ახლა ისევ ჩავჯექი რეჟიმში. ბერასთან სტუდიაში გვყავდა პედაგოგები, რომლებთანაც მასტერ-კლასებს გავდიოდით, გვასწავლიდნენ ვოკალს, ქორეოგრაფიას. ბერასთანაც ყველას მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. სხვათა შორის, მარიკო ლეჟავაც ჩვენთან ერთად იყო. მერვე თუ მეცხრე კლასიდან ვიცნობთ ერთმანეთს და იმის მერე ერთად ვართ.

– **გუშინ იან გილანს შეხვდით (ინტერვიუ ჩაწერილია 5 ივნისს – ავტორი)...**

– იქიდან გამომდინარე, რომ დედაჩემი და მამაჩემი მელომანები იყვნენ, ბავშვობაში სულ მესმოდა ასეთი მუსიკა. რომ შევხვდი, ვიფიქრე, დედაჩემს წავუღებ ავტოგრაფს-მეთქი. მერე, რომ გამოვედი შეხვედრიდან, იმდენი ხალხი ელოდებოდა ავტოგრაფებს, თან საათობით, აეროპორტში დახვდნენ... მაშინ ვიფიქრე: ვის შევხვდი-მეთქი... „დი ფარფლის" ტური გვაქვს და ყველას სათითაოდ მოგვიყვა სიმღერებთან დაკავშირებით თუ რამე ისტორია ჰქონდა, ან როგორ უნდა იმღერო და ასე შემდეგ. ექვსივეს სათითაოდ გაგვესაუბრა.

– **თავისუფლების მოყვარული და მებრძოლი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ.**

– თავისუფლება ძალიან მიყვარს, ყოველთვის ვცდილობ, რაღაცეები ვაკეთო, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ ეს რაღაცეები თავისუფლებაში გადადის. ვფიქრობ: ძლიერი ვარ და მიყვარს დაბრკოლებები. ისეთი ხასიათი მაქვს, ყველაფერს ვეგუები, შესაბამისად, როცა დაბრკოლება მხვდება, მას დაბრკოლებად აღარ აღვიქვამ. ძალიან თავისუფალი ვარ, მიყვარს, როცა რაღაცეებს ვაგვარებ, რადგან ძირითადად, სწორად ვჭრი პრობლემებს.

– **მითხარი, ყოველთვის ვცდილობ, რაღაცეები გავაკეთო, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ ეს რაღაცეები თავისუფლებაში გადადისო. რას გულისხმობდი?**

– ზღვარს დიდად არ გადავდივარ, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც უნდა გამეკეთებინა. შეიძლება, ცოტა ადრე მომიწია ამ ყველაფრის გაკეთება, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რადგან დიდი გამოცდილება მივიღე.

– **რას გულისხმობ – ყველაფერში?**

– ამაზე არ მინდა საუბარი. ისეთი რაღაცეები მაქვს გაკეთებული, სხვამ 30 წლის ასაკში რომ გააკეთოს, შუბლში შემოირტყამს ხელს: ეს როგორ გავაკეთეო. მე ახლა გავაკეთე და არც ვნანობ. შეცდომები ისეთია, მოდის და მიდის – მისი გადატანა 15 წლის ასაკში ბევრად მარტივია, ვიდრე 30 წლის ასაკში, როცა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. საერთოდ, არაფერს ვნანობ და მით უმეტეს, ისეთ რამეს, რისგანაც რაღაცას ვსწავლობ, გამოცდილებას ვიღებ. ისეთი რაღაცეები ვიცი, დედაჩემი, რომ დაჯდება იტყვის: უიმე, ეს რა გავაკეთე, ამხელა ქალი ვარო. რისკზეც ყოველთვის მივდივარ და არც ვნანობ.

– **შენს შეყვარებულზეც მომიყევი. დიდი ხანია, ერთად ხართ?**

– მარიკო ლეჟავას ივენთზე დავინახეთ ერთმანეთი, ადრე ერთ სკოლაში ვსწავლობდით, 2 წლით არის ჩემზე უფროსი. მაშინ პატარა, ბაჭაჭყანა ბავშვი ვიყავი, არ ვუყურებდი ამ ბიჭს. ივენთზე ვნახე და ვიფიქრე: რა კარგი ბიჭი გამხდარა-მეთქი. იმასაც უფიქრია: უი, რა კარგი გოგოაო. კარგ „ვიდზე" ვიყავი. მოკლედ, საერთო მეგობრები გვყავდა ბევრი, გავიცანით ერთმანეთი. მერე „ფეისბუქში" მომწერა, შევხვდით მეგობრების წრეში და ბუნებრივად ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რადგან ერთმანეთი ძალიან მოგვწონდა. ერთი წელია, ერთად ვართ.

– **როდესაც გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს, ეს ძალიან დიდი სტიმულია.**

– დიდი სტიმულია, მით უმეტეს, ისეთ პერიოდში, როცა შენს საქმეში ცდილობ, რაღაცას მიაღწიო. ვფიქრობ, განსაკუთრებით ხელოვანს სჭირდება გვერდით საყვარელი ადამიანი, რადგან ბევრ რაღაცას გივსებს, გეხმარება და ენდობი. იცი, ნებისმიერ შემთხვევაში შეგიძლია, რჩევა ჰკითხო. ახლაც ჩემს გვერდითაა, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მცალია, ვერ ვნახულობ, მაინც მხარში მიდგას.

– **ცოტათი მაინც არ აპროტესტებს?**

– ძალიან ცოტათი. თავიდან გააპროტესტა, რადგან სულ ერთად ვიყავით – დილიდან საღამომდე და მიჩვეული არ იყო ასეთ რეჟიმს. რომ მიხვდა: დღეში ერთი საათით თუ ვნახავდი, მერე აღარ მოეწონა. მაგრამ, მიცნობს და იცის, რომ ჩემი საყვარელი საქმისთვის ყველაფერს გადავდებ. მიხარია, არ გაგვიფუჭდა ურთიერთობა, რადგან ცოტა მეშინოდა. ვიცი, ასეთი რაღაცეები ურთიერთობას აფუჭებს, განსაკუთრებით, როცა არ გაქვს იმდენი დრო, შეყვარებული ნახო.

– **ისიც მოექცა შენ გამო ყურადღების ცენტრში, ვილაცეები აკრიტიკებენ...**

– ქასთინგზე მასთან ერთად ვიყავი, მერე ჟურნალებშიც იყო, ჩრდილში არ მყავს. კრიტიკაც იყო – თავიდან არ მოეწონა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, რატომ აკრიტიკებდნენ. მერე მიხვდა, რომ უნდა „დაეკიდებინა" და „დაიკიდა" კიდეც.

**ნათია უტიაშვილი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა გზავნილი გამოუგზავნეს რუსეთიდან ბიძინა ივანიშვილს საოკუპაციო ხაზის 300 მეტრით გადმოწევით და რა გარანტიები მიიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ხელისუფლებისგან ....................................... 6

რა შეუთვალა საერთო მეგობრის პირით ვანო მერაბიშვილმა მიხეილ ხუბუტიას და რატომ ვერ შეახვედრა საქართველოს პატრიარქმა ის ბიძინა ივანიშვილს ....... 8

ვინ არის ყველაზე მდიდარი მილიარდერი „ფორბსის“ მოდის სფეროს წარმომადგენელთა შორის ........................ 9



რა შემთხვევაში აჭრიდნენ საქართველოში დამნაშავეს სხეულის რამდენიმე ნაწილს და რატომ სჯიდა საერო სამართალი ცხვირის მოკვეთით მხოლოდ მოღალატე ცოლებს ................ 10

რამდენ ოლიმპიურ თამაშში აქვს მონაწილეობა მიღებული ნორვეგიის მეფე ჰერალდ მეხუთეს და რომელი ოცნება აისრულა მან 76 წლის ასაკში 12



რატომ „მიატოვეს“ გოგა ხაინდრავა მოსკოვში „კანონიერმა ქურდებმა“ და რატომ დაიბადა ის გადასახლებაში...........14

ადვოკატი გირჩევთ.......................16

ინტიმური საუბრები.....................17

რა აკავშირებს თემო რცხილაძეს მარბელასთან და რით არის დაკავებული ის ღამღამობით ............................................ 19

არსებობენ თუ არა კაცთმოძულე ქალები და რა პრობლემებს უქმნიან ისინი მამაკაცებს ......................................... 20

როგორ დაიკარგა აფხაზეთში ლაშქრობისას 28 წლის ქალი და დაკარგვის რა ვერსია აქვს მის დას..............21

რის „გადაგდება” გაუჭირდა კახა ახვლედიანს და ვისთან ერთად უნდა მას ცხოვრება დიდ და კომფორტულ სახლში..........................22

რა სახელით იყო ცნობილი სავაჭროების რიგი სადგურის ქუჩაზე თბილისში და სად მდებარეობდა სომეხი მეწარმის, ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა......... 23

რა მნიშვნელობა აქვს ამაღლების დღესასწაულს და რატომ არის 40 დღე ქრისტიანის ცხოვრებაში საკრალური ... 24

მოძღვარი გვირჩევს .................................. 25

ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი „როლან გაროსის” არსებობის ისტორიაში და რამდენჯერ იზეიმა გამარჯვება პარიზულ კორტებზე ესპანელმა რაფაელ ნადალმა ................ 26

ექიმის რჩევები ............................................ 29

ვისი სახელის ხსენებაზე წაიღეს ხელი რევოლვერებისკენ ნიშნიანიძეების სტუმრებმა და როგორ გახდა ადოლფ ჰიტლერი გიზო ნიშნიანიძის ოჯახის წევრი ................................................................ 30

როგორ დავაღწიოთ თავი უილბლობის პიკს და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება მნიშვნელოვან შეხვედრაზე წასვლის წინ .. 32



რა აკავშირებს რუსეთის იმპერიასთან ჰოლივუდის ვარსკვლავ სტივენ სიგალს და რატომ არის უცნობი დედამისის წარმომავლობა ..... 34



# ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი“

სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!

ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!

ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (სავ. ცენტრ. „ქარვასლასთან“) მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.

ვრცლად: facebook-ზე აკადემია ლიბერთი-პროფ



რა არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს ორ ადამიანს შორის ენერგეტიკული შეუთავსებლობა .......................................... 36

ვინ და რატომ მოაჭრა თავი „კაგებეს“ ქართველ ოფიცერს შერემეტიევოს ტყეში .... 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 51

ვეტერინარის რჩევები ............................... 56

ფლორის სამყაროში .................................. 56

სიმამრის გატაცებისთვის სიძემ სიდედრს 10 ათასი გამოსძალა ............. 57

მე – დაქირავებული მკვლელი ............... 58

მკვდარი ვერსია .......................................... 66

როგორ უწინასწარმეტყველა ანა შელიას ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა „ვარსკვლავობა“ და რა შემოთავაზება მიიღო მან პარიზული სააგენტოებიდან......70



რა ტრაგედია გადაიტანა ტარიელ მაისურაძემ და როგორ გახდა ის ლუკაშენკოს ერთ-ერთი საყვარელი შემსრულებელი..........71

როგორ მიიღო ბერიამ საყვედური სტალინის დაკარგული ჩიბუხის გამო და რატომ ჩაუკაკუნა ბელადმა ხრუშჩოვს თავში ...................... 73



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი

საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე

კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი

მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე

სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე

სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე

სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ჭლენტი

მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე

ოპერატორი: მაია კარანაძე

ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი

იურისტი: ქეთი უტიაშვილი

მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე

კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია

სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა

მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# რატომ?!

## ანუ, „აზრზე მოდი, ხიდზე გადი“

10 ივნისს **„ნატოს“ კვირეულიც დაიხურა** (ის **3-ში გახსნეს** ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახმინისტრმა ბ-ნმა პეტრიაშვილმა და „ნატოს“ გენმდივნის წარმომადგენელმა ბ-ნმა აპატურაიმ). მაგრამ, რაკი გაიხსნა, **„ნატოს“ შტაბ-ბინიდან მაღალ-მაღალი დონის სტუმრებმაც დაგვაფასეს**. ზედაც, **საერთაშორისო სემინარიც** (გნოსეოლოგიური სახელწოდებით: „საზოგადოების ინფორმირება „ნატოში“ ინტეგრაციის პროცესის შესახებ“) **გაიმართა**. **რომელშიც,** სხვათა შორის, **ასპირანტი ქვეყნების წარმომადგენლებიც ილებდნენ მონაწილეობას** (სიმართლე გითხრათ, აი, ეს ადგილი ცოტა ვერ გავიგე, ჩვენ, **„მაფზე“ უკეთესის პატრონებს, ვიღაც „ასპირანტების“ რჩევებს რა თავში ვიხლით?!).**

**ვიხლით თუ გვახლიან**, თბილისსა და რეგიონებში **გაიმართა შეხვედრები სტუდენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წა-**



**რმომადგენლებთან;** სპორტული ღონისძიებებიც ჩატარდა, გამოფენებიც, კონკურსებიც და დებატებიც.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, **სად – დებატები და სპორტული ღონისძიებები და სად – „ნატოში“ გაწევრიანებაო**, თუმცა, ამ **რიტორიკულ კითხვას პასუხი ბ-ნმა აპატურაიმ გასცა** (და **მერე რა, რომ ირიბად?!).**

კერძოდ, „ნატოს“ გენმდივნის **სპეცწარმომადგენელმა გაგვიმხილა, რომ**, მართალია, **მის სამშობლო კანადაში მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერს მხარს ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას**, მაგრამ, **უმეტესობამ არც კი იცის, რატომ უჭერს მხარსო**.

**მაგალითი შემთხვევითი არ იყო** (ყოველ შემთხვევაში, მას მე, „მაფზე“ უკეთესის პატრონი, მაინც ჩავწვდი ): თუ გავიხსენებთ, რომ **ჩვენს სამშობლოშიც** ანალოგიური ვითარებაა (**მოსახლეობის უმეტესობა „ნატოს“ მხარდამჭერია და მეც, მათ შორის**), როგორც ჩანს, ბ-ნმა **აპატურაიმ კულტურულად მიგვანიშნა**: **თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ, წაიბნელებთო** (ანუ, არც თქვენ გაქვთ პასუხი კითხვაზე, რატომ გინდათ „ნატოო“).

ერთი სიტყვით, „ნატოში“ მოსახვედრად, „აზრზე მოდით, ხილზე გადითო.“

# პუტინს – რა?!

შესაძლოა, იმიტომ, რომ გასული წლების გამოცდილებით, **ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების საყვარელი შეძახილი შემდე-**



**გნაირი იყო**: **„ამა და ამას რა?!“** – რასაც, უკაცრავად პასუხია და, ამის და ამის **დედის ყველა ბრუნვაში მოხსენიება მოსდევდა**, ორგანიზაცია **„თავისუფალი ზონის“ აქტივისტებმა გასულ კვირას საქალაქო სასამართლოს ეზოსთან** სწორედ **ამგვარი სახელწოდების აქცია გამართეს**, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად **ბრუნვებში მოხსენიების ადრესატი** რფ-ის **პრ. პუტინის მშობელი დედა გახლდათ.**

**ამ აქციაზე აქტივისტებმა** (ისე, რას დაგვხატავდა ასეთი აქტივისტები 2008 წლის

## „მამაცი გული“

აგვისტოში, პიპინიასავით, საკუთარ ცხენს რომ გამოვასწარით პორტ-არტურიდან?!) **„თავისუფალი ზონისვე“ ორი წევრისთვის 100-100-ლარიანი ჯარიმის დაკისრება გააპროტესტეს**, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო დააჯარიმა სასამართლომ.

დაჯარიმებულთაგან ერთი აცხადებს, რომ პრ. პუტინს ოდენ მეგობრების წრეში შეაგინა, მეორე კი, საერთოდაც, უარყოფს უწმაწური სიტყვების საკუთარ მეტყველებაში გამოყენების ფაქტს.

რაც მთავარია, **პრ. პუტინის დედის შემგინებელთა შორის** ნარჩეულარი და აწ „ნაცმოძრაობის“ რიგითი აქტივისტი, თუმცაღა, მერიის მუნიციპალური საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებული ბ-ნი **ხაბაზიც შეინიშნებოდა** (რომელსაც საზოგადოების ნაწილმა უსაყვედურა, **თუ ასეთი მამაცი გული იყავი, 2008-ში რად არ იგინებოდიო, მაგრამ, ეს კითხვა პრ. პუტინზე აწ გავეშებულმა ბ-ნმა ხაბაზმა უპასუხოდ დატოვა**).

მეორე მხრივ, **თუ ჩვენს რუკას დავხედავთ,** რა გასაკვირია, რომ მავანს პრ. პუტინის შეგინება მოუნდეს?! ოღონდ, თუკი სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, **ჯერჯერობით რეალობა ასეთია: პუტინს რა და – ჩვენი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი!**

# უარნატკეცი

## „ფულები არის ჩემი გამხარებელი“

**ძველი ჩვევით თუ სხვა მიზეზით,** როგორც ფინანსთა მინისტრმა შეგვატყობინა, **ჩვენს პრეზიდენტს ბიუჯეტიდან მეოთხე კვარტლის დაფინანსების მეორეში გადმოტანა უთხოვია** (ანუ, მადას ისევ არ უჩივის).

მართალია, ამ თხოვნით ფინანსთა სამინისტროსთვის მიუმართავს, თუმცა, ამ უკანასკნელს **უარი უტკეცია.** უარის **მოტივაცია კი შემდეგნაირია** (მომყავს ციტატა ბ-ნი ხადურის განმარტებიდან): **„**საქართველოს **პრეზიდენტის დაფინანსება მთელი წლის განმავლობაში ხდება**. პრეზიდენტმა გვთხოვა, მეოთხე კვარტლიდან მოვაკლოთ დაფინანსება და გადმოვიტანოთ მეორე კვარტალში. **მეოთხე კვარტალში, ცხადია, სხვა იქნება პრეზიდენტი.“**

იქვე დასძინა, რომ **10 მილიონი ლარი პრეზიდენტისთვის სავსებით საკმარისია** (აბა, თავად პრეზიდენტს ჰკითხეთ?!), საკმარისობის დასტურად კი ციფრებიც მოიშველია: „**საქართველოს მთავრობის ბიუჯეტი 50 მილიონი ლარია. შარშან კი, პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდი ერთად, 120 მილიონ ლარს შეადგენდა**“.

როგორც ჩანს, **რაკი შარშან შეადგენდა, წელს ეცოტავა** (აბა, არ ეცოტავებოდა?!), თუმცა, ოფიციალური მოტივით, **პრეზიდენტს დამატებითი დაფინანსება განა საკუთარი, სტუდენტების ბედნიერებისთვის სდომებია** (მათი სწავლა უნდა დავაფინანსო უცხოეთშიო), მაგრამ, **ფინანსთა მინისტრმა ამ ამაღლებულ მოტივზეც გად-**



**აუწურა წყალი**: „სპეციალურად შევისწავლე ეს თემა და **საქართველოს პრეზიდენტის ფონდს წელს არც ერთი სტუდენტი არ დაუფინანსებია** (იქნებ, ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა, რომ დაუფინანსოს სტუდენტებს სწავლა-განათლება?!)“.

**რაკი ფინანსები მთავრობის ხელშია**, დიდი ალბათობით, ვაი რომ, **პირველი პირი 10 მილიონზე მეტს ისევე ვერ იხილავს, როგორც საკუთარ ყურებს.**

# მადაამშლილნი

მართალია, ჯერ კიდევ **გასული წლის ამ დროს ამ ჩვენს ქვეყანაში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ისე მკაცრად იყო გასაიდუმლოებული**, ციდან **ჩიტი ვერ მოჰკრავდა თვალს**, ხოლო **მიწიდან – ქვემძრომი**, მაგრამ, დემოკრატიისა და ახლებსა და ყოფილებს შორის პოლიტიკური კონკურენციის წყალობით, **ცნობას ცნობაზე ვიგებთ ჩვენი წინა ხელისუფლების მადის შესახებ.**



როგორც გაირკვა, **გასულ წელს ამ ჩვენი პირველი პირის სამივლინებო ხარჯებს ორნახევარი მილიონი ლარი შეუდგენია**. ყველაზე **მსხვილ-მსხვილი თანხა** კი **აშშ-სა და**

## „შეჩვეულს ნუ გადააჩვევ“

**საფრანგეთში ვიზიტებისას დაუხარჯავს** (400 000-400 000 ლარი). ერთი ისაა, რომ, რაკი **პრეზიდენტის ადმინისტრაცია კვლავაც არ ამხელს ვიზიტების ზუსტ თარიღებს**, უცნობია, **ემთხვევა თუ არა მივლინებისთვის თანხის გამოყოფა მივლინებას** (სავარაუდოდ, ხელმძღვანელობს მოსაზრებით, რომ **ბევრის ცოდნა მავნებელია**).

ჩვენ არ ვიცით, **რა ხეირი** მოგვიტანა (ჩვენ რა, **ქვეყანას) მილიონიანმა ვიზიტებმა,** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ**, მივლინებებს ვინ ჩივის, ზედა ეშელონის წარმომადგენლებმა პირადი ხარჯებისთვის არაერთი მილიონი მოიხმარეს** და, ზედაც, **დავამატებთ, რომ სახელდობრ, პრეზიდენტს ვადა ოქტომბერში ეწურება**, პირადად მე უფრო იმას ვდარდობ, **შეჩვეულს რა გადააჩვევს,** ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ბიუჯეტის მხარდაჭერის დაკარგვას?!**

# უჩვეულოდ გულუბრყვილო

## წეროს მიერ მოტანილი

მიუხედავად იმისა, რომ **ხელისუფლებაში ყოფნისას ისეთი არქივი შექმნეს** საქართველოს მოქალაქეების **პირადი ცხოვრების თვით უინტიმურესი დეტალების ამსახველი**, სამყაროს **აღსასრულამდე გამოდგებოდა პორნოფილმების დასამზადებლად** (ისე, არც ესაა ურიგო იდეა, თუკი **მოგებული ფულით ბიუჯეტს შევავსებდით**), „ერთიანმა **ნაციონალურმა მოძრაობამ“,** არც მეტი, არც ნაკლები, **შინაგან საქმეთა სამინისტროსგან კანონის შესაბამისად მოქმედება მოითხოვა** (შესაშური პრინციპულობაა!).



ეს ყბადაღებული **„შესაბამისი მოქმედება“ კი, მეტი არაფერია, თუ არა ამ უკანონო ჩანაწერების არქივის განადგურება**. სახელდობრ, აწ უმცირესოელმა **პავლე კუბლაშვილმა მტკიცედ განაცხადა**, რომ, საქართველოს კანონმდებლობით, **„ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალების შემცველი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს“**! სამწუხაროდ, ბ-ნ კუბლაშვილს **აზრადაც არ მოსვლია, ჩამწერთა მოძებნა და დასჯა მოეთხოვა** (ვითომ, ისეთი გულუბრყვილოა, რომ კომბოსტოში ნაპოვნი ჰგონია, ან, სულაც, წეროს მიერ მოტანილი?!).

ასეა თუ ისე, ბ-ნი **კუბლაშვილი განგაშის ზარებს არისხებს** (დაიცავით ჩვენი მოქალაქეების პირადი ცხოვრებაო!), ოღონდ, თუ გავიხსენებთ, ჯერ ერთი, რომ, **უცნობია ამ უკანონო მასალების ასლების** როგორც **რაოდენობა**, ისე ის, თუ **ვის ხელშია ისინი;** რაც მთავარია, **მათი ვადაზე ადრე განადგურება ჩამწერთა უპირობო დაუსჯელობას ნიშნავს** (იმ მარტივი მიზეზით, რომ ჩანაწერები წინა ხელისუფლების დროს შეიქმნა და, შემქმნელები, სწორედაც რომ, ბ-ნი კუბლაშვილის თანამოაზრეები ბრძანდებიან), როგორც ჩანს, **ამ კონკრეტულ კანონმდებელს მოქალაქეთა რუხი ნივთიერების ეფექტიანობაში ეჭვი გვარიანად ეპარება**.

# გადემეტრების შანსი

## ლხინის მეგობრები

**ერთი თვეც არ გასულა და ავღანეთში 10 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა**. ექსპერტთა უმეტესობა **ბოლო მსხვერპლის მიზეზად პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 26 მაისს ავღანეთში სტუმრობისას ქართველი სამხედროებისთვის დასმულ არაკორექტულ შეკითხვას უკავშირებს**, რომელიც **უმალ მოახვედრა ეთერში ტელეკომპანია „რუსთავი-2-მა“** (თუმცა, დღეს ორივენიცა მსხვილ-მსხვილ კურცხლებს აღვარღვარებენ).

ერთი სიტყვით, თუკი აქამდე **თალიბებს თვალში დიდად არ ვეჩხირებოდით** (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს „ნატოს“ არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს გაგზავნილი, ხოლო, პროცენტულად მხოლოდ აშშ-დიდ ბრიტანეთს თუ ჩამოვრჩებით), **ჩვენი მთავარსარდლის წყალობით, თვალშიც გავეჩხირეთ და მიზანშიც ამოგვიღეს.**

თუმცა, მაგალითად, **პრეზიდენტის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ვიდეორგოლი თალიბებს არ დაუმზადებიათ** (ქვეყნის შიგნით მტრები გვყავსო), **მეორე მხარე კი ვარაუდობს, რომ, პირიქით, ამ ვიდეორგოლში წინა ხელისუფლების კვალი ურევია.**

მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ჩვენი მთავარსარდალი მუდამ ოცნებობდა** (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა), **თავდადებულთა გზა გაევლო**, ვფიქრობ, **შესანიშნავი შანსი ეძლევა: თალიბებს ჩაჰბარდეს, თუკი სამშობლო ტერაქტებისგან გადაურჩება.** სხვათა შორის, ისიც საინტერესოა, **თან რომ დაჰყვებოდა, იმ ამალიდან ვინ ისურვებდა ამ დიად საქმეში მის თანამოაზრეობას**?!

# საწიგნო ბუნტი

## მეტი ჟანგბადი – გამომცემლებს!

**თუმცა გამომცემლებმა, რომლებიც განათლების სამინისტროს** მიერ მათთვის სახელმძღვანელოების ბეჭდვის შეკვეთის გაუქმების გამო, **სამართლოში უჩივლეს** (რასაც პირადად მე მივესალმები, ვინაიდან, დავის გარჩევის ერთადერთი ადგილი, წესითა და რიგით, თემიდას სამყოფელი უნდა იყოს), **სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების პროცესი მაინც დაიწყო** და, შესაბამისად, **650 000 მოსწავლე მათ უფასოდაც მიიღებს.**

მაგრამ, როგორც გაირკვა, **ჰაერშია გამოკიდებული არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების ბედი** (სახელმძღვანელოებით მომარაგების თვალსაზრისით). **აბუნტებული გამომცემლები აცხადებენ, რომ სწორედ მათ აქვთ ამ ტიპის სახელმძღვანელოების ბეჭდვის უფლება** და, ამიტომაც, **თუ სამინისტროს სურს მათი დაბეჭდვა, ნებართვა ჩვენგან უნდა იყიდოსო.**



რაკი გამომცემლების ნაწილსა და განათლების სამინისტროს **სასამართლო დავა დაებედათ, ვფიქრობ, ეს მეორე პრობლემაც თემიდასთან მიიყვანთ,** რის გამოც, პირადად მე, მტყუან-მართლის გარჩევისგან თავს შევიკავებ.

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **საქმე საშუალო განათლებასა და**, რაც მთავარია, **საქართველოს არაქართველი მოქალაქეების სახელმძღვანელოებს ეხება**, ვითარება **ერთობ საჩოთიროა**. ხოლო, **თუ ამას გამომცემლების ჰონორარსაც დავამატებთ**, არც ის არის გამორიცხული, რაღაც ეტაპზე **არახშირად სუნთქვაც მოგვიწიოს** – იქნებ, **მათი ექსკლუზიური უფლებაა ხარბად ჩასუნთქვ-ამოსუნთქვა,** რათა **ჟანგბადის სიმცირემ მათი ტვინის მუშაობა არ შეაფერხოს, ამ უკანასკნელმა კი საგამომცემლო ბიზნესი არ დაუზიანოთ?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



**ის, რაც საქართველოში ხდება, ჩემთვის ეს არის რუსეთ-ამერიკის პირველი ნაჩქარევი გარიგების მაგალითი**

**თითქოს რუსეთსა და საქართველოს შორის ძველებური დაძაბულობა აღარ არის (ბუნებრივია, სიტყვიერ დონეზე, თორემ ოკუპაცია ოკუპაციად რჩება), მაგრამ, ერთი მხრივ, რფ-ის მთავარი სანიტარი გენადი ონიშენკო ქართულ პროდუქციას შავ ფიარს უკეთებს: ღვინოსაც გვიწუნებს (ეს აკრძალვამდე რომ იყო, ის თამრო აღარ არისო) და „ბორჯომსაც“ (სადღაა მისი ძველი გემოო); ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ხაზი 300 მეტრით გადმოგვიწიეს. რას მიანიშნებენ ამ ქმედებებით საქართველოს ხელისუფლებას მოსკოვიდან, – თემაზე აზრს მიხაილ ლეონტიევი გაგვიზიარებს.**

# რა გზავნილი გამოუგზავნეს რუსეთიდან ბიძინა ივანიშვილს საოკუპაციო ხაზის 300 მეტრით გადმოწევით და რა გარანტიები მიიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ხელისუფლებისგან

**– თითქოს ნორმალიზდებასავით ურთიერთობები, მაგრამ აქეთ – მთავარი სანიტარი, იქით – რუსი სამხედროები გვავიწროებენ, რა მესიჯებს უგზავნის ამ ქმედებებით რუსეთის ხელისუფლება ქართულს?**

– ვფიქრობ, სიტუაცია კონტროლდება ორივე მხარის მიერ. სიტუაცია ტოვებს შეგრძნებას, რომ საქართველოს პრემიერი, რომელიც ყოველთვის კონტრუქციულ კონტაქტში იყო რუსეთთან, ნელ-ნელა აკეთებს იმას, რაც შეიძლება, გაკეთდეს ამ ფაქტობრივი სიტუაციის მიღმა. სინამდვილეში, ამ ვითარებაში წერტილი „იქსი“ არის საპრეზიდენტო არჩევნები, ანუ სააკაშვილის რეალური წასვლა, შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რა მოქმედებები განხორციელდება იმ ახალ რეალობაში. როგორც ვიცი, არსებობს რაღაც შეთანხმება ყველა მხარეს შორის, რომ არ გადაიდგას მკვეთრი ნაბიჯები. შეთანხმების მონაწილეებში, უპირველესად, ვგულისხმობ ამერიკელებს. ჩვენ ხომ გვესმის, რომ ივანიშვილის არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობა მისცეს ამერიკელებმა. ადრე ასეთი შესაძლებლობა არავისთვის მიუციათ.

**– მოსახლეობას ნუ დაუკარგავთ თავის წვლილს არჩევნებში.**

– ამიტომაც ამერიკული მხარის, ჩრდილოვანი პოლიტიკის ცინიკური ლოგიკით, უნდა მიეღო რაღაც გარანტიები, რომ მათი ინტერესები როგორც საჯარო, ისე არასაჯარო არ დაზარალდებოდა. ასე რომ, ყველაფერი ლოგიკურად მიდის. ჩვენ გვაქვს რეგულირებული, ანუ ანესთეზირებული კონფლიქტი, რუსულ-ქართულ კონფლიქტს ვგულისხმობ, რომელიც დღეის მდგომარეობით უსაფრთხოა.

რაც შეეხება ღვინოს: ის, მართლაც, სხვანაირი გახდა, შემიძლია, დავადასტურო. ცოტა გადავეჩვიე ქართულ ღვინოს, თუმცა, ღვინის ხარისხი შესანიშნავია, მაგრამ ეს ძალიან არ უშველის, იმიტომ რომ ქართული ღვინოების რუსეთში დაბრუნება ეს არის დაბრუნება სხვა საფასო კატეგორიაში. ამ კატეგორიაში არ არსებობს არც მეხსიერება და არც თავისუფალი ნიშა, მაგრამ მაინც კარგია. რაც შეეხება „ბორჯომს“: ის ვერ შეიცვლიდა გემოს, იმიტომ რომ წყარო იგივეა.

**– ეს იყო ყველაზე საოცარი ბატონი ონიშენკოს შეფასებაში: „ბორჯომის“ გემო ვერ შეიცვლებოდა.**

– რა თქმა უნდა და ღმერთმა არ ქნას, რომ „ბორჯომმა“ თავისი გემო დაკარგოს.

**– როგორც მივხვდი, თქვენ არ ეთანხმებით ბატონ ონიშენკოს, რომელმაც ღვინოც დაგვიწუნა და ბორჯომიც?**

– ის ამბობს, რომ ვარგა, იმიტომ რომ იმპორტი დაუშვა. გემოვნებაზე კი არ დავობენ. საერთოდ, ბატონი ონიშენკო ძალიან უცნაურად იქცევა ხოლმე. მე ნაკლებად მაინტერესებს ბატონი ონიშენკოს გემოვნება და მისი „სობაჩეე დელო“ არ არის, როგორი გემო აქვს ღვინოს თუ „ბორჯომს“. მას ძალიან თავისებური აზრები აქვს მოვლენათა ბუნებაზე და საქართველო არ არის ბატონი ონიშენკოს თავისებურებების მსხვერპლი.

**– თუ სხვებიც არიან, ცოტა მომეშვა.**

– რა თქმა უნდა. მაგალითად, სრულიად დეგენერატული კანონი მოწევის შესახებ, საერთოდ, ონიშენკო არის ადამიანი, რომელსაც უნდა ჯანსაღი ცხოვრების წესის ძალით დანერგვა, რაც, ჩემი აზრით, ამორალურია, მაგრამ რას გააწყობ.

**– ღვინისა და „ბორჯომის“ დაწუნება არ არის დიდი პრობლემა...**

– ღვინო და „ბორჯომი“ უფრო სიმბოლოა, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენმა მოკავშირე დნესტრისპირეთმა, რომელიც შემთხვევით დაზარალდა ჩვენივე სანქციებით, ვერ შეძლო აღედგინა ექსპორტი.

**– მაგრამ ჩვენი ღვინო უკეთესი გახდა, ეს ფაქტია.**

– ღვინო შესანიშნავია, გასაგებია. საქართველოს სურდა, თავისი ადგილი დაეჭირა იმ ბაზრებზე, სადაც ბევრი რუსი ტურისტია და ღვინოც იყიდებოდა.

**– იმიტომ ვთქვი, ღვინო და „ბორჯომი“ არ არის პრობლემა, რადგან მყიდველი თავად განსაზღვრავს, ეს პროდუქცია მისთვის მისაღებია თუ არა. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რაც ცხინვალის რეგიონში ხდება. 300 მეტრით გადმოიწია საოკუპაციო ხაზმა. ეს ვის სჭირდებოდა?**

– თავმოკვეთილი თმას არ მისტირის. მე არ ვფიქრობ, რომ ეს დიდი პრობლემაა.

**– ავიაგამანადგურებელს 5 წუთი სჭირდება საქართველოს ტერიტორიის განივად გადასაკვეთად. თქვენი ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით შესაძლოა, 300 მეტრი არაფერია, მაგრამ ჩვენთვის ეს ძალიან დიდი ტერიტორიაა.**

**ხომ გვესმის, რომ ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობა მისცეს ამერიკელებმა. ადრე ასეთი შესაძლებლობა არავისთვის მიუციათ**

– არ ვიცი, ალბათ, ეს სამხედრო-ტექნიკური მოსაზრებებით გამოწვეული გადაწყვეტილებაა. მე არ ვარ საქმის კურსში.

**– მომეჩვენა, რომ ამ ქმედებით რაღაცით უკმაყოფილებას გამოხატავს რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების მიმართ.**

– მე არ ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება პრინციპული პოლიტიკური პოზიციაა. მგონია, რომ ამ საკითხის პოლიტიზირება, რაც გარდაუვალი იყო, მეორადია.

**– ეს მეორადია თუ არა, საქართველოს ხელისუფლებას ჩიხში აქცევს.**

– ვიღაცამ რატომღაც, მიიღო ეს გადაწყვეტილება, ხელმძღვანელობდა რა საკუთარი მოსაზრებებით. მე ვფიქრობ, მოქმედებს გარკვეული ინერცია აფხაზური და ოსური მხრიდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ შენარჩუნდეს ხმამაღალი ნოტა საქართველოსა და რუსეთს შორის.

**– რუსეთმა ამით ოსებისა და აფხაზების გული მოიგო?**

– ნებისმიერ გადაწყვეტილებებს იღებენ კონკრეტული ადამიანები, რის უკანაც დგას კონკრეტული ინტერესები. ვიმეორებ, ეს გადაწყვეტილება არ იყო მიღებული უმაღლეს დონეზე, როდესაც ამბობთ, რუსეთმა გადმოწიაო, რუსეთმა კი არა, ვიღაცამ გადმოწია.

**– ეს როგორ?!**

– რუსეთი, რა თქმა უნდა, არის ამაზე პასუხისმგებელი. არ მგონია, დღეს ეს ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება იყოს, მაგრამ არ ვიცი, რა ხდება რეალურად, ამიტომ არ შემიძლია, კომენტარი გავაკეთო მოვლენებზე, რაზეც ინფორმაცია არ მაქვს. ჩვენთან, რუსეთში, ხელისუფლების ყველა დონეზე ყოველდღიურად კეთდება უამრავი სისულელე ან არასისულელე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არის მგრძნობიარე განსაზღვრულ კონტექსტში და იმ პოლიტიკურ პროცესში, რაც საქართველოში ხდება, მოახდენს გაავლენას. ესე იგი, სამწუხაროა, რომ ასე ხდება.

**– ივანიშვილი რუსეთის თუ რუსეთის ცალკეული ჩინოვნიკის, როგორც თქვენ ამბობთ, ამგვარ გადაწყვეტილებებს ჩიხში არ შეჰყავთ?**

– არ ვფიქრობ, რომ ამით შესაძლებელია ივანიშვილის ჩიხში შეყვანა. მას გაცილებით დიდი პრობლემა აქვს – ის იძულებულია, დაიჭიროს საშუალო, თავშეკავებული კურსი. მის მოსვლას დიდი მოლოდინი უკავშირდებოდა. დრო კი მიდის და ყველას დაკმაყოფილება ვერ ხერხდება. ივანიშვილის მოსვლა იყო რბილი რევოლუცია. ეს არ ყოფილა უბრალოდ ხელისუფლების შეცვლა. რევოლუცია კი შობს ასეთ განწყობას: ორი საათია, რაც გაიმარჯვა თავისუფლებამ, მაგრამ ბედნიერება ჯერ არ დამდგარა. ბედნიერება კი არ მოდის, არადა, ორ საათზე გაცილებით მეტი გავიდა. აი, ეს არის ივანიშვილის მთავარი პრობლემა. იმედი მაქვს, ის ამას გადაწყვეტს რაღაცნაირად. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სიტუაცია იქნება სხვანაირი, მაგრამ არ ვიცი, როგორი. მე არ ვარ საქართველოს შიდა ვითარების კურსში, მე უფრო სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების დინამიკას ვადევნებ თვალს, აქ ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ჩემთვის ეს არის რუსეთ-ამერიკის პირველი ნაჩქარევი გარიგების მაგალითი.

**– პირველი?**

– ამ დრომდე ამერიკელებთან გარიგების დადება უბრალოდ შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ ისინი მიჰყვებოდნენ პრინციპს: ყველაფერი ჩემი ჩემია, შენის შესახებ კი ვილაპარაკებთ. ისინი არ არიან გარიგებების პარტნიორები და ამდენი წლის შემდეგ პირველად შეიცვალეს თავისი მსოფლმხედველობა. რა თქმა უნდა, ისინი მიილტვიან ასიმეტრიული გარიგებებისკენ, მაგრამ ხვდებიან, რომ მათ სჭირდებათ გარიგებები მოწინააღმდეგეებთან, რადგან სჭირდებათ სიტუაციის სტაბილიზაცია მსოფლიოს ბევრ წერტილში, რომ შეამცირონ თავიანთი ყოფნა და პასუხისმგებლობის მოცულობა, იმიტომ რომ ამ ტვირთის აწევა შეუძლებელია. რუსეთთან მოლაპარაკება სხვა თე-

მაა, ეს ნიშნავს რუსეთის ინტერესების აღიარებას. რუსეთთან დაპირისპირება რუსეთს ხელს კრავს ჩინეთისკენ, რუსეთ-ჩინეთის კავშირი კი ამერიკისთვის აუწყეველი პრობლემაა. უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ამერიკელი ლიდერი შეეცდება, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ამერიკის ლიდერობა და მათი პოზიციის ცვლილება დაკავშირებულია არა ლიდერობაზე უარის თქმასთან, არამედ იმასთან, რომ მხოლოდ ასეა შესაძლებელი ლიდერობის შენარჩუნება.

**– ეს პირველი გარიგება რუსეთ-ამერიკას შორის ნიშნავს, რომ ამერიკა აღიარებს რუსეთის ინტერესს საქართველოში?**

– ის აღიარებს, რომ შეუძლებელია, არსებობდეს ნორმალური სიტუაცია, თუკი ამერიკა ხელოვნურად მფარველობს აგრესიულად ანტირუსულ რეჟიმს საქართველოში. ეს სიტუაცია იყო მთავარი პრობლემა.

**– არ აქვს მნიშვნელობა, რას მფარველობს ამერიკა, თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, რადგან საქართველოს მოსახლეობა თავისი თვალით ხედავს საოკუპაციო ხაზს, რუსეთის მიერ ჩვენი ორი რეგიონის აღიარებას. აქ ყველაფერი ნათელია.**

– ვინ გამოიწვია ეს?!

**– ამას არ აქვს მნიშვნელობა, როდესაც შენი ქვეყანა ოკუპირებულია, ვერ იქნები ოკუპანტის მხარეს, სულაც რომ მაჯლაჯუნები გყავდეს ხელისუფლებაში.**

– საქართველო ამის მიღწევას დიდი ხანია, ცდილობდა, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომ ჩამოეცილებინა აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“ და ამას მიაღწია.

**– უნდოდა შენარჩუნება და გამოუვიდა ჩამოცილება.**

– არ უნდოდა შენარჩუნება, ყველა ქართველ პოლიტიკოსს, რომელიც დაკავებული იყო აფხაზური და ოსური საკითხით, უნდოდა საკუთარი თავის შენარჩუნება.

**– ამაში შეიძლება, რაღაცნაირად დაგეთანხმოთ.**

– ისინი სპეკულაციას ეწეოდნენ ამ ტერიტორიებით და მეორე მომენტი ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ. საქართველოს ანტირუსული ორიენტაცია ავტომატურად ნიშნავდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე უარის თქმას. ეს ერთი მეორისგან გამომდინარეობს. თუ აგურს ირტყამთ ფეხში, ესე იგი, ფეხს მოიტეხთ.

**– მოკლედ, ოქტომბერს ველოდებით.**

– ალბათ, დღეს მთელი ქართული რეალობა ემიჯნება წინა პერიოდს და დღევანდელობა მუშაობს, როგორც ალტერნატივა. როდესაც ეს დამთავრდება და სიმბოლური წერტილი დაესმება, მაშინ ვილაპარაკებთ ახლებურ პოლიტიკაზე. პროექცია უნდა იყოს წინ და არა უკან და სწორედ ეს წინ პროექციაა დიდი პრობლემა. მათ შორის, მსოფლიო კრიზისის გათვალისწინებით, რომელიც ზვავივით გვიახლოვდება. გავიმეორებ, პოსტსაბჭოთა სივრცის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა რუსეთი თავისი პრობლემების გადაჭრას. თუ შეძლებს და თავის თავზე აიღებს ამ პრობლემების მოგვარებას...

**– რას გულისხმობთ რუსეთის პრობლემებში?**

– ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას. ამის შესაძლებლობა და რესურსი არსებობს, ნება ჯერჯერობით არ არის. თუ ეს მოხდება, კარდინალურად შეცვლის სიტუაციას რუსეთის გარშემო. იმიტომ რომ გაძლიერებული რუსეთი უპერსპექტივო ჩინეთისა და ევროპის ფონზე ერთადერთ ალტერნატივად რჩება.

**– ძალიან უცნაური მოვლენები ხდება ცხინვალის რეგიონში.**

– ჩვენ ამას ვუწოდებთ არა ცხინვალის რეგიონს, არამედ „იუჟნაია ოსეტიას“ რესპუბლიკას.

**– ჩვენ სხვადასხვა საზღვრებში ვაღიარებთ საქართველოს, ჩვენთვის ეს არის ცხინვალის რეგიონი.**

– როგორც უნდა დაარქვა, ის მოსახლეობა არ ფიქრობს, რომ ოკუპირებულია.

**– ის მოსახლეობა, რომელიც გამოყარეს, თვლის, რომ ოკუპირებულია მათი მშობლიური ტერიტორია. ჩემთვის ეს ცხინვალის რეგიონია, თქვენ უწოდეთ, როგორც გენებოთ, მე ისე მოვიხსენიებ, როგორც მე მიმაჩნია მართებულად.**

– კარგი.

**– ცხინვალის რეგიონის მოვლენები იმიტომ ვახსენე, რომ, თუ რუსეთს, მართლაც, უნდა ურთიერთობის ნორმალიზება, ნაცვლად საოკუპაციო ხაზის გადმოწევისა, სავიზო რეჟიმი გაეუქმებინა, ეს უფრო არ გამოიწვევდა კეთილგანწყობას, თუ ეს კეთილგანწყობა უნდა, ვიდრე ჭრილობაზე მარილის დაყრა?**

– ამაში გეთანხმებით, მაგრამ რუსეთს სერიოზული შეზღუდვები აქვს ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც ჩვენი ფორმალური მოკავშირეები არიან. ამიტომ ამ ფონზე გაუგებარი იქნებოდა საქართველოსთან, რომელთანაც გაწყვეტილი გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა, სავიზო რეჟიმის გაუქმება. მეორე საქმეა, რომ შესაძლებელია, მოვიფიქროთ სავიზო რეჟიმის შემსუბუქებული ფორმა. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ამას მოიფიქრებენ. ტერიტორიული პრობლემის გარდა, როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება ყველა დანარჩენ საკითხში შემხვედრ ნაბიჯებს დგამს. კიდევ ერთი მომენტია: რუსეთი არ არის დაინტერესებული აქტიურად, ხმამაღლა და საჯაროდ გამოიჩინოს ივანიშვილისადმი ყურადღება, რომ ამით კომპრომატი არ გაუჩინონ.

**– უცნაურია, პირველად აკეთებს ამას რუსეთი.**

– მართალია, იმიტომ რომ ეს პირველი გარიგებაა რუსეთ-ამერიკას შორის, როდესაც, როგორც მესმის, ორივე მხარე იცავს თამაშის წესებს და ნორმალურად იქცევა. ეს პრეცედენტია ჩვენთვის და გვაძლევს საშუალებას, მოვილაპარაკოთ უფრო რთულ პრობლემებზე, მაგალითად, სირიაზე.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



ქართველების ყველაზე ძლიერი დიასპორა რუსეთშია, თუ ამ პოტენციალს არ გამოვიყენებთ, დღეს 300 მეტრით გადაიწევა საზღვარი, ხვალ – 300 მეტრით. არც ბიძინამ და არც ქართველმა ხალხმა არ იცის ჩვენი როლის შესახებ 2008 წლის ომის დროს

**რუსეთის ქართველთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრს წერილით მიმართა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციაში საკუთარი სამსახური შესთავაზა როგორც მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. წერილი უპასუხოდ დარჩა, ამიტომაც ბ-ნმა ხუბუტიამ პრემიერს მეორე წერილიც გაუგზავნა, რომელშიც ბ-ნი ივანიშვილის პასიურობაში მისი გარემოცვის კვალზე მიანიშნა. ჩვენ დავუკავშირდით მიხეილ ხუბუტიას, რომ უშუალოდ მისგან შეგვეტყო, რას სთავაზობდა საქართველოს ხელისუფლებას და როგორია მისი სამომავლო გეგმები ისტორიულ სამშობლოსთან მიმართებაში.**

# რა შეუთვალა საერთო მეგობრის პირით ვანო მერაბიშვილმა მიხეილ ხუბუტიას და რატომ ვერ შეახვედრა საქართველოს პატრიარქმა ის ბიძინა ივანიშვილს

**– წერილში აღწერილია, რატომ დაწერეთ, მაგრამ იქნებ ჩვენი მკითხველისთვის კიდევ ერთხელ დააზუსტოთ, რამ გადაგაწყვეტინათ ამ ფორმით დაკავშირება?**

– მოვლენები შემდეგ აღარ განვითარებულა, მე, როგორც ნამდვილი პატრიოტ ქართველს მიმაჩნია, რომ საქართველოს განვითარებაში რაღაც წვლილი უნდა შევიტანო. ჩვენ, რამდენიმე ქართველი, გუშინაც შევიკრიბეთ აქ და მათ შორის იყვნენ ადამიანები, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი, თითქმის 100-100 მილიონი დოლარი დაედოთ.

**– ინვესტიციის თუ დახმარების სახით?**

– მე თვითონ ბიზნესმენი ვარ რუსეთში, ვიცი, სად ჩავდო კაპიტალი, როგორ დავაბანდო და რა მოგება უნდა მქონდეს, მაგრამ ეს ხომ ჩვენი სამშობლოა?! დიდი გამოცდილება მაქვს და უპირველესად, მინდა, დიდი სამონადირეო მეურნეობა გავაკეთო საქართველოში. სადაც იქნება საშუალება, დავპატიჟოთ მაღალი დონის სტუმრები. ამისთვის დამჭირდება 25 მილიონი დოლარი და ისიც მესმის, რომ ეს ფული შესაძლოა, 100 წელიწადში ამოვიღო. მეორე – მე ზუგდიდში დავიბადე და გავიზარდე და მინდა, ზუგდიდს ვაჩუქო უფასო სპორტული სკოლა. ჩემი ძმა უამრავ წერილს წერს ამ თხოვნით, მაგრამ არავინ პასუხობს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არავის არაფერი აინტერესებს.

რაც შეეხება ჩემს წერილს: ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდათ, რომ ალტერნატიული რაღაც გააკეთონ, ვილაცეები გაიცნონ, რომ საჭირო კაბინეტებში მოხვდნენ, მაგრამ ჩვენ, ვისაც შეგვიძლია, მაღალი დონის შეხვედრების ორგანიზება, სრულ იგნორირებას გვიკეთებენ. მივწერე პირველი წერილი ბიძინა ივანიშვილს, ავუხსენი როგორი სიტუაცია იყო და, თუ დაგვთანხმდებოდა, შეხვედროდა მის მიერ დათქმულ დროს დიასპორას. გარდა ამისა, რუსულ ინტელიგენციასაც ძალიან აინტერესებს, შეხვდეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და დაუსვან შეკითხვები.

**– ეს შეხვედრა უნდა გამართულიყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ მე არ მაქვს იმის გაჭირვება, რომ ვერ ვიქირაო თვითმფრინავი და ადამიანები სხვა ქვეყანაში ჩავიყვანო პრემიერ-მინისტრთან შესახვედრად, მაგრამ რატომ?! ქართული დიასპორა ეპატიჟება თავის ხელისუფალს და ხომ უნდა გასცე მაინც პასუხი, არ შემიძლია, არ მინდა.

**– ან თქვენ ჩამოდითო?**

– დიასპორის დღეები გაკეთდა საქართველოში, მაგრამ არავინ მოგვაქცია ყურადღება: ჩაიყვანეს ხომერიკი, რომელიც ამბობს, რომ ქართველებს აქვთ ოკუპირებული რუსეთიო. აი, ასეთი მეგობრები ჰყავთ რუსეთში და ასეთ ხალხთან ურთიერთობენ. როდესაც არანაირი ყურადღება არ მოგვაქციეს წერილის შემდეგ, გული დამწყდა და შევიკრიბეთ, ოღონდ არა იმიტომ, რომ ამბიციები მაწუხებს: მე არც ბიძინა მჭირდება და არც მიშა, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და საქართველო არ მაინტერესებს, ბიზნესის მხრივ, მხოლოდ პატრიოტული მოტივი მამოძრავებს. მე კარგად ვიცი, სად რა გავაკეთო და ბევრად უკეთ ვიცი, როგორ გავაკეთო, ვიდრე ბიძინამ თუ ვინმე სხვამ. როდესაც არ გვიპასუხა, მე მივწერე გულდაწყვეტილი წერილი. მან ბევრი კარგი გააკეთა, ტირანიისგან გაათავისუფლა საქართველო, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა მოგვაქციოს ყურადღება?! რადგან ბატონი ბიძინა ასე თავშეკავებულია, ესე იგი, სხვა მინისტრებსაც ეშინიათ.

**– თქვენ მეორე წერილში ამბობთ, რომ პრემიერ-მინისტრის გარემოცვა უშლის ხელს თქვენს შეხვედრას. ვინ მიგაჩნიათ მთავარ „დამნაშავედ“ გარემოცვაში, ვის გამოც ვერ ხერხდება კომუნიკაცია?**

– მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ძალიან ჯიუტი ადამიანია, მაგრამ მას, ასევე, ხელს უწყობენ ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, დამოუკიდებლად გააკეთებენ რაღაცას და იმის ტვინი კი არ ჰყოფნით, რომ რუსეთში ქართველების დიასპორას დახმარება სჭირდება. ხომ უნდა გავითვალისწინოთ, ვის რის გაკეთება შეუძლია? ვის შეუძლია, შეკრიბოს რუსული ინტელიგენცია, ქართული დიასპორა? ვის მიესვლება რუსეთის პირველ პირებთან? როდესაც ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს, ხდება უხეში გამოხდომები და საზღვრის გადმოწევა.

**– პირადად მე, ეს აღვიქვი რუსეთის მხრიდან საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის დამატებითი დისკომფორტის შექმნად?**

– დავუშვათ, ჩემთვის არაფერს ნიშნავს 100 დოლარი, მაგრამ ვინმემ რომ წამართვას, ხომ ვეჩხუბები, ესე იგი, დიალოგია საჭირო, რასაც მე ვერ ვხედავ. ზურაბ აბაშიძეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, უპირველესად, იმიტომ რომ ირაკლი აბაშიძის შვილია, მაგრამ ზურაბ აბაშიძემ რა უნდა გააკეთოს, როდესაც ვერავის ხვდება და ვერ ნახულობს?! წინა ხელისუფლება მუდმივად გვაგინებდა, მაგრამ აქ სულითა და გულით ქართველი ადამიანები ცხოვრობენ. გაოგნებულები ვართ, რატომ გვიკეთებს ახალი ხელისუფლება იგნორირებას?!

**საქართველოს პატრიარქმა დამიბარა, ბიძინას შეგახვედრებო. მე ჩამოვედი, ორ-სამ დღეს ვიყავი, მაგრამ პატრიარქმაც თავი შეიკავა**

რადგან მე მქონდა ჩემი აზრი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, ამიტომაც გახდა ვანო მერაბიშვილი ჩემი მტერი, თორემ 2008 წლის აგვისტოში ჩემი ძმა დაიჭირეს, იარაღი ჩაუდეს, მაგრამ შემდეგ გაირკვა ყველაფერი და გამოუშვეს. შემდეგ მე მინდოდა აქაური ადმინისტრაციის უფროსის, ნარირკინის ჩაყვანა და ვანომ ჩვენი საერთო მეგობრის პირით შემომითვალა, როგორც კი თვითმფრინავიდან ნაბიჯს გადმოდგამს, მაშინვე ციხეში გაგაქანებთო.

**– რატომ? რა დანაშაულისთვის?**

– არ ვიცი, რატომ. გამორიცხულია, დანაშაული ჩავიდინო, ალბათ, პოლიტიკური მოტივით, რადგან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჩამოყვანა მინდოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ ადამიანმა გამაფრთხილა, არ ჩამოხვიდეო.

**– არაოფიციალურად გაგაფრთხილათ?**

– დიახ, ვაჟკაცურად მითხრა, შენი მტერი ვარ და ნუ ჩამოხვალო. მას ძალიან ბევრი კარგი რეფორმა აქვს გატარებული. დღეს კაციშვილს არ მოსწონს მთელ მსოფლიოში, რომ ვანო მერაბიშვილი დაჭერილია.

**– საქართველოში მოსწონს ბევრს, სამაგიეროდ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არის?**

– მე ერთი ძალიან დიდი ქალაქის მერს შევხვდი, იმ ქალაქში სახლი უნდა ამეშენებინა. მან მითხრა, ახლომდებარე სახლში მცხოვრები ადამიანები წინააღმდეგნი არიან და არჩევნებისას ჩემ წინააღმდეგ გამოვლენო. მე ვკითხე, რამდენი ადამიანია-მეთქი. 20-30-ო. ჩემს ობიექტზე 5 000-მა ადგილობრივმა უნდა იმუშაოს და ამ 20-30 ადამიანის უკმაყოფილება გადაწონის 5 000-ს, ის 5 000 ხომ თქვენ მხარეს იქნება-მეთქი. არ აქვს მნიშვნელობა, რა მოსწონთ და რა არა საქართველოში, ჯერ ხალხს ის უნდა ვუთხრათ, რომ მან ბევრი რამ დააშავა. ჩემი ახლო მეგობარია უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი. ჩემს კაბინეტში, საიდანაც გელაპარაკებით, არაერთხელ მჯდარა. როდესაც ტიმოშენკოს იჭერდა, ვუთხარი, ეს არ გააკეთო, რადგან მსოფლიოში დიდი პრობლემები შეგექმნება-მეთქი. მე არ ვერევი საქართველოს საშინაო საქმეებში, მაგრამ ხომ შეიძლება, გაიგონ, როგორი აზრი აქვთ უცხოეთის ქართველებს?! ქართველების ყველაზე ძლიერი დიასპორა რუსეთშია, თუ ამ პოტენციალს არ გამოვიყენებთ, დღეს 300 მეტრით გადაიწევა საზღვარი, ხვალ – 300 მეტრით. არც ბიძინამ და არც ქართველმა ხალხმა არ იცის ჩვენი როლის შესახებ 2008 წლის ომის დროს.

**– რადგან ვანო მერაბიშვილზე ჩამოვარდა სიტყვა, სწორედ მისი პრემიერ-მინისტრობისას მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს არ მიეღოთ მონაწილეობა ოქტომბრის არჩევნებში.**

– ძალიან ცუდია, რომ არ მიგვაღებინეს მონაწილეობა! მოკვეთილი ვყავდით და ახლაც ასე გრძელდება. თინა კანდელაკს სულ აგინებენ, რით დაიმსახურა?! არ ჯობია, ის ადამიანები, ვისაც შეუძლია ამინდის შექმნა, გამოვიყენოთ?! სოსო პავლიაშვილზეც ბევრი ცუდი რამ ითქვა.

**– თუმცა პროკურატურამ გააკეთა განმარტება, რომ მას არაფერს ედავებიან.**

– წულუკიანმა თქვა, შეიძლება სოსო პავლიაშვილის მიმართ იყოს შეკითხვებიო, რატომ უფუჭებენ ასეთ კარგ ბიჭს სახელს?! უწესიერესი ადამიანია, საქართველოთი ცხოვრობს, თქვენ რა გგონიათ, აქცენტის შეცვლა არ შეეძლო?! მაგრამ მას უნდა, ყოველთვის გამოხატოს, რომ ქართველია. ასეთები ბევრნი არიან. მე ყოველთვის ხაზს ვუსვამ, რომ ქართველი ვარ, როდესაც კარგ საქმეს ვაკეთებ, რათა ყველა დავარწმუნოთ, რომ ქართველთან შეიძლება საუბარი, დიალოგი, მეგობრობა, საქმის გაკეთება. მხოლოდ ხელისუფალს შეუძლია, შეგვკრიბოს და გვითხრას, აბა, ბიჭებო, მოგვეხმარეთ, საქმე გავაკეთოთო, მაგრამ არ აკეთებენ,

# ვინ არის ყველაზე მდიდარი მილიარდერი „ფორბსის" მოდის სფეროს წარმომადგენელთა შორის

***გზა მილიარდიან კაპიტალამდე მოდის სფეროში მოღვაწე ბიზნესმენებისთვის „ზარას", „ტოპშოპისა" და „გეპის" მსგავს არაძვირიანი ტანსაცმლის მაღაზიებზე გადის. მოდის მილიარდერებისთვის „ფორბსმა" ცალკე რეიტინგი გააკეთა, რომელსაც ამ ნომერში გთავაზობთ.***

**ამანსიო ორტეგა** – *კაპიტალი: 57 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №3; ასაკი: 77 წლის; კაპიტალის წყარო: „ზარა"*

ესპანელი ამანსიო ორტეგას კაპიტალი წლის განმავლობაში რეკორდულ ციფრამდე – 19,5 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ორტეგა პირველად მოხვდა მილიარდერების პირველ სამეულში,



კარლოს სლიმ ელუსა და ბილ გეითსის შემდეგ. ორტეგამ თვით უორენ ბაფეტი ჩაანაცვლა პრესტიჟული პოზიციიდან. ორტეგა კომპანია „ინდიტექსის" აქციების 60 პროცენტს ფლობს. გარდა ამისა, ორტეგა 4 მილიარდ დოლარად შეფასებული უძრავი ქონების მფლობელია, მათ შორის, მადრიდში მდებარე 43-სართულიანი ცათამბჯენის, საკულტო „ტორე პიკასოსი". ის, აგრეთვე, ფლობს სახლებსა და ოფისებს ლონდონში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში.

**ბერნარ არნო** – *კაპიტალი: 29 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №10; ასაკი: 64 წლის; კაპიტალის წყარო: „LVMH"*

ბერნარ არნო – ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი მოდის სამყაროში, მეოთხედან მეათე პოზიციამდე დაქვეითდა. გასული წლის განმავლობაში არნო არაერთი სკანდალის მონაწილე გახდა. ჯერ იყო და ბელგიის მოქალაქის პასპორტის მიღებას ცდილობდა, რათა თავი აერიდებინა საფრანგეთში მაღალი გადასახადებისთვის. შემდგომ გავრცელდა ცნობა, რომ ის ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდებას მიიღებდა. ასევე, ცნობილია, რომ არნო საკუთარი მუზეუმის „ლუი ვიტონ ფაუნდეიშენ ფორ ქრიეიშენის" გახსნას აპირებს წლის ბოლოს.

**სტეფან პერსონი** – *კაპიტალი: 28 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №12; ასაკი: 65 წლის; კაპიტალის წყარო: „H&M"*

სტეფან პერსონი „H&M-ის" მაღაზიების ქსელის მფლობელია. გარდა ამისა, ინვესტიციებს ახორციელებს უძრავ ქონებაში. პერსონის საკუთრებაშია: სოფელი ლინკეჰოლტი ჰემფშირში (ინგლისი) და ასევე 219 მილიონად შეფასებული კვარტალი პარიზში, სადაც განთავსებულია „ბარბერის", „მოშინოსა" და „ბელის" ფეშენებელური ოფისები.

**ლეონარდო დელ ვეკიო** – *კაპიტალი: 15,3 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №49; ასაკი: 77 წლის; კაპიტალის წყარო: „Luxottica"*

ბავშვთა სახლში გაზრდილმა დელ ვეკიომ 1961 წელს დააარსა კომპანია „Luxottica" და დღეს მას იტალიაში „სათვალეების მეფეს" უწოდებენ. კომპანია მზისა და დიოპტრიული სათვალეების უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში. დელვეკიოს საკუთრებაშია ბრენდები „რეიბანი" და „ორაკლი".

**ფრანსუა პინო** – *კაპიტალი: 15 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №53; ასაკი: 76 წლის; კაპიტალის წყარო: „PPR"*

ფრანსუა პინო ფლობს აქტივებს „გუჩის", „სტელა მაკარტნის", „ალექსანდრ მაკქუინის" და „ივ სენ ლორანის" სამოდელო სახლებში. მისი საკუთრებაა ცნობილი „კრისტის" აუქციონი. პინო ხელოვნების ნიმუშების დიდი მოყვარულიც გახლავთ და მის პირად კოლექციაში თქვენ შეხვდებით პიკასოს, მოდილიანის და ჯეფ კუნსის ნამუშევრებს. ფრანსუას მეუღლე ცნობილი ჰოლივუდელი დივა – სელმა ჰაიეკია.

**მიუჩა პრადა** – *კაპიტალი: 12,4 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №78; ასაკი: 63 წლის; კაპიტალის წყარო: „პრადა"*

მიუჩა პრადა, რომელსაც მოდის ლეგენდად მოიხსენიებენ, მეუღლესთან, პატრიციო ბერტელისთან ერთად, ფლობს კომპანია „პრადას". მიუჩა კომპანიის დამაარსებლის შვილიშვილი და მთავარი დიზაინერია, ბერტელი კი – კომპანიის საქმეებს უძღვება აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე. მიუჩას და ბერტელის საერთო აქტივები 19,1 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. კომპანიის აქციების ფასმა 75 პროცენტით მოიმატა და ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. ამჟამად „პრადა" ინდური ბაზრის ათვისებაზე მუშაობს. გასული წელს კი კომპანიამ რამდენიმე ბუტიკი აბუ-დაბიში და ქუვეითშიც გახსნა.

**ჯორჯო არმანი** – *კაპიტალი: 8,5 მილიარდი; „ფორბსის" რეიტინგში №131; ასაკი: 78 წლის; კაპიტალის წყარო: „არმანი გროუპი"*

ჯორჯო არმანის საკუთრებაში არსებული კომპანიის შემოსავალი წლის განმავლობაში 14 პროცენტით გაიზარდა და 2,35 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. კაპიტალის ზრდა ჩინეთის ბაზარზე წარმატებულმა გასვლამ გამოიწვია. ჩინელებმა ტანსაცმელზე, პარფიუმსა და „არმანის" ექსკლუზიურ საათებზე ორჯერ მეტი დახარჯეს, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. გარდა ამისა, ლეონარდო დელ ვეკიოსთან ერთად, არმანი მზის სათვალეების წარმოებითაც არის დაკავებული. ის ასევე, ფლობს ლუქსის ტიპის ორ სასტუმროს, მსოფლიოს ყველაზე მაღალ ცათამბჯენ დუბაის „ბურჯ-ჰალიფაში:" „არმანი ჰოტელს" და 96 ნომრისგან შემდგარ „არმანი მილან ჰოტელს".

**უშანგი რუხაძე**

---

იმიტომ რომ არ იციან, სად წავიდნენ და ვის მიმართონ. ხელში აიღეს ხელისუფლება, მაგრამ, საითაც უნდა წახვიდე, ჩიხია.

**– ბიძინა ივანიშვილი არის პრემიერ-მინისტრი, როგორ წარმოგიდგენიათ, მხოლოდ დიასპორის მიწვევით რუსეთის ფედერაციაში ჩასვლა, რომელთანაც ჩვენ ძალიან რთული ურთიერთობა გვაქვს, ამას ემატება ჩახლართული გეოპოლიტიკური კონტექსტი, იქნებ ამ უხერხულობის გამო შეიკავა თავი?**

– ძალიან ხომ ცდილობდა, რომ ფორუმის დროს შეხვედროდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს?!

**– დავოსის ფორუმს გულისხმობთ?**

– დიახ, ხელი ჩამოართვა და ორიოდ სიტყვა გაცვალეს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასე კეთდება საქმე, ცდება. ან თუ იმას ფიქრობთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საქმის გაკეთება – წაიკითხეთ კრემლის საიტები, მე ხშირად ვხვდები აქაურ პრეზიდენტს, საბჭოს წევრი ვარ და მაქვს იმის უფლება, ხშირად შევხვდე პრეზიდენტსაც და პრემიერ-მინისტრსაც.

**– სწორედ მაგას ვამბობ, შეიძლება არ არის მზად რუსეთის ხელისუფლებასთან შესახვედრად, თუნდაც, გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით?**

– თქვენ, ალბათ, ჩემი წერილი არ წაგიკითხავთ. მე მას მივწერე, თუ თქვენ დაინტერესდებით, მე ჩამოვალ, მოვილაპარაკოთ და, როდესაც დავბრუნდები მოსკოვში, აქ შევათანხმებ საკითხებს-მეთქი. სხვათა შორის, საქართველოს პატრიარქმა დამიბარა, ბიძინას შეგახვედრებო. მე ჩამოვედი, ორ-სამ დღეს ვიყავი, მაგრამ პატრიარქმაც თავი შეიკავა.

**– ეს როდის მოხდა?**

– მარტში. სპეციალურად ამისთვის ჩამოვედი. შეიძლება, ბიძინას ჩემზე მეტი ფული აქვს, მაგრამ თუ იმის ამბიციაც აქვს, ხუბუტიას არ შევხვდებიო, არც ეს არის პრობლემა, თქვას, ვისთან უნდა შეხვედრა და იმ კაცს მივუყვან. ეს თვითონ მინდოდა, ჯერ მისთვის მეკითხა. გვინდა, რომ ყრილობა მოვიწვიოთ და ორივე ქვეყნის ხელისუფალს დავუსვათ შეკითხვები. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, მაგრამ დიდი პრობლემები გვაქვს დიასპორას: აქ არის უამრავი დევნილი, რომლებსაც არ აქვთ საბუთები და უამრავი პრობლემა ექმნებათ. 19-20 წლის ყმაწვილები ვერც ექიმთან მიდიან, ვერც ინსტიტუტში აბარებენ და ბაზრებში იმალებიან. ჩემს ბავშვობაში ციგნები იმალებოდნენ ასე. უპირველესად, მინდა, რომ ეს პრობლემები გადავწყვიტო.

**– ბიძინა ივანიშვილსაც რუსეთში ჰქონდა ბიზნესი, გვქონდათ მასთან რამე ტიპის საქმიანი შეხება, იცნობთ?**

– მე არასდროს შევხვედრივარ, ნანახიც არ მყავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. მაგალითად, „ალფა ბანკის" მფლობელი პეტრე აველი, ასევე, იური შებლერი. ორივენი მილიარდერები არიან. იური შებლერი ლონდონში ცხოვრობს, ისინი ბიძინას ახლო მეგობრები არიან და ჩემი ძმაკაცები. მე ბატონმა ავენმა დამირეკა რამდენიმე თვის წინათ, სხვათა შორის, მან იყიდა „ბორჯომი", მაგრამ მე არ მინდა ბიძინა ივანიშვილთან მეგობრის დარეკვით შეხვედრა.

**– ისევ ელით, რომ გიპასუხებთ თუ როგორი სამოქმედო გეგმა გაქვთ?**

– მე ორჯერ უკვე გადავდექი დიასპორის პრეზიდენტობიდან, უკვე 50 წლის ვარ და ჩემი საქმეები მინდა, მოვაგვარო. იმას, რის გაკეთებასაც საქართველოში ვაპირებდი, ახლა აქ ვაკეთებ. მე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს სიტყვა მივეცი.

**– პუტინს?**

– დიახ, მე რუსეთის მოქალაქე ვარ, მაგრამ, თუ მე ჩემი ისტორიული სამშობლო არ მიყვარს, რუსეთს როგორ შევიყვარებ?! პრეზიდენტს სიტყვა მივეცი, რომ ღარიბი ვუნდერკინდი ბავშვებისთვის გავაკეთებ სკოლას, რომელიც 50-დან 100 მილიონ დოლარამდე დამიჯდება. მე ძალიან ვაფასებ და ძალიან მიყვარს პუტინი. როგორიც უნდათ, ისეთი ინტერპრეტაცია გაუკეთონ, მაგრამ მე მას ძალიან ვაფასებ და თანაც, დარწმუნებული ვარ, სანამ ეს პრეზიდენტია, რუსეთი ფეხზე დადგება. თუმცა რუსეთს არანაირი პრობლემა არ აქვს, მიუხედავად სააკაშვილის განცხადებებისა, რუსეთი ჩამოიშლებაო. პირიქით, რუსეთი ვითარდება.

ჩემი უახლოესი გეგმა კი ასეთია: ვაპირებ, ახალგაზრდები ორი კვირით ჩამოვიყვანო ბათუმში და დავასვენო.

**– წინა ხელისუფლების დროს ვერ ჩამოდიოდით საქართველოში, ესე იგი, დღეს ეს პრობლემა აღარ არის?**

– ექვსი წლის შემდეგ პირველად, ახალ წელს ჩამოვედი და, უპირველესად, საქართველოს მიწას ვაკოცე. 90 წლის მამა 6 წელი არ მყავდა ნანახი. მაგრამ ჩემი, ერთი კაცის, ჩამოსვლას რა აზრი აქვს?! ხომ გაგიგიათ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მთავარია, ხალხმა იცხოვროს კარგად, თორემ ჩემს ჩამოსვლას მათთვის რა აზრი აქვს. თუმცა ძალიან მიხარია, რომ ჩამოსვლის შესაძლებლობა მაქვს, იმიტომაც ვეფერები ბიძინას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, უნდა ვნახოთ, როგორი იქნება ხვალინდელი დღე.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

**კარგა ხანია, არსებობდა მითოლოგიური მოსაზრება, რომ ქართველები, ზოგადად, არაკანონმორჩილი ხალხია, თუმცა გასულმა 9 წელმა დაგვარწმუნა, რომ ქართველობა და კანონმორჩილება საკმაოდ ჰარმონიულად უთავსდებიან ერთმანეთს. ერთი ისაა საკითხავი, კანონმორჩილებას რეპრესიების შიში იწვევს თუ საკითხის ჯეროვანი გაცნობიერება. მეორე მხრივ, არანაკლები პრობლემაა საკუთრივ ქართულ ხასიათზე მორგებული კანონები (რაც მათდამი მორჩილების აუცილებელი პირობაა) – ჯერჯერობით კანონთა უმეტესობა გადმოწერილი გვაქვს. ამიტომაც დავინტერესდით, ისტორიულად, როგორ რეგულირდებოდა სამართლებრივი საკითხები მაშინ, როდესაც ქართული სახელმწიფო ძლიერიც იყო და ჭეშმარიტად დამოუკიდებელიც – ვგულისხმობ თამარის ეპოქას. საკითხზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დავით გოსტოღანაშვილი გვესაუბრება.**

# რა შემთხვევაში აჭრიდნენ საქართველოში დამნაშავეს სხეულის რამდენიმე ნაწილს და რატომ სჯიდა საერო სამართალი ცხვირის მოკვეთით მხოლოდ მოღალატე ცოლებს

**– როგორი სამართლებრივი ველი არსებობდა თამარის დროინდელ საქართველოში?**

– სამართლის წყაროების თვალსაზრისით, ძალიან ძნელია, რომ თამარ მეფის პერიოდი ცალკე გამოვყოთ. ბუნებრივია, თამარის პერიოდში არსებობდა სამართლებრივი შინაარსის მქონე ძეგლები, მაგრამ ეს არ იყო სამართლის წიგნთა კრებულების სახით.

**– აბა, რას ეფუძნებოდა სამართალი?**

– შეგვიძლია, ვისაუბროთ ჩვეულებით სამართალზე, რაც ზოგადად ყველა სახელმწიფოსთვის იყო დამახასიათებელი და წინასახელმწიფოებრივი მდგომარეობისთვისაც. მეტიც, ჩვეულებითი სამართალი თავის მოქმედებას საქართველოში, მათ შორის, მეოცე საუკუნეშიც კი ავლენს. და, რა თქმა უნდა, არსებობდა საეკლესიო სამართალი.

**– საეკლესიო სამართალი, ალბათ, დაწერილი სახით არსებობდა.**

– დიახ და ქართულადაც იყო თარგმნილი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ძეგლები, რომლებიც ითარგმნა, არის მცირე სჯულის კანონი და მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნის მიჯნაზე – დიდი სჯულის კანონი, რომელიც ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში სავალდებულო ძეგლად ითვლება, საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით. ასევე, არსებობდა მეფის მიერ გაცემული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალური ხასიათის აქტები.

**– ჩვეულებითი სამართალი ახსენეთ, როგორც მივხვდი, ის დაუწერელი სახით არსებობდა. რას გულისხმობდა?**

– ჩვეულებითი სამართალი ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროს ეხებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვეულებითი სამართალი სახელმწიფოებრიობამდელ მდგომარეობაში ჩამოყალიბდა, შემდგომში სახელმწიფო, თავისი და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზღუდავდა კიდეც ჩვეულებითი სამართლის მოქმედებას. თუმცა დაბეჯითებით შეიძლება, ითქვას, რომ ჩვეულებით სამართალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაწერილი სახით სამართლის ძეგლების ჩამოყალიბებაში. ბუნებრივიც არის, რადგან ჩვეულებითი სამართალი მისაღები იყო მოსახლეობისთვის, იმიტომ რომ თვითონ ხალხის მიერ ყალიბდებოდა და უფრო ადვილად გასაგები იყო.



**დემნა ბატონიშვილი მხოლოდ თვალების დაწვით, რაც წყაროებში მბნებელობად მოიხსენიება, არ დაუსჯიათ. თუმცა სასჯელის ზოგადი სახელწოდება, რაც დემნა ბატონიშვილს შეეფარდა, არის განპატიჟება**

**– ყველამ იცოდა, რა ქცევა იყო დასაშვები და რომელი – არა?**

– მაგალითად, იყო ნორმები, დაკავშირებული მიწის საკუთრებასთან, დანაშაულთან და სასჯელთან მიმართებაში. ეს შეიძლებოდა, შეხებოდა სამართალწარმოების წესს, როგორ განიხილავდნენ სადავო საკითხებს და ასე შემდეგ.

**– ვინ განიხილავდა სადავო საკითხებს?**

– ჩვეულებითი სამართალი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედებდა, ამიტომ საკმარისი ცნობებია. გააჩნია დანაშაულს, თუ ეს იყო თემის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ის შეიძლებოდა, განეხილა თემის ან ხევის კრებასაც. თუ ეს იყო უფრო კერძო ინტერესების შემლახველი დანაშაული, მაგალითად, მკვლელობა, ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა, საქმე მედიატორებს ან ხევისთავს გაერჩია. მაგალითად, ვიცით, რომ სვანეთში მედიატორები არჩევდნენ და მხარეები თვითონ ირჩევდნენ მათ.

**– ძალიან დემოკრატიული სისტემა ყოფილა.**

– საკმაოდ დახვეწილი სისტემა იყო.

**– რა ტიპის სასჯელები მოქმედებდა, რა იყო ყველაზე მკაცრი და მსუბუქი სასჯელი და რა ქმედებებისთვის?**

– ალბათ, სიკვდილით დასჯა.

**– მართალია, თამარის ეპოქას ეს არ ეხება, მაგრამ ვიცით, რომ დემნა ბატონიშვილს თვალები დასთხარეს. ხშირად იყენებდნენ სასჯელის ასეთ ფორმას?**

– დემნა ბატონიშვილი მხოლოდ თვალების დაწვით, რაც წყაროებში მბნებელობად მოიხსენიება, არ დაუსჯიათ. თუმცა სასჯელის ზოგადი სახელწოდება, რაც დემნა ბატონიშვილს შეეფარდა, არის განპატიჟება, რაშიც იგულისხმებოდა სამი ტიპის სასჯელი: თვალების დაწვა, ასოთმილება, ანუ სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა და დასაჭურისება. დასაჭურისება იყო სპეციფიკური სასჯელი, რომელიც შეეფარდებოდა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს და დემნა ბატონიშვილს, გარდა თვალების დაწვისა, შეუფარდეს დასაჭურისებაც, რასაც, საბოლოოდ გადაჰყვა.

**– დასაჭურისების მიზანი იყო, რომ შთამომავლობა აღარ ჰყოლოდა და პრეტენზია ვერ განეცხადებინათ ტახტზე?**

– დასაჭურისება ორ მიზანს ისახავდა, ერთი, რომ შთამომავლობა აღარ ჰყოლოდა და, მეორე, საქართველოში საჭურისი არ შეიძლებოდა, გამეფებულიყო. რაც შეეხება ასოთმილებას: ის გულისხმობდა ცხვირის, ენის, ხელის, ყურის, ფეხის მოკვეთას. ამასთან, არ იყო აუცილებელი, რომ ერთდროულად მოეკვეთათ რამდენიმე ორგანო.

**– რამდენიმე ორგანო შეიძლებოდა, მოეკვეთათ?**

– დიახ. ორივე ფეხი მოეკვეთათ ან ორივე ხელი, გააჩნდა დანაშაულის სიმძიმეს. მაგალითად, თუ ადამიანი ხელმეორედ ჩადენდა ქურდობას და, თუ პირველ შემთხვევაში ქონებრივი სასჯელი ეკისრებოდა, მეორე შემთხვევაში ხელს ან ფეხს მოჰკვეთდნენ.

**– იმდროინდელი გაუტკივარების გარეშე ტარდებოდა ეს პროცედურა?**

– პირდაპირ არ არის გადმოცემული, როგორ სრულდებოდა სასჯელი, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ხდებოდა გავარვარებული ხმლით, რომ ერთი დაკვრით დასრულებულიყო.

**– ცხვირს რა შემთხვევაში კვეთდნენ?**

– თუ ცოლი უღალატებდა ქმარს და შემდეგ აბრუნებდნენ სახლში.

**– მოღალატე ქმარს როგორ სჯიდნენ?**

– ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან საეკლესიო და საერო სამართლის მიდგომა. საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით, მრუშობისთვის კაციც და ქალიც ერთნაირად ისჯებოდნენ, საერო სამართალში კი, ფაქტობრივად, ვერ ვხვდებით შემთხვევას, რომ მამაკაცი დასჯილიყოს ღალატისთვის. გარდა ამისა, აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროების უმეტესობა აღწერს მეფეთა და დიდებულთა ცხოვრებას, ამდენად, ძნელად წარმოსადგენია, დედოფალს ამ საფუძვლით მოეთხოვა მეფის დასჯა.

**– დიდებულთა წრეში ყოფილა ცოლის ღალატისთვის დასჯის შემთხვევა ცხვირის მოკვეთით?**

– მე არ მახსენდება, თუ არ ჩავთვლით ძველ პერიოდში შუშანიკის შემთხვევას, რომელიც ქმრის დაუმორჩილებლობის გამო დასაჯეს.

**– განსაზღვრული იყო, რომელი დანაშაულისთვის რომელი ორგანო უნდა მოეკვეთათ თუ ეს საქმის გამრჩევის პრეროგატივა იყო?**

– დანაშაულის სიმძიმეზეც იყო დამოკიდებული, ოღონდ გააჩნია, რას ვუწოდებთ დანაშაულის სიმძიმეს. სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა, სხეულის ნაწილების მოკვეთაც. იგივე ხდებოდა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულზეც. ასევე, მოქმედებდა სხვა ტიპის სასჯელების, მაგალითად, შეურაცხყოფისთვის, დაჭრისთვის, მკვლელობისთვის, ძირითადად, გამოიყენებოდა ანაზღაურება. ანუ სისხლის ფასის გადახდა.

**დასაჭურისება ორ მიზანს ისახავდა, ერთი, რომ შთამომავლობა აღარ ჰყოლოდა და, მეორე, საქართველოში საჭურისი არ შეიძლებოდა, გამეფებულიყო**

**– რამდენი – რაზე?**

– დიახ, დაწესებული იყო, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლის მკვლელობაში რამდენი უნდა გადახდილიყო. ყველაზე დაბა-

ლი ფასი ჰქონდა გლეხის სისხლს, რაც უთანაბრდებოდა 12 თუმანს, 60 ძროხის ეკვივალენტს.

**– არც ისე იაფი ღირებულა გლეხის სისხლი.**

– დიახ, ეს ძალიან დიდი ფასი იყო, თუმცა დიდგვაროვნის სისხლი 128-ჯერ მეტი ღირდა, ვიდრე გლეხის სისხლი. ეს საკმაოდ ეფექტიანი შემაკავებელი მექანიზმი იყო, ჯერ ერთი, მკვლელს გაუჭიდებოდა სისხლის აღებისგან თავის დაცვა იმ რეგიონებში, სადაც ჩვეულებითი სამართალი ძლიერად იყო შემორჩენილი და, რომც დაეღწია კიდეც თავი, გადასახადი იმდენად დიდი იყო, რომ ოჯახის ეკონომიკურ განადგურებას იწვევდა. სხვა კატეგორიის სასჯელებიდან ვხვდებით თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ თავისუფლების აკვეთა ფართოდ გამოიყენებოდა.

**– იყო საქართველოში საპატიმრო ადგილები?**

– ჩვენ შეგვიძლია ამაზე ვისაუბროთ, იმიტომ რომ ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ მოგვეპოვება ეს ცნობები. შემდგომი პერიოდის წყაროებიც გვაქვს, მაგალითად, ლიპარიტ ბაღვაში ორჯერ დააპატიმრა დავით აღმაშენებელმა.

ამასთან, არსებობდა გვემითი სასჯელები, ცემა-კრვა, რაც საეკლესიო სასჯელადაც გამოიყენებოდა, როდესაც მათრახით სცემდნენ დამნაშავეს. მინიმუმ 30 და მაქსიმუმ 60 დარტყმა იყო, ზოგიერთ შემთხვევაში კი სპეციალური მათრახიც შეიძლებოდა, გამოეყენებინათ და ასე დასჯილი ადამიანი ხშირად ორი-სამი კვირა ფეხზე ვერ დგებოდა. ასევე, რიგი დანაშაულის გამო შესაძლოა, გარკვეული უფლებები ჩამოერთმიათ: მაგალითად, არ შეეშვათ ლაშქარში.

**– როგორი მენტალური ცვლილებაა: მაშინ შეზღუდვა იყო ლაშქარში არშეშვება, დღეს ეს – ბედნიერებაა.**

– დიახ. ასევე, სასჯელის ფორმა იყო ქონებრივი საზღაური და, ასევე, მოქმედებდა საეკლესიო სასჯელებიც.

**– საეკლესიო და საერო სასჯელები ჰარმონიულად უთავსდებოდა, ავსებდნენ ერთმანეთს?**

– შეიძლებოდა, ერთი და იმავე დანაშაულისთვის ადამიანს მარტო საეკლესიო სასჯელი შეფარდებოდა, ან მხოლოდ საერო ან ორივე ერთად.

**– ასეთ ვთქვათ, სასჯელის შეკრებითობას ემოქმედა?**

– დიახ. მაგალითად, მკვლელობისთვის შესაძლებელია, საერო სამართლით, ადამიანს სისხლის ფასის გადახდა დაკისრებოდა, საეკლესიო სამართლით კი, როგორც ვიცით, განზრახ მკვლელობისთვის 20 წლით უზიარებლობას აწესებდა ეკლესია და ეს უზიარებლობა ძალიან მძიმე სასჯელი იყო, რადგან სხვა გარემოებებთანაც იყო დაკავშირებული და იმ პერიოდისთვის, ფაქტობრივად, სამოქალაქო სიკვდილს ნიშნავდა. ადამიანს ეზღუდებოდა ლაშქარში შესვლა, ცოლის მოყვანა, იმიტომ რომ მაშინ მოქმედი წესები ცალსახად ითვალისწინებდა ქორწინების დღეს ზიარებას. შესაბამისად, თუ ადამიანს უზიარებლობა ჰქონდა შეფარდებული, სპეციალური ნებართვა სჭირდებოდა ქორწინებისთვის. ზოგადად, მაშინდელი ცხოვრების წესს თუ გავითვალისწინებთ, ეკლესიისადმი გაცილებით სერიოზული დამოკიდებულება არსებობდა და, ამდენად, უზიარებლობა ძალიან მძიმე სასჯელი იყო.

მაგალითად, შედარებით მსუბუქი იყო გამაწბილებელი სასჯელი, დამნაშავის დამცირება საზოგადოების თვალში: თავზე ნაცრის დაყრა, საფეთქლის გაპარსვა, შიშვლად ჩამოტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ვირზე უკულმა შესმა.

**– თუმცა ისიც ცნობილია, რომ თამარის დროს სასჯელის მკაცრი ფორმები არ გამოიყენებოდა. ეს დასტურდება წყაროებით?**

– თამარის დროს არ გამოიყენებოდა სხეულებრივი სასჯელები. ივანე ჯავახიშვილიც ამახვილებს ყურადღებას ამაზე. წყაროებიდან ვიცით, რომ თამარის დროს მოღალატეობისა და ავაზაკობისთვის შეიპყრეს გუზან ტაოსკარელი და დავით სოსლანს მიუყვანეს, მან კი, იცოდა რა თამარის მოწყალება, თამარს არ უთხრა, ისე დასაჯა. სხეულებრივი სასჯელი გამოიყენა. ამ ცნობაზე დაყრდნობით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თამარის დროს სხეულებრივ სასჯელებსა და სიკვდილით დასჯას არ იყენებდნენ. ეს, ერთი მხრივ, უკავშირდებოდა თამარის პირად დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და, ასევე, იმ წესრიგს, რომელიც თამარის დროს იყო. როგორც ჩანს, დანაშაული ნაკლებად ხდებოდა და მკაცრი დასჯაც არ იყო აუცილებელი.

**– და თამარის ეპოქაში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, განქორწინება. როგორ გაირჩა განქორწინების ეს საქმე?**

– ზოგადად, ქორწინებასა და ოჯახთან დაკავშირებულ საკითხებს ეკლესია არეგულირებდა, თუმცა, როდესაც თამარ მეფეზეა საუბარი, პოლიტიკური კონტექსტიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. არსებობს ცნობა, რომ გიორგი მეფე მემთვრალეობითა და და სოდომური ცოდვით იყო შეპყრობილი, რაც დაედო საფუძვლად ამ განქორწინებას.

**– არის მოსაზრება, რომ, რაკი ქართველი დიდებულების ნაწილი მიემხრო გიორგი რუსს, ნაკლებად სავარაუდოა, ის სოდომური ცოდვით ყოფილიყო დამძიმებული, თითქოს მოუგონესო.**

– ზოგადად პოლიტიკაში ძალიან ძნელია, ადამიანმა რამეზე დადოს თავი, თუმცა ამ ვარაუდსაც აქვს არსებობის უფლება. სოდომური ცოდვა ისეთი საფუძველი იყო, რომელიც ფორმალურად იძლეოდა განქორწინების საშუალებას.

**– ჩვენი იმ ეპოქისდროინდელი სასჯელები ჰუმანურია, ნაკლებად თუ საერთო კონტექსტში ჯდება?**

– შეიძლება, ითქვას, რომ ჩვენთან მაინც მეტ-ნაკლებად ჰუმანური სასჯელები იყო.

**– მუსლიმანურ ქვეყნებთან შედარებით?**

– არა მხოლოდ, თუნდაც, ბიზანტიის იმპერია ავიღოთ, სადაც საკმაოდ სასტიკი სასჯელები იყო, ისევე, როგორც ასირიელთა შემთხვევაში. სასჯელის სისასტიკეს, უპირველესად, განაპირობებდა მიზანი: თუ კანონის მიზანი იყო მოსახლეობის დაშინება, მაშინ სასჯელები ძალიან სასტიკი უნდა ყოფილიყო და გვხვდება სიკვდილით დასჯის საოცარი ფორმები, მაშინ, როდესაც საქართველოში სიკვდილით დასჯის მხოლოდ ორი ფორმა არსებობდა: თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა, რაც სიკვდილით დასჯის იმდროინდელ ფორმებთან შედარებით ჰუმანურადაც შეიძლება, მოგვეჩვენოს, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში სიკვდილი იყო. საქართველოში გვაქვს კლდიდან გადაგდების ერთი შემთხვევა მეთორმეტე საუკუნეში სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო.

**ნინო ხაჩიძე**



# რამდენ ოლიმპიურ თამაშში აქვს მონაწილეობა მიღებული ნორვეგიის მეფე ჰერალდ მეხუთეს და რომელი ოცნება აისრულა მან 76 წლის ასაკში



*ნორვეგიის მეფე ჰერალდ მეხუთე, 1991 წლის 17 იანვარს, მამის, მეფე ულაფ მეხუთის გარდაცვალების შემდეგ ავიდა სკანდინავიური ქვეყნის სამეფო ტახტზე და თავისი წინაპრების მსგავსად, დადო მონარქიული ფიცი და მიიღო დევიზი: „ყველაფერი ნორვეგიისთვის". ჰერალდი ერთ-ერთი ყველაზე არაორდინარული მონარქია მსოფლიოში და მის შესახებ გავრცელებულ საინტერესო ცნობებს ამ ნომრიდან შეიტყობთ.*

* მეფე ჰერალდ მეხუთე 1937 წლის 21 თებერვალს, ოსლოსთან ახლოს მდებარე, სამეფო საგვარეულოს კუთვნილ სასახლეში, სკაუგუმში დაიბადა. ის იყო პირველი პრინცი, რომელიც უკანასკნელი, 1370 წლის შემდეგ დაიბადა ნორვეგიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტური გერმანიის ჯარების ნორვეგიაში შესვლის შემდეგ, სამეფო ოჯახი ჯერ შვედეთში გაიქცა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა, საიდანაც, ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს დაბრუნდა მშობლიურ მიწაზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჰერალდმა სწავლა ნორვეგიის კავალერიის სასწავლებელში გააგრძელა, მერე კი სამხედრო აკადემიაში გადაინაცვლა, სადაც ნორვეგიელი მონარქისთვის აუცილებელი სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა. 1960-1962 წლებში ჰერალდი, ოქსფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკას და ისტორიას შეისწავლიდა. იმ პერიოდში მამა, ულაფ მეხუთე მეფედ აკურთხეს და ჰერალდმა ავტომატურად მიიღო კრონ-პრინცის ტიტული.

* ნორვეგიის მეფემ, ჰერალდ მეხუთემ რაინდის წოდება მიაკუთვნა პინგვინს, სახელად ნილს ოლაფ მეორეს. 1962 წლიდან ნორვეგიის სამეფო გვარდიისთვის ერთგვარ თილისმად იქცა საიმპერატორო ჯიშის პინგვინი – ნილს ოლაფი, რომელმაც სერჟანტის წოდებამდე მიაღწია და 1987 წელს მოკვდა. თილისმის გარეშე დარჩენილმა სამეფო გვარდიამ ახალი პინგვინი ითხოვა ედინბურგის ზოოპარკიდან და 1993 წლიდან ნილს ოლაფ მეორემ დაიწყო „სამსახური" გვარდიაში. იმ წელს ფრინველი ოცმეთაური გახდა, 2004 წელს – სამეფო შეიარაღებული ჯარების პოლკოვნიკი, ხოლო სულ ახლახან მეფემ მას რაინდის წოდება მიაკუთვნა.

* რამდენიმე წლის წინ ნორვეგიაში სამეფო სკანდალი აგორდა. ტახტის მემკვიდრე, მეფე ჰერალდ მეხუთის შვილი, პრინცი ჰააკონი, ყოფილ ოფიციანტზე, ნარკომანსა და ნარკოდილერის ყოფილ ცოლზე, ჰაშიშისა და ექსტაზის მოყვარულ მეეტე მარიტ ტიესემ ჰოიბიზე დაქორწინდა. მას პირველი ქორწინებიდან ოთხი წლის შვილი ჰყავს. ამ ფაქტმა ნორვეგიის მოქალაქეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სამეფო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა „ველური" წარსულის მქონე, განათხოვარი და არაცისფერსისხლიანი ქალბატონი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიტუაცია ჰქონდა ჰერალდ მეხუთესაც – ის ცხრა წლის განმავლობაში ელოდებოდა თანხმობას მშობლებისგან, რომ დაქორწინებულიყო მდაბიო წარმომავლობის, ამჟამად უკვე დედოფლის სტატუსის მქონე, სოფიზე. უნდა აღინიშნოს, რომ მეეტე ტიესემ ჰოიბიმ, რომლის პირველი ქმარი, ნორვეგიული კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელია და ამჟამად ციხეში იმყოფება, სახალხოდ მოიხადა ბოდიში თავისი წარსულის გამო. მან აღნიშნა, რომ ამიერიდან ნორვეგიის მონარქიული ოჯახის ტრადიციების დამცველი გახდება.

ჰერალდ მეხუთის უმთავრესი გატაცებაა აფროსნობა. ის მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატებში და 1987 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიგო. 1964 წელს ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ჰერალდ მეხუთეს ნორვეგიის დროშის ტარების საპატიო მისია ხვდა წილად, რაც საკმაოდ პრესტიჟულია. ჰერალდი, ასევე, 1968 და 1972 წლების ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე გახლდათ. მამისგან განსხვავებით, რომელიც 1928 წელს ამსტერდამში ოლიმპიურ თამაშებზე ოქროსმედალოსანი გახდა, ჰერალდის საუკეთესო ოლიმპიური შედეგი მერვე ადგილია. აღსანიშნავია, რომ გულზე გადატანილი მძიმე ოპერაციის შემდეგ, ჰერალდ მეხუთე თავის გუნდთან ერთად, რეგულარულად, მონაწილეობს აფროსნობის ტურნირებში, სადაც საკუთარი იახტა „ფრამ XVI-ით" წარმატებასაც ხშირად აღწევს.

2002 წელს ნორვეგიის მთავრობამ, მეფე ჰერალდ მეხუთის ინიციატივით სპეციალურად მათემატიკოსებისთვის, რომლებსაც, როგორც ამბობენ, არ სწყალობდა ალფრედ ნობელი, დააფუძნა ალტერნატიული ჯილდო, „აბელის პრემია", რომელსაც პირადად ჰერალდ მეხუთე გასცემს. 2009 წელს ეს პრემია მეფემ წარმოშობით რუსს, საფრანგეთის მოქალაქეს, მათემატიკის პროფესორს, სამეცნიერო წრეში თანამედროვე აინშტაინად, ნიუტონად და ლეონარდო და ვინჩად წოდებულ, მიხაილ გრომოვს გადასცა გეომეტრიის დარგში ახალი აღმოჩენებისთვის. აღსანიშნავია, რომ პრემიასთან ერთად, დაჯილდოებულ მეცნიერებს მეფე ჰერალდ მეხუთე საკმაოდ სოლიდურ თანხას, 700 ათას ევროს გადასცემს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხეთის ექსპრეზიდენტების – ბილ ქლინთონისა და ვაცლავ ჰეველის, ასევე, გარდაცვლილი რომის პაპის, იოან პავლე მეორის მსგავსად, ნორვეგიის მეფე ჰერალდ მეხუთე, რუდოლფ კამპფის მანუფაქტურის წარმოებული ფაიფურის ჭურჭლის კოლექციონერობით დაინტერესდა. რუდოლფ კამპფის ფაიფურის მანუფაქტურა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე, ჰაბსბურგების სამეფო დინასტიის დახმარებით ჩამოყალიბდა და ევროპის არისტოკრატიულ ოჯახებში მიღებულია ამ მანუფაქტურის ნაწარმის – ჭურჭლის, დეკორისა და ინტერიერის სხვადასხვა ნივთის კოლექციონერობა.

ჰერალდ მეხუთის შვილმა, კრონ-პრინცმა ჰააკონმა ვიკინგური ტრადიციების აღდგენა გადაწყვიტა და თავის შვილს, ვიკინგების ეპოქიდან წამოსული სახელი, სვერეს მაგნუსი დაარქვა. სვერესი უძველესი ნორვეგიული სახელია და მას ვიკინგების ეპოქაში, 1184-1202 წლებში, ნორვეგიის მმართველი მეფე სვერეს სიგურდსონი ატარებდა. აღსანიშნავია, რომ მეფე ჰერალდ მეხუთემ ნორვეგიის კონსტიტუციის თანახმად, მინისტრთა კაბინეტის წევრებს თხოვნით მიმართა, რათა დასტური მიეღო შვილიშვილისა და მომავალში ტახტის მემკვიდრისთვის ძველი სახელი დაერქმია.

* ჰერალდ მეხუთემ დიდი ხნის ოცნება აისრულა და 76 წლის ასაკში ოთხი დღე იცხოვრა ამაზონიის ინდიელებთან, იანომამოს ტომთან ერთად, რომელთაც ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე თანამედროვე ცივილიზაციასთან კონტაქტი არ ჰქონიათ. ინდიელებთან ჰერალდი მარტო ცხოვრობდა 120-კაციან სახლში და ჰამაკში ეძინა. ტომის წარმომადგენლებთან ერთად, ჰერალდი სანადიროდ დადიოდა და თუთიყუშის ხმის იმიტაციით ნადირს იწვევდა. ჰერალდი ბუნების დამცველი რამდენიმე ორგანიზაციის წევრია და 2009-2015 წლების ბიუჯეტიდან ნორვეგიის სამეფო ერთ მილიარდამდე დოლარს დახარჯავს ამაზონიის ჯუნგლების გადასარჩენად.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# ფონდი „ქართული გალობა“ ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას ემსახურება

*6 ივნისს ფონდ „ქართული გალობის“ ოფისში ფონდის საბჭოს წევრებმა – ანზორ ერქომაიშვილმა და ლექსო თორაძემ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს. ფონდის წევრებმა ისაუბრეს „ქართული გალობის“ მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე, ასევე, საზეიმო კონცერტის – „ქართული ხალხური სიმღერა – კაცობრიობის საგანძურის“ შესახებ, რომელიც 11 ივნისს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში 19:00 საათზე გაიმართება.*



*ფონდი „ქართული გალობა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, რომელიც ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. მისი თანადგომით 2006 წელს დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს. გაიხსნა სკოლები ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში; ტიხრული მინანქრის სახელოსნო სნოში; სამრევლო სკოლა ლონდონში; აიგო ტაძარი ოზურგეთში; ასევე, დაფინანსდა არაერთი კონცერტი და ფესტივალი; გამოიცა უამრავი წიგნი და აუდიოპროდუქცია ტრადიციული მუსიკის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ფონდის საქმიანობით ხელი შეეწყობა ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანძურის, ტრადიციული სიმღერისა და გალობის განვითარება-პოპულარიზაციას.*

**ლექსო თორაძე** *(ფონდი „ქართული გალობის“ საბჭოს წევრი):* მართლაც რომ ძალიან სასიხარულო მოვლენაა ფონდ „ქართული გალობის“ ჩამოყალიბება და ის ზეიმი, რომელიც 11 ივნისს შედგება რუსთაველის თეატრის სცენაზე. ამ ყველაფერში უზარმაზარია ბატონი ვანო ჩხარტიშვილის, როგორც დამფუძნებლისა და ამ საქმის სულის ჩამდგმელის როლი. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ ძნელი იქნებოდა ამ ფონდის შექმნა ანზორ ერქომაიშვილის გარეშე, რომელიც ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ფონდის მომავლისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ ფონდი „ქართული გალობა“ თავის სიტყვას იტყვის და ძალიან კარგ და საჭირო საქმეს გააკეთებს.

## ვანო ჩხარტიშვილის მიერ დაფუძნებულ ფონდს ლექსო თორაძე და ანზორ ერქომაიშვილი უხელმძღვანელებენ

**ანზორ ერქომაიშვილი** *(ფონდი „ქართული გალობის“ საბჭოს წევრი):* საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა ფონდი „ქართული გალობა,“ რომლის სულისჩამდგმელი და დამფუძნებელი გახლავთ ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი. ფონდის მიზანი ძირითადად არის ქართული ხალხური შემოქმედების მხარდაჭერა, ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული საგალობლების მოძიება, აღდგენა და პოპულარიზაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხური სიმღერებისა და საგალობლების აღორძინება რეგიონებში. ფონდი გეგმავს სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვას, ასევე, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას, ძველი ჩანაწერების მოძიებას, მის გასუფთავებას და შემდეგ დისკების სახით გამოცემას; გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს კონცერტების ჩატარება როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ფონდი გეგმავს ლოტბარების მომზადებას, აღზრდასა და მათ დასაქმებაზე ზრუნვას.



11 ივნისს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ფონდის ეგიდით, პირველი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე მიწვეულნი არიან ქართული ხალხური სიმღერების ყველაზე ღირსეული შემსრულებლები, რომლებსაც ფონდი საზეიმო ვითარებაში საჩუქრებსა და სხვადასხვა ჯილდოს გადასცემს. ვფიქრობთ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტი, რაც კი ჩატარებულა საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში.

**მარიკა ხიდურელი**

**მას შემდეგ, რაც გოგა ხაინდრავა აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა ძველ და საყვარელ საქმეს – კინოს დაუბრუნდა. პოლიტიკის მიღმა, მისი ცხოვრება ბევრად უფრო მშვიდი გახდა, თუმცა როგორც თავად ამბობს, თავგადასავლებისთვის, რაც მას არასდროს აკლდა, კვლავ მზად არის. რა დაუტოვა პოლიტიკაში გატარებულმა წლებმა, როგორ ცხოვრობს დღეს და რას ვერ ელევა წარსულიდან, ამის შესახებ გოგა ხაინდრავა თავად გიამბობთ.**

# რატომ „მიატოვეს" გოგა ხაინდრავა მოსკოვში „კანონიერმა ქურდებმა" და რატომ დაიბადა ის გადასახლებაში

**გოგა ხაინდრავა**: პოლიტიკა იძულებითი პროფესია აღმოჩნდა ჩემთვის. გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ყველა ბარიკადებზე მოგვიხმო ცხოვრებამ, რადგან „ნაციონალური მოძრაობის" წყალობით, არანაირი შესაძლებლობა არ იყო, გერჩინა თავი საკუთარი პროფესიით, ყველას ჟანგბადი გვქონდა ჩაკეტილი. რეალურად, ჩემი ცხოვრება ყოველთვის იყო და არის კინო, მასზე მეტად არაფერი მიყვარს. ჩემი ერთ-ერთი ბოლო პროექტი – „დემოკრატიის შუქურა," უკვე ნახა ქართულმა საზოგადოებამ. პრაქტიკულად, დამთავრებული მაქვს მუშაობა მეორე პროექტზე, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო, ცოტა ხანს გაჩერებული იყო. გავაკეთე ფილმი მერაბ კოსტავას შესახებ, რაც, ჩემი აზრით, დღეს ძალიან სჭირდება ქართულ საზოგადოებას. ეს იქნება ფილმი იმ ეპოქის საქართველოს ისტორიაზე, სადაც ძალიან დიდი როლი ითამაშა მერაბ კოსტავამ, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულ ცნობიერებაზე. საერთოდ, რაც უფრო დიდია პერსონა, რომელზეც მუშაობ, მით უფრო დიდია პროფესიული პასუხისმგებლობა.
მერაბ კოსტავა ძალიან მრავალწახნაგოვანი და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოსთვის, ამიტომ მინდა გითხრათ, ისეთი განცდა, რაც ამ ფილმზე მუშაობის დროს მქონდა, ადრე არასდროს მქონია.



არც გავხსენებივარ დღემდე არც ერთს, ვისთან ერთადაც ძალიან მძიმე წლები გავიარე

**– თქვენ ახალ მთავრობასთან დაახლოებულ ადამიანთაგან ერთ-ერთი ხართ, ვისაც ამ ბანაკში ბევრი მეგობარი და თანამოაზრე ჰყავს. თქვენ რატომ არ დარჩით პოლიტიკურ ასპარეზზე?**

– მე არ ვარ დაახლოებული მთავრობასთან, პირიქით, ასე დაშორებული მთავრობისგან, როგორც ახლა ვარ, არასდროს ვყოფილვარ. ეს ის შემთხვევაა, როცა არანაირი კავშირი არ მაქვს ხელისუფლებასთან, ზვიად გამსახურდიას მთავრობასთანაც კი უფრო მჭიდრო კონტაქტები მქონდა, ვიდრე ამათთან მაქვს. მეტსაც გეტყვით, გაოცებული ვარ იმით, რომ ჩემმა თანამებრძოლებმა, ვინც დღეს კოალიცია „ქართულ ოცნებაში" არიან და ვისთან ერთადაც ძალიან მძიმე წლები გავიარე, არც კი მომილოცეს პირველი ოქტომბრის გამარჯვება, არც გავხსენებივარ დღემდე არც ერთს. მე ხომ, ასე თუ ისე, ყველა პროცესში მონაწილეობა მაქვს მიღებული, რაც იმ დიდი საფრთხის გაუვნებელყოფას ემსახურებოდა, რასაც „ნაციონალური მოძრაობა" ჰქვია. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ძველ თანამებრძოლებს დავავიწყდი, ძნელია, მე დავავიწყდე ადამიანებს. როგორც ჩანს, კონიუქტურაა ასეთი. რაც შეეხება მეგობრებს, ამ გუნდში ჩემი ძველი თანამებრძოლები არიან, და არა მეგობრები. მეგობრობას თავისი წესი აქვს, პოლიტიკურ ურთიერთობას – თავისი. მე პოლიტიკური ურთიერთობა მქონია ისეთ ადამიანებთან, ვისაც პირადულად ადამიანებადაც კი არ ვთვლიდი, თუმცა პირადი ურთიერთობები პოლიტიკურ ურთიერთობებში არასდროს ამრევია. ბევრჯერ მიფიქრია, თუნდაც მარტო იმიტომ მიღირდა იმ ოპოზიციურ მოძრაობაში ყოფნა, რომ კოკა გუნცაძე და ეკა ბესელია გამეცნო. როგორ შეიძლება კოკა გუნცაძე და ეკა ბესელია პოლიტიკის გამო ყოფილიყვნენ ჩემთვის ახლობლები? კოკა ჩემი ძმაა, ეკას სულ ვეუბნები: შენ ჩემი ძმაკაცი ხარ-მეთქი. ქალებს ასეთ რამეებს არ ვეუბნები, მაგრამ ეკა ჩემთვის გამორჩეული ადამიანია.

**– რა მოგცათ პოლიტიკაში გატარებულმა წლებმა?**

– ძალიან დიდი გამოცდილება, ადამიანის ბუნების ღრმად გაცნობის შესაძლებლობა. გავიგე, რას ნიშნავს პიროვნების როლი, ის, რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ერთგულება და გულწრფელობა, ვიდრე ამოეფარო იდეას, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ მას პოლიტიკაში ბევრი იყენებს ფარად. ეს ყველაფერი კარგად დამანახვა პოლიტიკამ, მომცა ის გამოცდილება, რაც ადრე არ მქონდა.

**– არც ადრე ყოფილხართ ქიმიის მასწავლებელი, რომ ამ გამოცდილებისთვის პოლიტიკა დაგჭირვებოდათ.**

– სხვათა შორის, ქიმია ძალიან საინტერესო საგანია პოლიტიკასთან კონტექსტში. ქიმიური პროცესები ხშირად განაპირობებს პოლიტიკურ რეალობას. გამოდის, რომ ქიმია არ მცოდნია კარგად, მე კი მეგონა, ვიცოდი *(იცინის).*

**– პოლიტიკურ ასპარეზზე ვერასდროს აღწევდით თავს სკანდალებს. გვახსოვს თქვენი ცნობილი ფრაზები, თქვენი კავშირები ეგრეთ წოდებული „კანონიერ ქურდებთან".**

– მე სამოცი წლის კაცი ვარ, ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, ვერც ვერაფერს გამოვცვლიდი და არც მქონდა ამისი სურვილი. არასდროს დამიმალავს, რომ ბევრი ძმაკაცი მყავდა ქურდულ სამყაროში, და პოლიტიკური კონიუქტურის გამო ამ მეგობრობაზე უარს არ ვიტყოდი. ჩემი სიყრმე დაემთხვა სამოცდაათიან წლებს, როდესაც ქუჩის მენტალიტეტის გაფეტიშება დაიწყო და ამას მიზანმიმართულად უწყობდა ხელს ის სისტემა. ჩემ გარშემო, ჩემს კლასში, უბანში დომინანტი იყო ცხოვრების ეს წესი. უნდა აგერჩია ან ქუჩა ან კომკავშირი, რომელიც ქუჩის საპირწონე იყო. ბუნებრივია, ის ბიჭები, ვინც საკუთარ თავს, ოჯახს, ტრადიციას პატივს ვცემდით, კომკავშირს ვერ ვგუობდით. ჩემს ოჯახში ოთხი თაობა პოლიტპატიმარი იყო. მამაჩემი ახალი ჩამოსული იყო გადასახლებიდან, მე თვითონ გადასახლებაში, ყაზახეთში ვარ დაბადებული, სადაც დედა დეკაბრისტის ცოლივით გაჰყვა მამას საშინელ პირობებში საცხოვრებლად. ერთი თვის ვიყავი, როცა დედა თბილისში დაბრუნდა, მერე მამაც ჩამოვიდა. ამ ყველაფერს უკვალოდ არ ჩაუვლია. ისეთი ღირებულებებით ვიზრდებოდი ოჯახში, რომ ჩემთვის კომკავშირული და კომუნისტური იდეები ისეთივე უცხო იყო, როგორც დღევანდელი ახალგაზრდობისთვის არის – ლენინი. ეგრეთ წოდებული ქურდული სამყარო არასდროს მიზიდავდა, მათ გზას არასდროს გავყოლივარ. ვიცოდი, რომ ამ წრეში ისეთივე უსამართლობა იყო, როგორც მთელ საზოგადოებაში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სამყაროს შიგნით არ იყვნენ პრინციპული ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ ღირებულებებისთვის საკუთარი სიცოცხლე გაეწირათ. მე მათთან ახლო მეგობრული ურთიერთობები მქონდა. ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო ნიჭიერი კაცი პატიკო ჩლაიძე. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. იმ 17-მა წელმა, რომელიც მან ციხეში გაატარა, ჩვენი ცხოვრება ცოტა დააშორა, მაგრამ ჩვენ დიდ პატივს ვცემდით ერთმანეთს და მისი ოჯახი: ცოლი და შვილი ჩემთვის დღემდე საყვარელ ადამიანებად რჩებიან. ჩემი ბავშვობის მეგობარია რეზო ლორთქიფანიძე. ჩვენ 40 წელი გავატარეთ ერთად ხილიანზე, „მწერლების სახლში". ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით მთელი ახალგაზრდობა. რეზო ძალიან ერუდირებული კაცია, მან ისტორია და პოეზია იცის, ნეტავ, დღევანდელმა ლიტერატორებმა იცოდნენ ისე. ის რომ რომის იმპერიაზე დაიწყებს საუბარს, ბევრ ისტორიკოსს შეშურდება. მე ამ ხალხს ყოველთვის პატივს ვცემდი. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ მე დავეცვი ცხოვრების იმ წესისგან, რაც მათ ჰქონდათ. ყოველთვის მიფრთხილდებოდნენ. სულ მეუბნებოდნენ: გოგა, შენ შენი გზა გაქვს, ეს შენი გზა არ არისო. იყო ისეთი პერიოდები, როცა ეს ხალხი საერთოდ არ მირეკავდა, მერიდებოდნენ, რომ ჩემთვის პრობლემები არ შეექმნათ. მახსოვს, ერთი შემთხვევა. მოსკოვში რესტორანში შევედი. იქ ჩემი ნაცნობები დამხვდნენ, რომლებიც ამ სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ. როცა დამინახეს, მათგან ორი ადგა და გავიდა რესტორნიდან, რომ ჩემთვის უხერხულობა აერიდებინათ, თუმცა, მესამეს სულმა წასძლია და მაინც მნახა.

ვგიჟდები ჩემს სიდედრზე, დარწმუნებული ვარ, მასავით არავის ვუყვარვარ

**– ახლა, პოლიტიკის მიღმა მყოფს, ალბათ, ბევრად მშვიდი ცხოვრება გაქვთ.**

– კი, ახლა შეუდარებლად მშვიდი ცხოვრება მაქვს, თუმცა არც დღეს ვიტყვი უარს თავგადასავლებზე, რითაც ცხოვრება საინტერესო ხდება. დღეს მაგალითად, ვიყავი კალათბურთზე, ჩემს შვილიშვილს პირველი ოფიციალური თამაში ჰქონდა. ძალიან მიყვარს კალათბურთი, 15 წელი ვთამაშობდი. ვიყავი თბილისის „დინამოში", გამთამაშებლის პოზიციაზე. ბედნიერი კაცი ვარ, რომ გუნდში ყოფნა მომიწია ისეთ დროს, როცა „დინამოში" თამაშობდნენ ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ლევან მოსეშვილი. ეს იყო თაობა, რომელმაც ქართულ კალათბურთში საოცარი ეპოქა შექმნა. მეც ბევრი ტიტული მერგო „დინამოსთან" ერთად – ვარ სპარტაკიადის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საქართველოს 12 გზის ჩემპიონი. გული მწყდება, რომ ძალიან ადრე, 24 წლის ასაკში ჩამოვშორდი კალათბურთს, თუმცა სპორტისთვის თავი არასდროს დამინებებია, არც ერთი დღე არ მიცხოვრია სპორტის გარეშე. ბოლო ოცი წელია, ყოველდღე ვცურავ. ცოტა ხნის წინ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლატვიაში მომიწია ყოფნა. კვირაში სამი დღე კალათბურთს ვთამაშობდი. ჩემი ბიჭიც სპორტში იყო, ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ ჩემ გამო მისი კარიერა ისე ვერ განვითარდა, როგორც შეიძლებოდა წინ წასულიყო. ჩემ გამო ის „დაიჩაგრა". ჩემი ქალიშვილი 18 წლის არის. ის ისეთი მაგარია ყველაფერში, წინ ვერაფერი დაუდგება. აი, ის ნამდვილი ხაინდრავაა – დამოუკიდებელი, მებრძოლი, მიზანდასახული, დედის ლამაზი გარეგნობა და სითბოც ერგო. მე რა ოცნებებიც მქონდა, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი, ეს ყველაფერი ჩემმა გოგონამ თითქმის უკვე განახორციელა.

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)

**მას შემდეგ, რაც თბილისში მოდის კვირეულები ტრადიციად იქცა, ცნობილი დიზაინერების შესახებ აჟიოტაჟიც მიწყნარდა, თუმცა მათი ბომონდური ცხოვრება საზოგადოების ინტერესის საგნად მაინც რჩება. ასეთ დიზაინერთა შორისაა თეონა თავართქილაძეც, რომელიც უკვე თხუთმეტი წელია, ქართული მოდის სამყაროს ერთ-ერთი ცნობილი სახეა.**

# ვის დამორჩილდა უსიტყვოდ თეონა თავართქილაძე და ვინ ულამაზებს მას ცხოვრებას

**თეონა თავართქილაძე**: მას შემდეგ, რაც ქართული მოდის კვირეულები იმართება, დიზაინერებს აღარ გვიწევს დამოუკიდებლად ჩვენებების მოწყობა, როცა აჟიოტაჟი ცალკეული სახელების ირგვლივ იყო ხოლმე ატეხილი. იმ პერიოდში, როცა მიმდინარეობს მოდის კვირეულები, ჩვენ ყველა ვართ ჩართული სამუშაო პროცესში. ეს კვირეულები ხელს უწყობს ახალი სახეების გამოჩენას, რომლებსაც დამოუკიდებლად არ ჰქონდათ იმის რესურსი, ჩვენებები მოეწყოთ, რადგან პერსონალურად ჩვენების გამართვა ძალიან ბევრ ტექნიკურ პრობლემასთან, შრომასთან და ფინანსებთან არის დაკავშირებული. თუ ადრე სამი-ოთხი დიზაინერი ვმუშაობდით, ახლა უკვე ისე გაიზარდა დიზაინერთა რიცხვი, მათ ჩამოსათვლელად თითები აღარ გეყოფა, შესაბამისად, ეს კვირეულები ქართული მოდის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლოა, კვირეულების პერიოდში დიზაინერები აქტიურად არ ვჩანვართ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვმუშაობთ. პირიქით, მაგალითად, ახლა, როცა ბანკეტების პერიოდია, ძალიან ბევრი ინდივიდუალური შეკვეთა გვაქვს და ხშირად ღამეების გათენებაც კი გვიწევს.

**– დრო მოდის ყველაზე დიდი „მეგობარია," შესაბამისად, იცვლება დიზაინერი, მომხმარებელი, სტანდარტი. როგორ შეიცვალა თქვენი ხელწერა წლებთან ერთად?**

– წლებთან ერთად, რა თქმა უნდა, იცვლება ქართული მოთხოვნა, რაც დღეს ბევრად უფრო თამამია. თბილისი უფრო აჭრელდა და ეს ძალიან კარგია. შავი ფერის სამოსი ყველას გარდეორობში დომინირებს, მაგრამ, უკვე განსხვავებული მოთხოვნები გაუჩნდათ ადამიანებს. ათი-თხუთმეტი წლის წინ, როცა ეს საქმიანობა დავიწყე და ჩემ მიერ შექმნილი მოდელები მახსენდება, ვრწმუნდები, რომ ყოველი დღე და ყოველი ახალი მოდელის შექმნა, დიზაინერისთვის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა. როცა ყოველდღე ახალ მოდელს ქმნი, ეს დიდი მრავალფეროვნების საშუალებას გაძლევს. ადამიანი დიზაინერთან ხომ იმიტომ მიდის, რომ ინდივიდუალურად მისთვის შექმნილი სამოსი ჩაიცვას?! თბილისში თავშეყრის ადგილებში ერთი და იგივე ხალხი დადის და, ერთ ადამიანს კაბა, მეორეს კი ქვედაბოლო რომ ეცვას, რომლებიც ერთი და იმავე ნაჭრისგან არის შეკერილი, დამეთანხმეთ, ლამაზი არ იქნება. ამიტომაც, როცა იტალიაში მივდივარ ნაჭრების შესარჩევად, საიდანაც შავი ფერის ნაჭერი ულევი რაოდენობით ჩამომაქვს, განსაკუთრებული სიფრთხილით ვირჩევ ჭრელ ქსოვილს. ბევრს ვფიქრობ იმაზეც, რომ იგივე ქსოვილი სხვა დიზაინერესაც არ ჰქონდეს გამოყენებული.

**– ალბათ, ყველას თქვენი „ტოჩკები" გაქვთ, ერთმანეთისგან კონფიდენციალური.**

– დიახ, ეს მართლაც ასეა, სხვანაირად, დამთხვევებს თავიდან ვერ აირიდებ ***(იცინის).*** „სტოკები," სადაც ნაჭრებს ვყიდულობთ, უზარმაზარი ქალაქივით ტერიტორიაა, სადაც იმდენი ნაჭერია სართულებად დაწყობილი, კიბეებით აძრომაც ხშირად გვიწევს. ეს ისეთი მძიმე შრომაა, ბოლოს უკვე თვალები გიჭრელდება და ნაჭერსაც კი ველარ ხედავ. მერე იწყებ იმაზე ფიქრს, როგორ წავა ეს ნაჭერი შენი საზოგადოების მოთხოვნაზე. ბევრი დეტალია გასათვლელი. წლების გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ, ადამიანს, რომელიც შენთან მოდის ექსკლუზიური სამოსის შესაკერად, დიდი დოზით არ უნდა მოახვიო თავს საკუთარი აზრი. რა თქმა უნდა, ის შენთან იმიტომ მოდის, რომ გენდობა, მაგრამ, მისი მოთხოვნები დიზაინერმაც უნდა გაითვალისწინოს, თუნდაც ის სრულიად არაადეკვატური და „ამოვარდნილი" იყოს. ჩვენს საქმიანობაში ადამიანის ფსიქოლოგიაც ძალიან მნიშვნელოვანია. მე, საერთოდ, ძალიან მშვიდი ხასიათი მაქვს, საბედნიეროდ, თითქმის არ შემხვედრია ადამიანი, ვისაც ჩემი წყობიდან გამოყვანა გამოსვლოდეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებაა დიზაინერისთვის, როდესაც სადმე მიდის და ხედავს ადამიანს, რომელსაც მის მიერ შექმნილი სამოსი აცვია. პირადად ჩემთვის, ეს ყველაზე დიდი აპლოდისმენტებია.



**ჩემგან ბიზნესვუმენი ვერასდროს დადგება – მე და კალკულატორი ვერ ვმეგობრობთ**

**– საკუთარ თავს ძირითადად ვის ანდობთ?**

– ისევ საკუთარ თავს ***(იცინის).*** სიმართლე გითხრათ, ჩემს გარდერობში ჩემ მიერ გაკეთებული სამოსი არ ჭარბობს. მე ხშირად მიწევს უცხოეთში სიარული და, შესაბამისად, მირჩევნია, იქ ვიყიდო ის, რაც მომეწონება, თუმცა, როცა კონკრეტულად რამე მჭირდება, საკუთარ თავზეც ვიწყებ ზრუნვას და ამისთვის დროსაც ვპოულობ. გარედან, შესაძლოა, ისე ჩანს, რომ დიზაინერებს ლამაზი და მარტივი ცხოვრება გვაქვს, არ ვართ დატვირთული, მაგრამ, ეს ასე არ არის. ისე არ გამიგოთ, რომ ჩემი ცხოვრებით უკმაყოფილო ვიყო, პირიქით, ბედნიერი ვარ ჩემი ცხოვრებით და საქმით. მე, ალბათ, ვერასდროს ვიმუშავებდი ისეთ სამსახურში, სადაც განსაზღვრული რეჟიმი და გრაფიკია და ყოველდღიურად ერთი და იგივე რამ უნდა აკეთო. როცა მინდა, მაშინ იწყება ჩემი სამუშაო დღე და, როცა მინდა, მაშინ მთავრდება, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თავისუფალი რეჟიმის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა.

**გარედან ისე ჩანს, რომ დიზაინერებს ლამაზი და მარტივი ცხოვრება გვაქვს**

**– წლებთან ერთად, თქვენი საქმიანობა იქცა თქვენთვის კომერციის წყაროდ...**

– არა, მუდმივად მჭირდება მეუღლის დაფინანსება ***(იცინის).*** ჩემგან ბიზნესვუმენი ვერასდროს დადგება – მე და კალკულატორი ვერ ვმეგობრობთ. ეს, ალბათ, ჩემი ხასიათის თვისებაა – მე სიამოვნებას მანიჭებს, როცა ახლობელ ადამიანს საჩუქრად ვუკეთებ რამეს. აბსოლუტურად უცხო ადამიანსაც კი ვერ ველაპარაკები ფასზე, ფულზე – ამ თემას სხვა აგვარებს. ვილაცისთვის, შეიძლება, არის ეს საქმიანობა შემოსავლის დიდი წყარო, ჩემთვის ასე არაა. იმაზეც მიფიქრია, რომ, მე და ჩემი შვილები ჩემს საქმიანობაზე რომ ვიყოთ დამოკიდებულნი, შესაძლოა, სხვაგვარად მივდგომოდი ამ საქმეს. ეს თემა პერიოდულად იყო ხოლმე ჩემი მეუღლის ხუმრობის საგანი, თუმცა, წლებთან ერთად ეს საკითხი დღის წესრიგიდან უკვე მოიხსნა.

**– როგორია საქმიანი ცხოვრების მიღმა თქვენი ცხოვრების სტილი?**

– საქმის მიღმა ჩემთვის მთავარია ჩემი ოჯახი და მეგობრები, ვისაც ეკუთვნის ჩემი თავისუფალი დრო. მართალია, ჩემი შვილები უკვე იმ ასაკში არიან, როცა მათ თავიანთი წრე აქვთ, თუმცა, მათ ცხოვრებაში აქტიურად ვარ ჩართული. უფროსი ბიჭი, ნიკა, 18 წლისაა და ლონდონში სწავლობს. ვატო აქ არის და ფეხბურთითაა დაკავებული. რა თქმა უნდა, ხმას არ ვიღებ და ვემორჩილები მამაკაცების ნებას, მაგრამ, ფეხბურთი, მუდმივი ვარჯიში და „ზბორები" ძალიან მიშლის ხელს, რომ ვატოს კარგი განათლება მივცე, რაც, ჩემი აზრით, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, იმას მაინც ვახერხებ, რომ თავისუფალ დროს გაკვეთილები შევუთავსო და, ხან სად „ვტენი," ხან – სად ***(იცინის).*** მართალია, ფეხბურთმა ბევრი კარგი რამ მოუტანა ჩვენს ოჯახს და იმასაც მივხვდი, რომ შვილის პროფესიულ არჩევანში უხეშად არ უნდა ჩაერიო, მაგრამ, დედისთვის შვილის განათლება ისეთი მნიშვნელოვანია, თუ როგორ გვიშლის ხელს სპორტი, ამაზე ხშირად ვწუწუნებ ***(იცინის).*** ის, რის გარეშეც ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა, არის ჩემი მეგობრები, მოგზაურობა, სპორტი. როცა თბილისში ვარ, მთელი ჩემი თავისუფალი დრო ეთმობა ან მეგობრებს, ან სახლში ყოფნას – სახლში მარტოც არ ვიწყენ. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი, რასაც არ ველევი, არის ვარჯიში. ერთფეროვნებამ რომ არ შემაწუხოს, სპორტული აქტივობის სახეობებს ვცვლი ხოლმე. ვარჯიში ძალიან მიწყობს ხელს სულიერი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. როცა სავარჯიშო დარბაზიდან გამოვდივარ, მგონია, რომ ყველაფერი შემიძლია. უცხოეთში დიდხანს თუ მომიწია ყოფნა, მაშინვე სპორტულ დარბაზს ვეძებ ხოლმე, უფრო სწორად, წინასწარ მაქვს მოძებნილი და შეთვალიერებული. ცეკვაზე მანამდე დავდიოდი, სანამ ცეკვა თბილისში ცხოვრების მოდური სტილი გახდებოდა ***(იცინის).*** თბილისური ცხოვრება, რაც არ უნდა გამოიგონო, მაინც ერთფეროვანია, ამიტომაც, ყველაზე მეტად მშველის ორი-სამი დღე თბილისიდან გასვლა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ესთეტიკის აღქმა გამძაფრებული მაქვს, ეს ძალიან მეხმარება ცხოვრების ლამაზად დანახვაში, საკუთარი ცხოვრების გალამაზებაში. ნებისმიერ ქვეყანაში, შემიძლია, საათობით ვიჯდე კაფეში და არ მომბეზრდეს საინტერესო მიქსების თვალიერება და პოვნა; მხიბლავს ლამაზი ბუნება, ხედები. სადაც არ უნდა ვიყო, ვესწრები საინტერესო კულტურულ ღონისძიებებს, დავდივარ კინოში, თეატრში და, ვცდილობ, მივიღო რაც შეიძლება ბევრი დადებითი ენერგია, რაც თბილისში დიდხანს გამყვება.

**თამუნა ნიჟარაძე**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით და რა ვადებში უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხე მხარისთვის ჩაბარება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, მოპასუხეს მოსამართლისთვის სარჩელის ან განცხადების გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა, მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ეგზავნებათ შეტყობინება, ან, სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ან, სასამართლო გზავნილის, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მათ მიერ მოპასუხისთვის ჩაბარების შესახებ. ამ შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისთვის სასამართლო გზავნილის ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების გა-



ნსხვავებული წესით ჩაბარება ან მისი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვის ვადაში. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი სასამართლო გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ მოვიქცე და, გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა ჩავაბარო მოსარჩელე მხარემ სარჩელის ასლები თანდართული მასალებითურთ მოპასუხე მხარეს, თუ ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელი ვერ იქნა დადგენილი და საფოსტო გზავნილი ყოველთვის უკან მიბრუნდება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ანუ, მოცემულ შემთხვევაში, თქვენი შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება თქვენი სარჩელის საჯარო გავრცელების შესახებ და სარჩელი ითვლება ჩაბარებულად.

**კითხვა: ვაპირებ, შევიტანო სარჩელი ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნით. გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა განვსაზღვრო სარჩელის ფასის ოდენობა მოცემულ შემთხვევაში ალიმენტის გადახდევინების საქმეზე?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

**კითხვა: მაინტერესებს, რამდენი შეიძლება იყოს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევაში სარჩელის ფასი?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელის ფასის განსაზღვრა ხდება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, იმ შემთხვევაში, როდესაც პირს აქვს ყოველთვიური ფულადი ვალდებულება დანესებული უვადოდ, მაგრამ, არ ასრულებს ამ მოვალეობას, სასამართლოში სარჩელის შეტანის დროს როგორ უნდა განისაზღვროს დავის საგნის ღირებულება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელის ფასის და დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა ხდება სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ჯამი იქნება დავის საგნის ღირებულება.

**კითხვა: მაინტერესებს, თუ ქონებრივ დავაში შეუძლებელი ხდება დავის საგნის ფასის დადგენა, როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრა და გადახდა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა, მაშინ, დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4 000 ლარით და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იქნება, შესაბამისად, აღნიშნული თანხის 3 პროცენტი.

**კითხვა: დადებული მაქვს ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულება, სადაც 500 ლარს ყოველთვიურად ვიხდი ქირის თანხას. ხელშეკრულება დადებულია 2018 წლამდე. გამქირავებელმა საკუთარი ინიციატივით დაარღვია და შემიწყვიტა ხელშეკრულება. გთხოვთ, მაცნობოთ, რა ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდა მომიწევს სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელის ფასი განისაზღვრება დარჩენილი ვადით, მაგრამ, არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით. შესაბამისად, თქვენი დავის საგნის ფასი უნდა განისაზღვროს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი ქირის თანხის ჯამით, რაც, მოცემულ შემთხვევაში, იქნება 18 000 ლარის 3 პროცენტი, ანუ, 540 ლარი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, განაჩენთა ერთობლიობით თავისუფლების აღკვეთის რა მაქსიმალური ვადა შეიძლება, მიესაჯოს პირს?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. ბუნებრივია, თუ ერთ-ერთი დანაშაულისთვის სასჯელი არ ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, დანაშაულთა რეციდივის შემთხვევაში, ასევე, თუ გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა, რამდენი შეიძლება იყოს მოსამართლის მიერ დანიშნული სასჯელის მაქსიმალური ზედა ზღვარი?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრმა სასჯელმა შეიძლება შთანთქას ნაკლებად მკაცრი, ან, ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბოს. ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს, ანუ, დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მაქსიმალური ზედა ზღვარია 30 წელი, თუ, რა თქმა უნდა, არც ერთი ჩადენილი დანაშაულის სანქცია არ ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას.

# რატომ „მიატოვეს“ გოგა ხაინდრავა მოსკოვში „კანონიერმა ქურდებმა“ და რატომ დაიბადა ის გადასახლებაში

(მე-14 გვერდიდან)

ხშირად ვფიქრობ, რომ თუ პიროვნებად ჩამოვყალიბდი, ამაში ყველაზე დიდი როლი სპორტმა და ჩემმა მეუღლემ ითამაშა.

**– რომელსაც, ალბათ, ბევრჯერ გაურთულეთ ცხოვრება.**

– კი, არ ვიყავი შოკოლადი *(იცინის)*. მე და მარიკა ერთმანეთს თემურ ბაბლუანის ფილმზე შევხვდით, აქ, „კინოს სახლში“. მე ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყავი მოსული. მახსოვს, ორი გოგონა შემოვიდა, ადგილს ეძებდნენ. ავდექით და დავუთმეთ ჩვენი ადგილები. ერთი ისეთი ლამაზი გოგო იყო, ისეთი ლამაზი თვალებით, წავიდა და ჩემი გული თან წაიღო. მაშინ მარიკა 23 წლის იყო, მე – 27 წლის. გაზაფხულზე გავიცანით ერთმანეთი, დაახლოებით ოთხ თვეში უკვე ერთად ვიყავით. მარიკას გასაოცარი მამა ჰყავდა, გადასარევი ურთიერთობა გვქონდა. გივი ჭიჭინაძე ისეთი კაცი იყო, დარწმუნებული ვარ, მისი სული პირდაპირ ცაში აფრინდა. ვგიჟდები ჩემს სიდედრზე, დარწმუნებული ვარ, მასავით არავის ვუყვარვარ. 30 წელი გავატარეთ მე და მარიკამ ერთად. თუ დღეს ცოცხალი ვარ, ამაში ლომის წილი მარიკას მიუძღვის. აფხაზეთიდან მისმა სიყვარულმა და ლოცვამ ჩამომიყვანა. მარიკა თავისი სიმშვიდით, სიყვარულით, გონიერებით, ყოველთვის იყო ჩემი საყრდენი. ამიტომაც, ის მთელ ქვეყანას მირჩევნია.

თამუნა სამადაშვილი

# ინტიმური საუბრები

## ვიღაცამ შვილი დამიწყევლა

სამი ქალიშვილის დედა ვარ. სამივე სამაგალითოდ აღვზარდე. თითით საჩვენებელი, ტრადიციული და რელიგიური ოჯახი გვქონდა, რის გამოც სოფელში ყველა პატივს გვცემდა. ეკლესია და ლოცვა ჩემი არსების განუყოფელი ნაწილია. შვილებსაც პატარაობიდან ვასწავლი და ვურჩევ, რომ ილოცონ და იმარხულონ. ჩემი მეუღლე ახალგაზრდობაში შესანიშნავი მონადირე იყო, ახლა სოფლის ფერმაში მუშაობს და შაბათობით რძის ნაწარმითა და ხორცით თბილისში ვაჭრობს ხოლმე. მეუღლეს ხალისით ვეხმარებოდი: თონეში პურს ვაცხობდი და ბოსტანს ვუვლიდი. ასე ვშოულობდით იმ მცირე თანხას, რაც ოჯახის შესანახად აუცილებელი მინიმუმია.

ეს პატარა შესავალი ტრაბახი არ გეგონოთ. დახმარების მოლოდინში პირადულის საჯაროდ განდობა გადავწყვიტე, მინდა იცოდეთ, როგორი პატიოსანი და შრომისმოყვარე ხალხი ვართ. ღმერთის წყალობით, არც ჯანმრთელობას ვუჩივით. მცირედითაც კმაყოფილებს, სადარდებლად შვილების ბედნიერი მომავლის უზრუნველყოფა დაგვრჩენოდა. ენერგიას არ ვზოგავდით, თუმცა, ერთმა უყურადღებოდ დარჩენილმა დეტალმა სერიოზული პრობლემა გაგვიჩინა. საქმე ის არის, რომ ვიღაცამ ჩემი ოჯახი დაწყევლა. ღრმად მორწმუნე ქალი ვარ, მაგრამ, სხვა გამოსავალი აღარ დამრჩა – იძულებული ვარ, დავიჯერო, რომ ჩემს შუათანა ქალიშვილს, თათულის, ჯადო გაუკეთეს.

ორი წლის წინ უფროსი ქალიშვილი უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო. მისმა წარმატებამ ბევრი გაახარა, განსაკუთრებით – უმცროსი დები. ალბათ, ვისაც სტუდენტი შვილი ჰყავს, მოგეხსენებათ, რომ ამ დიდ სიხარულს დიდი პრობლემებიც ახლავს. უნივერსიტეტის ყოველწლიური გადასახადი ოჯახს მძიმე ტვირთად დააწვებოდა. გარდა ამისა, დროულად უნდა გვექირავებინა ქალაქში ბინა, რადგან ჩვენი სოფელი თბილისიდან საკმაოდ შორს არის.

სწავლის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე თბილისიდან ჩემმა დამ, დალიმ დამირეკა და შემომთავაზა, ჩემთან იცხოვრეთო. მისმა წინადადებამ ძალიან გამახარა. წარმოიდგინეთ, რამხელა თანხას დავზოგავდით. უფროს ქალიშვილს ქალაქში მარტო საცხოვრებლად ვერ გავუშვებდი, ვერც დანარჩენ ბავშვებს დავტოვებდი სოფელში ეულად. ამიტომ, სახლ-კარი მეუღლეს ჩავაბარე და გოგონებთან ერთად თბილისში გავემგზავრე. გამგზავრებამდე სოფლის სკოლიდან შუათანას საბუთები გამოვიტანე თბილისის სკოლაში გადასატანად. მოკლედ, მზად ვიყავით ახალი ცხოვრების დასაწყებად. მართალია, პირველ ეტაპზე გაგვიჭირდებოდა, მაგრამ გავუმკლავდებოდით.

სადგურში დალი და მისი მეუღლე დაგვხვდნენ. რაც დრო გადის, უკეთესად ვიაზრებ, რომ ჩემმა დამ თავისთან საცხოვრებლად მოვალეობის მოხდის გამო დამპატიჟა. დარწმუნებული ვარ, არ ელოდა ჩემგან თანხმობას, ხოლო, როცა სამ შვილთან ერთად კარზე მივადექი, უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნა. მეც უხერხულად ვგრძნობდი თავს. დალი კი მამშვიდებდა – მოსარიდებელი არაფერი გაქვს, ერთი ოჯახი ვართო, მაგრამ, მისი ეს ვითომ სიყვარულით ნათქვამი სიტყვები ყინულივით ცივი იყო.

დალის ერთი შვილი ჰყავს – 15 წლის ბექა. ბექა თათულის ტოლია. ბავშვებს, როგორც სისხლით ნათესავებს, ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ, ამჯერად ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს. სწორედ თათულისა და ბექას უცნაურმა მეგობრობამ მტრულად დააპირისპირა ჩემი და ჩემი დის ოჯახები. მომხდარზე ბევრს ვფიქრობ და, საბოლოოდ, ერთ დასკვნამდე მივდივარ: წყევლა ჩემს ოჯახზე შურისგან დაბოღმილმა მეზობლებმა სოფლიდან გამოგვაყოლეს.

დალი, მისი მეუღლე და მათი მცირეწლოვანი ვაჟი თბილისის ერთ-ერთ ჩვეულებრივ უბანში, კერძო სახლში ცხოვრობენ. სახლი არ არის დიდი, სულ ოთხი საძინებლისგან შედგება. ერთი საძინებელი დამ ჩვენ დაგვითმო. ოთახი ვიწრო იყო, მაგრამ, მაინც მოვთავსდით. ახალ გარემოსთან შესაგუებლად დიდი დრო დაგვჭირდა. სწავლის დაწყებამდე უფროს ქალიშვილს უნივერსიტეტის ამბების გარკვევაში ვეხმარებოდი, შუათანასთვის კი სკოლას ვეძებდი. იმაზეც ვნერვიულობდი, შეიძლება, ქალაქელ ბავშვებს ჩემი შვილებისთვის დაეცინათ და კილოს გამო დაეკომპლექსებინათ; მეუღლეზეც ვდარდობდი. საბედნიეროდ, ძლიერი ნებისყოფის კაცია და საჭმლის მომზადებაც ეხერხება. შაბათობით ქალაქში ჩამოსულს ბაზართან ვხვდებოდით.

ზამთარი მიიწურა. მეგონა, შედარებით დალაგდა და კალაპოტში ჩადგა ჩვენი ცხოვრება ქალაქში, მაგრამ მწარედ შევცდი. მალე ისე შემოტრიალდა ყველაფერი, აღარც უფროსი ქალიშვილის უნივერსიტეტი მახსოვდა და აღარც უმცროსის ცრემლიანი თვალები. თათულისა და ბექას ურთიერთობამ ნევროზი დამმართა. თავიდან, როცა პირველად ჩაიკეტნენ ოთახში, ვერაფერი ვიეჭვე. დალიმ მითხრა, ბექას ოთახში კომპიუტერი აქვს და ცოტას გაერთობიანო. იმ დღის შემდეგ კიდევ მრავალჯერ შევამჩნიე ოთახისკენ ჩუმად მიმავალი ბავშვები, რომლებიც საძინებელში გვიანობამდე ჩაკეტილები რჩებოდნენ.

შევშფოთდი. გულისთქმა არ მასვენებდა, აუცილებლად უნდა შემემოწმებინა, რას საქმიანობდნენ ოთახში შეყუჟულები. ჩვენი შვილების უცნაური ქცევის შესახებ დალისაც ვუამბე. მან ღიმილით მითხრა, სანერვიულო არაფერია, ბავშვებს გასართობს რა გამოულევსო. დის ამ ამბისადმი უყურადღებობა მოსვენებას მიკარგავდა. იქნებ დალი მართალიც იყო, მაგრამ, მაინც უნდა შემემოწმებინა. უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ცუდი არაფერი ხდებოდა.

დრო ვიხელთე და ოთახში შეპარული ბავშვების შესამოწმებლად საძინებლის კარს მივადექი. კარის ღრიჭოში შევიჭყიტე და დავინახე, რომ საწოლზე ისხდნენ და ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. გაგიჟებულმა შევამტვრიე კარი და კივილი ავტეხე. ბავშვები დაფრთხნენ. ბექას დაჭერა ვერ მოვასწარი, გაიქცა. ჩემი ქალიშვილი კი შიშისგან ატირდა. ჩემს ქალიშვილს ვეჩხუბე და ავუხსენი, რომ ასეთი მოქცევა არ შეიძლება, მაგრამ მან ჩემი ნათქვამი ცალ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა. ეკლესიაში მამაოსაც დაველოცინე. თუმცა, შედეგი არაფერმა გამოიღო. მართალია, დის ბინიდან სასწრაფოდ წამოვედი ჩემი შვილებიანად (ამის გამო უფროსმა გოგონამ აკადემიური შვებულება აიღო ინსტიტუტიდან) და სოფელში დავბრუნდით, მაგრამ თათულის ველარ ვცნობ – აბსოლუტურად შეეცვალა ხასიათი: სულ ჩაფიქრებულია, აღარ იცინის, აღარ მხიარულობს და რაღაცნაირად სევდიანია და ამას სხვებიც ამჩნევენ. ზუსტად ვიცი, რომ მასა, ჩემს დისშვილს შორის კოცნის მეტი არაფერი მომხდარა (ექიმთანაც კი მყავდა ჩემი შვილი) მაგრამ, ბავშვი რაღაც უცნაურად გამოშტერებული დადის. როცა მამაოს გავანდე ჩემი ეჭვები ჯადოზე, მან არაფერი მიპასუხა, მისმა დუმილმა მაიძულა, ჯადოს არსებობა დამეჯერებინა. სხვას რას დავაბრალო შვილის ასეთი უეცარი ცვლილება, თუ არა ჯადოს? მეზობლებმა ჯადოს ამხსნელი სასწაულმოქმედი წამალი მირჩიეს, მაგრამ მათთან საქმის დაჭერაზე უარი ვთქვი. მეუღლეს ყველაფერი ვუამბე. ისიც ჩემსავით განიცდის. ახლობლები მაწყნარებენ, საგანგაშო არაფერიაო, მაგრამ, როგორ არ ვინერვიულო? ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. გევედრები, ილონე რამე, დაეხმარე ჩემს ბავშვს.

**ეთერი, 46 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**მაკა ცინცაძე ქართული საინფორმაციო გამოშვებების კონკურენტულ ბაზარზე საკმაოდ მძიმეწონიან ფიგურად ჩამოყალიბდა. „მაესტროს“, მისი საინფორმაციო გამოშვებებისა და თავად მაკას მიმართ ხალხის ნდობა მაყურებლებში აშკარად იგრძნობა. არჩევნების მერე არხებს შორის დიდი გადათამაშებები დაიწყო, დარწმუნებული ვარ, მაკამაც ბევრი შემოთავაზება, მიიღო მათ შორის – საავტორო გადაცემების წამყვანობაც, მაგრამ, ის „მაესტროს“ ერთგული რჩება, თუმცა, მომავალ პროექტებზეც ინტენსიურად ფიქრობს.**

# რა კაპრიზების დაკმაყოფილება უნდა მაკა ცინცაძეს და რისთვის არ ჰყოფნის მას ფინანსები

**მაკა ცინცაძე**: ზაფხულს ცოტა არაზაფხულური საფიქრალებითა და პრობლემებით შევხვდი. თბილისი გაირუჯა, ჯანმრთელი ფერი მიიღო, მაგრამ, ამისთვის ვერ ვიცლი. თან, ასაკიდან გამომდინარეც, დიდი დოზით მზის სხივები, მით უმეტეს სოლარიუმი, არც მიყვარს და არც მიხდება – კანი მიშრება, მიჩნდება ნაოჭები, ლაქები და სხვა. ამიტომ, ზაფხულის უფრო ცხელ და თავისუფალ დღეებს დაველოდები, რომ გარუჯვაზე მოგვიანებით ვიფიქრო.

**– როდიდან დაიწყე ნაოჭებზე ფიქრი?**

– საკმაოდ ადრეული ასაკიდან, ვინაიდან, სატელევიზიო გრიმი აზიანებს კანს; ნაოჭებზე ფიქრი და მისი გაჩენის პრევენცია კი, ალბათ, უკვე სამი წელია რაც დავიწყე.

**– ბოტოქსის მომხრე ხარ?**

– ჯერჯერობით არ გამომიყენებია, მაგრამ, მომხრე ერთმნიშვნელოვნად ვარ. რაღაც ასაკში აუცილებლად ჩნდება ნაოჭები და, რატომაც არ უნდა გაიკეთო, თუ გინდა, რომ ახალგაზრდულად და კარგად გამოიყურებოდე?! თანამედროვე მედიცინა ამის საშუალებებს იძლევა და, რატომ უნდა თქვა ამაზე უარი, არ მესმის. ჩემი გარეგნობა ჩემთვის უმნიშვნელო ნამდვილად არ არის. თუ აქტიური ქალი ხარ, თუ გინდა, მამაკაცების ყურადღების ქვეშ მოექცე, აუცილებლად უნდა მიხედო თავს.



**შემდგარი მაშინ ხარ, როდესაც აყენებ ძალიან მაღალ პირობებს, კაპრიზების დონეზე და ამ კაპრიზებს ამა თუ იმ ტელევიზიის დამფუძნებელი სრულად, განხილვის გარეშე აკმაყოფილებს**

**– ინტერვიუს დაწყებამდე მომსწრე გავხდი, როგორ მოვიდა შენთან უცნობი ბიჭი და კომპლიმენტებით აგავსო. ასეთი რამ ხშირად ხდება?**

– არა, თითქმის არასდროს. კომპლიმენტებს, რა თქმა უნდა, ვიღებ, მაგრამ, ასე უცხოებისგან – იშვიათად. იცით, ეს არ მსიამოვნებს და, „ვიძიწე ლი,“ მაწუხებენ – ეს სისულელეა. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს და მომწონს, მაგრამ, ჩემი პატარა შვილის გადამკიდე, ძალიან იშვიათად მხედავენ ქუჩაში ფეხით მოსიარულეს. სამწუხაროდ, მანქანით თუ არ გადავადგილდი, საერთოდ ვერაფერს მოვასწრებ. არადა, ფეხით სიარული ძალიან მიყვარს.

**– წამყვანის ამპლუა არაჩვეულებრივად მოირგე. აპირებ ამ საქმის ათწლეულების განმავლობაში კეთებას, როგორც ამას სხვა არხებზე ვართ მიჩვეული, თუ, ფიქრობ, სხვა რამ გააკეთო?**

– არა, რა სისულელეა, რა ათწლეულები! რასაკვირველია, მინდა, რაღაც გავაკეთო, მაგრამ, ამ ყველაფერს ფინანსები სჭირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსები არ მომიძიებია, ვარ ასე. თუ, რა თქმა უნდა, გამოჩნდა საჭირო ფული, ახდება ჩემი დიდი ხნის ოცნება. არხის სერიოზული რეორგანიზება მიმდინარეობს, ბევრი სიახლე გვექნება, მაგრამ, ჯერ ყველაფრისთვის საჭირო ფული არ არის; თან, გააჩნია, რას შევადარებთ. თუ შევადარებთ იმ პერიოდს, როდესაც დიდი ეროსი ღობეზე გადმოძვრა, მას შემდეგ არხის წინსვლა ყველასთვის შესამჩნევია. ჯერჯერობით არაფერ კონკრეტულზე საუბარი არ არის. შეიძლება, სექტემბრიდან უფრო დეტალური საუბრები დაიწყოს ახალ ამპლუაში ჩემს წარდგენასთან დაკავშირებით.

**– პოლიტიკურ გადაცემაზე ფიქრობ?**

– დიახ, ვფიქრობ, პოლიტიკური იქნება. სხვათა შორის, იგივე „ფეისბუქზე,“ იგივე სხვადასხვა გამოკითხვაზე დაყრდნობით, სულ ამბობენ, რომ ამდენი პოლიტიკა ყველას მობეზრდა და ბევრს გასართობი გადაცემის ნახვა ურჩევნია, ხალხს უნდა, რომ დაისვენოს; მაგრამ, რეალურად, იმის ფონზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მოდის და, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი ცხელი ზაფხული და შემოდგომა გველის, არა მგონია, პოლიტიკამ აქტუალობა დაკარგოს. პოლიტიკური პროცესები ისე ვითარდება, რომ, არ მგონია, მაყურებელს მობეზრდეს, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

**– პოლიტიკური გადაცემების დეფიციტი იყო, თუმცა არჩევნების შემდეგ ძალიან ბევრი ახალი გადაცემა გამოჩნდა. ამ ფონზე, როგორ ფიქრობ, რა შეიძლება, შესთავაზო მაყურებელს ახალი და საინტერესო?**

– ჩემთვის ძალიან საკვირველია ამდენი პოლიტიკური თოქ-შოუს გაჩენა, იმის მიზეზები კი, თუ რატომ არ იყო, ალბათ, ყველამ კარგად იცის – მედიას ლაგამი მოეხსნა. საბედნიეროდ, ჩვენთან ლაგამის პრობლემა არასდროს ყოფილა. ამ ფონზე არხის და თუნდაც მაყურებლის მხრიდან ჩემი, პიროვნული ნდობა ისეთი ფაქიზი ფაქტორია, რომელიც აუცილებლად დადებითად იმუშავებს იმ გადაცემაზე, რომელიც, შესაძლოა, გავაკეთო. ძალიან კონკრეტული საუბარი გამომდის, თუმცა, ახლა მართლა არ მიმდინარეობს არაფერ კონკრეტულზე ლაპარაკი, მაგრამ, სურვილი ნამდვილად დიდი მაქვს.

**იცით, ეს არ მსიამოვნებს და „ვიძიწე ლი,“ მაწუხებენ – ეს სისულელეა. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს და მომწონს**

**– დიდი „მიქცევ-მოქცევაა“ ტელეკომპანიებს შორის – ვგულისხმობ, ჟურნალისტებს, წამყვანებს, პროდიუსერებს... დარწმუნებული ვარ, შენც გექნებოდა საინტერესო შემოთავაზებები.**

– რა გინდა, რომ ამ თემაზე არ ვილაპარაკოთ?!

**– გასაგებია. ერთგულება რას ნიშნავს შენთვის? – ვგულისხმობ, კაპიტალიზმის ეპოქაში რას ნიშნავს დარჩე სამსახურის საქმის ერთგული? უკეთეს პირობებში გადასვლა თითქოს ღალატს უდრის.**

– თუ ნორმალურად აუხსნი, „მაესტროში“ ასეთი პრობლემები ნამდვილად არ იქმნება. თუ შემომთავაზეს გაცილებით მაღალანაზღაურებადი სამსახური და მექნება იგივე გარანტიები, რაც „მაესტროში“ სულ მქონდა...

**– რა გარანტიები?**

– თავისუფლება. არ მახსოვს, მამუკა ღლონტი ან ნებისმიერი დამფუძნებელი ოდესმე ჩარეულიყო სარედაქციო პოლიტიკაში. ამაზე უკვე ძალიან ბევრჯერ ვთქვით „მაესტროს“ ყველა თანამშრომელმა, მაგრამ, მაინც უკვირთ. ბევრჯერ უკითხავთ: მამუკამ იცოდა, ეს რომ გავიდაო? – და, ძალიან უკვირთ, როდესაც ვპასუხობ: რა შუაშია მამუკა, დამფუძნებელი, თუ რა გავა საინფორმაციო გადაცემაში? ანუ, გარანტიებია: თავისუფლება, სტაბილურობა და, რა თქმა უნდა, ანაზღაურება. ეს სამი კომპონენტი ერთნაირად მნიშვნელოვანია. ახლა რომ სადმე გადავიდე, ძალიან დიდი განსხვავება უნდა იყოს თანხაში და, თან, უნდა მიღირდეს. აქაურ გარემოს ძალიან ვარ შეჩვეული. აქ შინაურული სიტუაციაა, ყველა მეგობარია და ყველას ოთახში წერილების, სამ და ოთხდღიანი ლოდინის გარეშე შემიძლია შესვლა და ეს ყველაფერი უნდა გადაწონოს რაღაცამ.

**– განვითარების საფეხურებს რომ შევეხოთ, „პირველი რადიოდან“ დღემდე, განვითარების რა ეტაპზე იმყოფები – მოსავლის აღების პერიოდი გაქვს თუ ჯერ ისევ ძიებაში ხარ?**

– არა, რა დროს მოსავალია?! თუ იმას გულისხმობ, რაც ჩემს პროფესიაში ჩავდე – დრო ენერგია, რესურსი – იმას ვიღებ თუ არა უკან, ჯერჯერობით არა და, მგონი, ეს ძალიან შორეული პერსპექტივაა. ცამეტი წელია, ამ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ, უტრირებულად კი არა, ფაქტობრივ რეალობას ვამბობ, რომ ყოველდღიურად რაღაცას ვსწავლობ. ვერც ხვდები, ისე იზრდები. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. მოსავლის აღება, იცი, როდის იქნება?! როდესაც გექნება ძალიან მაგარი ხელფასი – აი, ისეთი ხელფასი, რამდენიმე ნული რომ ექნება. როდესაც იქნები იმ დონეზე გაზრდილი და განვითარებული, როცა, შენ კი არ გიყენებენ პირობებს, პირიქით, შენ აყენებ, თან, აყენებ ძალიან მაღალ პირობებს, კაპრიზების დონეზე და, ამ კაპრიზებს ამა თუ იმ ტელევიზიის დამფუძნებელი სრულად, განხილვის გარეშე აკმაყოფილებს, ეს ნიშნავს, რომ შემდგარი ხარ. „უცნობის“ შემდეგ მქონდა ჩემი პირობები, ამა თუ იმ ადამიანთან მოლაპარაკება, რომელთაც განიხილავთ, ვიღაც რაღაცას თმობს, კომპრომისზე მიდიხარ. აი, როდესაც ეს აღარ მოხდება, ვიტყვი, მოსავალს ვიღებ-მეთქი.

**სალომე გველესიანი**

**მომღერალი და კომპოზიტორი თემო რცხილაძე ყოველთვის გამოირჩევა ჰიტების მრავალფეროვნებით. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი დაწერილი სიმღერების უმეტესობა მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს და გაჟღერებისთანავე ჰიტდება. ჩვენი რესპონდენტი ამჟამადაც, ტრადიციულად, ახალ სიმღერებზე მუშაობს. მართალია, ბოლო დროს ახალი სიმღერა არ შეუთავაზებია ქართველი მსმენელისთვის, მაგრამ, აქტიურად მუშაობს ქვეყნის გარეთ.**

# რა აკავშირებს თემო რცხილაძეს მარბეასთან და რით არის დაკავებული ის ღამღამობით



რაც მთავარია, კარგი ადამიანის მამა ვარ და არ აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა ჰოლივუდის ვარსკვლავი

**– რაღაც პერიოდი საქართველოში არ ჩანდი. რომელ ქვეყანაში იყავი?**

– ესპანეთში ვიყავი, სადაც კიდევ ვგეგმავ წასვლას. მარბეაში ყოველწლიურად ტარდება კონკურსი, რეალითი სთარი, სადაც ჟიურის წევრი ვარ. როგორც მითხრეს, რამდენი ხანიც იარსებებს ეს ფესტივალი, სულ უნდა ვიყო მისი ჟიურის წევრი. პარალელურად, იქ კონცერტებსაც ვატარებ ხოლმე. ასევე, ყაზახეთისკენაც მიწევს გამგზავრება, კერძოდ, მარტში მქონდა რამდენიმე კონცერტი. ასე დავდივარ ხან იქით და ხან აქეთ, ვწერ სიმღერებს, ვმღერი და ვარ ასეთ შემოქმედებით წვაში.

**– სიმღერები კი უნდა წერო ხშირად, რადგან, ყველა ის სიმღერა, რომელიც თემო რცხილაძეს ეკუთვნის, გაჟღერებისთანავე ჰიტდება. წლების წინ დაწერილი სიმღერა „ჟელანნაია მაია” შენი უკვდავი ჰიტია, უფრო მეტიც – სავიზიტო ბარათი. მსმენელს ის ძალიან უყვარს, რადგან, ყველასთვის სასიამოვნო მოგონებებს უკავშირდება.**

– სწორად აღნიშნე – ამ სიმღერასთან ყველას ძალიან კარგი და ლამაზი გასახსენებელი აქვს. ამიტომ, როგორც კი „ჟელანნაია” გაიჟღერებს, მაშინვე თავის ტკბილ მოგონებებში გადადიან. თუმცა არის კიდევ ერთი სიმღერა – „ჩერუიშა,” რომელმაც, მართალია, ვერ ჩაანაცვლა, მაგრამ, „ჟელანნაია მაიას” ღირსეული კონკურენცია გაუწია. ისიც, ისევე, როგორც „მულატკა” და „ჟელანნაია,” უკლიპოდ გაჰიტდა.

**– რა რეაქცია გაქვს, როცა საკუთარ სიმღერას სხვისი შესრულებით ისმენ, თუნდაც რესტორანში?**

– ის, რაც აქ შეიძლება მოხდეს, არსად არ ხდება – ყველამ შეიძლება ფული იშოვოს შენი სიმღერით, შენ გარდა. თან, ხშირად ისეთი ტექსტით მღერიან, ვგიჟდები, მე თვითონ მიკვირდა – ასეთი რამ მე არ დამიწერია-მეთქი.

**– წესით, გასულ წელს ყველა მომღერლის საავტორო უფლება დაცული უნდა ყოფილიყო – როგორც ითქვა, შემსრულებელს საკუთარი სიმღერის ყოველ გაჟღერებაზე გარკვეული პროცენტი უნდა ჩარიცხვოდა ანგარიშზე. შენს ანგარიშზე თუ დარიცხულა თანხა?**

– მოსკოვში ვიყავი საავტოროში გაწევრიანებული, მაგრამ, რადგან აქეთ დავბრუნდი, საქართველოში გავწევრიანდი. ერთ თვეში დამირეკეს – თქვენს ანგარიშზე საკმაოდ სოლიდური თანხაა დარიცხულიო. გამიხარდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს თანხა რუსეთის საავტოროდან გადმოურიცხავთ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საქართველოშიც გააქტიურდნენ ამ მხრივო, ვერაფერს ვიტყვი. გააქტიურდნენ ვისთვის – თავისთვის?! მე ამ გააქტიურების არც ერთი თეთრი არ მიმიღია. საერთოდ, ყველა ავტორი უნდა იყოს თავისი საავტორო ნამუშევრით დაკმაყოფილებული.

**– მიუხედავად იმისა, რომ არასტანდარტული წესებით ცხოვრობ – იძინებ გამთენიისას, იღვიძებ, შესაბამისად, გვიან – ეს ყველაფერი შენს გარეგნობაზე არანაირად არ აისახება. აღიარებული ფაქტია, რომ თემურ რცხილაძეს ასაკი არ ეტყობა. როგორ ახერხებ, გამოიყურებოდე ასე კარგად და ახალგაზრდულად? ალბათ, კეთილი შურითაც შურთ შენი.**

– იმედი მაქვს, კეთილი შურით შურთ. ალბათ, ეს მაინც გენეტიკურია, დედაჩემიც ყოველთვის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, სანამ ცოცხალი მყავდა.

**– თბილისში რამდენი ხნით ხარ ჩამოსული?**

– 12 ივნისს უნდა ვიყო მარბეაში. ჯერ ზუსტად არც ვიცი, რამდენიმე დღის წინ მომაწოდეს ინფორმაცია, რომ იქ, კონკურსის პარალელურად, ფესტივალიც ჩატარდება. მერე უკვე აგვისტოში მომიწევს მარბეაში კონცერტის ჩატარება, როგორც შარშან. მართალია „პიკასოს ბიჭი“ არ ვიყავი, მაგრამ, პიკასოს ბაღში კი მქონდა კონცერტი. როგორც ვიცი, მერე უკვე ოქტომბერში დავუბრუნდები ესპანეთს.

**მართალია, „პიკასოს ბიჭი“ არ ვიყავი, მაგრამ, პიკასოს ბაღში კი მქონდა კონცერტი**

**– ოჯახის წევრები სხვადასხვა ქვეყანაში ხართ გაფანტული.**

– თამუნა ესპანეთში ცხოვრობს უკვე რამდენიმე წელია – გამითხოვდა და ძალიან კარგი ესპანელი სიძე მყავს. ნიკუშა ექვსი წელია, ამერიკაში ცხოვრობს. ნიუ-იორკში სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა და უკვე წელიწად-ნახევარია ნიუ-იორკიდან ჰოლივუდში გადავიდა თავის შვედ მეგობართან და მის მეუღლესთან, ჰეილისთან ერთად, რომელიც ძალიან წარმატებული მსახიობია. ახლა ფილმში იღებენ, სადაც ექვსი ოსკაროსანი ვარსკვლავია დაკავებული, ამ გოგოს კი მთავარი როლი აქვს.

**– იმედია, მალე თავად გახდები ჰოლივუდის ვარსკვლავის მამა.**

– რაც მთავარია კარგი ადამიანის მამა ვარ და, მნიშვნელობა არ აქვს, ის იქნება თუ არა ჰოლივუდის ვარსკვლავი.

**– ბაბუობისთვის ხომ არ ემზადები?**

– ვინ გამზადებს, თორემ, ძალიან მინდა. თამუნამ – ჯერ ვსწავლობ და ამის დრო არ არისო. მოკლედ, საკმაოდ აქტიური შვილები მყავს, რაც ძალიან მახარებს.

**– რომელიმე თუ მღერის?**

– ნიკუშა დაბადებიდან მღერის, თამუნა კი, ისე, როგორც ბევრი ჩვენს შოუ-ბიზნესში, ანუ, ვერ მღერის.

**– ნიკუშასთან ერთად დუეტის ჩაწერაზე არ გიფიქრია?**

– შეიძლება, რატომაც არა. მთავარია, ამის სურვილი ნიკუშას ჰქონდეს.

**– როდის გეგმავს ოჯახი საქართველოში შეკრებას?**

– როგორც მპირდებიან, ორივე შემოდგომისთვის ჩამოვა საქართველოში. თამუნა წელიწადში ორჯერ ჩამოდის ხოლმე, ნიკუშა კი თითქმის ორი წელია, აქ არ ყოფილა.

**– იმათთვის, ვისაც თემო რცხილაძის რეპერტუარი ძალიან უყვარს, შექმნი ახალ ჰიტებს?**

– მე სიმღერის გარეშე არ შემიძლია. შენი აზრით, აბა, მთელი ღამე რას ვაკეთებ?! ვზივარ ინსტრუმენტთან და რაღაცას ვქმნი, რომელიც, ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ არა, მაგრამ, ყოველდღიური მოღვაწეობის შედეგად მაინც ვაღწევ შედეგს. არის სიმღერები, რომლებიც ხალხმა გაითავისა.

**– კონცერტის ჩატარებას ხომ არ გეგმავ თბილისში, მაგალითად, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში?**

– ჯერჯერობით არა. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე დიდი კონცერტის გაკეთება სისულელეა, რადგან, ეს ფუჭად დახარჯული დრო და გადაყრილი ფული იქნება. როცა დრო და ამის ხალისი იქნება, აუცილებლად გავაკეთებ ჩემს სოლო კონცერტს თბილისში.

**მარიკა ხიდურელი**



# არსებობენ თუ არა კაცთმოძულე ქალები და რა პრობლემებს უქმნიან ისინი მამაკაცებს

**გავრცელებული მოსაზრებით, ქალები მამაკაცებზე ხშირად ზარალდებიან ღალატის გამო – მათ უფრო მეტად აზარალებთ კაცის ორგულობა. თუმცა, რეალურად, დაზარალებულების როლში მამაკაცებიც აღმოჩნდებიან ხოლმე, თანაც, არცთუ იშვიათად. უბრალოდ, მამაკაცები ნაკლებად ლაპარაკობენ პირად პრობლემებზე. შეიძლება, ეს მათი კომპლექსების გამოა; შეიძლება, ფიქრობენ, რომ საზოგადოება მათ მხარეს არ იქნება – მამაკაცებმა ხომ დიდი ხანია, დაიმკვიდრეს ორგულის სტატუსი. სტერეოტიპული მოსაზრებაა ისიც, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია, რომ მათთვის ჭეშმარიტ ღირებულებებს ფასი არ აქვს. ამ სტერეოტიპული მოსაზრების გამზიარებელი ქალები ხშირად გამოხატავენ მამაკაცების მიმართ აგრესიას. მიიჩნევენ, რომ კაცი ყველაფრის ღირსია და, თუკი მას გულს ატკენ, ეს იქნება სამაგიერო ყველა იმ ქალის სახელით, რომლებიც მამაკაცების ორგულობით იტანჯებიან.**

**გოგა** *(37 წლის):* ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ. რატომღაც, ყველა ჩემს მეგობარს სჯერა, რომ ცხოვრებაში ძალიან მიმართლებს. მე კი ასე არ ვფიქრობ, რადგან, თუ რამისთვის მიმიღწევია, მხოლოდ შრომით. ერთი წუთით არ ვყოფილვარ უქმად, გულხელდაკრეფილი. მეცინება იმაზე, რომ ამბობენ, ყველა კაცი ერთნაირიაო. ნამდვილად არ არის ასე. ეს იგივეა, ამტკიცო, რომ ყველა ადამიანი ერთნაირია. ხომ ასე არ არის?! ჩვენ ჩვენი ინდივიდუალურობა და პიროვნული ნიშან-თვისებები გამოგვარჩევს ერთმანეთისგან. მარტო გარეგნობით ხომ არ განვსხვავდებით?!

**– მამაკაცებზე ამას იმიტომ ამბობენ, რომ თითქმის ყველა, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, მზად არის ღალატისთვის.**

– ნუ იტყვით ასე. ბიოლოგიურად მამაკაცი პოლიგამიური არსებაა, გეთანხმებით. მაგრამ მარტო ფიზიოლოგია ხომ არ განსაზღვრავს ჩვენს ცნობიერებას?! მაშინ, ცხოველები ვიქნებით და არა ადამიანები. თუ პრეტენზია გაქვს ინტელექტზე, კეთილი ინებე და აკონტროლე შენი ვნებები. ასე, ბევრი რამე შეიძლება მოგინდეს. კარგი მანქანაც ძალიან მომწონს და მინდა, მაგრამ, მაღაზიას არ ვტეხავ და არ ვიპარავ.

**– იმიტომ, რომ იცით, კანონი დაგსჯით ამისთვის. ანუ, გინდათ, ყველა კაცი მკაცრად დაისაჯოს ღალატისთვის?**

– ისევ ყველა კაციო, ამბობთ. ხომ ხედავთ, თქვენც სტერეოტიპების გავლენის ქვეშ ხართ. ღალატზე პასუხი აუცილებლად უნდა მოეთხოვოს, კაცსაც და ქალსაც ერთნაირად – მე ამის მომხრე ვარ. აპატიებ თუ არა, ეს უკვე შენი გადასაწყვეტია. თუ ამ საკითხზე ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ერთი შანსი აუცილებლად უნდა მისცე ადამიანს, მით უმეტეს, იმას, ვინც გიყვარს.

**– ჰოდა, კაცებიც იმიტომ ღალატობენ, რომ, იციან, ერთხელ მაინც აუცილებლად აპატიებენ.**

– და, ამიტომ ყალიბდება დაუსჯელობის სინდრომი?! არა მგონია. უფრო ხშირად, შურისმაძიებელი ქალების ტიპაჟი ყალიბდება. ეს საკმაოდ რთული თემაა. თუ აპატიებ, უნდა აპატიო და აღარ გაუხსენო. თუ ეს არ შეგიძლია, მაშინ, ნურც თავს გაიწვალებ და ნურც გააწამებ იმას. მოღალატეს ისედაც არ ულხინს. თუ სულ ნამუსგარეცხილი არ არის, აუცილებლად შეაწუხებს სინდისი. შურისმაძიებელი, კაცთმოძულე ქალი კი, მართლა საშინელებაა. უზარმაზარი პრობლემაა ნებისმიერი კაცისთვის. სამწუხაროდ, ასეთები ძალიან ბევრნი არიან.

**– თუ ეს ქალი შურისმაძიებლად მამაკაცმა აქცია?!**

– არ არის ეს გამოსავალი, თორემ, კი. ძალიან ლამაზი ცოლი მყავს. ზოგიერთ ჩემს ნაცნობს, შეიძლება, შურს კიდეც, მაგრამ, ბედნიერება ქალის სილამაზეში არ არის. მეც „თვალმა“ გადამაწყვეტინა დაოჯახება და პირველი სამი წელი ყველაფერი ძალიან კარგად გვქონდა. მაგრამ, მერე, როცა ბავშვი გააჩინა, ჩემ მიმართ ძალიან გაცივდა.

**– ეს უკვე ღალატის პრელუდიაა.**

– თუ შეიძლება, მომისმინეთ. ნამდვილად არ ვარ ბუნებით მოღალატე. ძალიან ბევრს ვეცადე, რომ ჩემსა და ჩემს ცოლს შორის სიტუაცია დალაგებულიყო, ყველაფერი ისევ ძველებურად ყოფილიყო. როგორ ფიქრობთ, ქალები არ მეჩალიჩებიან? ხომ მაქვს ყველაფერი იმისთვის, რომ ქალებს მოვწონდე?! ძალიან ხშირად ვარ მათი აქტიური ყურადღების ეპიცენტრში და საკმაოდ სერიოზული ცდუნებებისთვის გამიძლია. ამას ტრაბახით არ ვამბობ, ნამდვილად არ მაქვს საქმე სატრაბახოდ, იმიტომ, რომ ღალატს მაინც ვერ ავცდი. შემთხვევა ისეთი რამეა, ვერავინ ვერაფრისგან იქნება დაზღვეული. რა თქმა უნდა, დამნაშავე ვარ. გავ-

> **უნდა აპატიო და აღარ გაუხსენო. თუ ეს არ შეგიძლია, მაშინ, ნურც თავს გაიწვალებ და ნურც იმას გააწამებ**

ები, მიუხედავად ჩემი მკაცრად ჩამოყალიბებული პრინციპებისა. ვიცი საკუთარი თავის ამბავი: ვერ მოვისვენებდი ღალატის შემდეგ, ვეღარ ვიცხოვრებდი ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.

**– და, მიუხედავად ამისა, მაინც გარისკეთ...**

– გავრისკე – რა, ამას რისკს ვერ დავარქმევ. გაცნობიერებულად და გონებით არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი, ინსტინქტს ავყევი. ვნების ძალამ და იმ ენერგეტიკამ მაჯობა, რომელიც იმ ქალისგან წამოვიდა.

**– იმედია, იმ ქალს არ აბრალებთ...**

– რატომ უნდა დავაბრალო? ხომ არ გგონიათ, რომ თქვენთან საუბარი იმ ქალის გასაშავებლად მოვინდომე? არანაირად. ის თავის საქციელზეა პასუხისმგებელი, მე – ჩემსაზე. სულ ერთხელ გვქონდა „რაღაც“ და მორჩა, დავამთავრე. ვცდილობდი, აღარც გამეხსენებინა. კაცს ეს ნამდვილად შეუძლია.

**– ანუ, ერთხელ სექსი და მორჩა? ქალს რატომ არ შეუძლია ეს?**

– დიახ, მორჩა. კაცისთვის სიყვარული სხვა რამეა. სექსი ბევრთან შეიძლება გქონდეს, მაგრამ, მარტო ერთი ქალი მიგაჩნდეს შენიანად.

**– ქალსაც შეუძლია, იგივე თქვას.**

– თქმით ბევრ რამეს იტყვი, რეალობა რა არის, ეს არის მთავარი. აღარ მოვყვები, რა იყო და როგორ. საერთოდ არ მინდა ამაზე ლაპარაკი. როგორც პატიოსან კაცს შეეფერება, ჩემს ცოლს მოვუყევი და გულწრფელად მოვინანიე.

**– „გულწრფელი მონანიება“ როგორია?**

– რომელსაც ახლავს სინანული, თანაც, გულწრფელი სინანული. კარგად გამიგეთ, მამაკაცები ღალატისთვის ბოდიშს, ძირითადად, იმიტომ იხდიან, რომ, რაც დააშავეს – შერჩეთ. ხომ ხედავთ, როგორი ობიექტური ვარ. კაცებს ხელს ნამდვილად ვერ დავაფარებ. მე მინდოდა, ჩემს ცოლს მოესმინა ჩემთვის და გაეგო, როგორც ყველაზე ახლობელ, ერთგულ ადამიანს.

**– თქვენ რომ ვერ უერთგულეთ?**

– რომ ვერ ვუერთგულე, მაგას ვდარდობ და განვიცდი. ძალიან განვიცდი, ახლაც კი, მიუხედავად იმისა, რაც ჩემმა ცოლმა გამიკეთა, ვფიქრობ, რომ მისი დანაშაულის სიმძიმე ნაწილობრივ ჩემზეა. ძალიან მტკივა გული, რომ ცხოვრება ასე ამერია. ჩემმა ცოლმა მომისმინა, იტირა და ამით დაამთავრა. ჩემდა გასაოცრად, არც იკივლა, არც იწივლა, არც სკანდალი მოაწყო... ძალიან მიამიტურად მომივიდა, რომ ამის გამო არ დავეჭვდი. ვიფიქრე, გამიგო-მეთქი და მისადმი სიყვარულით, მოწიწებით და პატივისცემით ამევსო გული. იმაზე დავიწყე ზრუნვა, რით გამეხარებინა. რა გამეკეთებინა მისთვის ისეთი, რაც ჩემს სიყვარულს დაამტკიცებდა. ოღონდ, არ იფიქროთ, საჩუქრით დანაშაულის გამოსყიდვაზე ვფიქრობდი – ასეთი იაფფასიანი „ტრიუკების“ მომხრე არ ვარ. გულით მინდოდა, გამეხარებინა. გადავწყვიტე, სადმე წამეყვანა, მაგარ ადგილას, რომ დაგვესვენა და ერთმანეთი ხელახლა აღმოგვეჩინა.

**– თქვენ აუხსენით მიზეზი, რამაც ღალატის პროვოცირება გამოიწვია?**

– რა თქმა უნდა. ძალიან დიდხანს ველაპარაკე. ისე მისმენდა, ვიფიქრე, ყველაფერს მიხვდა-მეთქი. როგორ წარმოვიდგენდი, თუ იბოღმებოდა და შურისძიებაზე ფიქრს იწყებდა. გამოდის, საერთოდ არ ვიცნობდი, არაფერი ვიცოდი იმ ქალის ბუნების შესახებ, რომელიც ჩემი სულისა და სხეულის ნაწილი მეგონა. ქალმა საოცრების ჩადენა დაგეგმა და განახორციელა გეგმა, რომლითაც, იცოდა, რომ გამამწარებდა. ეს ცივი გონებით გააკეთა, აუღელვებლად...

**– გიღალატათ?**

– ასე ბანალურად არა, უარესი მოიფიქრა – ჩემი მეგობარი „შეაბა.“ ნაბიჯ-ნაბიჯ განახორციელა გეგმა. უცხოსთან რომ დაწოლილი-

# როგორ დაიკარგა აფხაზეთში ლაშქრობისას 28 წლის ქალი და დაკარგვის რა ვერსია აქვს მის დას

*26 წლის ანა სერგეის ასული პიტიმიროვა ეძებს 28 წლის ალექსანდრა სერგეის ასულ პიტიმიროვას.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ღვიძლ დას, 28 წლის ალექსანდრა სერგეის ასულ პიტიმიროვას. ამა წლის აპრილის ბოლოს ის და მისი მეგობრები რუსეთიდან, ქალაქ კრასნოდარიდან ლაშქრობაში აფხაზეთში გაემგზავრნენ და იქიდან აღარ დაბრუნებულა. მისი პოვნის იმედს დღემდე არ ვკარგავთ. მივმართეთ ყველა ღონეს, რომ ალექსანდრა მოგვეძებნა. დიდი იმედი გვაქვს, თქვენი რუბრიკის, რომლის საშუალებითაც არაერთმა ადამიანმა იპოვა ერთმანეთი. ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ დის პოვნაში. გიგზავნით მის ფოტოს. ამგვარად გამოიყურება ჩემი და და თუკი ვინმეს რაიმე ინფორმაცია გააჩნია მის შესახებ, ძალიან გთხოვთ, გამოგვეხმაურეთ.



**– მაინც, რა მოხდა აფხაზეთში? გვიამბე დაწვრილებით შენი დის დაკარგვის ისტორია.**

– ჩემი და – ალექსანდრა სერგეის ასული პიტიმიროვა, მეგობრებთან ერთად აფხაზეთში ბუნების დასათვალიერებლად გაემგზავრა. მას და მის მეგობრებს დაგეგმილი ჰქონდათ ლაშქრობა. ჩემს დას ყოველთვის უყვარდა ლამაზი ადგილებისა და ბუნების მონახულება და დიდი სიხარულით გაემგზავრა აფხაზეთში, რადგან მთები ძალიან უყვარს. მათი ლაშქრობა შედგა 2013 წლის აპრილის ბოლოს. როგორც მისი მეგობრებისგან ვიცით, ისინი გადადიოდნენ რაღაც მდინარეს (სახელწოდება დაზუსტებით არ მახსოვს), თუ არ ვცდები – ბაგიუს. ამ მდინარეზე გადადიოდნენ 2 მაისს. ჩემი და წყალმა გაიტაცა. სამი მაისიდან მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები, მაგრამ უშედეგოდ. ნაპოვნია მხოლოდ მისი ნივთები, თვითონ ალექსანდრა კი დღემდე ვერ იპოვეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ცოცხალია და, სავარაუდოდ, იქაურ მოსახლეებთან იმყოფება. შესაძლებელია, მდინარემ რომ გაიტაცა ალარაფერი ახსოვს. ბუნებრივია, არანაირი საბუთიც არ გააჩნია თან და ამის გამო, ვერ პოულობენ. ძალიან მინდა, ჩემი ვერსია გამართლდეს და ალექსანდრა ვიპოვოთ. გიგზავნით მის ბოლო ფოტოს. იმედი მაქვს, ვინმე იცნობს და გამოგვეხმაურება.



**– მაინც რატომ გგონია, რომ შენი და აფხაზეთში ვინმეს ოჯახშია?**

– სიმართლე გითხრათ, უპირველესად, ინტუიცია მკარნახობს, რომ ჩემი დაიკო ცოცხალია. მით უმეტეს, თუკი ანგარიშს გავუწევთ იმ ფაქტს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ იპოვეს. მოგეხსენებათ, ჩაძირულ ადამიანს მალევე პოულობენ, ხშირად ის წყალსვე გამოაქვს ნაპირზე ან მაღლა ამოაგდებს. ჩემი ალექსანდრა ცოცხალი მგონია. მით უმეტეს, რომ ის მდინარე ღრმა არ ყოფილა, უბრალოდ, ჩქარა მიედინებოდა.

**– ამ ლაშქრობაში მხოლოდ შენი და დაზარალდა თუ კიდევ ვინმე?**

– არა, ყველა მისი მეგობარი ჩამოვიდა სახლში. მხოლოდ ალექსანდრა დაზარალდა. მისი მეგობრებიც ასევე განიცდიან ამ ამბავს და რითაც შეუძლიათ, გვერდში გვიდგანან ოჯახს.

**– ღმერთმა ქნას და შენი და ვიპოვოთ, ეს მართლაც სასწაული იქნება. მთავარია, ჩვენი სტატია სასურველმა მკითხველმა წაიკითხოს და დააკვირდეს ალექსანდრას ფოტოს.**

– დიახ. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს დას ფოტოზე იცნობენ. მას ელოდება დედა, მამა და და. საუბარი აღარ მაქვს მის მეგობრებზე, რომლებსაც ამ ინციდენტის მერე, ყველაფრის ხალისი აქვთ დაკარგული. თუკი ჩემს დას ვიპოვი, ჩემზე ბედნიერი ადამიანი ამქვეყნად არ იქნება. ჩვენ, მისი ოჯახი, იმედს არ ვკარგავთ, რომ ის საღსალამათი დაგვიბრუნდება.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ხუთი წელია, გათხოვილი ვარ. ქმარი ისევ ისე მიყვარს. დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს და ნორმალური ოჯახი შევქმენით. მიხარია მასთან და ბავშვთან ყოფნა, მაგრამ, ინტიმური სიახლოვე ქმართან სიამოვნებას აღარ მანიჭებს. ამას უკვე ტრაგედიად აღვიქვამ, რადგან, რამდენჯერმე საკუთარი თავი სხვა კაცის მიმართ სექსუალურ ლტოლვაში გამოვიჭირე, თუმცა, მე ის კაცი არ მიყვარს და იმაზე ფიქრისაც კი მეშინია. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება**: პრობლემა ნამდვილად არსებობს, მაგრამ, მისი მოგვარება შეიძლება. მთავარია, თავი არ მოიტყუოთ და უპასუხოთ შეკითხვას, თუ რა არის თქვენი ქმრის მიმართ „გაცივების" მიზეზი. შეუძლებელია, რამე ვერსია არ გქონდეთ. თუ მიხვდებით, რომ დამოუკიდებლად ამას ვერ გაუმკლავდებით, მიმართეთ ფსიქოლოგს.

**ფსიქოლოგი მაგდა როგაძიძე**

---

# სერიოზული ცდუნებებისთვის გაძლია... ხშირად ვარ ქალების აქტიური ყურადღების ცენტრში, მაგრამ, ღალატს მაინც ვერ ავცდი

ყო, არც ეს იქნებოდა ჩემთვის ადვილად გადასატანი. მაგრამ, რაც მან გააკეთა, კაცისთვის ეს ორმაგი ღალატია, კოშმარული რეალობა.

**– იქნებ, თქვენი ცოლიც ვერ გაუმკლავდა ვნებას?**

– ასე რომ ყოფილიყო, უფრო ვაპატიებდი, შვილს გეფიცებით. ის, რაც მოხდა, აბსოლუტურად წარმოუდგენელია, საშინელებაა. სურვილი არ ჰქონდა, ვნება არ ჰქონდა, არაფერს არ გრძნობდა და დაწვა კაცთან იმიტომ, რომ მე გავემწარებინე. კაცის გაბრიყვებაზე ადვილი არაფერი ყოფილა. საერთოდ ვერაფერს მივხვდი. ალერსიანი და ყურადღებიანი იყო. სამოგზაუროდაც წავედით და ლამის გამაგიჟა თავისი სექსუალურობით. არაფერს მეკითხებოდა, საერთოდ არ ეჭვიანობდა... ქალი ასეთი ფაქტის მერე ქმარს მობილურს უმოწმებს, მის სოციალურ ქსელში იქექება. ჯიბეებს უჩხრეკს... მსგავსი არაფერი მომხდარა. გაოგნებული ვიყავი. როგორი შეგნებული ცოლი მყოლია-მეთქი – მეამაყებოდა.

**– როგორ გაიგეთ, რომ გიღალატათ?**

– მითხრა, თანაც, ყველაზე საზიზღარი ფორმით. რომ ჩამოვედით, ერთ საღამოს ჩემი მეგობარი დამიპატიჟა სახლში.

**– კარგი მეგობარი გყოლიათ.**

– ეს ცალკე საუბრის თემაა. თუმცა, ისიც მოატყუა, უთხრა, რომ ჩემთან ყველაფერი დაამთავრა და მეყრებოდა, რომ ის უყვარდა და მასთან ერთად აპირებდა ახალი ცხოვრების დაწყებას. იმასაც, თურმე, სულ შურდა ჩემი ლამაზი ცოლი და, თავისი ჭკუით, ბუნებრივად მოხდა ის, რაც მოხდა. როგორ არ მოვკალი... მაგრამ, იმდენად განადგურებული ვიყავი, ამაზე ველარ ვიფიქრე. ორივე მიწასთან გაგვასწორა, ისეთი რაღაცეები გვითხრა, ცოცხლად დაგვმარხა. ინსტინქტს აყოლილი ცხოველები ხართ, არც ერთი არ იმსახურებთ არც სიყვარულს და არც ერთგულებას. ბოლომდე უნდა გაგანადგუროთ ადამიანმა. აბა, რომლი ხართ კაცი, მითხარით. უბადრუკი არსებები ხართ, არარაობები და პირუტყვები. დახოცეთ ახლა ერთმანეთი და მაყურებინეთ, როგორ იჩხუბებს ორი უზნეო მამრი ერთი ძუკნასთვის – ამით მხოლოდ მასიამოვნებთო.

**– თქვენ ისევ იმ ქალთან ცხოვრობთ?**

– ჩემდა სამარცხვინოდ, დიახ. ჯერ კიდევ ვერ გავაანალიზე მომხდარი და ვერ მივხვდი, რატომ დამემართა, რაც დამემართა. მიყვარს კიდეც ცოლი და, ვცდილობ, გავიგო, რა მოხდა მის ტვინში, რომ ასეთი საშინელი ნაბიჯი გადადგა. თვითონ მეუბნება, გელოდები, თუ მაპატიებ, მაშინ, მეც გაპატიებ და ყველაფერს თავიდან, სუფთა ფურცლიდან დავიწყებთო. ესეც სერიოზული გამოწვევაა, რომელიც, ან უნდა მიიღო, ან – არა. ჯერ ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მივიღე. სრულიად განადგურებული ვარ. თქვენ რას იტყვით, ჩემი ცოლის საქციელი ნორმალურია?!

**დალი მიქელაძე**

**მსახიობი კახა ახვლედიანი მაყურებელმა რეალითი შოუ „დასიდან" გაიცნო. ამჟამად ის ტელეკომპანია „მაესტროს" წამყვანია. ამ ამპლუაში თავს კარგად გრძნობს, თუმცა მსახიობის პროფესია მისთვის შეუცვლელია. როგორც თავად ამბობს, სიზარმაცე ბევრ რამეში უშლის ხელს. ამ ეტაპზე იმდენად გადაღლილია, რომ გვერდით სჭირდება ლაბრადორი, რომელიც მას გაართობს.**

# რის „გადაგდება" გაუჭირდა კახა ახვლედიანს და ვისთან ერთად უნდა მას ცხოვრება დიდ და კომფორტულ სახლში

**კახა ახვლედიანი:** პროფესიით მსახიობი ვარ, თუმცა აქტიურად არ ვარ დაკავებული სპექტაკლებით და ფილმებით. სურვილი, რა თქმა უნდა, მაქვს. რამდენიმე სპექტაკლში ვითამაშე. თუმცა ბოლომდე ვერ მოვახდინე ჩემი თავის რეალიზება მსახიობური კუთხით. ჩემი ამოცანა მხოლოდ ის არ არის, რომ თეატრში ვიყო და მერქვას მსახიობი. მინდა, ბოლომდე დავიცალო შემოქმედებითად. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ რეჟისორთან იმუშავებ. მე მომიწია ნანუკა ხუსკივაძესთან მუშაობა, ძალიან კმაყოფილი ვარ, ანშლაგები იყო ჩვენს სპექტაკლებზე.

**– მაყურებელს რეალითი შოუ „დასიდან" ახსოვხარ.**

– კი, „დასში" ვიყავი. საერთოდ, რეალითი შოუები არ მიზიდავს, არ მაინტერესებს, მაგრამ მეგობრების დაჟინებული თხოვნით მივიღე მონაწილეობა. გარდა ამისა, პროექტში მონაწილეობის მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ დავმდგარიყავი რუსთაველის თეატრის სცენაზე. ეს თეატრი ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი ნოვატორი. ყოველთვის ჯდებოდა თანამედროვე თეატრის სტანდარტებში და ბატონ რობერტ სტურუაზე ხომ, ლაპარაკი ზედმეტია. ის უდავოდ შესანიშნავი რეჟისორია და მე ბედნიერი ვარ, მასთან რომ ვიმუშავე. სწორედ ამიტომ მივიღე მონაწილეობა „დასში". ეს ერთგვარი გამოწვევაც იყო. ჩემზე ბევრად დიდი და ნიჭიერი მსახიობების ცხოვრებამ ისე ჩაიარა, რობერტ სტურუასთან შეხება არ ჰქონიათ. ზოგისთვის ოცნებაა რუსთაველის თეატრში თამაში. ზოგადად, რაც შეეხება რეალურ შოუებს, სიმართლე გითხრათ, არ მომწონს. პირადი ცხოვრება უნდა გამოიტანო სააშკარაოზე. ყველა გიყურებს, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ. ძალიან ადრე, თუ გახსოვთ, „მაესტროს" არხზე გადიოდა რეალითი შოუ, რომელიც ირაკლი ჩარკვიანის ცხოვრებაზე იყო. იმას დიდი სიამოვნებით ვუყურებდი, იმიტომ, რომ იქ ირაკლი ჩარკვიანი იყო, რომელიც ჩემი კერპია. რატომღაც ზოგს ჰგონია, რომ რადგან მსახიობია, ის ცხოვრებაშიც ითამაშებს და მისთვის პრობლემა არ იქნება. ასე, ნამდვილად არ არის. პროფესიონალი მსახიობი, რომელიც სცენაზე ბოლომდე იცლება და იხარჯება, რეალურ ცხოვრებაში ველარ ითამაშებს. სწორედ ამიტომ, ძალიან დიდი დისკომფორტი იყო ჩემთვის დახურულ სივრცეში ყოფნა და ცხოვრება. რამდენჯერმე ჯარიმაც „ავირტყი". ზედმეტად თავისუფალი და პირდაპირი ადამიანი ვარ, ჩემნაირი ტიპაჟისთვის რეალით შოუში მონაწილეობა ნამდვილად ტანჯვაა ***(იცინის).*** თან, ცოტა პასიურიც ვარ. არის ხალხი, დარბიან, ქასთინგებს ეძებენ, მე ასე არ ვარ.



**იმ დონეზე ვცდილობ „ვიკაიფო" ცხოვრებით, რომ კარიერას გულს ვერ ვუდებ. კარიერისტი არ ვარ. ან ძალიან უნდა გადააკვდე შენს საქმეს და ორმოც წლამდე იშრომო, კარიერის ასაწყობად, ან დაჯდე და უბრალოდ, გაერთო ცხოვრებით**

**– ყოველთვის ყველაფერში პასიური ხარ?**

– კი, უნდა ვაღიარო, რომ პასიური ვარ. თუ ვინმე დამირეკავს და დამიბარებს ქასთინგზე, მაშინ მივალ, თუ არადა, მე თვითონ ნამდვილად არ დავრბივარ და დავეძებ. თუმცა, არც ისე ბევრი ქასთინგი ტარდება. რამდენიმე ფილმზე ისე განაწილდა როლები, ქასთინგი არც ჩატარებულა. არ მესმის, ასე, როგორ უნდა გადაიღოს რეჟისორმა ფილმი, თუ ტიპაჟებზე არ ფიქრობს და არ არჩევს. მაგალითად, ბოლო დროის ძალიან პოპულარული ფილმი „ქიიფ სმაილინგ" ქართულად – „ანუ გაიღიმეთ", რომლის რეჟისორი გახლავთ რუსუდან ჭყონია, მსახიობებს დაახლოებით ცხრა თვე არჩევდა. ფიქრობდა თითოეულ როლზე, ტიპაჟზე. ძალიან ბევრი რეჟისორი ასე არ იქცევა, რაც, ჩემი აზრით, არასწორია.

**– ძალიან კრიტიკული ჩანხარ, თითქმის ყველას და ყველაფერს აკრიტიკებ.**

– ადამიანი კრიტიკული უნდა იყოს. საქართველოში არ არსებობს ჯანსაღი კრიტიკა. ან ლანძღავენ ერთმანეთს, ან საერთოდ, არაფერს ამბობენ. ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის აუცილებელია. მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. მაგალითად, თუ არ მომეწონა ვინმეს ჩაცმულობა – ვეუბნები, ეს ამას არ უხდება და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს ცუდად კი არ ვამბობ, ეს არის ერთგვარი რჩევა. როდესაც მარაზმი მიდის ზოგიერთ თოქ-შოუში, ან როდესაც ადამიანი ვერ მღერის და ჰგონია, რომ კარგად მღერის, ვიღაცამ უნდა უთხრას, აუხსნას. როდესაც კრიტიკა არ არის, ვერ იქნება ვერც ხარისხი.

**შინაგანად მაინც პატარა ვარ, ახლაც მიმაჩნია, რომ თინეიჯერი ვარ. რა თქმა უნდა, მინდა, გვერდით ისეთი გოგონა, რომ ვთქვა, ლაბრადორს მირჩევნია-მეთქი**

**– საკუთარი თავის მიმართ თუ ხარ კრიტიკული?**

– კი, საკუთარი თავის მიმართაც ანალოგიურად კრიტიკული ვარ. ძალიან ზარმაცი ვარ, რაც მსახიობისთვის დამღუპველია. თუ მსახიობი ზარმაცია, ის წარმატებული ვერასდროს იქნება. იმ დონეზე ვცდილობ „ვიკაიფო" ცხოვრებით, რომ კარიერას გულს ვერ ვუდებ. კარიერისტი არ ვარ. ან ძალიან უნდა გადააკვდე შენს საქმეს და ორმოც წლამდე იშრომო, კარიერის ასაწყობად, ან დაჯდე და უბრალოდ, გაერთო ცხოვრებით.

**– მე მგონი, ოქროს შუალედიც არსებობს.**

– არა, არ არსებობს, ეგ ძალიან რთულია. მილიონ ადამიანში, ალბათ, ერთს შეუძლია იყოს კარიერისტი და ამავე დროს, მიიღოს სიამოვნება ცხოვრებისგან. ანუ, დაიჭიროს ოქროს შუალედი. ჩემთვის პირადი კომფორტი ყველაზე მნიშვნელოვანია. ვგულისხმობ, შინაგან კომფორტს. ძალიან ბევრს ჰყავს „ჯიპი", აქვს უზარმაზარი სახლი, მაგრამ საკუთარ თავთან ჰარმონიაში არ არის, არ აქვს შინაგანი კომფორტი.

**– რა არის შენთვის შინაგანი კომფორტი, როდის და რა ვითარებაში გრძნობ თავს ჰარმონიულად?**

– ამ ეტაპზე ჩემი პირადი კომფორტი იქნება, ჩემს გემოზე მოწყობილი სახლი და ლაბრადორი ***(იცინის).*** სახლში უნდა იყოს ძალიან მაგარი სტერეოსისტემა, კედლებში დამონტაჟებული დინამიკები, სადაც ზუსტად იქნება განაწილებული ხმა. კიდევ მინდა შხაპი, რომელიც მასაჟს აკეთებს, ნაკლებს იწუწუნებს მასაჟის კეთებისას. დააწვები და სანამ არ გამორთავ, გააკეთებს მასაჟს ***(იცინის).***

**– ამხელა სახლში მარტო ლაბრადორთან ერთად ცხოვრება, მე მგონი, საცოდაობა იქნებოდა. კიდევ ხომ არ არის ვინმე, ვინც ამ სახლში იცხოვრებდა?**

– შენ ხომ მკითხე, კიდევ რა იქნებოდა კომფორტიო, ამ ეტაპზე მარტო ლაბრადორი მინდა. ძალიან დაღლილი ვარ და ძაღლი გადასარევია – დაწვება, მოეფერები, ეთამაშები, არ შეგაწუხებს, ნერვებს არ მოგიშლის, საჭმელს დაუყრი, შეჭამს და ჩუმად იქნება. თუმცა, მართალი ხარ, ისეთი პატარა ბიჭიც აღარ ვარ და ვხვდები, რასაც მეკითხები. მაგრამ, ჯერჯერობით, ეგეთი ადამიანი არ არსებობს ჩემს ცხოვრებაში. შინაგანად მაინც პატარა ვარ, ახლაც მიმაჩნია, რომ თინეიჯერი ვარ. რა თქმა უნდა, მინდა, გვერდით ისეთი გოგონა, რომ ვთქვა, ლაბრადორს მირჩევნია-მეთქი ***(იცინის).*** გარშემო, რა თქმა უნდა, არიან ასეთი გოგონები, მაგრამ ის, რასაც შენ მეკითხები და ვისაც გულისხმობ, ჯერ არ გამოჩენილა.

**– რაც შეეხება შენს ახლანდელ საქმიანობას, როგორ მოხვდი „მაესტროში" და რამ გადაგაწყვეტინა ტელეწამყვანობა?**

– „მაესტროში" მოვხვდი ქასთინგის საშუალებით, რომელიც ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში გავდიოდი ტურებს. მამუკა ღლონტი გვაკვირდებოდა ყველას, ვინ როგორ ვაზროვნებთ. უამრავ დავალებას გვაძლევდა. ჟურნალისტიკა ცოტა გამიჭირდა, კამერებთან მუშაობას შეჩვეული ვიყავი და თავი ადვილად გავართვი, მაგრამ, რაც შეეხება ტექსტების წერას და უშუალოდ, ჟურნალისტიკას, მარტივი არ არის. ჟარგონების „გადაგდება" ცოტა გამიჭირდა. თუმცა, შეუძლებელი არაფერია, როცა ადამიანი მოინდომებს, ყველაფერი გამოუვა.

**ხატია კარანაძე**

# რა სახელით იყო ცნობილი სავაჭროების რიგი სადგურის ქუჩაზე თბილისში და სად მდებარეობდა სომეხი მეწარმის, ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა

*პირველი მატარებელი თბილისიდან ფოთში მეცხრამეტე საუკუნეში გავიდა და იმ პერიოდიდან იღებს სათავეს თბილისის რკინიგზის სადგურის ისტორიაც. სადგური და მისი მიმდებარე ქუჩები თბილისის განუყოფელი ნაწილია და დღევანდელ ნომერში, ძველი ფოტოების დახმარებით, ვეცდებით, გავაცოცხლოთ რკინიგზის სადგურის შექმნისა და განვითარების ისტორია.*

## თბილისის რკინიგზის სადგური

პირველი ცენტრალური სადგური თბილისში 1872 წელს აშენდა, საიდანაც მატარებლები შავი ზღვის პორტის – ფოთის მიმართულებით მოძრაობდნენ. პირველი მატარებელი თბილისი-



თბილისის რკინიგზის სადგური 1870-იან წლებში (როინაშვილის ფოტო)

დან ფოთში 1872 წლის 10 ოქტომბერს ჩავიდა და ეს დღეა საქართველოს რკინიგზის „დაბადების დღე". საბჭოთა ხელისუფლების წლებში სადგურის ძველი შენობა აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და არქიტექტორ გაბრიელ ტერმიქელოვის პროექტით აშენდა ახალი სადგური, რომელიც „სტალინური არქიტექტურის" სტილში აიგო 1940-იან წლებში. 1982 წელს ქალაქის მაშინდელმა მთავრობამ ახალი, უფრო თანამედროვე სადგურის აშენება გადაწყვიტა და ძველი სადგურის დემონტაჟი დაიწყო. ძველ შენობას იმდენად მყარი საძირკველი აღმოაჩნდა, რომ მისი აფეთქება გახდა აუცილებელი. ბრუტალური არქიტექტურის სტილში აგებული სადგურის არქიტექტორები: ყავლაშვილი, ბაირამაშვილი, შავდია და ჯიბლაძე იყვნენ. შენობის საზეიმო გახსნა 1987 წელს შედგა, თუმცა მისი საბოლოოდ დასრულება ვერ მოხერხდა. საბჭოთა კავშირის დანგრევამ და საომარმა კონფლიქტებმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, დამოუკიდებელი საქართველო უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო და რკინიგზის სადგურის მშენებლობის დასრულებისთვის არავის ეცალა. ამასთან, სადგურის შენობაში 1992-1993 წლებში დასახლდნენ აფხაზეთიდან დევნილები, რომელთაც მხოლოდ 2008 წელს დატოვეს შენობა, მას შემდეგ, რაც რკინიგზის სადგურში ბინა დაიდო „თბილისი ცენტრალმა", მრავალფუნქციურმა სავაჭრო და გასართობმა ცენტრმა. ამჟამად მიმდინარეობს რკინიგზის სადგურის სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ხოლო თბილისის რკინიგზის შემოვლითი გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, სადგურის შენობა მთლიანად შეიცვლის პროფილს. სადგურთან ახლოს მდებარეობს „ბორჯომის სადგურის" სახელით ცნობილი რკინიგზის პლატფორმა, რომელიც 1979 წელს აშენდა და ელექტრომატარებლებს ემსახურებოდა. „ბორჯომის სადგურმა" უკანასკნელი მატარებელი 2011 წლის თებერვალში მიიღო და ამჟამად დღის წესრიგში მისი სრული დემონტაჟი განიხილება. სადგურის მოედანზევე მდებარეობს არქიტექტორ ჩხიკვაძის მიერ აგებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც მეტროსადგურ „სადგურის მოედანსა" და რკინიგზის სადგურს უყურებს.



თბილისის რკინიგზის სადგური 1970-იან წლებში



სადგურის მოედანი და რკინიგზის სადგური საბჭოთა დროს

## თამარ მეფის ქუჩა და ხიდი

ამჟამინდელ თამარ მეფის ქუჩას წარსულში სადგურის ქუჩა ერქვა და ის ძალიან ვიწრო გახლდათ. ქუჩაზე მდებარეობდა სომეხი მეცენატისა და მეწარმის, ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა და თავად მეწარმის საცხოვრებელი სახლი, სადაც ამჟამად „პროკრედიტ ბანკის" ოფისია განთავსებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაიწყო თბილისის გეგმური სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელიც განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაიშალა 1930-იანი წლებიდან. გაფართოვდა და კეთილმოეწყო ახლანდელი თამარ მეფის ქუჩის მონაკვეთი რკინიგზის სადგურიდან დავით აღმაშენებლის პროსპექტამდე. 1935 წელს აიგო „ჩელუსკინელების" სახელობის ხიდი, რომელიც 1989 წლიდან თამარ მეფის სახელს ატარებს. 1934 წელს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში საბჭოთა თბომავალი „ჩელუსკინი" ჩაიძირა. ექსპედიციის მონაწილეთა გადარჩენას საბჭოურმა პროპაგანდამ გმირული ეპოპეის სახე მისცა და ამიტომაც თბილისში, არქიტექტორ სევეროვისა და ინჟინრების – ზავროვისა და სლავინსკის აგებულ ახალ ხიდს „ჩელუსკინელების" სახელი ეწოდა.



რკინიგზის სადგური 1980-იანი წლების ბოლოს




„თბილისი-ცენტრალი" – თანამედროვე ხედი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**არა მხოლოდ ამაღლება, არამედ, თორმეტივე საუფლო დღესასწაული, რომელიც უკავშირდება მაცხოვრის შობას, აღდგომას და ამაღლებას – ყველა მნიშვნელოვანია და, რაც მთავარია, ყველა დღესასწაული ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. რა თქმა უნდა, მაცხოვრის აღდგომა, ეს არის დღესასწაულთა დღესასწაული, ყველაზე ამაღლებული დღე, მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით მამათა მოძღვრებას, გადმოცემას, მაშინ ძალიან ადვილი მისახვედრი გახდება, რომ მაცხოვრის შობას, მის ამაღლებას, არანაკლები მნიშვნელობა აქვს. თუ არ იქნებოდა შობა, თავისთავად, ვერ იქნებოდა აღდგომა და თუ აღდგომა არ იქნებოდა, ვერ მოხდებოდა მაცხოვრის ამაღლება. წელს ამაღლების დღესასწაულს მართლმადიდებლური სამყარო 13 ივნისს იზეიმებს. თუ როგორია ამ დღის მნიშვნელობა, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა მნიშვნელობა აქვს ამაღლების დღესასწაულს და რატომ არის 40 დღე ქრისტიანის ცხოვრებაში საკრალური



ნუ შეჰპირდებით ადამიანებს რამეს, თუ მისი შესრულება არ შეგიძლიათ; ნურც უფალს შეჰპირდებით რამეს, რადგან, არ იცით, ხვალ რა მოგელით

**– მამაო, როგორც ცნობილია, აღდგომის შემდეგ კვლავ გრძელდება სადღესასწაულო დღეები. ძველად მთელი 40 დღის განმავლობაში ერთმანეთს ასე ესალმებოდნენ: „ქრისტე აღდგა“. როგორ უნდა გაატაროს ადამიანმა ეს დღეები, რადგან ხშირად აღდგომას საოცარი ენთუზიაზმით ხვდებიან, ჰპირდებიან საკუთარ თავს, ღმერთს, რომ განსხვავებულ ცხოვრებას დაიწყებენ, თუმცა, ამაღლებამდე, ზოგჯერ უფრო ადრეც, ეს დაპირება ავიწყდებათ და ჩვეულ ცხოვრების რიტმს უბრუნდებიან.**

– სანამ უშუალოდ ამაღლების დღესასწაულზე ვისაუბრებდეთ, მინდა, ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ: არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის ნებისმიერი საქციელი მის შინაგან თვისებებზეა დამოკიდებული. თუკი მას ნამდვილად გონიერი, სათნო და სიკეთის მოყვარე სული აქვს, ეს მის ყოველ ნაბიჯში გამოჩნდება: გამოხედვაში, სიარულში, ხმაში, ღიმილში, საუბარსა და სხვებისადმი დამოკიდებულებაში. ასეთ სულში ყველაფერს კეთილსახიერი შეხედულება აქვს და ის გონებას კეტავს ბოროტი და სამარცხვინო ზრახვებისთვის. ჩვენი ცხოვრება წინ, უკეთესობისკენ რომ მიდიოდეს, უნდა ვიზრუნოთ გულის კულტურის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს ადამიანში ადამიანურობის გამოვლენას. ის არა მხოლოდ სიკეთის, სილამაზის მქონეა, რომლითაც დაგვაჯილდოვა შემოქმედმა, არამედ, ამ მარადიული ღირებულებების მთესველიც არის. თუ ადამიანი სხვისგან სამაგიეროს მოელის, ესე იგი, ის პატივმოყვარეობითა და დიდებისმოყვარეობით არის შეპყრობილი. ნუ შეჰპირდებით სხვებს რამეს, თუ მისი შესრულება არ შეგიძლიათ. ნურც უფალს შეჰპირდებით რამეს, რადგან, არ იცით, ხვალ რა მოგელით. თითოეული ადამიანი ნათლობის დროს უფალს აღუთქვამს, რომ ის განეშორება შურს, განკითხვას, სიძულვილს, ანგარებას, მკითხაობას, უსაქმურობას, ყოველივე ბოროტებას და იცხოვრებს ღვთისა და მოყვასის სიყვარულით. ქვეყნის შემოქმედს ადამიანის მხრიდან სხვა პირობა არ სჭირდება, ამ ყველაფრის დაცვა და მიღწევა კი მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით, წირვა-ლოცვებზე დასწრებით, ეკლესიური წესების სწორი დაცვითა და შესრულებით არის შესაძლებელი. ეკლესია ადამიანებს აღდგომიდან ამაღლებამდე ქრისტეს აღდგომის ხარებით ესალმება და, როგორ შეიძლება, ეს სიხარული ერთ დღეში დასრულდეს? ყოველი კვირა აღდგომის თანასწორია, განმეორებაა. ამიტომ, ეს ყველას უნდა ახსოვდეს არა მხოლოდ ორმოცი დღის განმავლობაში, არამედ, მანამ, სანამ ამ ცისქვეშეთში უწევს ცხოვრება.

**– ყველა აღვნიშნავთ ამაღლების დღესასწაულს, მაგრამ, გვიჭირს მისი გააზრება, დაჯერება.**

– „მრწამსში,“ ანუ, სარწმუნოების სიმბოლოში, წერია მაცხოვრის ამაღლების შესახებ: „და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა“. წმიდა ეკლესიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა უწყვეტი მოგონება იმ წმიდა მოვლენებისა, რა მოვლენებიც განვითარდა ქვეყნიერებაზე მოსული განკაცებული ღმერთის ხორციელი ცხოვრების ჟამს: შობა, აღდგომა, ამაღლება. მაცხოვრის ამაღლება არის დღესასწაულთა დღესასწაული, რომელიც მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს გვაუწყებს. ის მოიცავს როგორც ონტოლოგიურ (მოძღვრებას ყოფიერების შესახებ), ასევე, ესქატოლოგიურ (სწავლება უკანასკნელი ჟამის შესახებ) სწავლებას. მაცხოვარი აღდგომიდან მეორმოცე დღეს ამაღლდა – ეს არის მისტიკური ციფრი. 40 წლის განმავლობაში მოგზაურობდა ებრაელი ერი უდაბნოში, 40 დღე იმარხულა მაცხოვარმა, 40 დღე იმარხულა მოსემ. ეს არის ჩვენი სულიერი გამოცდისა და განსწავლის ციფრი. აღდგომიდან 40 დღის შემდეგ გაიყვანა მაცხოვარმა მოციქულები ზეთისხილის მთაზე. მისი ამაღლება მაინცდამაინც ელეონის მთიდან ხდება, იმ მთიდან, სადაც მაცხოვარმა ჯვარცმის წინ ილოცა მთელი კაცობრიობისთვის და, ასევე, საკუთარი თავისთვისაც – ის შესთხოვს უფალს, თუკი შესაძლებელია, მას ეს სასმისი ააცილოს, მაგრამ, არა იმიტომ, რომ მაცხოვარს ეშინია – ის ხომ ბუნებითი ღმერთი იყო, წმიდა სამების მეორე პირი, განკაცებული. როდესაც მაცხოვარი ამაღლდა ზეცად, ის ნელ-ნელა ავიდა მიწიდან ზეცაში, მამის წიაღისკენ და ამით მთელ კაცობრიობას აჩვენა მთავარი მაგალითი: ადამიანის ზეაღსვლა, ანუ სწრაფვა ზეცისკენ, მისი გარდაქმნა ხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი საშუალებით. მაცხოვარი ამაღლებამდე ლოცულობს, აკურთხებს მოციქულებს, დალოცავს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ამაღლებას. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყველა ადამიანი მხოლოდ მაშინ მაღლდება, ანუ, სულიერი ცხოვრებით განიცდის ამაღლებას, ფერისცვალებას, როდესაც ის სულიერ მოღვაწეობას იწყებს ლოცვითა და კურთხევით. ამის გარეშე არაფერი ხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, მაცხოვარმა აღდგომით გამოიხსნა ადამიანები, მაგრამ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, უფალთან ბოლომდე შერიგება, კაცობრიობის სულიერი განვითარება მხოლოდ ამაღლების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამიტომ, მაცხოვარმა თავისი ამაღლებით აღდგომაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ მოიმოქმედა: რომ არა მაცხოვრის ამაღლება, მოციქულებისთვის დაპირებული კაცობრიობის ნუგეშისცემა, მაშინ ადამიანების გამოხსნის საქმეც არ იქნებოდა დაგვირგვინებული, ბოლომდე მიყვანილი. გავიხსენოთ ძველი აღთქმის წმიდანი ილია თეზბიტელი, რომელიც ამაღლდა, მაგრამ, მისი ამაღლება მაცხოვრის ამაღლებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა – მას ამაღლებაში ეხმარებოდნენ ქერუბიმები და სერაფიმები, რომლებიც უფალმა მოუვლინა, ხოლო მაცხოვარი თავისი ღვთაებრივი ძალით, ენერგიებით იწყებს ამაღლებას. ამით უფალმა დაგვიტოვა მაგალითი იმისა, რომ ყველა ადამიანი ლოცვით, სწორი სულიერი ცხოვრებით, მაცხოვართან ერთად იწყებს ამაღლებას. როგორც მაცხოვარი ამაღლდა, ისევე ამაღლდება ადამიანიც.

> **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინ მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი მოვა ქრისტესმტყუვრის სახით. ისინი იტყვიან: „მე ვარ იესო ქრისტე“; გამოვლენ ტელევიზიით, პრესით, საჯარო თავშეყრის ადგილებში და მრავალ ადამიანს აცდუნებენ**

**– და, სწორედ ამ დღეს მიანიჭა მაცხოვარმა მოციქულებს სამღვდელო მადლი.**

– დიახ, როდესაც მაცხოვარმა მოციქულები აიყვანა ელეონის მთაზე, დაასხა ხელი, მიჰბერა მათ სულიწმიდა, ანუ სამღვდელო მადლი და უთხრა: ვისაც მიუტევებთ ცოდვებს – მიეტევებათ, ვისაც არ მიუტევებთ – არ მიეტევებათო. ანუ, ცოდვის მიტევება-არმიტევების ხელმწიფება იესო ქრისტემ მისცა მოციქულებს, სამოციქულო ეკლესიის წიაღს და ამით არის მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღმატებული ყველა სხვა ეკლესიასა და კონფესიაზე. ცოდვების მიტევება-არმიტევება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში. სხვა ეკლესიები ამ ძალაუფლებას არ ფლობენ, რადგან, ისინი გამოეყვნენ, განუდგნენ მართლმადიდებელ დედაეკლესიას. როდესაც მაცხოვარი ელეონის მთაზე ამაღლდა, მოციქულები უყურებდნენ ქვევიდან ზევით და მათ ეჩვენათ ორი ადამიანი სპეტაკი სამოსით. ბუნებრივია, აქ ლაპარაკია ანგელოზების სიწმიდეზე, რომლებმაც უთხრეს: „კაცნო, გალილეველნო, რატომ იყურებით ზეცად? ეს არის იესო, რომელიც ამაღლდა თქვენდა და რომელსაც ასევე იხილავთ ზეცად მომავალს“. როგორც მოციქულებმა იხილეს, როგორ ამაღლდა მაცხოვარი ზეცად, ასევე, მთელი კაცობრიობა იხილავს მაცხოვრის მეორედ მობრძანებას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინ მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი მოვა ქრისტესმტყუვრის სახით. ისინი იტყვიან: „მე ვარ იესო ქრისტე“; გამოვლენ ტელევიზიით, პრესით, საჯარო თავშეყრის ადგილებში და მრავალ ადამიანს აცდუნებენ. ამიტომ გაგვაფრთხილა ეკლესიამ, რომ, როგორც მოციქულებმა იხილეს ხილული ქვეყნიდან ზეცად აღმავალი მაცხოვარი, ასევე, ყველა ადამიანი იხილავს ზეციდან მის დაბრუნებას.

**ნათია უტიაშვილი**

# უფლის სასწაულები

### მადლმოსილი საღმრთო ცეცხლის გარდამოსვლა

მადლმოსილი საღმრთო ცეცხლის გარდამოსვლა უფლის საფლავზე, რაც ყოველწლიურად აღესრულება აღდგომის დღესასწაულის წინა დღეს, დიდ შაბათს, არის უდიდესი სასწაული, რომლის მოწმეც ყოველწლიურად ასობით ადამიანია, მათ შორის ჩვენი თანამემამულენიც. ამასთან, საყოველთაოდ აღიარებული და დადასტურებულია ის ფაქტი, რომ საღმრთო ცეცხლი მხოლოდ მაშინ გარდამოხდება ხოლმე, როცა უფლის საფლავზე აღმართულ სალოცავში მართლმადიდებელი პატრიარქი შედის აღდგომის წინა დღეს – დიდ შაბათს ძველი სტილით – მართლმადიდებლური, იულიანური კალენდრით. ამ დროს პატრიარქს ხელში აუნთებელი სანთლები უკავია. მას არც ასანთი აქვს და არც სანთებელა – ამისთვის საგანგებოდ ამოწმებენ ხოლმე სამლოცველოში შესვლის წინ. შემდეგ იწყება მხურვალე ლოცვა-ვედრება. და აი, ზეციდან მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის, პატრიარქის ხელში სასწაულებრივად ინთება სანთლები და იგი უსაზღვრო სიხარულით აღსავსე, ანთებული სანთლებით გამოდის მორწმუნეებთან. ცეცხლი მაშინვე ყველას გადაეცემა, ამასთან, სულაც არ არის საჭირო სანთლების ერთმანეთზე შეხება, ანდა ძალზე მიახლოება.

### თაბორის მთაზე ყოველწლიურად გამოჩენილი ღრუბელი

ამ შემთხვევაშიც, უფლის ფერისცვალების დღეს, კვლავაც ძველი – მართლმადიდებლური სტილით, სრულიად მოწმენდილ ცაზეც კი უსათუოდ გამოჩნდება ღრუბელი და თაბორის მთას ადგას მთელი დღესასწაულის განმავლობაში. როგორც ცნობილია, ფერიცვალებულ უფალს, რომელიც ღვთაებრივი ნათელით გაბრწყინდა იქ, ღრუბელი დაადგა თავს, რადგან ამ საღვთო ნათელმა თვალნი დაუბრმავა მოციქულებს – პეტრეს, იაკობსა და იოანეს.

### მირონმდინარე ივერიის ღვთისმშობლის ხატი

კანადაში იმყოფებოდა მართლმადიდებელი ქრისტიანის მიერ ათონის წმიდა მთიდან გადასვენებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი, რომელსაც მირონი სდიოდა ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ხელთაგან.

მირონის დენა წყდებოდა მხოლოდ ვნების კვირაში (ეს სასწაულიც აღესრულებოდა ისევ და ისევ ძველი სტილით – იულიანური კალენდრის მიხედვით) და აღდგომის შემდეგ კვლავ განახლდებოდა (1997 წელს ამ ხატის მცველი იოსებ მუნიოსი მოკლეს და თვით ხატი გაიტაცეს).

### წმიდა ჯვრის გამოცხადება

ათენის მახლობლად, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, 1925 წლის 14 სექტემბერს (იულიანური კალენდრით) ცაზე მოხდა წმიდა ჯვრის სასწაულებრივი გამოცხადება.

**„საქართველო მეორედ მოსვლის წინ"**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მშობიარობის შიშის გამო ჩემმა ორსულმა დამ გადაწყვიტა, საკეისრო გაიკეთოს. როგორ უყურებს ამ საკითხს ეკლესია?**

**პასუხი:** ოპერაციული ჩარევა ეკლესიურად მიუღებელი არ არის, თუმცა, გასარკვევია, ასეთი ჩარევა გამოწვეულია უსაფუძვლო შიშის გამო თუ პათოლოგიური ჩვენებებით. ცხადია, უმჯობესი იქნება, მშობიარობა ფიზიოლოგიური გზით მოხდეს, ანუ ისე, როგორც უფალმა დააწესა.

**კითხვა: ჩემი მეგობარი ერთ-ერთ სექტაში მოხვდა. გულით მინდა მისი დახმარება, მაგრამ, ვერაფრით ვეხმარები – არაფრის გაგონება არ უნდა. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ეცადეთ, არ შეწყვიტოთ მეგობრობა მასთან; პირიქით, თქვენი ზრუნვა, ყურადღება, სიყვარული, ლოცვა მისი სულის გადარჩენისთვის, დაეხმარება თქვენს მეგობარს რწმენის ჭეშმარიტი ნათელისა და ეკლესიის მადლმოსილების დანახვაში.

**კითხვა: ხშირად გამიგია, გაბრაზებულ ადამიანს უთქვამს თავის შეურაცხმყოფელზე: ღმერთი გადაუხდის სამაგიეროსო. სწორია ასეთი საქციელი?**

**პასუხი:** ღმერთს ნუ სთხოვთ შეურაცხმყოფლის დასჯას, ნუ ისურვებთ სხვათათვის იმას, რასაც საკუთარი თავისთვის არ ისურვებდით. თუ ვინმე გაწყენინებთ, მიენდეთ უფლის ბრძნულ განგებას – მან უკეთ იცის, როგორ მიაგოს მწყენინებლებს.

**კითხვა: ამაღლდა თუ არა ქრისტე ხორციელი ბუნებითაც?**



**პასუხი:** დიახ, მაცხოვარი ხორციელი ბუნებითაც ამაღლდა – ამაშია მთელი დიდება უფლისა – კაცი განღმრთო. ღმერთმა ადამიანური ბუნება ზეცაში აიტანა, ადამიანი მარადიულად აქცია – ეს არის ამაღლებისა და აღდგომის მთელი საიდუმლო, თორემ, ღმერთი ისედაც უკვდავია. ქრისტეს ამაღლება ადამიანური ბუნების ამაღლებაა. წმინდა სამებაში ადამიანური ბუნებაც მოიაზრება.

# მამათა შეგონებანი

**დიდმოწამე ვლადიმირი:** აღმზრდელის ძირითადი მისიაა არა მარტო ცუდის დათრგუნვა, იგი უნდა ეცადოს კარგი ჩანერგოს აღსაზრდელის გულში. თვით წმიდა წერილი გვასწავლის, რომ ბავშვს ადრეული ასაკიდანვე ზნეობრიობას უნდა ვუნერგავდეთ. თუ მოზარდმა აირჩია საკუთარი გზა, იგი ამ გზიდან არ გადაუხვევს სიბერემდე. ქრისტიანი მშობლები უნდა ცდილობდნენ, რომ თავიანთი შვილების მცირე ნაკლიც კი არ გამოეპაროთ, რათა შემდეგ ის არ გადაიზარდოს უფრო დიდ სიმახინჯეში, რომლის დათრგუნვაც უკვე მოზარდ ასაკში ძნელი იქნება. მიაჩვიეთ თქვენი ბავშვები ადრეული ასაკიდან ლოცვას, ღვთის სიყვარულს, გულახდილობას, მოთმინებას, თავდადებას, იცოდეთ, რომ ჩვენი ბავშვები თავიდან ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებლად აკეთებენ სიკეთეს, მოზრდილ ასაკში კი უკვე შეგნებულად გააგრძელებენ ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩვეულებად ქცეულ სიკეთის ქმნას.

**არქიმანდრიტი რაფაელი:** ადამიანი მოწყობილობას ჰგავს მბრუნავი დისკოთ: დისკის ცენტრი – ღმერთია, დანარჩენი კი – სამშვინველი, რომელიც გამუდმებით იცვლება, მასში არაფერია მდგრადი და მუდმივი, ის ყოველ წამს რაღაც სხვაგვარი ხდება. ამიტომ ადამიანს, რომელიც გულს სხვა ადამიანს უძღვნის, ავიწყდება, თავისი ბუნებით რისკენ უნდა ისწრაფოდეს და საკუთარ თავს იმედგაცრუებისა და ტანჯვისთვის სწირავს. ის თითქოსდა ბარტყებს კატას უგდებს რბილ თათებში, რომელიც შემდგომ ბრჭყალებს აჩენს და მსხვერპლს სხეულში ასობს. წინასწარმეტყველმა თქვა: „წყეულია კაცზედ მსასოებელი. ჩვენი გული მხოლოდ ღმერთს უნდა ეკუთვნოდეს, სხვაგვარად დავკარგავთ ღმერთსაც და გულსაც.

**ალექსი ბერი:** ამპარტავნებასაც აქვს განრჩევა თითოეულ კაცში, ზოგი ორთა შუა დგას. რასაკვირველია, აქვს ამპარტავნება, მაგრამ ამასთანავე გრძნობს თავის სიამაყეს, ცნობილობს ამგვარი ხასიათის უშვერებას, ცდილობს, სიმდაბლის გზით ზიზღით განიკითხოს თავის გულის ზვავი თვისება, წუხს და ნანობს. ხოლო არის ისეთი ამპარტავანი, რომელიც მის სიამაყეს საზღვარს არ უდებს, არა აქვს თავის განკითხვა, სრულიად არ ეკარება მას სიმდაბლის ფიქრები, უკადრისობს, თავმოწონებას და დიდ რამედ თავის წარმოდგენას ისე შთაუნთქავს, რომ მისი ბუნებური სისაწყლე და სიგლახაკე ყოვლადვე დავიწყებია და სხვა არსება, რაღაც ცად ამაღლებული ჰგონია თავის თავი. პირველი ადამიანური თვისების სასწორზე დგას და მუშაკია სათნოებისა, ხოლო მეორე ცალმხრივად დამძიმებულა, სწორი მისი ერთ მხარედ ჩაძირულია ქვესკნელად და მას ჰგონია თავის თავი ზეაღფრენილ ყოველ კაცთა უმაღლესად. ესე ვითარი მუშაკი არს საცთურებისა სიბოროტისა; ყოველ ჟამს მოსალოდნელია მის თავზე საფრთხე დასაღუპავი ამპარტავნების საყვარელ ძისაგან, რომელ არს მრისხანება.

# ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი „როლან გაროსის“ არსებობის ისტორიაში და რამდენჯერ იზეიმა გამარჯვება პარიზულ კორტებზე ესპანელმა რაფაელ ნადალმა

*საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში უდიდესი მოვლენაა მსოფლიოო საჩოგბურთო სამყაროში. ტურნირი ამჟამად აქტიურ ფაზაშია შესული და სულ მალე, „როლან გაროსის“ ახალი ჩემპიონის სახელი გახდება ცნობილი. მანამდე კი გავიხსენოთ ყველაზე დასამახსოვრებელი და კაშკაშა ტრიუმფატორები.*

**„მუშკეტერები“ (1922, 1924-1932)**

1895-1904 წლების პერიოდში მსოფლიოს მოევლინა ფრანგი ჩოგბურთელების ოთხეული, რომლებიც მოგვიანებით ჩოგბურთის ისტორიის ნაწილი გახდნენ. 1895 წლის 11 მაისს დაიბადა ჟაკ ბრიუნონი, უბადლო მოთამაშე წყვილთა თანრიგში, რომელმაც „დიდი სლემის“ 10 ტიტული მოიგო, მათ შორის „როლან გაროსი“ ხუთჯერ – 1927, 1928, 1930, 1932 და 1934 წლებში. ანრი კოშე და ჟან ბოროტრა მოგვიანებით, 1898 წლის 13 აგვისტოს და 1901 წლის 14 დეკემბერს დაიბადნენ. ჟანი ორჯერ გახდა „როლან გაროსის“ ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში – 1924 და 1931 წლებში. თუმცა, მას „დიდი სლემის“ მხოლოდ ერთი ტიტული ეთვლება აქტივში, რადგან უცხოელი მოთამაშეები საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე მხოლოდ 1925 წლის შემდეგ დაუშვეს. „დიდი სლემის“ ოფიციალური ათვლაც, სწორედ ამ წლიდან მიმდინარეობს. კოშე კი ოთხჯერ გახდა „როლან გაროსის“ ტრიუმფატორი – 1926, 1928, 1930 და 1932 წლებში. 1904 წლის 2 ივლისს დაიბადა რენე ლაკოსტი, რომელმაც 1925, 1927 და 1929 წლებში გაიმარჯვა პარიზის კორტებზე. 1924-დან 1932 წლამდე „როლან გაროსზე“ მხოლოდ ფრანგები იმარჯვებდნენ, რომელთაც მსოფლიომ „მუშკეტერები“ უწოდა. ცნობისთვის, სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, რენე ლაკოსტმა სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა დააარსა, რომელსაც ჩვენ „ლაკოსტის“ სახელით ვიცნობთ.

**როდ ლეივერი (1962, 1969)**

ლეგენდარული როდ ლეივერი პირველი ჩოგბურთელია, რომელმაც „დიდი სლემის“ შეგროვება მოახერხა ერთეულთა თანრიგში. მან ორჯერ მოიგო „როლან გაროსი“, ისევე როგორც „დიდი სლემი“. 1962 წლის გამარჯვების შემდეგ როდი პროფესიულ ჩოგბურთში გადავიდა. მაშინდელი წესების თანახმად, „დიდი სლემის“ ტურნირებზე მხოლოდ მოყვარულები დაიშვებოდნენ და მხოლოდ 1968 წელს, „საზღვრების“ გახსნის შემდეგ დაბრუნდა როდი „როლან გაროსზე“, სადაც პირველივე ჯერზე გამარჯვება იზეიმა, ისევე, როგორც „დიდი სლემის“ დანარჩენ სამ ტურნირზე.

**ბიორნ ბორგი (1974, 1975, 1978-1981)**

ბიორნ ბორგი პარიზული კორტის ნამდვილი ლეგენდაა. შვედმა პირველად 1973 წელს იასპარეზა „როლან გაროსზე“, 1974 წელს კი თავის მე-18 დაბადების დღე გამარჯვებით აღნიშნა. ბორგმა ზედიზედ ოთხჯერ მოიგო „როლან გაროსი“ და ამ რეკორდის განმეორება მხოლოდ რაფაელ ნადალმა მოახერხა. სხვა



მხრივ, ბორგის რეკორდი ჯერაც არავის მოუხსნია. მიუხედავად იმისა, რომ ბორგის კარიერა 1980-იან წლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა, იგი პარიზში აღარ დაბრუნებულა და ჩემპიონის რანგში დაასრულა კარიერა.

**მატს ვილანდერი (1982, 1985, 1988)**

უცნობია, გახდებოდა თუ არა მატს ვილანდერი „როლან გაროსის“ ჩემპიონი, ბიორნ ბორგს კარიერა ნაადრევად რომ არ დაესრულებინა. 1982 წელს ვილანდერი 17 წლის ასაკში გახდა ჩემპიონი და საკუთარი სახელი სამუდამოდ ჩაწერა ტურნირის არსებობის ისტორიაში. ვილანდერმა კიდევ ორჯერ გაიმარჯვა პარიზულ კორტებზე და მაშინდელი ჩოგბურთის ტიტანები – ჯონ მაკინროი და ივან ლენდლი დაამარცხა. გარდა ამისა, ვილანდერის ბრძოლა მოუწია ჯერ კიდევ უწვერულ, 18 წლის ანდრე აგასისთან, რომელსაც ახალი დაწყებული ჰქონდა გზა საჩოგბურთო ოლიმპისკენ.

**ივან ლენდლი (1984, 1986, 1987)**

ლენდლი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ფინალების ყველაზე უიღბლო მონაწილედ. პირველ მოგებამდე მან ოთხჯერ იასპარეზა „დიდი სლემის“ გათამაშების ფინალში, მათ შორის ერთხელ „როლან გაროსზე“ და ოთხივეჯერ მარცხი განიცადა. ის ისე გახდა პირველი ჩოგანი, რომ მოგებული არ ჰქონდა არც ერთი დიდი ტიტული. მხოლოდ 1984 წელს მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა. შემდგომში ლენდლმა კიდევ ორჯერ მოიგო „როლან გაროსი“ და ქომაგებმა მას „ივანე მრისხანე“ შეარქვეს.

**მაიკლ ჩანგი (1989)**

ამერიკელი მაიკლ ჩანგი ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელმაც მხოლოდ ერთი ტიტულის მოგება მოახერხა „დიდი სლემის“ გათამაშებებიდან და მაინც მოახერხა ისტორიაში შესვლა. ის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონია ტურნირის არსებობის ისტორიაში. ფინალის მოგების დღეს ჩანგი 17 წლის და 110 დღის იყო. ჩანგი 1995 წელსაც გავიდა „როლან გაროსის“ ფინალში, თუმცა თომას მუსტერთან გამკლავება ვერ მოახერხა და დამარცხდა.

**ჯიმ კურიე (1991, 1992)**

კარიერის განმავლობაში ამერიკელმა ჯიმ კურიემ არაერთ წარმატებას მიაღწია. ერთი წელი პირველი ჩოგანის ტიტულს ფლობდა, გაიმარჯვა „დიდი სლემის“ ოთხ ტურნირზე, მათ შორის ორჯერ „როლან გაროსზე“. თუმცა საყოველთაო სიყვარულის მოპოვება კურიეს გაუჭირდა, რადგან პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის ეპოქაში ასპარეზობდა. კურიე მუდამ ამ ორი ჩოგბურთელის ჩრდილქვეშ იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრის აზრით, უდიდესი სპორტსმენი გახლდათ.

**ევგენი კაფელნიკოვი (1996)**

ევგენი კაფლენიკოვი პირველი რუსი ჩოგბურთელია, რომელმაც მოახერხა „დიდი სლემის“ ტურნირზე გამარჯვება. თავის ტრიუმფალურ წელს კაფელნიკოვმა არაერთი სახელოვანი ჩოგბურთელი გამოთიშა ტურნირიდან, მათ შორის მაშინ უძლეველი პიტ სამპრასი, ხოლო ფინალში ორსაათ-ნახევრიან დაპირისპირებაში, გერმანელი მიხაელ შტიხი დაამარცხა და სანუკვარ ჯილდოს დაეუფლა. კაფელნიკოვის შემდგომი მსვლელობა „როლან გაროსზე“ კი ბრაზილიურ „კედელს“ შეეჯახა, სახელად გუსტავო კუერტენს.

**გუსტავო კუერტენი (1997, 2000, 2001)**

გუგა, როგორც მას ქომაგები უწოდებდნენ, ნამდვილი საჩოგბურთო გენია იყო. იგი 1997 წელს გამოჩნდა დიდ ჩოგბურთში და 20 წლის ასაკში მოახერხა გამარჯვება „დიდი სლემის“ პარიზულ გათამაშებაში. კუერტენი ტოპ-50-ის წევრიც კი არ იყო, როდესაც „როლან გაროსის“ სამი გამარჯვებული დაამარცხა – ევგენი კაფელნიკოვი, თომას მუსტერი და სერხი ბრუგერა. 2000 და 2001 წლებში კუერტენმა კიდევ ორჯერ მოიგო „როლან გაროსი“ და საკუთარი სახელი სამუდამოდ ჩაწერა ტურნირის ისტორიაში.

**ანდრე აგასი (1999)**

1995 წლისთვის ანდრე აგასის „დიდი სლემის“ ყველა გათამაშება ჰქონდა მოგებული „როლან გაროსის“ გარდა. მანამდე სამჯერ იყო ფინალში, თუმცა სამივეჯერ დამარცხდა. 1997 წელს აგასის კარიერაში დაღმასვლა დაიწყო. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის მოახერხებდა, ფენიქსივით ფერფლიდან აღდგებოდა და პირველი ჩოგანის ტიტულს დაიბრუნებდა, მათ შორის „როლან გაროსზეც“ გამარჯვებდა, მისთვის აუღებელი მწვერვალი რომ იყო. აგასი მეორე ჩოგბურთელი გახდა როდ ლეივერის შემდეგ, რომელმაც „დიდი სლემის“ ყველა ტურნირის მოგება მოახერხა. ოცდამეერთე საუკუნეში ეს მიღწევა როჯერ ფედერერმა და რაფაელ ნადალმა გაიმეორეს.

**რაფაელ ნადალი (2005-2008, 2009-2012)**

რაფაელ ნადალისთვის „როლან გაროსის“ გრუნტი მშობლიურია. მან ყველა გათამაშებაში



გაიმარჯვა 2009 წლის გარდა და უმეტეს შემთხვევაში, მისი მეტოქე ფინალში შვეიცარიელი როჯერ ფედერერი იყო. ფედერერი წელსაც ფავორიტად მიიჩნევა ტურნირზე.

**როჯერ ფედერერი (2009)**

ანდრე აგასის მსგავსად, როჯერ ფედერერისთვისაც „როლან გაროსი“ აუღებელი ციხესიმაგრე იყო 2009 წლამდე. იმ წელს რაფაელ ნადალმა ვერ



ივარგა და „მხიარულმა როჯერმა“ შანსი გამოიყენა. როჯერი, რაფაელის მსგავსად, „დიდი სლემის“ გათამაშების ყველა ტურნირის გამარჯვებული და 2013 წლის „როლან გაროსის“ ერთ-ერთი ფავორიტია.

# მაიკლ ფელპსის სექსუალური მეგობარი



ოლიმპიურ რეკორდსმენს ცურვაში, ამერიკელ მაიკლ ფელპსს ახალი მეგობარი გოგონა ჰყავს. 22 წლის სარა ჰერნდონი ოფიციანტად მუშაობს და ოლიმპიური ჩემპიონი მექსიკაში, კურორტ კაბო-სან-ლუკასზე დასვენების დროს გაიცნო. ამერიკული ბულვარული პრესა იუწყება, რომ ფელპსისა და ჰერნდონის რომანი ნელ-ნელა „ყვითელი პრესის" საყვარელ თემად იქცევა. „მაიკლი სასიამოვნო და სიმპათიურია. ის ნამდვილი ჯენტლმენია, კარგად იცის ტუჩებში კოცნა და ძალიან ტკბილია," – ასე დაახასიათა თავისი შეყვარებული სარამ, რომელიც ასევე, მოდელობასაც ითავსებს.

# სერგეი ბუბკა პრეზიდენტობისთვის ემზადება

ლეგენდარული უკრაინელი სპორტსმენი, ჭოკით ხტომაში მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი ბუბკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას იწყებს. 30 მსოფლიო რეკორდის ავტორმა ბუბკამ უკვე აცნობა თავისი გადაწყვეტილების შესახებ სოკ-ის ჯერაც მოქმედ პრეზიდენტს, 71 წლის ბელგიელ ჟაკ როგეს. ამჟამად 49 წლის ბუბკას უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობა უკავია, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები სექტემბერში გაიმართება და პრესტიჟული თანამდებობისთვის ბრძოლას აპირებენ: თომას ბაჰი (გერმანია), ნგ სერ მიანგი (სინგაპური), ჩინ კუო ვუ (ტაივანი), რიჩარდ კარიონი (პუერტო-რიკო) და დენის ოსვალდი (შვეიცარია).

# რონალდუ და რიანა



მადრიდის „რეალისა" და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ მშობლიურ ლისაბონში იმყოფებოდა პირად საქმეებზე – პარალელურად, არ გაუშვა შანსი და ამერიკელი პოპ-ვარსკვლავის, რიანას კონცერტსაც დაესწრო. კონცერტის დასრულების შემდეგ ფეხბურთელი და მომღერალი ერთმანეთს კულისებში შეხვდნენ და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს. ცნობილია, რომ რონალდუ კონცერტების დიდი მოყვარულია და მადრიდში ხშირად ესწრება მსგავს ღონისძიებებს. ცნობისთვის, რამდენიმე ხნის წინ „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა საჯაროდ განაცხადა, რომ კრიშტიანუ რონალდუს სამეფო კლუბი ერთ მილიარდ ევროდაც არ გაყიდის სხვა კლუბზე. ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ მადრიდული სუპერკლუბის მთავარი მწვრთნელობის ორი რეალური კანდიდატი სახელდება – გერმანელი იუპ ჰაინკესი და იტალიელი კარლო ანჩელოტი.

# ბრაკონიერი ვალუევი

ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს კრივში და ამჟამინდელ რუსეთის დუმის დეპუტატს ნიკოლაი ვალუევს ბრაკონიერობაში სდებენ ბრალს. საკუთარ ბლოგზე ვალუევმა არხანგელსკის ოლქში ნადირობისას გადაღებული ფოტოები აჰვირთა, სადაც ის მოკლულ დათვთან ერთად არის გადაღებული. აღმოჩნდა, რომ იმ პერიოდში ვალუევს არ ჰქონდა უფლება, ენადირა დათვზე და მხოლოდ იხვებზე ნადირობის ნებართვა ჰქონდა. არხანგელსკის პროკურატურაში უკვე აღიძრა საქმე ბრაკონიერობის მუხლით და სავარაუდოდ, მძიმეწონოსან ვალუევს დიდძალი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

# პორნოვარსკვლავი და კრივი



ცნობილი ამერიკელი პორნოვარსკვლავი საშა გრეი რუსეთის ქალაქებში მოგზაურობს და თავისთვის საინტერესო ადამიანებს ხვდება. ქალაქ ეკატერინბურგში ყოფნის დროს საშა ცნობილ რუსი მოკრივისა და ამჟამად მძიმეწონოსანი ჩემპიონის, ალექსანდრ პოვეტკინის მწვრთნელს, კოსტია ცზიუს შეხვდა. შეხვედრა რესტორანში შედგა, საშამ კოსტიას ხელთათმანები მოირგო და ასე პოზირებდა ფოტოობიექტივების წინ. მოგვიანებით კი, სახელოვან მოკრივეს ავტოგრაფიც გამოართვა. საშა გრეი ამერიკული პორნოინდუსტრიის ვარსკვლავია, რომელმაც რამდენიმე წლის წინ პორნოკარიერა დაასრულა და ამჟამად მოდელობითა და სიმღერების ჩაწერით არის დაკავებული.

# ბექჰემი ფეხბურთის გუნდს აკეთებს

ინგლისელმა დევიდ ბექჰემმა სპორტული კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, როგორც ჩანს, ფეხბურთში დარჩენას აპირებს და ამერიკის ჩემპიონატ „MLS-ში" ახალი გუნდის გაკეთებას გეგმავს. „ლოს-ანჯელეს გელექსის" ვარსკვლავს ახალი კლუბის შექმნა 25 მილიონი დოლარი დაუჯდება და სავარაუდოდ, 2015 წლიდან ჩაერთვება ის ჩემპიონატში. ბექჰემის გადაწყვეტილებით, კლუბი ბინას მაიამიში დაიდებს, თუმცა განიხილება კიდევ რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ატლანტა, სან-ანტონიო და სან-დიეგო. საბოლოო გადაწყვეტილებას და კლუბისთვის სახელწოდების შერჩევას დევიდ ბექჰემი ევროპაში ახალი სეზონის დაწყებამდე გეგმავს.

# მთავარი მწვრთნელი – რობერტო კარლოსი

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი, „რეალის" ბრაზილიელი ექსფეხბურთელი და ამჟამად მახაჩკალის „ანჟის" სპორტული დირექტორი, ბრაზილიელი რობერტო კარლოსი მომავალი სეზონიდან თურქული „სივასპორის" მთავარი მწვრთნელი იქნება. მხარეებმა უკვე გააფორმეს კონტრაქტი და 2013 წლის სექტემბრიდან კარლოსი ორი წლის განმავლობაში თურქეთის ჩემპიონატში მოედანზე გაიყვანს გუნდს. დიდი ფეხბურთიდან რობერტო კარლოსი 2012 წლის დასაწყისში წავიდა და ცოტა ხანს „ანჟის" მოთამაშე-მწვრთნელად იმუშავა. შემდეგში მან არაერთხელ გამოთქვა სურვილი, რომ მწვრთნელი გამხდარიყო და როგორც ჩანს, „სივასპორის" ხელმძღვანელობამ ლეგენდარულ ფეხბურთელს ოცნება აუსრულა.

# ჭიდაობის ბედი ბუენოს-აირესში გადაწყდება

2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მოსახვედრი სპორტის სახეობათა რაოდენობა სამამდე შემცირდა. ჭიდაობა, სქვოში და სოფტბოლი – სპორტის ამ სამი სახეობიდან 2013 წლის სექტემბერში ბუენოს-აირესში დაგეგმილ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე აირჩევა ერთი, რომელიც მოხვდება თამაშების ოფიციალურ პროგრამაში. სანკტ-პეტერბურგში გამართულ სოკ-ის შეკრებაზე სამი კანდიდატის შერჩევის პარალელურად, გადაწყდა, რომ ჯერჯერობით კლდეზე ცოცვა, ვეიკბორდინგი, კარატე, უშუ და გორგოლაჭებზე სრიალი არ განიხილება სპორტის ოლიმპიურ სახეობებად.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ორგანიზმში ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლა ძალიან საშიშია

სისხლის მიმოქცევის სისტემას ორგანიზმის აუცილებელი ნივთიერებებით მომარაგება აკისრია. არტერიების საშუალებით ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები ყველა ორგანოსა და ქსოვილს მიეწოდება, ვენების საშუალებით კი, მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტები გამოიდევნება. თუმცა, სისხლს ყველა არასასურველი ნივთიერება როდი გამოაქვს. შედარებით მავნე ნივთიერებების უვნებელყოფა და ორგანიზმის მათგან გათავისუფლება ლიმფური სისტემის წყალობით ხდება. სწორედ ამ სისტემაში იყრის თავს ყველა ტოქსინი, ვირუსი, მიკრობი, უჯრედთა დაშლის პროდუქტები და ასე შემდეგ.

ლიმფური სისტემის ფუნქციის შეფერხების გამო, ორგანიზმში უსიამოვნო ძვრები იწყება, კერძოდ, ფერხდება ნივთიერებათა ცვლა, მცირდება ენერგიის ხარჯვა, მკაცრი დიეტის დროსაც კი, ადამიანი თითქმის არ იკლებს წონაში. ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლა მხოლოდ ინტოქსიკაციითა და შეშუპებით როდი ვლინდება. ამ სისტემას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია იმუნიტეტის წინაშე – ორგანიზმში მოხვედრილი მიკრობები ლიმფურ კვანძებში გადაიტანება, სადაც მათი უვნებელყოფა ხდება. ამიტომ, ლიმფური სისტემის ფუნქციის მოშლისას, უმნიშვნელო ოფიცირებაც კი დაავადების განვითარებით მთავრდება.

იმუნიტეტის გაძლიერება ლიმფური სისტემის მწყობრში მოყვანის გარეშე, წარმოუდგენელია. თუ მისი ფუნქციის ნორმალიზებაზე იზრუნებთ, ხელოვნური იმუნოსტიმულატორების გამოყენება აღარ დაგჭირდებათ. თქვენი გარეგნული ხიბლი, შრომისუნარიანობა, წონა, სექსუალურობა და გუნება-განწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიედინება თქვენს ორგანიზმში ლიმფა.

ძარღვებში სისხლი წნევით გადაადგილდება. მის მოძრაობას გულის ტუმბოსებრი მუშაობა უზრუნველყოფს. ლიმფურ სისტემას, სისხლძარღვთა სისტემისგან განსხვავებით, ასეთი ტუმბო არ გააჩნია. ლიმფა ლიმფურ ძარღვებში ამ უკანასკნელთა კედლის სუსტი შეკუმშვისა და ადამიანის კუნთების ზოგადი აქტივობის წყალობით მოძრაობს. ასაკთან ერთად, კუნთების აქტივობა თანდათან მცირდება, ძარღვების ტონუსიც იკლებს და ლიმფას კაპილარებში გადაადგილება უფრო და უფრო უჭირს. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ სისხლის დაბალი წნევის გამო, უმცირესი ლიმფოკაპილარები იოლად იჭყლიტება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი ვერ გრძნობს კუნთებში, ქსოვილებსა და მყესებში განვითარებულ მიკროსპაზმებს, რომლებიც ლიმფის მოძრაობას აუარესებს. ამ მიკროსპაზმის განვითარებას ხელს უწყობს ფსიქოემოციური დაძაბულობა.

იმისთვის, რომ ლიმფამ ორგანიზმში თავისუფლად იმოძრაოს, აუცილებელია ფიზიკური აქტივობა, ყოველდღიურად კონტრასტული შხაპის მიღება, რადგან ეს ყოველივე აკაჟებს ძარღვებს და აადვილებს შეკუმშვა-მოდუნებას, ანუ რელაქსაციას. ყველაზე კარგი და სასარგებლო კი ცურვაა, რადგან ის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და კუნთებს ტონუსს ჰმატებს, რაც ააქტიურებს ლიმფური სისტემის ფუნქციას; არ აძლევს წიდებს დაგროვების საშუალებას და ადამიანიც თავს გაცილებით მხნედ და ჯანმრთელად გრძნობს.

## ოსტეოართრიტის ტკივილებს ნიახურის ფესვები ამებს

მადეფორმირებელი ოსტეოართრიტი მძიმე დაავადებაა, რომელსაც დაზიანებული სახსრის აუტანელი ტკივილი სდევს თან.

მკურნალობა ძირითადად ტკივილის გაყუჩებისას, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგების, წონის დაკლებისა და დაზიანებული სახსრის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

ხალხურ მედიცინაში არსებობს რეცეპტი, რომელიც მადეფორმირებელი ოსტეოართრიტის დროს გამოიყენება. კერძოდ: აურიეთ ერთმანეთში თანაბარი რაოდენობით ნიახურის ძირების წვენი და თაფლი. ნარევი შეინახეთ მაცივარში. კარგად შეანჯღრიეთ. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

მკურნალობის კურსი ერთ თვეს მოიცავს. ასევე, გაიმეორეთ კურსი ხშირ-ხშირად. ამ ნაყენს აქვს ტკივილგამაყუჩებელი თვისება და ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებას უწყობს ხელს.

ნიახურის ფესვი დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს, სახამებელს, $B_1$, $B_2$, PP და C ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, ამინომჟავებს. აქვს ანტიალერგიული, ტკივილგამაყუჩებელი თვისება, ასტიმულირებს თირკმელების მუშაობას, აძლიერებს სასქესო ორგანოების სისხლმომარაგებას, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას.

## ოფლიანობას ხალხური მედიცინით უმკურნალეთ

მუხის ქერქი გამოიყენება ოფლიანობის საწინააღმდეგოდ: აიღეთ 50 გრამი წმინდად დანაყილი მუხის ქერქი, დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ ამ ნახარშით მოიბანეთ ის ადგილები, რომლებიც შედარებით მეტად გიოფლიანდებათ.

ოფლიანობის დროს, ასევე, კარგია სალბისა და ჭინჭრის ფოთლების ნახარში: ერთ გრამ სალბისა და ორ გრამ ჭინჭრის ფოთოლს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ.

ეგზემის სამკურნალოდ კარგია შემდეგი ნაყენი: 1 ჩაის ჭიქა დაქუცმაცებულ მუხის ქერქს დაასხით ერთი ლიტრი მდუღარე წყალი და მიიყვანეთ ადუღებამდე. დაუმატეთ ნახევარ-ნახევარი ჩაის ჭიქა ორკბილა და ფარსმანდუკი. კარგად ამოურიეთ და თავდახურულ მინის ჭურჭელში გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ, ეს ნახარში წაისვით დაავადებულ ადგილას. პროცედურის დასრულების შემდეგ კანი არ გაიმშრალოთ, წასმული ნახარში შეიშრეთ.

## რა დაავადებაა „დაღლის სინდრომი"

ქრონიკული დაღლილობის სინდრომით დაავადების ძირითადი და მთავარი სიმპტომია მუდმივი სისუსტე და სწრაფი დაღლა. ამ სინდრომით დაავადებულებს ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის აქტივობა უქვეითდებათ. ეს ჰორმონი, რომელიც ჰიპოფიზში წარმოიქმნება, დიდ როლს თამაშობს ადამიანის ორგანიზმზე სტრესის ზემოქმედებისას. მისი მეტაბოლურობის შემცირება კი საერთო ფიზიკურ აქტივობას აქვეითებს.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომით ავადდება ის, ვისაც დიდი სტრესი აქვს გადატანილი, ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, რომ სინდრომის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი ზუსტად ამ ჰორმონის აქტივობის დაქვეითება იყოს. თუმცა, დღემდე, მეცნიერები და ექიმები ამის გამომწვევ მიზეზად ადამიანის იმუნური სისტემის დაქვეითებას მიიჩნევენ.

ქრონიკულ დაღლილობას ბევრი მიზეზი ახლავს თან, მისი განკურნება კი არც ისე ადვილია. ამიტომ, ეცადეთ, არ გადატვირთოთ და გადაღალოთ როგორც ორგანიზმი, ასევე, ტვინი და დროდადრო დასვენებაც მოახერხეთ.

## ყავის დიდი დოზებით სმა კუჭ-ნაწლავის პრობლემებს აჩენს

ყავის შემადგენლობაში არსებული აზოტის შემცველი ნაერთები, ორგანული მჟავები და B ჯგუფის ვიტამინები ზემოქმედებს ბევრი სასიცოცხლო პროცესის ნორმალიზე-

ბაზე. თუმცა, მისმა დიდი დოზით სმამ, შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგიყვანოთ.

250 მილილიტრზე მეტი ყავის დალევას შეუძლია გამოიწვიოს უძილობა, აღგზნება, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, ტაქიკარდია, გულის არითმია, კუნთების კრუნჩხვა და ასე შემდეგ.

სრულიად საკმარისია, დღეში 3-4 ფინჯანი ყავის დალევა. კოფეინი კუჭის წვენის გამოყოფის ძლიერი სტიმულატორია, რაც აუცილებელია საჭმლის მონელების ტრაქტის ნორმალური მუშაობისთვის. მაგრამ, კუჭის წყლულის დროს ის მავნებელია მასში შემავალი მთრიმლავი ნივთიერებების გამო. ამიტომ, თუ კუჭის წყლული გაქვთ, მაქსიმალურად მოერიდეთ ყავას.

### ცხიმები და ნახშირწყლები ორგანიზმს აკაჟებს და ფორმაში მოჰყავს

სხეულის გასაკაჟებლად და ფორმაში მოსაყვანად უამრავი ვარჯიში და დიეტა არსებობს, მაგრამ ხშირად მათ უმრავლესობას მხოლოდ დროებითი ეფექტი აქვს. ადამიანის ნორმალური მდგომარეობა, რომლის დროსაც ორგანიზმი ზუსტად იმდენ კალორიას წვავს, რამდენსაც იღებს და თან, სტაბილურ წონას ინარჩუნებს, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და დასახული მიზნის მიხედვით რეგულირდება. ეს კი სხეულის მასის გაკონტროლების საშუალებას იძლევა. მიზანი შეიძლება იყოს როგორც ზედმეტი ცხიმის დაწვა, ისე წონის გაზრდა კუნთების ხარჯზე. ამასთან, სასურველი შედეგის მისაღწევად, კვების წესები ზუსტად უნდა დაიცვათ.

ნახშირწყლები კუნთოვანი მასის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია. ის არა მარტო ორგანიზმის ენერგიულობის საწინდარია, არამედ ხელს უწყობს ცილების შენარჩუნებასა და ათვისებას. ამიტომ, თუ გსურთ, სპორტული აღნაგობა გქონდეთ და წონაში არ მოიმატოთ, მოერიდეთ შაქრისა და მისი შემცველი პროდუქტების ჭარბი რაოდენობით მიღებას. ნახშირწყლების მიღების ძირითადი დრო საუზმე და სადილია, სხვა დანარჩენ დროს ნახშირწყლები უნდა შეზღუდოთ. გირჩევთ, უპირატესობა მიანიჭოთ პოლისაქარიდებსა და სახამებლიან ნახშირწყლებს, მაგალითად, როგორიცაა ბრინჯი, წიწიბურა, მაკარონი, მოხარშული კარტოფილი, ქატოს პური, თხილი, სიმინდი, ბანანი, ჰერკულესი და ასე შემდეგ. ნახშირწყლების რეკომენდებული დღიური ნორმა 10 გრამია ადამიანის წონის თითოეულ კილოგრამზე. მაგალითად, თუ 80 კილოგრამს იწონით, ესე იგი, დღეში 800 გრამი ნახშირწყალი უნდა მიიღოთ.

ცილა მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიკროელემენტია. მისი რაოდენობა სხეულის საერთო წონის თითოეულ კილოგრამზე დღეში 5 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს. ცილების წყაროა ქათმის ხორცი, თევზი, ინდაურის ხორცი, კვერცხი, მაწონი, ხაჭო და რძე.

ცხიმები ორგანიზმისთვის აუცილებელია, თუმცა, კუნთების დაყენების მსურველები მათ რაოდენობას ცილებსა და ნახშირწყლებთან შედარებით მნიშვნელოვნად ზღუდავენ. რაციონიდან ცხიმების საერთოდ ამოღება არ შეიძლება, რადგან ის ხელს უწყობს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ვიტამინის ათვისებას. მცენარეული, ანუ უჯერი ცხიმების წყაროა: არაქისი, ზეთისხილი, ზეითუნის ზეთი; ნახევრად უჯერის კი – სიმინდის, მზესუმზირის, სოიის ზეთი და ნიგოზი.

სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ზოგიერთი პროდუქტი საერთოდ უნდა ამოიღოთ კვების რაციონიდან. ეს ეხება ცხიმებით მდიდარ პროდუქტებს, მაგალითად: ცხიმიან რძეს, არაჟანს, მაიონეზს, ყველს, ნაღებს, მარგარინს, ღორისა და ცხვრის ხორცს. ასევე, არ უნდა მიირთვათ უხარისხო ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები, მაგალითად: კანფეტი, ტორტი, ნამცხვარი, ტკბილი სასმელები, შემწვარი კარტოფილი და ალკოჰოლი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ ახლომხედველი, ვატარებ სათვალეს. კარგა ხანია, მაწუხებს ეგრეთ წოდებული თვალების ციმციმი: ხან მარცხენა თვალის ზედა ქუთუთო მითამაშებს, ხან მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთო. მაინტერესებს, რა იწვევს ამას?**

**პასუხი**: ეს არის ბლეფაროსპაზმი, ანუ ქუთუთოს ირგვლივი კუნთის კლონური კრუნჩხვითი გამოვლინდება. ეს შეიძლება, გამოწვეული იყოს კონიუნქტივიტით, ბლეფარიტით, რეფრაქციის ამა თუ იმ ანომალიით, ნევრასთენიით, ბავშვებში – ჭიებით ინვაზიით. მკურნალობა ძირითადი დაავადების წინააღმდეგ არის მიმართული. ასე რომ, უნდა მიმართოთ ოფთალმოლოგს, რომელიც გაარკვევს მიზეზს და ამის მიხედვით დანიშნავს მკურნალობას.

**კითხვა: ვარ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული (I ტიპი), წნევა მაქვს 130/80 – ჩემთვის ნორმა, მაგრამ პულსი ამ ბოლო დროს მაქვს 100-110. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: აუცილებელია, მიმართოთ თქვენს მკურნალ ენდოკრინოლოგს, რათა გადაამოწმოთ სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონთა დონე.

**კითხვა: შეიძლება თუ არა საკვერცხეების ანთებას ხანგრძლივი დაბალი სიცხე 37,2 გამოეწვია?**

**პასუხი**: დიახ, ადნექსიტი (დანამატების ანთება) შეიძლება გახდეს ტემპერატურის მომატების მიზეზი.

**კითხვა: საშვილოსნოს ყელის წყლულის მოყინვიდან, რამდენ ხანშია შესაძლებელი დაფეხმძიმება?**

**პასუხი**: ეროზიის მოყინვის შემდეგ სქესობრივი კონტაქტის აღდგენა ერთი თვის შემდეგ შეიძლება, რათა ამ პერიოდში მოხდეს საშვილოსნოს ყელის ლორწოვანის აღდგენა. რაც შეეხება დაორსულებას, მთავარია, მოხდეს წყლულის გამომწვევი მიზეზის დაძლევა და მისგან განკურნება. თუ სხვა პრობლემა არ გაქვთ, ამის შემდეგ შეგიძლიათ დაგეგმოთ ორსულობა

**კითხვა: რამდენად უსაფრთხოა ხალის მოსაცილებლად იოდის გამოყენება?**

**პასუხი**: ხალის სახლის პირობებში მოშორება დაუშვებელია!

**კითხვა: არის თუ არა სიმსივნე გენეტიკურად გარდამავალი დაავადება?**

**პასუხი**: სიმსივნე გენეტიკური პათოლოგია არ არის, თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა გარკვეული სახის სიმსივნური პათოლოგიის დროს. ამიტომ, როდესაც გენეტიკა დატვირთულია, საჭიროა ყურადღება ამ მიმართულებით.

**კითხვა: ვარ ახალი ნამშობიარები მეძუძური დედა. რა საკვების მიღება შეიძლება ჩემთვის?**

**პასუხი**: მეძუძურ ქალს მრავალფეროვანი საკვები სჭირდება. რაციონიდან უნდა გამორიცხოს ცხიმიანი საკვები, ტკბილეული, ცომეული, ტკბილი გაზიანი სასმელი, მზესუმზირა. შემწვარი საკვები სასურველი არ არის. ყოველდღიურ რაციონში უნდა შედიოდეს: 200 გრამი ხორცი (უმეტესად მოხარშული და მჭლე); 100-150 გრამი ხაჭო; 20-30 გრამი ყველი;1 მოხარშული კვერცხი (კვირაში 2-3 დღე); 600 გრამი ბოსტნეული (აქედან კარტოფილი – არაუმეტეს 200 გრამისა); 200-300 გრამი ხილი; პური - არაუმეტეს 400 გრამისა (ამ ოდენობაში შედის სხვა ცომეული და საკონდიტრო ნაწარმი); სითხე – არაუმეტეს 2 ლიტრისა, აქედან 1 ლიტრი საკვების, ხოლო 1 ლიტრი წყლის სახით.

**კითხვა: რა მიზეზით შეიძლება, გაიღუნოს ფეხები გარდატეხის ასაკში და შესაძლებელია თუ არა მათი გასწორება?**

**პასუხი**: ფეხების დეფორმაციის მიზეზი შეიძლება იყოს ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადება. უნდა მიმართოთ ორთოპედს, მისგანვე მიიღებთ ინფორმაციას შესაძლო კორექციის შესახებ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# ვისი სახელის ხსენებაზე წაიღეს ხელი რევოლვერებისკენ ნიშნიანიძეების სტუმრებმა და როგორ გახდა ადოლფ ჰიტლერი გიზო ნიშნიანიძის ოჯახის წევრი

„ჩემი ფანტაზია ახლა ფანტვაზეა, სიყრმით მოგატარე მთელი ევრაზია! თუ არც ჭურში ზიხარ და არც პანტაზეა – მთელი ევრაზია აგერ, ვერაზეა!“ დიახ! აბა, სხვაგან სად შეხვდებით იმდენ ნაღდ თბილისელ „ბიჭს” თავთავიანთი საინტერესო ამბებით, რამდენსაც გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე” მოუყრია თავი. მაგალითად: „...დაიჯერებთ, გოგი ცაბაძეს – ვერაზე „ვერისუბნის მელოდიებით” მოსულ ცალფეხა კაცს, 14 წლამდე როიალი თვალით არ ენახა და პიანინოზე თითი არ ჰქონდა დაკარებული. ვინ მიგვასუნინებდა ახლოს, არადა რა იქნებოდა თბილისი ამ სიმღერების გარეშე?! ვიცი, რომ ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ასეთს? იცით, გოგი ცაბაძის კომპოზიტორობა რით დაიწყო?.. 14 წლის ბიჭს „კიროჩნზე” ტრამვაიმ ფეხი გადააჭრა. ქალაქის ტრანსპორტის მესვეურებმა საავადმყოფოში მოინახულეს და ჰკითხეს, რით აგინაზღაუროთ ზარალიო – მან გაუბედავად თქვა: თუ შეიძლება, პიანინო მიყიდეთო. მერე ადგა და ქალაქისგან მიყენებული სიმწარე სიტკბოდ დაუბრუნა ქალაქს. ასე დაიწყო ცაბაძის სამოთხე... ჩვენი ოპერა და კონსერვატორია თბილისის ქუჩები იყო – სადაც გვემღერებოდა, იქ ვმღეროდით...”



თბილისმა, ვერისუბანმა და ამ ურთიერთობებმა დაწერეს გიზო ნიშნიანიძის ცხოვრების დღიურები. ამბობენ გრიშაშვილის მერე თბილისს და თბილისელებს ასე არავინ მოფერებიაო. „ჩემი დაბადების დროა განწმენდის – სარწყუნისის თვე. მე დავიბადე ორჯერ და ორივეჯერ ერთსა და იმავე ადგილზე – ვერაზე: ფილარმონიის გვერდით – სამშობიაროში და სამშობიაროს გვერდით – ფილარმონიაში! ერთხელ ფიზიკურად 1928 წლის 13 თებერვალს და მეორედ – მეტაფიზიკურად 1981 წლის 28 დეკემბერს! დიახ, ეს იყო ჩემი „პაემანი ვერაზე!.. გააჩნია ვინ და სად გეკითხება, სადაური ხარო. მოსკოვში თუ მკითხეს, ვეტყვი, რომ ქართველი ვარ! საქართველოში თუ მკითხეს, ვეტყვი – თბილისელი!.. თბილისში თუ მკითხეს, ვეტყვი – ვერელი! ვერაზეც თუ მკითხეს – ვეტყვი, რომ ჩემი გვარის ძირი ოკრიბაა... მართალია, ჩვენ ბავშვობა ხელიდან გამოგვაცალეს, პურისა თუ ნავთის რიგებში უდროოდ და უმოწყალოდ დავკაცდით, მაგრამ დაკარგულ თაობად, ნურას უკაცრავად, თავს ვერ ჩავთვლით: ჩვენ გაჭირვებამ დალხინების ფასი გვაჩვენა. ჩვენ ის საერთო ძარღვი შევინარჩუნეთ, რომლის ერის შუბლზე გაწყვეტასაც ასე უფრთხოდა დიდი ილია... იურიდიულზე ვსწავლობდი, მაგრამ იარაღს სიცილით მკურნალობა და „დასჯა” ვარჩიე... ერთხელ ქუჩაში გამოსული კაცი ვიღაცას დაველაპარაკე, ვიღაცას ვეხუმრე, ვიღაცამ კაცად ჩამთვალა... ერთხელ სიცილით პირგახეული ხალხის შუაში მდგარი რომ დამინახა იოსებ ნონეშვილმა, „ნიანგში” შემაგდო – ხუმრობაში ჩვენ ფულს ვიძლევითო. გავკეთდი-მეთქი, ვიფიქრე და წავყევი... გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ სულ არ მეგონა, მწერალი თუ გავხდებოდი, სადოქტოროს თუ დავიცავდი და უამრავ მეგობარს თუ გავიჩენდი. ერთი იოლი კაცი ვარ. ვარ სიკეთისთვის, მაგრამ არა ქედმაღლობისთვის, სიგლახისთვის. გულით მინდა ვიყო ადამიანი, რომელსაც კაცთან კი არა, ღმერთთანაც მიესვლება... ერთხელ იმ დონემდეც კი მივედი, რომ თვითმკვლელობა ვცადე, მაგრამ ლექსმა მიშველა. პოეტს ლექსებს ხომ ღმერთი აწერინებს, ჰოდა მეც ღმერთმა დამაწერინა და გადამარჩინა. მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრება იმის უფლებასაც კი არ გვაძლევს, საკუთარი სიცოცხლე განვკარგოთ. ყველაფერი უფლის ნებაა და ჩვენც მის ნებას უნდა დავემორჩილოთ... ხშირად მიფიქრია, ნეტა, ცხოვრება ისე იყოს მოწყობილი, ცუდით იწყებოდეს და კარგით მთავრდებოდეს-მეთქი. სიკვდილი ბოლო საიდუმლოა...”



გიზო ნიშნიანიძე შვილთან

**რევაზ მიშველაძე**: „...მე ოცი წლის ბიჭი გახლდით, თბილისის“ სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, გიზო – გაზეთ „თბილისის” ინფორმაციის განყოფილების გამგე – ოცდაათი წლის იქნებოდა. რა მინდოდა „თბილისში”? სტიპენდია არ მყოფნიდა და ვიფიქრე, გაზეთში შიგადაშიგ, წავიწკიპურტებ, იქნებ ორი კაპიკი გავაკეთო-მეთქი. სამდივნოში გიზოსთან მიმასწავლეს. საინფორმაციოში წრეზე დაწყობილ მაგიდებს ჟურნალისტები უსხდნენ და ხითხითებდნენ. ფანჯარასთან, სიმპათიურ ახალგაზრდა კაცს ხელში ფოტო ეჭირა და წარწერას ხმამაღლა კითხულობდა: „კავრაზეა ბუგრილოვას ორი ლოვი და ლომპასს ჭამებენ!” სწორედ ამ წარწერაზე იხოცებოდნენ სიცილით ჟურნალისტები. რა გინდაო, მკითხა კუთხის მაგიდასთან მჯდომმა (როგორც მერე შევიტყვე ოთარ გაგუა იყო). გიზო ნიშნიანიძე მინდა-მეთქი. მოიტანე რამეო? არა, პირველად ვარ-მეთქი. გიზო, შენთან არიანო – ოთარმა. გიზომ კითხვა შეწყვიტა, დასერიოზულდა. ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ, რაიმე დავალებას ხომ არ მომცემთ-მეთქი. კიო, თვალებში ეშმაკები ჩაუსახლდა, გავალებ, კარგად ისწავლეო. ისევ ხითხითი... გიზო თვითონვე მიხვდა, რომ ეს „დავალება” ჩემთვის ვერაფერი ნუგეში იყო და ფოტო გამომიწოდა. დაჯექი და თუ შეგიძლია ჩვენი ფოტოგრაფის ეს წარწერა ისე გაასწორე, დასაბეჭდად ვარგოდესო. 10 წუთში გავასწორე. „ფარდაგზე ხედავთ ბუგრიმოვას, რომელიც ორ ლომს მომპასს აჭმევს.” წაიკითხა გიზომ ხმამაღლა: – „აჭმევს” არ ვარგა... „მომპასით კვებავს” ჯობია! – დაიძახა ვიღაცამ. მოკლედ, ატყდა აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა. ბოლოს, გიზო ნიშნიანიძის ნებით, წარწერამ ასეთი სახე მიიღო: „ბუგრიმოვა ლომებს, შიგადაშიგ, მომპასითაც ანებივრებს.” მართალია, ჩემი ნათქვამი ერთი სიტყვაც არ დარჩა, მაგრამ... წარწერის ჰონორარს შენ გამოგიწერთო, გიზომ და სიხარულით ცას ვეწიე. საერთოდ, როცა მოიცალო, შემოიარე ჩვენთან და რამეს დაგავალებთო, კაი თვალით შემომხედა განყოფილების გამგემ. ის იყო გასვლას ვაპირებდი, რომ კარებში ორი კაცი შემოვიდა. ქუჩიდან ორივეს კარგად ვიცნობდი: ერთი იყო ტვიდის ჭადრაკულ პიჯაკში გამოწყობილი ნიაზ დიასამიძე, მეორე – წაწვეტებულცხვიროსანი, კეპჩამოფხატული, სიმპათიური ქართლოს კასრაძე. სადღა წავიდოდი?! კუთხეში მივდექი და სმენად ვიქეცი... შენა, აბა, ერთი ეს წაიკითხე, ოღონდაც „არაგაზეთჩიკურად”, ძმურად. გამიგე? – ორად გაკეცილი ხელნაწერი დააძრო ნიაზმა. გიზომ გამოართვა და კითხვას შეუდგა. ჩაამთავრა, დაკეცა და უჯრაში ჩადო. – მაიტა, მაიტა! რაკი არ გაგეცინა, შენ ამის დამბეჭდავი არ ხარ – ხელი გაუწოდა ნიაზმა. – დაბეჭვდით დავბეჭდავ, მაგრამ რამდენჯერ გითხარი, არ გინდა-მეთქი ეს გატყლარჭული სტილი. როგორც ლაპარაკობ, ისე წერე. ქართლოს, შენ რა მოიტანე? – ამჯერად არაფერი. რაც მოვიტანე, იმისი რა მადლობელი ხართ?! – ქართლოს, ცოტა უნდა მაცადო. მეც გამიგე, რა, თუ ძმა ხარ, ჯაშს მომენტი უნდა შევურჩიო – თავი მოისაწყლა გიზომ. შენ იცი „ჯაში” რას ნიშნავს მეგრულად? – ჰკითხა ნიაზმა. არა! – მიუგო გიზომ. – „ჯა” არის ხე, ხოლო ჯაში „ხისას” ანუ ხის კაცს ნიშნავს. ხვდები, რისი თქმა მინდა? ნიაზმა და ქართლოსმა გადაიხარხარეს. ერთხანს გიზოც აჰყვა, მაგრამ მალევე მოისხიპა სიცილი – რას მერჩით ძმაო, პროვოკაციას მიწყობთ? ეს ერთი ადგილი გაქვთ, სადაც მოგესვლებათ და ესეც გინდათ, მოიშალოთ?! აღარ უნდა დასერიოზულდეთ? დილიდან საღამომდე მტერმა ილადავა. ა, აგერ, პატარა ბიჭი მოვიდა, ჟურნალისტიკაზე სწავლობს – ჩემზე მიუთითა – გოქაძის წარწერა გავასწორებინეთ. ორივემ მე შემომხედა. შენ რას გასწავლიან უნივერსიტეტში? – მცირე პაუზის შემდეგ მკითხა ნიაზმა. ბევრ რამეს. – მაინც? – რეპორტაჟს, ნარკვევს, ინტერვიუს... ნეკროლოგს თუ სწავლობთ? – ჯერ არა. ისწავლეთ, დაგჭირდებათ. ნეკროლოგი მთავარია, არა, ქართლოს? ქართლოსმა ქუდი ჩამოიფხა-



გიზო ნიშნიანიძე და მისი მეუღლე – ლიანა



გიზო ნიშნიანიძე დასთან და მშობლებთან ერთად



პირველი პაპიროსი ოთარ მგელაძესთან – მარჯვნივ გიზო ნიშნიანიძე



გიზო ნიშნიანიძე (მარჯვნივ) მეგობართან



გიზო ნიშნიანიძე და მსახიობი გულჩინა დადიანი – სტუმრად ახლობლის ოჯახში

ტა... ჩემი განსწავლის თემა ამით ამოწურეს და ლუდზე გეპატიჟებითო უთხრეს გიზოს. გიზომ ჯიბე მოიჩხრიკა – იცოდა, რასაც ნიშნავდა მათი დაპატიჟება. რედაქციიდან ერთად გამოვედით... დავძმაკაცდით გიზო ნიშნიანიძე, ნოდარ დუმბაძე, ნოდარ ჩხეიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რიჩო გაგუა, ზაურ ბოლქვაძე, გურამ ფანჯიკიძე და მე – მათი უმცროსი თანამეინახე. ჩვენი შეხვედრები, ჯერ, დღის ბოლოს, საჰონორარო სარკმელთან თავმოყრით იწყებოდა და მერე სალობიე-სახინკლის დალაშქვრით მთავრდებოდა. ჩვენი ძმობა ბოლომდე გაგრძელდა...”

***

„შიშიანობაში და ვაიუშველებელ დროში გათხოვდა ჩემი უფროსი და – ნაზიკო ნიშნიანიძე, რომელმაც ჯვარი დაიწერა (თუმცა სად იყო მაშინ ჯვრისწერა!), უფრო ზუსტად, ხელი მოაწერა ერთ თბილისელ კაცთან რომელსაც, იმ დროისთვის, ერთობ ფეთქებად საშიში სახელი – ადოლ-



მარჯვნიდან: გ. ნიშნიანიძე. ა. ერგემლიძე, ნ. დუმბაძე, ზ. ბოლქვაძე, ზის ზ. ანჯაფარიძე

ფი ერქვა! გვარად კი... მოგეცა ლხენა – ხუროძე იყო! ერთხელ, სულგანათლებული ნიკოლოზ სტურუას სიტყვა მივუტანე ადოლფს: ამ კაი კაცს ვინ დაარქვა ჰიტლერის სახელიო? – ბატონ კოლიას გადაეცი ჩემგან, რომ ბოლშევიკებს არც ნიკოლოზზე ამოგდით დიდი მზე და მთვარეო, – დამაბარა ვარლამიჩმა!.. ჩემი დის ქორწინების დღეს პატარა სუფრა გაიმართა, რომელზეც დაპატიჟებული იყვნენ დედაჩემის, ვარდოსანიძეების მხრიდან, უახლოესი ნათესავი – ქალაქის სამხედრო კომისარი, იმ დროისათვის ლეგენდარული, ნაომარ-ნაფრონტალ-ნახიშტარი შალიკო ჩინჩალაძე და მისი მოადგილე ცქიტიშვილი! ნეფის სახელი – ადოლფი რომ ვუხსენეთ, კინაღამ რევოლვერებისკენ წაიღეს ხელი და მადა დაეკარგათ! სტუმრები და სიძე, ჩემი დიანად რომ გავისტუმრეთ, ეტყობა, რაღაც მორიგი სისულელე ჩავიდინე და „ფეჩთან” მიფიცხებულმა მამაჩემმა სინანულით თქვა ერთი სიტყვა, რომელიც მთლად გველის ნაკბენივით არა, მაგრამ... კაი ალიყურივით მახსოვს: აფსუს! ვინ წავიდა და ვინ დაგვრჩაო!.. გამგები გაიგებს რა წამსვლელ-დამრჩენზე იყო ლაპარაკი! ჩემი სიძის სახელის მაშინდელმა უხერხულობამ, ერთ დროს, საქართველოს თავკაც, გენერალ მჟავანაძემდეც კი მიაღწია, რომელმაც სიცილით ჰკითხა ადოლფს იმ ომისდროინდელი ტელეგრამის შესახებ, რომელმაც, ლამის უკრაინის ფრონტის სტრატეგია შეცვალა. ომის დროს, ადოლფს, თურმე მოსკოვიდან თბილისში ვიღაცისთვის უდეპეშებია: ორ კვირაში კიევში ვიქნებიო! ჰოდა, ისეთი ამბავი ამტყდარა... შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფდაო!...”– იხსენებს ბატონი გიზო.



გ. ნიშნიანიძე მეუღლესთან ერთად

**ირაკლი მირიანაშვილი**: „მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ინახება, გიზო ნიშნიანიძეს უკავშირდება... ერთმანეთით ვცხოვრობდით და ერთი დარდი და სიხარული გვქონდა... ხშირად მხოლოდ ორი ბოთლი ღვინის ამარა ვიყავით, მაგრამ ვალოდია მებურიშვილმა იცოდა, როგორ უნდა გაგვეშალა სუფრა ისე, რომ ჩიტის რძეც არ ჰკლებოდა. ჩავიდოდით „გემოში” და დავსხდებოდით ცარიელ სუფრასთან. ვარჩევდით ისეთ მესუფრეებს, რომლებსაც მდიდრული მაგიდა ჰქონდათ გაშლილი და ვუგზავნიდით საჩუქრად ამ ორ ბოთლს ღვინოს. იქიდან, პატივისცემის საპასუხოდ, მოდიოდა ორი იმდენი ღვინო და პურმარილი. ყოველთვის განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა ჩვენს სუფრას იმიტომ, რომ უნაკლოდ და მომნუსხველად მღეროდნენ გიზო, ვალოდია და ომანი, მათი წყალობით, თანდათან, „გემოში” ყველა სუფრა ჩვენს სუფრას უერთდებოდა და დილამდე გრძელდებოდა ქეიფი. ერთხელ, მე გიზო, ვალოდია და ომანი მეგობართან წავედით სამტრედიაში, საქეიფოდ. რა თქმა უნდა, საკმარისი ფული არასოდეს გვქონდა და ამჯერადაც, ვერაფრით ვახერხებდით თბილისში დაბრუნებას. იმ პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი იყო მეტად პატივსაცემი პიროვნება გრიგოლ კიკნაძე. გიზომ მოიფიქრა, რომ კიკნაძის შვილად გაცნობოდა მატარებლის გამცილებელს. რა თქმა უნდა, მაშინვე გამოგვიყვეს ცარიელი კუპე და მთელი გზა, სამტრედიიდან თბილისამდე, თავს გვევლებოდნენ. თბილისს რომ მოვუახლოვდით, ისევ გიზოს მოაფიქრდა, რომ შესაძლოა, გამცილებელს თბილისში, სადგურის ხელმძღვანელობისთვის ეცნობებინა ასეთი საპატიო კაცის „შვილის” მგზავრობის შესახებ და ყველაფერს ფარდა ახდოდა, ამიტომ ყველანი „დიდუბის” სადგურში ჩამოვხტით მატარებლიდან. გამცილებელმა მიმავალი მატარებლიდან მოგვაძახა, არ გრცხვენიათო, ჩვენც პასუხი არ დავუგვიანეთ: არა!

მახსოვს, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს მართავდა ედი როზნერის ჯაზი. ამ ჯგუფში მღეროდა ლოტარ ლამპელი. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი სიმღერა „მერილუ”. გიზომ, უბადლო მუსიკალური ნიჭის მქონემ და საოცრად ინტერესიანმა, ორი მოსმენით ისწავლა ეს სიმღერა და გადაწყვიტა, უნივერსიტეტში გამართულ კონცერტზე ემღერა. როგორც მოგეხსენებათ, გიზო ხელმოკლე ოჯახის შვილი იყო. დედამისი, ქალბატონი ლიდა, ხშირად იმეორებდა: ნემსის წვერზე გავზარდე შვილებიო. ჰოდა, კონცერტის დღეს, გიზო მისულა დედაჩემთან იმ დროს, როცა მე სახლში არ ვიყავი (იმ საღამოს ერთ წვეულებაზე ვიყავი მიპატიჟებული და სალონში წავედი) და უთქვამს: დეიდა კატო, ირაკლის უკვე შევუთანხმდი და მისი პიჯაკი უნდა გამატანოთ, კონცერტზე გამოვდივარო. დედაჩემმაც გაატანა ჩემი ერთადერთი პიჯაკი. ცოტა არ იყოს, გავბრაზდი, მაგრამ რა უნდა მექნა? წვეულებაზე ველარ წავედი და ისევ უნივერსიტეტისკენ გავწიე. შევედი დარბაზში და ვხედავ: გიზო დგას სცენაზე ჩემი პიჯაკით და თავდავიწყებით მღერის „მერილუს”...

**ეკა პატარაია**

# რა სახელით იყო ცნობილი სავაჭროების რიგი სადგურის ქუჩაზე თბილისში და სად მდებარეობდა სომეხი მეწარმის, ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა

(23-ე გვერდიდან)

**„პასაჟ კროშკა”**

1925 წლამდე სადგურის ქუჩა (თამარ მეფის



ტრამვაის ლიანდაგების გაყვანის და ქუჩის გაფართოების სამუშაოები „ჩელუსკინელების” ქუჩაზე საბჭოთა დროს

ქუჩა) მხოლოდ ყოფილი კლარა ცეტკინისა და ამჟამინდელ მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე აღწევდა. სადგურის ქუჩა გაგრძელდა ყოფილი პლეხანოვის, აწინდელი დავით აღმაშენებლის გამზირამდე ვიწრო შესახვევის გაფართოების ხარჯზე, სადაც სავაჭრო რიგები იყო მოთავსებული. ამის გამო უწოდეს მას თბილისელებმა „პასაჟ კროშკა”.

**გაბრიელ ტერ-მიქელოვი**

თბილისის რკინიგზის ძველი სადგურის არქიტექტორი გაბრიელ (გაბო) ტერ-მიქელოვი 1874 წლის 16 აპრილს დაიბადა სტავროპოლში, სადაც იმ პერიოდში მამამისი მსახურობდა. საშუალო განათლება გაბო ტერ-მიქელოვმა თბილისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო არქიტექტორის დიპლომი 1899 წელს – სანკტ-პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინრების ინსტიტუტში. ტერ-მიქელოვი სასწავლებლის დასრულების შემდეგ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მის სახელს არაერთი ცნობილი თბილისური შენობის აგება უკავშირდება: სასტუმრო „მაჟესტიკი” ამჟამინდელი „მარიოტი” რუსთაველის გამზირზე; რკინიგზელთა სახლი აღმაშენებლის გამზირზე; ყოფილი რკინიგზის ტექნიკუმის შენობა, წარსულში მეწარმე მელიქ-დადაიანცის საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლის გამზირზე. გაბრიელ ტერ-მიქელოვი თბილისის ხელოვნების აკადემიაში 1949 წლამდე პროფესორის თანამდებობაზე მუშაობდა. ის 1949 წლის 19 იანვარს გარდაიცვალა და დაკრძალულია ვერის სომხურ სასაფლაოზე.



გაბრიელ ტერ-მიქელოვი



ჩელუსკინელების სახელობის ხიდი. 1940-იანი წლები

**უშანგი რუხაძე**



**ახლა ის პერიოდია, როცა ადამიანს ქრონიკულ დაავადებათა უმეტესობა უმწვავდება, განსაკუთრებით გრძნობს გადაღლას, ცხოვრებისეული პრობლემები უფრო მძაფრდება და ერთი სიტყვით, დაღმავალი პერიოდია, რაც დისკომფორტს გვიქმნის. თუ როგორ ავირიდოთ თავიდან უსიამოვნებები, დავეხმაროთ საკუთარ თავს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში და რა მოვიმოქმედოთ ცხოვრების უკეთესად მოსაწყობად, ამ თემებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და სასარგებლო რჩევებს მოგვაწვდის, ეზოთერიკოსი, ბატონი ვარლამი, რომელიც წლებია, ამ სფეროში მოღვაწეობს და უამრავ კვლევას ატარებს.**

# როგორ დავაღწიოთ თავი უიღბლობის პიკს და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება მნიშვნელოვან შეხვედრაზე წასვლის წინ

**ვარლამი**: დროდადრო ვგრძნობთ ცხოვრებაში როგორ დგება ის პერიოდი, როცა ყველაფერი თავდაყირაა, საქმესა და პირად ცხოვრებაში ხელი გვეცარება და უბრალოდ, უიღბლობის პიკია. მადლობა ღმერთს, ეს ცოტა ხნით გრძელდება და სიტუაცია ნელ-ნელა, გარკვეული დროის შემდეგ კალაპოტში დგება.

**– ამ პერიოდში ბევრი უჩივის დაავადებათა გამწვავებას. როგორ ვუშველოთ საკუთარ ორგანიზმს, რომ ეს პრობლემა კიდევ უფრო არ გამწვავდეს?**

– თუ ავადმყოფობა გაწუხებთ, აავსეთ აბაზანა თბილი წყლით, ახალ მთვარეზე დამუხტული წყალი ჩაასხით მასში და ჩაწექით. დახუჭეთ თვალები, იფიქრეთ იმაზე, რომ ყველაფერი კარგად იქნება და თან ვერცხლისფერი მონეტა მუჭში გქონდეთ. მაგალითად, ოცთეთრიანი ან ორმოცდაათთეთრიანი. აბაზანის შემდეგ, მონეტა ბალიშის ქვეშ დაიდეთ და დაწექით დასაძინებლად. ასე, თქვენი ორგანიზმიდან გამოდევნით უარყოფით ენერგიას და ავადმყოფობასაც ადვილად დაამარცხებთ. ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ, ვერც ავი თვალი და ვერც უარყოფითი ენერგია, ახლოს ვერ გაგეკარებათ. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით, რადგან მას წინააღმდეგობას კარგად უწევს მთვარის ენერგიებით დამუხტული თქვენი ორგანიზმი. ასევე, ხელს შეუშლის ორგანიზმში დაავადების გამწვავებას და დადებითად იმოქმედებს თქვენს იმუნურ სისტემაზე.

**– სხვათა შორის, ეზოთერიკოსთა უმრავლესობა ამბობს, ადამიანმა უნდა ისწავლოს ფულის სწორად „მართვაო". ეს რას გულისხმობს?**

– დიახ, ეს მართალია და ფულის „მართვის" რამდენიმე ხერხს, მეც გასწავლით. მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთს ყიდულობთ, ეცადეთ, წვრილი კუპიურებით გადაიხადოთ, რათა ამ მამულში ყოფილ მფლობელს თავისი მოთხოვნები არ დარჩეს. თუ ადამიანი დაჟინებით გიყურებთ, რომ არ გაგთვალოთ, საფულედან ამოიღეთ ხურდა ფული და გულში გაიფიქრეთ: „როგორც ამ ხურდას დავხარჯავ სწრაფად, ასევე სწრაფად ავიცილებ შენი მზერისგან წამოსულ უარყოფით ენერგიას". ასევე, როცა ტანსაცმელს იცვლით, ეცადეთ, არ მიმოფანტოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათში ბოროტი სულები იბუდებენ და ეს თქვენს კარიერასა და შემოსავლებზეც ცუდად აისახება. ასევე, კატეგორიულად იკრძალება მაგიდაზე საფულის და ქუდის დადება. ორშაბათობით ნუ გაასესხებთ ფულს, რადგან გამსესხებელი ხეირს ვერ ნახავს მთელი კვირის განმავლობაში, მსესხებელს კი ყველაფერში გაუმართლებს. კარგია, თუ ფულს სავსემთვარეობაზე ისესხებთ. პარასკევს ნუ დაალაგებთ სახლს სველი წესით, თორემ საცხოვრებლისთვის დამატებითი ხარჯების გაწევა მოგიწევთ. თუ სახლიდან გასულს შემობრუნება გიწევთ, სახლში შესვლისას აუცილებლად ჩაიხედეთ სარკეში, შემდეგ საფულე გახსენით, ფული გადათვალეთ და ისე გადით გარეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ დღეს წარუმატებლობა გელით. ცოცხი კი ყოველთვის თავდაყირა, ტარით ქვევით დადგით. ასე, ბარაქას და მატერიალურ კეთილდღეობას დაიბედებთ.

**– ქალებს, ხშირად გვიჩნდება სურვილი, ვიცოდეთ მომავალი დღის შესაძლო პროგნოზი. რამდენად გაგვიმართლებს, მიზანს მივაღწევთ თუ არა, ან უბრალოდ, წარმატებული დღე თუ იქნება. ამის გასაგებად, რაიმე ეზოთერული ხრიკი არსებობს?**

> **თუ სახლიდან გასულს შემობრუნება გიწევთ, სახლში შესვლისას აუცილებლად ჩაიხედეთ სარკეში, შემდეგ საფულე გახსენით, ფული გადათვალეთ და ისე გადით გარეთ**

– *(იცინის).* რატომ გგონიათ, რომ ასეთი სურვილი, მხოლოდ ქალებს გიჩნდებათ? მამაკაცებიც ასევე ვაზროვნებთ და ჩვენც გვაინტერესებს მომავალი დღის შესაძლო ამბები. უბრალოდ, არ ვაღიარებთ. მოკლედ, განდობთ ბრინჯით მკითხაობის მეთოდს, რომელიც ძალიან ადვილია და ის მომავალ დღეზე უტყუარ ინფორმაციას მოგცემთ. აიღეთ გამჭვირვალე ჭიქა განიერი პირით და ჩაასხით მასში ახალ მთვარეზე აღებული ონკანის წყალი. ის შეგიძლიათ შეინახოთ და მაშინ გამოიყენოთ, როცა სურვილი გექნებათ იმკითხაოთ. მაგიდას თეთრი ქსოვილი გადააფარეთ, დადგით მასზე წყლით სავსე ჭიქა. აიღეთ ერთი მუჭა ბრინჯი, დადექით მაგიდასთან, დახუჭეთ თვალები და იფიქრეთ იმაზე, რისი გაგებაც გსურთ მომავალ დღეს. ეს უნდა გააკეთოთ საღამოს საათებში, სიწყნარეში, ანუ ოთახში, სადაც მარტო იქნებით და არავინ შეგაწუხებთ. მოკლედ, ჩაიფიქრეთ, მაგალითად, მოგემართებათ თუ არა ხელი ამა თუ იმ საქმეში; დადებითად ჩაივლის თუ არა ამა თუ იმ პიროვნებასთან მოლაპარაკება; მოგიტანთ თუ არა დადებით შედეგს სადმე წასვლა და ასე შემდეგ. ამ დროს, როცა ამ კითხვაზე ფიქრობთ, მუჭში ბრინჯი კარგად გაათბეთ, შეიგრძენით ის თქვენს ხელში, შემდეგ გაახილეთ თვალი, ბრინჯი ჩაყარეთ წყლიან ჭიქაში და კარგად დააკვირდით, როგორ მიმოიფანტება ბრინჯი ჭიქის ძირზე. თუ ის აქეთ-იქით მიმოიფანტა მთელ ფსკერზე, ესე იგი, თქვენს კითხვაზე უარყოფითი პასუხია, თუ ერთად მოგროვდა ჭიქის ფსკერზე – მაშინ დადებითი. ასე რომ, თუ სამომავლოდ რამის გაკეთება გსურთ და პასუხი წინასწარ გაინტერესებთ, ბრინჯი ამაში დაგეხმარებათ. ასევე, დააკვირდით ტანსაცმელზე მიკერებულ ღილებს, როცა რაიმე მნიშვნელოვან საქმეზე მიდიხართ. ტანსაცმელზე ღილები აუცილებლად წყვილად უნდა ეკეროს, რომ წარმატებებს ადვილად მიაღწიოთ; ნებისმიერ სიტუაციაში თქვენი აზრი დაფიქსირდეს; გარშემო მყოფებთან ნდობით ისარგებლოთ და საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისთვის შესამჩნევი და სასურველი იყოთ. მოკლედ, თუ გინდათ, პირად ცხოვრებასა და კარიერაში ხელი მოგემართოთ, ტანსაცმელზე ღილები ლუწი რაოდენობით უნდა ეკეროს. თუ ადამიანს ტანსაცმელზე კენტი რაოდენობის ღილი აკერია, იმ დღეს ის ხელმოცარული იქნება. ამიტომ, გირჩევთ, ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკითხს მეტად წინდახედულად და ყურადღებით მიუდგეთ. ჯობია, ზედმეტი ღილი ააჭრათ ტანსაცმელს და ასე, იოლად აიცილოთ თავიდან უსიამოვნებები. გეტყვით იმასაც, რომ, თუ საპასუხისმგებლო საქმეზე ან მოლაპარაკებაზე აპირებთ წასვლას, გირჩევთ, ისეთი სამოსი ჩაიცვათ, რომელზეც ღია ფერის ღილებია დაკერებული. მაგრამ, თუ საქმის გასარჩევად, ვალის დასაბრუნებლად ან საჩხუბრად მიდიხართ, მაშინ, მუქღილებიანი სამოსი გამოგადგებათ. ამას მიაქციეთ ყურადღება და, მერწმუნეთ, ცხოვრებაში წარმატება და იღბალი გარანტირებული გექნებათ.

**ნონა დათეშიძე**

## მითები სიყვარულზე...

სიყვარული, რა თქმა უნდა, არსებობს... არსებობს წარმოდგენები მის შესახებ. ადამიანები ისეთად წარმოიდგენენ ამ გრძნობას, როგორიც თავად უნდათ რომ იყოს. იქმნება სტერეოტიპები, რომელთა ტყვეობაშიც ვექცევით და ამით სიყვარულიც ზარალდება.

მაგალითად, მცდარია მოსაზრება, თითქოს შეყვარებულებს შორის არანაირი საიდუმლო არ უნდა არსებობდეს. ჩვენ ერთმანეთს, როგორც საკუთარ თავს, ისე ვიცნობთ"... – თუ ეს მეტაფორაა, რომლითაც გინდათ აჩვენოთ, როგორ ენდობით პარტნიორს, კიდევ არა უშავს. რეალურად, ადამიანი საკუთარ თავსაც ვერ ენდობა. სიყვარული ასეთ უპირობო ნდობას არ ცნობს. მეორე მხარეა ის, რომ ცოტა საიდუმლო სწორედაც საჭიროა. ადამიანებს მოგვწონს ინტრიგა. ინტრიგის, მძაფრი ვნებების გარეშე ის დიდხანს ვერ ძლებს.

მითია ისიც, რომ სიყვარული ადამიანებს უკეთესს ხდის. ადამიანები ძალიან ძნელად იცვლებიან და ფაქტია, რომ მხოლოდ სიყვარული ამას ვერ ეყოფა. თუ შეყვარებული ძალიან ახალგაზრდაა, ის რაღაც პერიოდის განმავლობაში ეცდება, პარტნიორს თავი უკეთესად მოაჩვენოს. მაგრამ, ესეც დასრულდება, შეიძლება, სერიოზული კრახითაც კი. ამიტომ, გაცილებით ჯობია, თავიდანვე რეალისტები ვიყოთ.

ყველაზე საშიში მითია ის, რომ განშორება სიყვარულს აძლიერებს... არავითარ შემთხვევაში. გიყვარს? – შეეცადე, გვერდიდან არ მოსცილდე. არსებობს გამოთქმა: თვალი შორს და გულიდანაც შორსო! – და ეს რეალურია. ოთხი-ხუთი დღით დაშორება იძლევა გრძნობის განახლების საშუალებას. მაგრამ, მერე უკვე ვითარდება „მეშვიდე დღის სინდრომი". სწორედ ამ მეშვიდე დღის გასვლის მერე, ყველაზე შეყვარებული ადამიანიც კი მზადაა, წავიდეს კაფეში ვინმესთან ერთად, გამოელაპარაკოს რაღაც თემებზე და იგრძნოს გვერდით მისი სიახლოვე. ფსიქოლოგები გეტყვიან, რომ, როცა შენს სიახლოვეს არ არის საყვარელი ადამიანი, მონატრების მწველი გრძნობა გაიძულებს იმის სიყვარულს, ვინც ახლოსაა. ანუ, იმისთვის, რომ ნაკლები პრობლემები გვქონდეს, აჯობებს, მითები დავივიწყოთ...

## მატყუარა თვალები

მამაკაცებზე ამბობენ, რომ მათ თვალებით უყვართ. არაფერია ნათქვამი იმაზე, სჭირდება თუ არა კაცს გვერდში პიროვნება. ალბათ, ზოგს სჭირდება, ზოგს – არა, მაგრამ, აბსოლუტურად დაუდგენელია სილამაზის კრიტერიუმები. ყველას თავისი, ორიგინალური გემოვნება აქვს. მაგალითად, ძირითადად გამოიყოფა ხოლმე შემდეგი ტიპაჟები: „საყვარელი – ბავშვური", „ვნებიანი – საბედისწერო ქალი", „საყვარელი – შინაური გოგონა", „მომხიბვლელი – ინტელექტუალი ქალბატონი", „თოჯინა"... – გააჩნია, რომელ მამაკაცს რომელი ტიპაჟი ურჩევნია, რომ მუდმივად ჰყავდეს გვერდით. სამწუხაროდ, მამაკაცებს ხშირად ღალატობთ მხედველობა. თითქოს კარგად და გარკვევით ხედავენ, მაგრამ, რადგან „ბრჭყვიალა" ეფექტებისკენ აქვთ მიდრეკილება, ხშირად ტყუვდებიან. „ბრჭყვიალა," მყიფე, ანუ, შინაგანად ცარიელი სათამაშო მალე ჰბეზრდებათ. ყველაზე ცუდად კაცი მაშინ გრძნობს თავს, როცა მოტყუებული ბიჭის განცდა ეუფლება.

საწყალი, დაუცველი მამაკაცები... მაგრამ, დამნაშავენი მხოლოდ თავად არიან – თვალი გაურბით, თანაც, არა იქით, საითაც მათ ერთგულებასა და სიყვარულს დაახვედრებენ.

## მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება!

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ის შენთვის ერთადერთი და ყველაზე ძვირფასი ადამიანი იყო... დღეს კი უკვე სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდი – ღირს საერთოდ, მის გვერდით ცხოვრება?!. რამდენიმეწლიანი თანაცხოვრება მარტო ადამიანს კი არა, ცხოველსაც კი შენი ყოფის, შენი რეალობის ნაწილად აქცევს. მას უბრალოდ და მარტივად ვერ ამოხევ, როგორც ბლოკნოტიდან ფურცელს და ვერც გადააგდებთ. სერიოზული ნაბიჯი ყოველთვის სერიოზული ფიქრის, განსჯისა და აზროვნების შემდეგ გადაიდგმება. ნებისმიერი გადაწყვეტილება გულისხმობს პასუხისმგებლობას ამ ნაბიჯზე.

მაგრამ თუკი გადაწყვეტ, ყველა დეტალს და ნიუანსს ბოლომდე გაიაზრებ, არ შეგეშინდება იმის, რომ შეიძლება, ცხოვრება გაგირთულდეს და ცრემლიანი გახდეს... იმოქმედე! გონებაში „ჩამოწერე" ყველა პუნქტი შენი ახალი ცხოვრებისა. დარწმუნდი, რომ მარტო არ დაიკარგები?! მოახერხებ იმას, რომ შენი პიროვნება პიროვნება დარჩეს და წინაც იაროს?! – მაშინ, დროს ნუღარ დაკარგავ. მსხვერპლი არ უნდა გაიღო. მით უმეტეს, როცა ის არავის სჭირდება!

## ყველაფერი სიყვარულზე

მამაკაცები ქალებზე ბევრად რაციონალურები არიან სიყვარულში. გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არსებობენ, მაგრამ ეს წესს არ ცვლის. მამაკაცს აქვს მესაკუთრის ხასიათი და ისეთი ფიზიოლოგია, რომელიც ხშირად არ აძლევს საშუალებას, იყოს პარტნიორის ერთგული.

ქალებმა როგორ უნდა უშველონ საკუთარ თავს? – პირველი წესი: მასზე ისე არ უნდა იფიქრონ, როგორც რაღაც სასწაულზე. ცხოვრება სიყვარულის გარეშეც შეიძლება. მართალია, ბევრად უინტერესო იქნება, მაგრამ თუ ილუზიას არ შეიქმნით, უფრო ადვილად შეძლებთ სიყვარულის პოვნას.

ქალებს საზოგადოება გაცილებით მაღალ მორალურ კრიტერიუმებს უყურებს, ვიდრე მამაკაცებს. ეს უსამართლობაა, მაგრამ არ უნდა ინერვიულო იმაზე, რასაც არაფერი ეშველება. ქარაფშუტობა დასაშვებია, მაგრამ პრობლემებს მაინც ქმნის.

ნუ იფიქრებთ იმაზე, რომ სიყვარული დღესასწაულია – ფოიერვერკებით, ვარდის ფურცლების „წვიმით" და მუსიკით ყურში...

ვარდის ფურცლები ჭკნება... დღესასწაული სრულდება... ფოიერვერკი ქრება... სიყვარული მარადიული მარტო ჩვენს მეხსიერებაშია.

ქალზე, რომელსაც ოჯახი არა აქვს, ამბობენ: პირად ცხოვრებაში არ გაუმართლაო... მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება, ძალიან კმაყოფილიც იყოს საკუთარი ცხოვრებით – წარმატებული და შემდგარი, როგორც პიროვნება. ანუ, სიყვარული და სტაბილური ურთიერთობა საჭირო ყოფილა. მთავარია, სიყვარულის შესახებ ყველაფერი იცოდე, სანამ თავდავიწყებით შეიყვარებდეთ...



# რა აკავშირებს რუსეთის იმპერიასთან ჰოლივუდის ვარსკვლავ სტივენ სიგალს და რატომ არის უცნობი დედამისის წარმომავლობა

*მსოფლიო კინოს ისტორიაში 1980-იანი წლების ამერიკული მძაფრსიუჟეტიანი ფილმები სილვესტერ სტალონეს, ჩაკ ნორისის, არნოლდ შვარცენეგერის, ჟან-კლოდ ვანდამისა და დოლფ ლუნდგრენის პაექრობად ჩაიწერა. „ბოევიკების" ვარსკვლავები მაღალბიუჯეტიან ფილმებში „სუპერმენობისა" და „ზეადამიანების" სტატუსს აყალიბებდნენ. ამ პაექრობაში თავისი ნიშა ეკავა სტივენ სიგალს, „ნიკოდ" ცნობილ ამერიკელ კინოვარსკვლავს, რომლის ფილმები ვიდეოკასეტების ეპოქაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოშიც.*

* სტივენ სიგალის წარმომავლობის რამდენიმე ვერსია არსებობს. სხვადასხვა ცნობით, მამამისი ებრაელი, ხოლო დედა ირლანდიელია. ბაბუა მამის მხრიდან ბავშვობაში ოჯახთან ერთად სანკტ-პეტერბურგიდან გადმოსახლებულა შეერთებულ შტატებში. თავად სიგალი ირწმუნება, რომ ბაბუა რუსეთის იმპერიის ბუდისტური რაიონიდან იყო წარმოშობით და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. სიგალი იხსენებს, რომ ბავშვობაში მას ეუბნებოდნენ, ბაბუა „მონღოლიაო", თუმცა დაზუსტებით მონღოლი იყო, ყალმუხი თუ ბურიატი, უცნობია. ძველი ფოტოების მიხედვით, სიგალის წინაპრები ბურიატებს ჰგვანან, თუმცა მათ თავზე მონღოლური ქუდები ახურავთ. გარდა ამისა, სიგალი ირწმუნება, რომ მისი ბებია ვლადივოსტოკიდან იყო და ასევე, შორეული ნათესავები ჰყავს სანკტ-პეტერბურგსა და უკრაინაში. რაც შეეხება დედის ირლანდიურ წარმომავლობას, ეს მხოლოდ ვარაუდია. სტივენ სიგალის თქმით, დედა ჩვილობისას ფეხსაცმლის ყუთში იპოვეს და შემდეგ ბავშვთა სახლში იზრდებოდა.

* სტივენი მეორე შვილია ოჯახში. მას ჰყავს უფროსი და და ორი უმცროსი და. 1957 წელს ოჯახი ფულერტონში გადასახლდა. დედა – პეტ სიგალი პოლიკლინიკაში მიმღებ-ადმინისტრატორად მუშაობდა, ხოლო მამა მათემატიკას ასწავლიდა სკოლაში.

* შვიდი წლის ასაკიდან სტივენი კარატეში ემზადებოდა. 15 წლისა ტიპური ქუჩის ბიჭი იყო, რომელიც ჩხუბიდან ჩხუბამდე ცხოვრობდა. ამ პერიოდში სტივენის ცხოვრებაში ნამდვილი გადატრიალება მოხდა. მან გაიცნო აიკიდოს ოსტატი სიჰანი კესი ისისაკი. სტივენი მალევე გახდა ისისაკის მოსწავლე და არაერთ საჩვენებელ გამოსვლაში მიიღო მონაწილეობა ფესტივალებზე „იაპონურ სოფელში". ასე ეწოდებოდა ლოს-ანჯელესის გარეუბანს, ორანჯს. იმ პერიოდში აიკიდო მაინცდამაინც არ იყო პოპულარული შეერთებულ შტატებში.

* 17 წლის სტივენი იაპონიაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც იქაურ ოსტატებთან დაიწყო მომზადება აიკიდოში. 1970-იანი წლების დასაწყისში ის შეხვდა იაპონელ მიაკო ფუძიტანის, რომელიც მისი შვილების: ვაჟის – კენტაროსა და ქალიშვილის – აიაკოს დედაა.

* 1974 წლის ზაფხულში სტივენ სიგალმა კოიტი ტოჰეის პირველი დანი მიიღო. 1975 წელს ის გახდა პირველი ამერიკელი იაპონიაში, რომელმაც გახსნა აიკიდოს სკოლა „დოდზე" ოსაკაში. „დოდზეს" სიგალმა „ტენსინი" უწოდა, რაც თარგმანში „ციურ სულს" ნიშნავს.

* სიგალი აიკიდოს უმაღლეს ოსტატებთან ვარჯიშობდა – კოიტი ტოჰეასთან, ისოიამასთან, სეოსთან და აბესთან. ის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული მოსწავლე იყო და საბოლოოდ, მეშვიდე დანისა და სიჰანის წოდების მფლობელი გახდა. თავის საუკეთესო მასწავლებლად სტივენ სიგალი მეათე დანის მფლობელს, აიკიდოს ოსტატს, სეისეკი აბეს მიიჩნევს, რომელმაც ის აიკიდოს ფილოსოფიას აზიარა. აბესთან ერთად სიგალი მსოფლიოს მასშტაბით არაერთ სემინარში მონაწილეობდა აიკიდოს თემაზე.



* 1982 წელს იაპონიაში სტივენ სიგალი პირველად მოხვდა კინობიზნესში. სიგალი ფილმ „გამოძახების" გადასაღებ მოედანზე მიიწვიეს, სადაც მას კატანებით (იაპონური ხმლის ნაირსახეობა) ბრძოლა უნდა დაედგა. გარდა ამისა, ფილმის მასიურ სცენებში სიგალის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

* იაპონიაში ცხოვრების პერიოდში სტივენ სიგალმა გაიცნო ამერიკელი კინოვარსკვლავი ჯეიმს კობურნი, რომელიც ბრიუს ლის მეგობარი იყო და მასთან ერთად ვარჯიშობდა კარატეში. კობურნი კმაყოფილი იყო სიგალის სავარჯიშო მეთოდებით და მისი რჩევით, სიგალმა კალიფორნიაში აიკიდოს სკოლა გახსნა. მას შემდეგ სტივენ სიგალი ცნობილი სახე გახდა ჰოლივუდში და აქტიურად დაიწყო საუბარი მის შესაძლო კინოკარიერაზე.

* 1986 წელს ჰოლივუდური სააგენტოს „ნიჭიერი მსახიობების" მფლობელმა მაიკ ოვიცმა, იმ დროის ჰოლივუდის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა აგენტმა, სიგალთან დაიწყო ვარჯიში აიკიდოში. ოვიცი იმდენად დაინტერესდა სიგალის პერსონით, რომ დამწყებ რეჟისორ ენდრიუ დევისთან ერთად, სცენარის დაწერა დაიწყო ფილმისთვის, სადაც მთავარი როლი სიგალს უნდა ეთამაშა. კომპანია „უორნერ ბრაზერსმა" დააფინანსა პროექტი და ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „კანონზე მაღლა" – პირველი ფილმი „ნიკოს" სერიიდან, რომელმაც სტივენ სიგალს მსოფლიო აღიარება, ხოლო პროდიუსერებს, შვიდმილიონიანი ბიუჯეტის მქონე ფილმიდან 30 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

* 1985 წელს, იაპონიაში ყოფნის პერიოდში სტივენ სიგალმა გაიცნო მოდელი და მსახიობი კელი ლებროკი. 1987 წლის სექტემბერში წყვილი დაქორწინდა. ცერემონია სანფერნანდოს ველში ჩატარდა ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში, სტუმრების რაოდენობა 100 კაცს შეადგენდა. სტივენი და კელი 1994 წელს დაშორდნენ ერთმანეთს. დაშორების მიზეზი კი, სტივენის რომანი გახდა 16 წლის ძიძასთან, რომელიც მათ შვილებს უვლიდა.

1995 წელს კინოეკრანებზე გამოვიდა სტივენ სიგალის, ალბათ, ყველაზე ცნობილი ფილმი „ალყაში 2", სადაც მან გადამდგარი საზღვაო მედესანტისა და კოკის – კეისი რაიბეკის როლი შეასრულა. ტერორისტების მიერ გატაცებული მატარებლის შესახებ გადაღებული ფილმი იმ წლის ბლოკბასტერი გახდა. იმავე წელს სიგალის ფეხის ანაბეჭდი გაკეთდა ლოს-ანჯელესში, ჰოლივუდის ხეივანში.

* 1998 წელს სტივენ სიგალი ბუდიზმში „გადავარდა" და დიდ დროს ატარებდა ტიბეტის მონასტრებში. მინდროლინგის მონასტერში ლამა პენორ რინჩოპემ სიგალი მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი ტიბეტელი მასწავლებლის, ჩორდენა დორდჟეს რეინკარნაციად გამოაცხადა. სამი წლის განმავლობაში სტივენ სიგალზე მწირი ცნობები მოიპოვებოდა. ცნობილია, რომ ის ბევრს მოგზაურობდა ტიბეტში, ნეპალში, ინდოეთსა და ტაილანდში.

* 2001 წელს სიგალის სახელს დაუკავშირდა სკანდალი. იტალიური მაფიოზური კლანი – გამბინოს ოჯახი მსახიობისგან ფულის გამოძალვას ცდილობდა სიგალთან დაახლოებული პირების საშუალებით. ისტორია იმით დასრულდა, რომ ფედერალურმა სამსახურმა მაფიოზური კლანის 17 წევრი დააკავა, მათ შორის მაფიის კლანის მეთაურები.

* 2000-იანი წლების დასაწყისიდან სტივენ სიგალი თითქმის გაუჩინარდა ეკრანებიდან – რამდენიმე წარუმატებელი დაბალბიუჯეტიანი ფილმის შემდეგ, ის წასული იყო კინემატოგრაფიდან, როცა 2010 წელს, რობერტ როდრიგესმა უარყოფითი პერსონაჟის როლი შესთავაზა ბლოკბასტერ „მაჩეტეში". სიგალის თქმით, უარყოფითი პერსონაჟის განსახიერება მისი დიდი ხნის ოცნება იყო და საინტერესო გახლდათ ასევე, მთავარი როლის შემსრულებელ, დენი ტრეხოსთან ერთად მუშაობა.

**უშანგი რუხაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ
მიიღეთ
ეფექტური

# კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რა არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს ორ ადამიანს შორის ენერგეტიკული შეუთავსებლობა

***„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.***

**კურტ ვონეგუტი**

ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, როცა ორ ადამიანს შორის ერთი საერთო ენერგოველი წარმოიქმნება, რომელიც მათ კიდევ უფრო აახლოებს და იცავს გარშემო მიმდინარე ნეგატიური ენერგიების ზემოქმედებისგან. ამიტომ, ჯობია, სანამ მარტო დარჩებით, ანუ, გიღალატებენ და საყვარელი ადამიანისგან მიტოვებულს გული გეტკინებათ, ყურადღებით შეისწავლოთ მომავალი სასიყვარულო პარტნიორის ენერგეტიკული ველი. იმის მისახვედრად, თუ რომელი ადამიანია თქვენთვის ენერგეტიკულად მისაღები სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, გამძაფრებული ინტუიცია და წინათგრძნობები დაგეხმარებათ, რაც არც ისე რთული საქმეა. ერთ-ერთი საშიში სიმპტომია, როცა თქვენს რჩეულთან ურთიერთობისას ილლებით, გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ ან შინაგანი ფორიაქი გეწყებათ. თუ ეს სიტუაცია სისტემატურ ხასიათს მიიღებს, აუცილებლად დაფიქრდით, რა იწვევს ამას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თქვენი პარტნიორი ენერგეტიკულად აბსოლუტურად განსხვავდება თქვენგან. ეს კი ნიშნავს, რომ თქვენი რჩეული თქვენგან გაცილებით მეტ ენერგიას იღებს, იმაზე მეტს, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ, რომ გაუზიაროთ. მისგან წამოსული ენერგია კი იმაზე მეტია, ვიდრე შეგიძლიათ, მიიღოთ, რაც თქვენში არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. დროთა განმავლობაში, ორ ადამიანს შორის ენერგეტიკულ დონეზე შეუთავსებლობა იწვევს კონფლიქტებს, გაუგებრობებს, დაძაბულ სიტუაციებს და ამიტომაც იზრდება ასე კატასტროფულად განქორწინებათა რიცხვი. შეყვარებულთა შორის შეუთავსებლობის მეორე მიზეზი კარმაა და ამ დროს საქმე უფრო რთულადაა. თუ ერთ-ერთს წინაპართა კარმული ვალი გადმოეცა მემკვიდრეობით, მას უიღბლობის კოდი აქვს ჩართული, რაც გამუდმებით უქმნის პრობლემას სიყვარულში. ზოგადად, კარმულად ცოდვილი ადამიანების შთამომავლები უიღბლოები და წარუმატებლები არიან. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, რომლის დროსაც საერთო ენერგოველი, საერთო აურა წარმოიქმნება, რომელიც მათ კიდევ უფრო იზიდავს და აახლოებს. ასეთ შემთხვევაში ოჯახიც მყარია და მეუღლეებიც მშვიდად და დაცულად გრძნობენ თავს ერთმანეთის გვერდით.

საკუთარ თავს რომ დაეხმაროთ და ცხოვრების ორი ძირითადი სფერო – სიყვარული და მატერიალური კეთილდღეობა მოიწესრიგოთ, ასტროლოგიური რჩევები უნდა გაითვალისწინოთ. საცხოვრებლისა და სამუშაო ადგილის მოწყობის ძველი ჩინური ხელოვნება – ფენ-შუი, ბევრ რეკომენდაციას იძლევა, რომლებიც პრაქტიკულ ცხოვრებაში ძალიან წაგადგებათ და დაგეხმარებათ უკეთესი მომავლის დაგეგმვაში.

„ფენ-შუი“ სიტყვასიტყვით „ქარსა და წყალს“ ნიშნავს. ეს ხელოვნება ხუთი ათას წელს ითვლის. მას საფუძვლად უდევს უხილავი და უხმო, ყოვლის შემქმნელი კოსმიური ენერგიის – „ცის“ შესწავლა. „ცი“ კი ყველაფერშია, ბალახით დაწყებული, კოსმოსით დამთავრებული. ის ჩვენამდე მზის შუქით, სითბოთი, ქარითა და წყლით აღწევს. რაც უფრო მაღალია „ცის“ კონცენტრაცია, მით უფრო ჯანსაღია ჩვენი ცხოვრების წესი, ანუ, გვაქვს წარმატებული კარიერა, სიყვარული, ურთიერთობა და ასე შემდეგ.

გირჩევთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები და თავადვე დაეხმაროთ საკუთარ თავს უკეთესი მომავლის მოწყობაში: პირველ ყოვლისა, იზრუნეთ თავისუფალ სივრცეზე, რათა „ციმ“ ლაღად იმოძრაოს. ამისთვის თავიდან მოიშორეთ უსარგებლო ნივთები – ისინი ბოჭავს სივრცეს და აკავებს „ცის“ ენერგიის შემოდინებასა და ცირკულაციას ბინასა თუ ოფისში.

არ ვარგა შემოსასვლელში, კარის წინ სარკის დაკიდება ან დადგმა – ეს „ცის“ არეკვლას გამოიწვევს და ენერგია სახლში ვერ შემოვა.

ასევე, „გაანეიტრალეთ“ სახლში ბასრი კუთხეები, რომლებიც „ცის“ მჭრელ ენერგიად გადააქცევს. ასეთ ადგილებში კარგია ყვავილების დადგმა.

ეცადეთ, სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში შუქი იღვრებოდეს და ყველა ადგილი განათებული იყოს.

ტუალეტის ან აბაზანის კარი, ასევე, უნიტაზის სახურავი, დახურული უნდა იყოს, თორემ, მთელი დადებითი ენერგია ჩაირეცხება.

საცხოვრებელ ბინაში დადებითი ენერგიის დაგროვების საწინდარია ლამაზი მცენარეები – ისინი დიდი რაოდენობით შეიცავს კარგ ენერგიებს.

ბევრი ჩვენგანი დღეში დაახლოებით 7-8 საათს სამსახურში ატარებს. ფენ-შუის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მინიმალური დანახარჯებით შეძლებთ სამუშაო გარემოს გაჯანსაღებასა და პოზიტიური ენერგიებით ავსებას. მაგალითად:

არ მიადგათ მაგიდა კედელს; დადგით ის შემოსასვლელი კარის პირდაპირ;

არ დაჯდეთ ზურგით ფანჯარასთან; მიაქციეთ ყურადღება სამუშაო მაგიდის ზომას. თუ მაგიდა დიდი ზომის არის, ის წარმატებული კარიერის შექმნაში ვერ დაგეხმარებათ; სამუშაო მაგიდაზე „ცის“ მოსაზიდად დააწყვეთ კრისტალის პატარა ფიგურები; მაგიდაზე ნუ გექნებათ უსარგებლო ნივთები, რადგან ისინი მნიშვნელოვნად აბრკოლებენ დადებითი, ანუ, „ცის“ ენერგიების შემოდინებას;

აუცილებლად მუდამ წესრიგში და მილაგებული გქონდეთ სამუშაო კუთხე და მაგიდა. ბევრისთვის დაუჯერებელია, მაგრამ, ფაქტია, რომ ფენ-შუის შეუძლია, წარმატება მოგიტანოთ კარიერაში, სიყვარულში და მნიშვნელოვნად გაზარდოს თქვენი შემოსავლები. ამისთვის კი შემდეგი წესები გაითვალისწინეთ:

* ძილის წინ წყლით დაისველეთ თავი – ეს მშვიდ ძილსა და წარმატებულ მომავალ დღეს გპირდებათ.

* საცხოვრებელი სახლის დასავლეთ ნაწილში დადგით ყულაბა და შიგ ჩაყარეთ ხურდა ფული.

* ვისაც სიყვარულში გაქვთ პრობლემები, გირჩევთ, გაააქტიუროთ და გააძლიეროთ სახლში სიყვარულის ენერგიის შემოდინება: ოთახში დადგით ლამაზი, გამჭვირვალე მინის ჭურჭელი და შიგ ჩაყარეთ წითელი და თეთრი ფერის ქვები, ჩაასხით წყალი და მუდმივად იქონიეთ წითელი ფერის ცოცხალი ყვავილები. წყალი ხშირად ცვალეთ, რათა არ აიმღვრეს და მუდმივად სუფთა იყოს.

* გადახედეთ თქვენს საცხოვრებელ და სამუშაო ადგილს; დააკვირდით, რა არ არის წესრიგში, რა გიშლით ხელს წარმატებული და ბედნიერი ცხოვრების მოწყობაში და იმოქმედეთ ადეკვატურად, ზოგადი ასტროლოგიური რჩევების გათვალისწინებით.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1979 წლის 9 მაისს, საღამოს საათებში. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და ასტროლოგიურად რომელი სფეროებია წარმატების მომტანი?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის. ის თქვენთვის საშუალოა. ქვეყნებიდან კი შედარებით უკეთესია: ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ინგლისი, ბელგია, კანადა, ეგვიპტე, საბერძნეთი, ნორვეგია, არგენტინა, მონაკო, ჩინეთი, ლატვია, ესპანეთი, ავსტრალია, იტალია, გერმანია და რუსეთი. პროფესიებიდან წარმატების მომტანია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ხელოვნების ფართო სპექტრი, სადალაქო ინდუსტრია, არქიტექტურა, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ავიაციის ბიზნესი, ქორეოგრაფია, საკონდიტრო ინდუსტრია, სოციოლოგია, ფოტოგრაფია, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური სფერო.

**კითხვა: დავიბადე 1983 წლის 2 ნოემბერს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია?**

**პასუხი:** თქვენი კარმული მისია უკავშირდება იმას, რომ იყოთ პატრიოტი, დაიცვათ ტრადიციები. უნდა დაასტაბილუროთ საოჯახო და სამეგობრო ურთიერთობები. უცხოეთი თქვენი კარმული მისია არ არის, თუმცა, იქ დროებით ყოფნა მისაღებია. იქ დაგროვილი კაპიტალი, ცოდნა და გამოცდილება სამშობლოში უნდა მოიხმაროთ. ქვეყნებიდან კი შედარებით უკეთესია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, თურქეთი, საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, იტალიის ვენეციის მხარე, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ნეპალი, არგენტინა, ბირმა, ტიბეტი, სან-მარინო, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები ავსტრია, გვატემალა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

10 ივნისი, **ორშაბათი** 19.45 - **„ყველაფერი სიყვარულით იწყება"** - (ბილეთის ფასი - 35, 45, 55, 60, 75 ლარი), (დიდი სცენა), მაქსიმ ავერინის მონოსპექტაკლი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

12 ივნისი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

13 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„სულიერი არსებები".** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

15 ივნისი, **შაბათი** 19.45 - **„მეფის მკვლელები"** - (ბილეთის ფასი - 6 - 15 ლარი), (დიდი სცენა), ვოლგოგრადის სახელმწიფო ახალი ექსპერიმენტული თეატრის გასტროლი. რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 ივნისი, **კვირა** 19.45 - **„პრიმადონები"** - (ბილეთის ფასი - 6 - 15 ლარი), (დიდი სცენა), ვოლგოგრადის სახელმწიფო ახალი ექსპერიმენტული თეატრის გასტროლი. რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59**

11 ივნისი, **სამშაბათი** 20.00 - **„ბახტრიონი" - ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში); ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 ივნისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი"** - თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები"** - სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ნინო შავგულიძე, მერაბ ბრეკაშვილი, მარინა სოლომონია, ნუგზარ წერედიანი;

13 ივნისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

16 ივნისი, **კვირა** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21.**

11 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

12 ივნისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

15 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ვიზიტი ფსიქოლოგთან"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ეკა შარიქაძე, მაია დობორჯგინიძე, თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: მაია ხორნაული, გიორგი ჯიქია, ნათია კვაშალი, შაკო მირიანაშვილი, სალომე ჭულუხაძე, გიორგი მარშანია, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 ივნისი, **კვირა** 19.00 - **„მშვენიერი ქართველი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა, მამუკა მუმლაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

13 ივნისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

14 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე. როლებში: ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

15 ივნისი, **შაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

11 ივნისი, **სამშაბათი** 19.00 - **„ოცნება და სინამდვილე"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

14 ივნისი, **პარასკევი** 19.00 - **„კიდევაც დაიზრდებიან"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
**დ. აღმაშენებლის გამზირი №99/1.**
**ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

13-14-15 ივნისი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„კარებს აჯახუნებენ"** - პრემიერა - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მაია ჩართოლანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

15 ივნისი, **შაბათი** 15.00 - **„ჭინჭრაქა"** - დიდი დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გოგა ქაჩიბაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

16 ივნისი, **კვირა** 12.00 - **„მზის სხივი"** - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. ***ხანგრძლივობა: 45 წუთი;***

16 ივნისი, **კვირა** 15.00 - **„სიცოცხლის ხე"** - მცირე დარბაზი - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი კოტე მირიანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 10 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "გურმანია" **18.00** დ/ფ "**100** უდიდესი აღმოჩენა" **19.05** ტ/სერ "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **21.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **22.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **23.00** მხ/ფ "**ბნელი რაინდი**" **01.00** "დღეს ორის ნახევარზე".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**". **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) **23.00** კრიმ. სერ. "**უკანასკნელი ნათლია**" **1** სერ. **00.15** მხ/ფ "**ძმები მეტოქეები**" (ა.უორნერი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** მოგზაურობა **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრესკლუბი" **16.30** "ღია კარის დღე" (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**მეტიჩარა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - "ხიდი" **18.10** გუთნისდედა **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**იცოცხლე გენაცვალე**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "უნივერსიტეტის გაზეთი-უნივერსიტეტის პოზიცია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**".

## სამშაბათი 11 ივნისი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "ჩვენი ეზო" **18.00** დ/ფ "ადამიანი პლანეტა" **19.05** ტ/სერ "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" **20.50 ფეხბურთი**. მსოფლიოს **2014** წლის შესარჩევი ეტაპის მატჩი: **ბელორუსი – ფინეთი** (პ/რ) **23.00** მხ/ფ "**დაძაბე გონება**" (ე.ჰეტეუეი) **01.00** "დღეს ორის ნახევარზე".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: "სუხიშვილები" **1** ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** კრიმ. სერ. "**შევარდნის თვალი**" **2** სერ. **23.00** მხ/ფ "**როგორ გიპოვე შენ**" (კ.ფერტი) **01.25** მხ/ფ "**სიბრმავე**" (დ. გლოვერი) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. "**გრიმი**" **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრეს-პრესი" (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**იცოცხლე გენაცვალე**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ისტორიის გაკვეთილი **16.05** კონცერტი - სამი ტენორი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოკ/ფ "**სერენადა**" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**10 – 16 ივნისი**

*დარბაზი 1*

11.25, 13.40, 15.50 - **„ეპიკი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.05, 20.20, 22.35 - **„დედამიწის შემდეგ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„ნაწილები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.15, 19.55, 22.30 - **„ფორსაჟი 6”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

11.25, 13.40, 15.50 - **„დედამიწის შემდეგ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

18.05 - **„ეპიკი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.20 - **„მე აღგზნებული ვარ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„დიდი გეთსბი”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 5*

11.25, 13.40, 15.50, 18.05, 20.20, 22.35 - **„ჰენგოვერი III”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

11.50, 13.50, 15.50 - **„ეპიკი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.00, 20.00, 22.30 - **„მე აღგზნებული ვარ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30, 19.45, 22.30 - **„ჰენგოვერი III”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

17.30 - **„ეპიკი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო”**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00 - **„მონსტრი პარიზში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 20.00, 22.00 - **„ნაწილები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 4 - 7 ლარი).

# კარტოფილი ფარშით















**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი საქონლის რბილი ხორცი, 400 გრამი კარტოფილი, 1 ცალი ხახვი, 150 მილილიტრი ხორცის ბულიონი (შეიძლება კუბიკისაც), 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 3 სადილის კოვზი გახეხილი ყველი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცისგან მოამზადეთ ფარში, დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი, პილპილი, მარილი, გემოვნებით. კარგად ამოურიეთ და გაყავით სამ ტოლ ნაწილად. ერთი ნაწილი მოათავსეთ მომცრო ზომის ცეცხლგამძლე ჭურჭელში. კარტოფილი დაჭერით თხელ რგოლებად. გაყავით მთელი რაოდენობა სამ ნაწილად და პირველი ნაწილი დააწყვეთ ფარშის პირველ ნაწილზე, მოაყარეთ ცოტა მარილი, პილპილი და ზემოდან მოათავსეთ ფარშის მეორე ნაწილი; მერე ისევ კარტოფილი, ისევ ფარში და ისევ კარტოფილი. ბულიონი გახსენით ტომატ-პასტაში და მოასხით კერძს. ბოლოს მოაყარეთ გახეხილი ყველი, დააფარეთ თავსახური ან გადააკარით ფოლგა და გამოაცხვეთ 30 წუთის განმავლობაში 200 გრადუსზე. ბოლო ხუთი წუთი თავზე გადახადეთ. უგემრიელესია.

# სალათა „მზესუმზირა“





**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ქათმის ან ინდაურის ფილე (შეიძლება მომზადდეს თეთრი თევზის ფილეთიც), 1 დიდი თავი ხახვი, 2 ცალი დიდი სტაფილო, 4-5 ცალი კვერცხი, 250-300 გრამი ქამა სოკო, 1 ქილა დაკონსერვებული სიმინდი, ცოტა ზეითუნის ან სიმინდის ზეთი, 1 შეკვრა ნებისმიერი ჩიპსი (წიწაკის გარეშე), საშუალო ცხიმიანობის მაიონეზი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მოხარშეთ სტაფილო და კვერცხი; ხახვი დაჭერით კუბიკებად, ფილე – ბოჭკოს მიმართულებით, რაც შეიძლება წვრილად.

საშუალო ზომის ტაფაში ძალიან ცოტა ზეთში დაბრაწეთ ფილე. ათი წუთი ეყოფა. უყავით ცოტა მარილი. მზა ფილე მოათავსეთ ცალკე თეფშზე და აცადეთ, გაცივდეს. იმავე ტაფაში, რომელზეც ხორცი მზადდებოდა, მოშუშეთ ხახვი. ყველა ინგრედიენტი უნდა გაცივდეს. კვერცხი და სტაფილო დაჭერით კუბიკებად.

სოკო ფირფიტებად დაჭერით და მოშუშეთ ცალკე (კონსერვის სოკოც უნდა მოიშუშოს). სასალათის ნაცვლად აიღეთ დიდი, ბრტყელი თეფში, ნებისმიერი ფორმის. პირველ ფენად ცენტრში მოათავსეთ ხორცი. მოამრგვალეთ დანის პირით. წაუსვით ზემოდან სულ ცოტა მაიონეზი, (იმდენი არა, რომ გაიჟღინთოს). მეორე ფენაა სტაფილო, რომელიც, შეგიძლიათ, მსხვილკბილა სახეხზე პირდაპირ მოახეხოთ და ისევ წაუსვით მაიონეზი ძალიან თხლად. მესამე ფენაა სოკო, რომელსაც ზემოდან მაიონეზი არ სჭირდება, რადგან, მოშუშვის გამო ზეთიანი იქნება. მეოთხე ფენად მოათავსეთ ხახვი. კარგად შემოასწორეთ დანის პირით, წაუსვით თხელი ფენა მაიონეზი და მოაყარეთ დაჭრილი კვერცხი. ზემოდან უკვე ცოტა სქლად წაუსვით მაიონეზი და ლამაზად მოამრგვალეთ. სიმინდი გადაწურეთ და მოაყარეთ სალათას. თუ გინდათ, ვიზუალურად უფრო ლამაზი იყოს, მოიტოვეთ ცოტა კვერცხის გული. დაფხვენით და სულ ზემოდან მოაყარეთ. შემდეგ აკურატულად მოამრგვალეთ და მოალამაზეთ დანის პირით. სუფრაზე მიტანამდე 20 წუთით მოათავსეთ ცივ ადგილას.

სუფრაზე გატანის დროს სალათას გარშემო შემოუწყვეთ ჩიფსები და მზად არის. ჩიფსები ისე უნდა განალაგოთ, რომ სალათა მზესუმზირას დაემსგავსოს: შუაგული – სალათა, „ფურცლები“ – ჩიფსები.

# გემრიელი ბადრიჯანი





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ბადრიჯანი, 1 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი პომიდორი, 1 ცალი მწარე წითელი წიწაკა, 1 სადილის კოვზი შაქარი, მარილი და შავი პილპილი, 4 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, ოხრახუში – გემოვნებით, ცოტა ნიგოზი – ზემოდან მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი დაჭერით 0,5 სანტიმეტრი სისქის რგოლებად, მოაყარეთ მარილი და ჩააწყვეთ თასში, წვენი რომ გაუვიდეს (ნახევარი საათი მაინც უნდა გააჩეროთ).

ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად. ნიორი გახეხეთ ძალიან წვრილკბილა სახეხზე. ბულგარული წიწაკა დაჭერით მომცრო ზომის კუბიკებად. პომიდორს გადააცალეთ კანი და დაკეპეთ.

ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, მოშუშეთ მასში ნიორი და ხახვი. დაუმატეთ ბულგარული წიწაკა და შუშეთ 5-7 წუთი. ჩაუმატეთ პომიდორი, წითელი წიწაკა, შაქარი, მარილი და შავი პილპილი, კარგად აურიეთ და შუშეთ კიდევ 5 წუთს.

ბადრიჯანი დაწურეთ, შეაშრეთ და დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე, ზემოდან დანამეთ ზეთით, კოვზით წაუსვით მოშუშული ბოსტნეული და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე (30-35 წუთი დასჭირდება). ბოლოს ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ნიგოზი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ჭინჭრის შექამანდი

**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი ჭინჭარი, 2 თავი ხახვი, 3 სადილის კოვზი ერბო, 1 კონა ქინძი, 4 ცალი მოხარშული კვერცხი, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი წვრილად დაჭერით და ცხიმში მოშუშეთ. ჭინჭარი გაარჩიეთ, კარგად გარეცხეთ და დაჭერით. მოშუშულ ხახვს დაუმატეთ ჭინჭარი, დაასხით წყალი და დადგით ცეცხლზე. როდესაც ჭინჭარი მოიხარშება, მოაყარეთ მარილი, პილპილი, დაჭრილი მოხარშული კვერცხი და დაჭრილი ქინძი. წვნიანი რომ წამოდუღდება, გადმოდგით ცეცხლიდან.



# ბანანის კექსი „ავსტრალიური“

**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი კარაქი, 2 ცალი მწიფე ბანანი, 1 ცალი გათქვეფილი ბანანი, 200 გრამი შაქარი, 3 კვერცხი, 200 გრამი ფქვილი, 2 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი, 50 გრამი დაფქული თხილი.

**მინანქრისთვის:** 100 გრამი შაქარი, 25 მილილიტრი წყალი, 100 მილილიტრი ნაღები, 100 გრამი მწარე შოკოლადი.

**მომზადების წესი:** გამოსაცხობ ფორმას წაუსვით 1 ჩაის კოვზი კარაქი. ბანანი პატარა კუბებად დაჭერით. ტაფაზე გაადნეთ 4 ჩაის კოვზი კარაქი და დაჭრილი ბანანი შებრაწეთ 1 წუთის განმავლობაში, შემდეგ მასის ნახევარი მოათავსეთ ფორმაში. ფქვილი, გამაფხვიერებელი ფხვნილი და თხილი აურიეთ. დარჩენილი კარაქი გათეთრებამდე გათქვიფეთ შაქართან ერთად. დაუმატეთ თითო-თითო კვერცხი, მშრალი ინგრედიენტები. შეურიეთ გათქვეფილი ბანანი და ჩაასხით ფორმაში. ცომის ზემოდან გადაანაწილეთ დარჩენილი შემწვარი ბანანი და გამოაცხვეთ საშუალოდ გახურებულ ღუმელში. ნამცხვარი ფორმაში შეაგრილეთ და მერე ამოიღეთ. შაქარი და წყალი აადუღეთ. ცალკე შეათბეთ ნაღები. როდესაც სითხე ოდნავ ფერს შეიცვლის და შაქარი გაიხსნება, ფრთხილად შეურიეთ ნაღებს. კარგად რომ აირევა, დაუმატეთ შოკოლადის ნატეხები და ურიეთ, სანამ ერთგვაროვან მასად არ იქცევა. მომზადებული მინანქარი მოასხით ნამცხვარს.



# მარწყვის ღვეზელი

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი კარაქი, 3 ცალი კვერცხი, 3 სადილის კოვზი შესქელებული რძე, 0,5 ჭიქა არაყანი, 300 გრამი შაქარი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 1 სადილის კოვზი ძმარი, 10 გრამი ვანილის შაქარი, 3 ჭიქა ფქვილი, 2 ჭიქა გარჩეული მარწყვი, შაქრის პუდრი მოსართავად.



**მომზადების წესი:** შაქარი და კარაქი ათქვიფეთ, დაამატეთ კვერცხი, შესქელებული რძე, არაყანი, ძმარში გახსნილი სოდა, ვანილის შაქარი და ფქვილი. ცომს ბოლოს შეურიეთ მარწყვი, მოათავსეთ ცხიმწასმულ, ფქვილმოყრილ ფორმაში და გამოაცხვეთ საშუალო ტემპერატურაზე. შეგრილებულს ზემოდან მოაყარეთ შაქრის პუდრი.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 12 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ "ჭორიკანა" 17.00 "აღმოაჩინე საქართველო" 17.30 "AQUA – GEORGIA" 18.00 დ/ფ "ალექსანდრეს უდიდესი ბრძოლა" 19.05 ტ/სერ "ნუ შეწყვეტ ოცნებას" 21.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 22.00 ტ/სერ "ნიკოლა ლე ფლოკი" 23.00 მხ/ფ "შეუპოვარი" (ჰ. ფორდი) 01.00 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.20 სერ. "მაფიის ქვრივი" 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ. "მარტოსული" 22.00 ფულთან თამაში 23.00 კრიმ. სერ. "შევარდნის თვალი" 3 სერ. 00.15 მხ/ფ "დედის ნებიერა" (მ.დილონი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. "ვნების უფსკრული" 18.45 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერ "ერთგულების ძალა" 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. "გრიმი" 00.30 კინოაფიშა. 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00 მაგთიფანი (გამ) 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 1.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.30 მაგთიფანი კონცერტი 23.30, 5.00 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 საქართველო არის ესე 07.10 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.50 მოკ/ფ "სერენადა" 16.20 დოკ/ფ "უნივერსიტეტის გაზეთი-უნივერსიტეტის პოზიცია" 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "აბეზარა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან".

## ხუთშაბათი 13 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ "ჭორიკანა" 17.00 "ჩვენი ფერმა" 17.30 "საფარი" 18.00 დ/ფ "სიცოცხლე" 19.05 ტ/სერ. "ნუ შეწყვეტ ოცნებას" 21.00 "საჯარო პოლიტიკა" 22.00 ტ/სერ "ნიკოლა ლე ფლოკი" 23.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 00.00 მხ/ფ "ჩემი დის მფარველი ანგელოზი" (კ.დიაზი) 01.50 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.20 სერ. "მაფიის ქვრივი" 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ. "მარტოსული" 22.00 კრიმ. სერ. "შევარდნის თვალი" 4 სერ. 23.00 მხ/ფ "მოთვალთვალე" (ე.ჯადი) 01.35 მხ/ფ "მაროკოელი ტერორისტი" (რ.ფილიპი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. "ვნების უფსკრული" 18.45 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერ "ერთგულების ძალა" 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00 ახალი ამბები 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ "სუბ. აზრი" 19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" 23.00, 3.30 თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "აბეზარა" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 ჩვენი ფონდი - დეკანოზი დავით ნოზაძე "ამაღლების შესახებ" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 "თვენი" - ამაღლება 15.45 კონცერტი - ქართველი ვარსკვლავები ათენში 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ამაღლება" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 ამაღლება (რ. ძნელაძე) 22.35 დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "საუფლონი" - ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა 23.45 ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან".

## პარასკევი 14 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ტ/სერ "ჭორიკანა" 17.00 "საუკუნის პორტრეტები" 17.30 "ეთნოგრაფიული ჩანახატები" 18.00 დ/ფ "ეგვიპტიდან" 19.05 ტ/სერ "ნუ შეწყვეტ ოცნებას" 21.00 "აქცენტები" 22.00 ტ/სერ "ნიკოლა ლე ფლოკი" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "ვესტსაიდური ისტორია" (ტიტ.) (რ.ვაიზი) 02.30 "დღეს ორის ნახევარზე".

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.20 სერ. "მაფიის ქვრივი" 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 მუნჯი კომედია – ბასტერ კიტონი 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ. "მარტოსული" 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ "დიდი არდადაგები" (ბ.ფერი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. "ვნების უფსკრული" 18.45 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 20.05 სერ "ერთგულების ძალა" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები

**12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.30** "მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "საუფლონი" - ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა **11.05** ისტორიის გაკვეთილი **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ამაღლება" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.10** საუბრები ლიტერატურაზე **16.40** კონცერტი-ანს. "შვიდკაცა" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "როცა კარიბჭე გაიღება" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ირაო.

## შაბათი 15 ივნისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. მხ/ფ**"სურვილების ქვა" 10.00** საბ. ან/სერ "ზინგზილები" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ: **14.00** ფილმი ნოსტალგია: **"კუზიანი"** (ჟან მარე) **16.30** ქართ. ტ/ფ **"ლაქა" 18.00** "ეტალონი" **19.00** "10|10" **20.30** "ახალი ქართული კინო" **21.00** დ/ფ "გზავნილი ქართველებს" **21.30** მხ/ფ **"მზის ჩასვლამდე" 22.50 ფეხბურთი. აშშ**-ს კონფედერაციის თასი: **ბრაზილია – იაპონია** (პ/ტრ ბრაზილიიდან) **00.55** მხ/ფ **"რიცხვი 23"** (ჯ.კერი).

**08.00** ახალი საბავშვო ხმა ფინალი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "სპანჯბობი" **2** სერ. **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 6** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფ "ჩემი პერესტროიკა" (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები" 18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული" 21.00** სერ. **"მარტოსული" 22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"ბრაზის გამართლება"** (ჯ.ალენი) **02.05** მხ/ფ **"ჩამსკრაბაერი"** (გ.კლოუნი) (ტიტ.).

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შერეკილები **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა" 22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** რა? სად? როდის? **00.30** კინოაფიშა. **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. **"გრიმი" 02.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 2.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.45** მულტფილმი **8.15** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.45, 18.45, 23.00, 3.30** მაგთიფანი **10.30** აბები (გამ.) **11.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 15.00** ახალი ამბები **3** საათზე **15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **1.30, 5.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **2.30** "ღია კარის დღე" **6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.).

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი" 13.35** დოკ/ფ "როცა კარიბჭე გაიღება" **14.05** ქრისტიანული სწავლება **14.15** მოკ/ფ **"ნუ მოიწყენთ შემოდგომისას" 14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა-**"ტრავიატა" 17.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.35** კონცერტი - ანს."ამარტი" **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** კარაბადინი **22.25** ისტორიის გაკვეთილი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან" 02.10** ირაო.

## კვირა 16 ივნისი

**08.00** დ/ფ "რევოლუცია და მოდა" **09.00** საბ. ან/სერ "ზინგზილები" **10.00** "ეტალონი" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – კ. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი: "მამა" **15.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ქართ. მხ/ფ **"ჩაკლული სული" 18.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **19.30** კონცერტი: **20.30** "უცნობი მუსიკა" **21.00** კონცერტი **22.00** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.50 ფეხბურთი. აშშ**-ს კონფედერაციის თასი: **მექსიკა – იტალია** (პ/ტრ ბრაზილიიდან) **00.55** დ/ფ **01.50** ფეხბურთი. **აშშ**-ს კონფედერაციის თასი: **ესპანეთი – ურუგვაი** (პ/ტრ ბრაზილიიდან).

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **08.30** ან/ფ "ავატარი" **1** სერ. **09.00** ქ.მხ/ფ **"მე" ბებია" ილიკო და ილარიონი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 13.00** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 7** სერ. **14.20** მხ/ფ **"იპოვე ჭეშმარიტება" 17.40** იმედის გმირები **17.50** სერ. **"სახიფათო კავშირი" 3** სერ. **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **00.00** იმედიატორი **01.30** დოკ/ფ "გოგონების როკი".

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შიშის ფაქტორი **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** "საქართველოს ვარსკვლავი". **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** სერ. **"გრიმი" 02.00** მხ/ფ.

**7.00, 23.30, 4.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30, 18.45, 3.30** "ღია კარის დღე" **10.00** მაგთიფანი (გამ. შაბათის ლივე-ის) **11.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 15.00** ახალი ამბები **3** საათზე **15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **20.00, 4.30** ჩემი ქორწილი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45, 1.30** კვირის ამბები **22.30, 0.00, 2.30, 5.30** მაგთიფანი.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.20** გამოყენებითი ხელოვნება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ლომა" 13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.00** გუთნისდედა **14.30** კარაბადინი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.35** მხ/ფ **"კეთილი ადამიანები" 21.35** ლექსით ქებათა ქება **21.45** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **23.40** დრო და ადამიანები **00.30** მხ/ფ **"ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან"**.

**ვერძი**

ნიჭითა და შრომის უნარის გამოვლენით გასაოცარ შედეგს მიიღებთ. საკუთარი მიზნების ასახდენად, ეცადეთ, გამოავლინოთ შეუპოვრობა. ბედი გაგიღიმებთ სარისკო საქმეებშიც. საყვარელი ადამიანი კი, თქვენს ცხოვრებას კიდევ უფრო გაახალისებს.

**კურო**

ყურადღებით იყავით, რათა არ გაგირთულდეთ კარიერული ურთიერთობები და არ დაკარგოთ მოგება. საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან ყველა გაუგებრობა ადვილად გაირკვევა და მოგვარდება. ახალ ადამიანებთან ურთიერთობა კი ახალი საქმის, საინტერესო ინფორმაციის მიღებისა და წინსვლის საწინდარი გახდება.

**ტყუპები**

სამომავლო გეგმების ასახდენად იყავით მეტად თავდაჯერებული. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. მატერიალური მდგომარეობა გამოსწორდება და თქვენს განწყობაზე დადებითად აისახება. კარგია სასიყვარულო შეხვედრები. ამ კვირაში პირადი ცხოვრებით კმაყოფილი იქნებით.

**კირჩხიბი**

ნუ აჩქარდებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. კარგად ჩაივლის შეხვედრები და მოლაპარაკებები. ფრთხილად იყავით გადაადგილების დროს. ახალი ნაცნობობა და რომანტიკული შეხვედრები კი, არ არის გამორიცხული, ღრმა გრძნობაში გადაიზარდოს.

**ლომი**

კარგი დროა პროფესიული პრობლემების მოსაგვარებლად და შემოსავლის გასაზრდელად. გაუკეთეთ საყვარელ ადამიანს სიურპრიზები – ეს კიდევ უფრო რომანტიკულს გახდის თქვენს ურთიერთობას. ფრთხილად იყავით მოგზაურობის დროს, რათა თავიდან აიცილოთ კონფლიქტები.

**ქალწული**

სიტუაცია სტაბილური იქნება თანამშრომლებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ თავს. თუ იგრძნობთ, რომ გადაიღალეთ, განმარტოვდით და დაისვენეთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გაცივება დროებითია და მალევე გაივლის.

**სასწორი**

კარგია ადრე დაწყებული საქმეების დასრულება. წარმატებას მოგიტანთ მოლაპარაკებები. ნუ აეჭვიანებთ საყვარელ ადამიანს და ნურც გამოცდებს მოუწყობთ. შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას. მადის მომატების გამო, დიდი შანსია, წონაშიც მოიმატოთ.

**ღრიანკალი**

სასიცოცხლო ძალების ზრდა და თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ ფინანსური პრობლემების მოგვარებაში. გადაადგილებები დამღლელი აღმოჩნდება, თუმცა, სასურველ შედეგს მიიღებთ. საყვარელი ადამიანი კი ეცდება, თავისი ქცევით გასიამოვნოთ.

**მშვილდოსანი**

შესაძლოა, თქვენმა ინტერესებმა საყვარელი ადამიანის გაღიზიანება გამოიწვიოს. სიტუაცია მალევე მოგვარდება, თუ მას მეტ დროს დაუთმობთ და არ მოაკლებთ ყურადღებას. სამსახურის საქმეები დამღლელი იქნება, თუმცა, მატერიალური მდგომარეობა გამოსწორდება. არ გასცეთ საიდუმლო ინფორმაცია.

**თხის რქა**

წარმატების მისაღწევად იხელმძღვანელეთ გამოცდილი მეთოდებით. კარგია დასვენება და სასიცოცხლო ძალების აღდგენა. უცხოელებთან კონტაქტი მომავალში მომგებიანად აისახება თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გაიცნოთ თქვენი მომავალი სასიყვარულო პარტნიორი.

**მერწყული**

ბევრ დროს წაგართმევთ სახლის საქმეები. ნუ გადაუხვევთ ადრე დასახულ მიზნებს, რათა არ დაკარგოთ მოსალოდნელი მოგება. არ გირჩევთ ფარულ სასიყვარულო შეხვედრებს, რადგან ის არ დაიმალება და პრობლემებს მოგიტანთ. იზრუნეთ ორგანიზმის გაჯანსაღებაზე.

**თევზები**

მშვიდი პერიოდია. მეტად რომანტიკული იქნებით და თავს ენერგიულად იგრძნობთ. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი შენაძენები დამატებით სტიმულს მოგცემთ. კარგია დასასვენებლად წასვლა. სასიყვარულო კავშირი კი ბევრ სიურპრიზსა და სიამოვნებას გპირდებათ.

**ახალმთვარეობა – 8 ივლისი, 07 სთ: 12 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ორშაბათი**
**გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი**

ნუ გასცემთ დაპირებებს. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. კარგად გადაამოწმეთ საბუთები, სანამ მათ ხელს მოაწერთ. ატარეთ თეთრი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო ან გიაცინტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.*

**სამშაბათი**
**გეომაგნიტური დღეა**

მოერიდეთ კაპიტალდაბანდებებს. აკონტროლეთ ემოცია, ეჭვიანობა და წყენა. კარგია ნათესაური და ოჯახური ურთიერთობები. ატარეთ თეთრი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მალაქიტი, მწვანე იასპი, მარგალიტი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სახლის მშენებლობის დაწყებას, სასიყვარულო კავშირებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, ფულის ვალად აღებას. კარგია ვაჭრობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, სასამართლო პროცესების დაწყება, მცენარეების დარგვა-გადარგვა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.*

**ოთხშაბათი**

იყავით წინდახედული და ფრთხილი. ატარეთ ვერცხლისფერი, იისფერი, მწვანე, შინდისფერი, თეთრი ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, სარდიონი, სარდონიქსი, ქარვა ან მთის ბროლი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულებების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, სასიყვარულო კავშირებს, ვაჭრობას. კარგია ახალი სამსახურის დაწყება, ხელმძღვანელებთან კონტაქტი. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.*

**ხუთშაბათი**
**გეომაგნიტური დღეა**

პრობლემები მალევე მოგვარდება, ამიტომ ნუ ჩავარდებით სასოწარკვეთილებაში. დღეს დაწყებული საქმე აუცილებლად მიიყვანეთ ბოლომდე. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ბეჟი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა ან სარდონიქსი. ნუ მოუყვებით სხვებს თქვენს სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

**პარასკევი**

კარგია ახალი ნივთების შეძენა, სამსახურის დაწყება, მეგობრული კონტაქტები, გართობა, მშენებლობის დაწყება. აკონტროლეთ სიტყვები და აზრები. ატარეთ წითელი, ყვითელი, ოქროსფერი, ლურჯი, ბეჟი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, იასპი, სარდიონი, ქარვა ან სარდონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, ვაჭრობას, სასიყვარულო კავშირებს. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ელენთა, ნაწლავთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

**შაბათი**

კარგია ვარჯიშების ჩატარება, გართობა, მკურნალობის დაწყება. ატარეთ ყავისფერი, მწვანე, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თმის შეჭრა, სამეცნიერო კვლევა, კონტაქტები. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

**კვირა**
**გეომაგნიტური დღეა**

მაღალია ილუზიების, ცდუნებებისა და მოტყუების ალბათობა. აკონტროლეთ აზრები. ატარეთ ყავისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, მწვანე ან ნარინჯისფერი, სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, მთვარის ქვა, ონიქსი, ტოპაზი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, კარგია მინათმოქმედება, ვაჭრობა, დღეების დაწყება, თმის შეჭრა, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ჟღენტი

**ჟღენტი** გურული წარმოშობის გვარია. ამ გვარის ხალხი ჩოხატაურში, ოზურგეთსა და თბილისში ცხოვრობს. ადრე აზნაურები იყვნენ.

გადმოცემის მიხედვით, გვარი რომაული წარმოშობისაა. მეფე გუბაზმა ბიზანტიელთა დახმარებით სპარსელთა ლაშქარი მოიგერია. ზოგი რომაელი ლეგიონერი საქართველოში დაქორწინდა და საცხოვრებლად აქვე დარჩა. მათ გვარად **ჯღენტი** დაირქვეს. შემდეგ გვარის პირველი ასო შეიცვალა და **ჟღენტი** გახდა.

ჯერჯერობით უცნობია, რას ნიშნავს გვარის ფუძე **ჟღენტ.**

ზოგიერთმა რომაელმა ლეგიონერმა კი გვარად **ღლონტი** და **ჯიბუტი** აიღო.

საქართველოში 3 335 **ჟღენტი** ცხოვრობს: თბილისში – 1 154, ჩოხატაურში – 480, ოზურგეთში – 378. არიან სხვაგანაც.

### თაყაიშვილი

მამაკაცის საკუთარი სახელი **თაყა** შუა საუკუნეებიდან გვხვდება.

„თაყა-ნაზირი, მოწმე იარალის მიერ მელიქსეთაშვილისთვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა“ (1683 წელი).

„თაყასგან ნასყიდი პარტახტი ვახუშტი აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს“ (1550-1570 წლები).

თავადი (მებატონეები) **თაყაიშვილები** სათავეს იღებენ ბარათაშვილებიდან. ბარათაშვილები – თაყაიშვილები იხსენიებიან 1661 წლიდან.

**თაყაიშვილები** ჩანან ანდრონიკაშვილებთანაც: „თაყაიშვილი-ანდრონიკაშვილი ანდრია“.

**თაყაიშვილებიდან** წარმოშობილებად ჩანან ქვემო ქართლში თაყინაშვილები, თაყნიაშვილები. ასევე, **თაყაიშვილებიდან** გაჩნდა გვარი თაყაძე.

სალუქვაძეების გვარიდან მომდინარეობენ **თაყაიშვილები**. გურიაში **თაყაიშვილები** სახაზინო აზნაურები ყოფილან.

დაფიქსირებულია, ასევე, გვარები: **თაყოშვილი, თაყუაშვილი.**

საქართველოში 197 **თაყაიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 126, ბორჯომში – 18, კასპში – 10. არიან სხვაგანაც.

### გადაბაძე

**გადაბაძე** მცირერიცხოვანი გვარია. 1840 წელს, საბჭოს აღწერაში, რაიონსა და სოფლებში გვარი გადაბაძე დაფიქსირებული არ არის.

წინაპართა გადმოცემით, **გადაბაძის** წინარე გვარი ყოფილა გარდაფხაძე. სვანეთიდან მათი წინაპარი მესისხლეობას გამოჰქცევია, სოფელ ტვიშში დასახლებულა და გვარის ფორმა შეუცვლია.

**გარდაფხაძე** დიდებული გვარია. სუფიქსი ფხა/ფხე ქალის სახელზე მიანიშნებს. გვხვდება სხვა გვარებშიც.

საქართველოში 112 **გადაბაძე** ცხოვრობს: თბილისში – 52, ამბროლაურში – 23, ლანჩხუთში – 15. არიან სხვაგანაც.

### პავლიაშვილი

გვარის ფუძეა ეპონიმური სახელი **პავლე**. პავლე წინაპრებს „უსესხებიათ“ და მისგან შექმნილა გვარები: **პავლაშვილი, პავლაძე, პავლიაშვილი**. ეს სახელი სხვა ხალხებშიც გვხვდება და მათგან ნაწარმოებია გვარები: პავლევანოვი, პავლიადი, პავლენკო, პავლიუკი, პავლოვი, პავლოვსკი. სხვა ფორმები იმიტომ მოვიხმეთ, რომ ქართველი მკითხველი დავარწმუნოთ, რომ არა მარტო ქართველები სესხულობენ სახელებს (სიტყვებს) სხვებისგან, არამედ, სხვებსაც აქვს ნასესხები ქართველებისგან.

პავლე ლათინურად პატარას, მცირეს ნიშნავს. ფუძეა პაულუსი, რომელიც ევროპის ხალხებში სახელადაც გვხვდება და გვარადაც. მისგანაა წარმოქმნილი ქალის სახელები პავლა და პოლინა.

ქართულში გვხვდება პავლეს კნინობითი ფორმები – პალიკო, პავლია. ამ უკანასკნელისგან მოდის გვარი – **პავლიაშვილი**.




1521 წლის ქვემო ქართლის აღწერაში გვხვდება გვარები პავლესშვილი და **პავლიაშვილი.**

გვარი **პავლიაშვილი** მოხსენიებულია 1523 წელს, ბარათაშვილთა გაყრის წიგნში. „ერთწილად, 1523 წელს მიხუდა გერმანოზს...“ – ლაპარაკია ფეოდალ გერმანოზ ბარათაშვილზე. გერმანოზმა აწარმოა გვარი გერმანოზიშვილი: „გერმანოზის და მისი ძმათა **პავლიაშვილთა**...“

1718 წელს **პავლიასშვილი** წმინდა ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნშიცაა მოხსენიებული.

**პავლიაშვილები** ენაგეთში (სოფელი თეთრი წყაროს რაიონში) და სხვაგანაც აზნაურიშვილებად მოიხსენიებიან.

1818 წელს წინწყაროში მოიხსენიება მღვდელი დიმიტრი **პავლიაშვილი.**

საქართველოში 2 895 **პავლიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 777, გორში – 681, სიღნაღში – 189. არიან სხვაგანაც.

### კუჭაიძე

გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან – **კუჭა**.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, გვარი მეთხუთმეტე საუკუნიდან ჩანს, მაგრამ, არქიტექტონიკის მიხედვით, ის მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

მეთხუთმეტე საუკუნის ერთ საბუთში, რომელიც „მეჭურჭლედ წოდებულ ხელისუფალს“ ეხება, ვკითხულობთ: „... დაგიწერეთ და მოგახსენეთ დაწერილი ესე მე, **კუჭაისძემან** მიქაელ და ჩემმან ძმისწულმან და ჩემმან შვილმან ცოტნე და გოგიამან, შვილთა და მომავალთა ჩემთათა, თქვენ ხევსა და ბალსა ზემოცა და ატკვერს ქვემოთაც, მას ჟამსა, ოდეს სეტიასა მოვედი... და მოგახსენეთ და შევწირეთ უფნაშის მონასტერი სეტისა მთავარმოწამესა, მისითა შესავლითა ყოვლითა, მთითა, ბარითა, გლეხითა, ველითა, სამართლიანითა მზღვრითა, მკვიდრად და სამამულოდ... აწ რაგვარიც თქუენგან შეწყალებულსა მართებდეს, თქუენსა მეჭურჭლესა მართებდეს... არა გავნოთ, არა გიღალატოთ, და თუ ესე დაწერილი საქმეთა არ გაგითავდეთ – თქვენი ხელი და მეჭურჭლეობა, რაიცა მთავარმოწამისათვის შემომიწირავს თქუენ ხევსა დაგრჩომოდეს“ („სვანეთის საისტორიო ძეგლები“).

მეთხუთმეტე საუკუნის ერთ „დაწერილში“ ჩანს, რომ გლეხები ჰყოლია უფნაშის (სოფელ აცის) მონასტერს, რომელიც **კუჭაისძეთა** კუთვნილებას შეადგენდა.

ივანე ჯავახიშვილს საყურადღებო საბუთი აქვს აღწერილი, რომელიც იმერეთის მეფე ალექსანდრეს ეხება. იქ მოთხრობილია, რომ რაჭა-ლეჩხუმის თავადს, სარგის ჯაფარიძეს, **კუჭაისძესა** და ლაშხიშვილს, სვანეთის მცხოვრებთათვის, შურისძიების მიზნით, შვიდი წლით სრული გზა შეუკრავთ. უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ სვანებს დადიანის შუამავლობით მეფე ალექსანდრესთვის დახმარება და შველა უთხოვიათ.

მეორე საბუთის მიხედვით, სვანეთში **კუჭაიძეთა** და ჯაფარიძეთა შორის მტრობა ჩამოვარდნილა. სრულიად საქართველოს დაყოფამ ცუდად იმოქმედა მხარეებზე: გაწყდა ეკონომიკური კავშირები, მოიშალა სავაჭრო გზები. მესხეთის ჩამოშორებამ დანარჩენ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა შეუსუსტა, ხოლო სვანეთივით მიყრუებულ კუთხესაც კი, როგორც სვან ჯაფარიძეთა და **კუჭაიძეთა** მტრობის შესახებ ცნობებიდან ცხადი შეიქმნა, იმერეთ-გურიისა და ქართლ-კახეთის გარეშე, ადამიანური ცხოვრება არ შეეძლო.

**კუჭაიძე** მოიხსენიება სვანთა და ჯაფარიძეთა შორის სასისხლო დავის გარიგების წიგნში, 1503 წელს.

**„კუჭაიძე** კაციასგან უყიდია გაენათელ ნიკოლოზწმინდელ გედეონ ლორთქიფანიძეს მაჭუტოური მამული“, – აღნიშნულია გედეონის მიერ გაენათის ღმრთისმშობლისთვის მიცემულ შეწირულობის საბუთში, 1664 წელს.

საქართველოში 170 **კუჭაიძე** ცხოვრობს: თბილისში – 102, დუშეთში – 15, თეთრი წყაროში – 10. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ეგზოტიკური ხილი – სახის კანის, თმისა და სხეულის საჩუქარი

კოსმეტოლოგები და დიეტოლოგები ძალიან დიდი ხანია, წარმატებით იყენებენ ქოქოსის რძესა და თეთრ რბილობს წონაში დასაკლებად და კანის მოსავლელად. ამ ხილის სასარგებლო თვისებების შესახებ პირველებმა მალაიზიელებმა შეიტყვეს – მათ აღმოაჩინეს, რომ ქოქოსის წვენი ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას და კურნავს დიარეას.

თანამედროვე სპეციალისტებმა სიდნეიდან საგრძნობლად გაზარდეს ქოქოსის სასარგებლო თვისებების სია. მათ დაადგინეს, რომ კერძში გახეხილი ქოქოსის ფანტელების ჩამატება ხელს უწყობს კალორიების გაცილებით უფრო სწრაფად დაწვას და ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას. არანაკლებ ღირებული აღმოჩნდა ქოქოსის რძე: მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ის არეგულირებს სისხლში ინსულინის დონეს და აფერხებს დიაბეტისა და ათეროსკლეროზის გაჩენას.



კოსმეტოლოგებმა ლამის ოდები უძღვნან ქოქოსის ზეთს. დამტკიცებულია, რომ, თუ მას გამოიყენებთ სახის კანის მოსავლელად, უმოკლეს დროში განიკურნებით კანის სიმშრალისა და აქერცვლისგან; ასევე, ის იცავს კანს გაუხეშებისა და ნახეთქების გაჩენისგან. გარდა ამისა, ქოქოსის რძე ასწორებს კანს (ანუ, აქრობს ნაოჭებს), ამაღლებს მის ტონუსს, სიმკვრივესა და ელასტიკურობას.

ზოგიერთი კოსმეტოლოგიური პროცედურა ქოქოსის ზეთით, შეიძლება, სახლის პირობებშიც ჩაიტაროთ. ეს უნიკალური თვისებების მქონე მასალა კანის მოსავლელად უნდა გამოიყენოთ ყოველდღიურად, რათა შედეგი უფრო სწრაფი და მყარი იყოს.

### როგორ უნდა გამოიყენოთ ქოქოსის ზეთი სახლის პირობებში

არსებობს ამ პროდუქტის გამოყენების რამდენიმე მეთოდი, რომელთაგან უმარტივესია შემდეგი, კერძოდ, ქოქოსის ზეთის რამდენიმე წვეთი შეურიეთ იმ კოსმეტიკურ საშუალებებს, რომლებსაც ყოველდღიურად იყენებთ. ეს შერევა, უმჯობესია, მოხდეს უშუალოდ მოხმარების წინ, შემდეგი პროპორციებით: 10-15 მილიგრამ კრემს ჩაუმატეთ 5-10 წვეთი ქოქოსის ზეთი და კარგად ამოურიეთ, შემდეგ კი გამოიყენეთ ჩვეულებრივი წესით.

ქოქოსის ზეთი ძალიან უხდება თმას, კერძოდ: აჩერებს თმის ცვენას; იცავს ეგრეთ წოდებული „ბოლოჭამიების“ გაჩენისგან; აქრობს ქერტლს; აუმჯობესებს თმის ხარისხს, ელასტიკურობასა და ბზინვარებას სძენს მას. ამიტომ, ძალიან კარგ შედეგს მიიღებთ, თუ ქოქოსის ზეთს უშუალოდ მოხმარების წინ შეურევთ შამპუნში (100 მილილიტრ შამპუნში 5-6 წვეთი ქოქოსის ზეთი): შამპუნი გადმოასხით პატარა ჭიქაში, ჩააწვეთეთ ზეთი, კარგად ამოურიეთ და ისე გამოიყენეთ.

ქოქოსის ზეთის გამოყენება სუფთა სახითაც შეიძლება: წაისვით ის კარგად გაწმენდილ სახეზე ან შეიზილეთ მთელ სხეულზე შხაპის მიღების შემდეგ. შედეგს ნახევარ საათში იგრძნობთ – თქვენი კანი საოცრად რბილი, ნაზი, ელასტიკური და ხავერდოვანი გახდება.

# როგორი დიეტა მოგიხდებათ

ა) თუ არ შეგიძლიათ იაპონური ან ჩინური სამზარეულოს გარეშე გაძლება, აუცილებლად დაგჭირდებათ მაკრობიოტიკური დიეტა, რომელსაც, სხვათა შორის, მადონაც იცავს. შეგიძლიათ, დღეში 3-ჯერ მიირთვათ ბრინჯი, სოიის მაკარონი („ლაფშა“) – მისო, სუში, წყალმცენარეები, ბოსტნეული და ხილი (ოღონდ, პატარა ულუფებით), შუალედებში კი დღეში 2-ჯერ მსუბუქად წაიხემსოთ. გარდა ამისა, დღის განმავლობაში უნდა დალიოთ 3 ლიტრი წყალი. ამ



სქემით კვირაში 2-3 კილოგრამს დაიკლებთ.

ბ) გიჟდებით რძის ნაწარმზე, განსაკუთრებით კი ხაჭო გიყვართ? ნუ ეტყვით თავს უარს ამ სიამოვნებაზე. თვეში ერთხელ, 3 დღის განმავლობაში, შეგიძლიათ, ხაჭოს დიეტა დაიცვათ: დღეში 1 კილოგრამი ხაჭო (4-პროცენტიანი ცხიმიანობის) გაყავით 5 თანაბარ ულუფად და მიირთვით თანაბარი შუალედებით. წყალი – 2-3 ლიტრი.

გ) თუ ხორცია თქვენი უსაყვარლესი პროდუქტი, არჩევანი დიუკანის დიეტაზე უნდა შეაჩეროთ, რომელშიც გამოიყოფა 4 ფაზა: პირველი და მეორე ფაზები დაგეხმარებათ გახდომაში, მესამე და მეოთხე კი – შედეგის გამყარებაში. დოქტორი დიუკანი თამამად უწევს რეკომენდაციას ბევრი ხორცის ჭამას. უფრო ზუსტად ამ მეთოდს გაეცანით მის წიგნში – „მე არ ვიცი გახდომა“.

დ) ტკბილეული თქვენი სუსტი წერტილია და ნებისმიერი დიეტის დაცვაც სწორედ იმიტომ გიჭირთ, რომ გემრიელ ნუგბარს ველარ მიირთმევთ? არ დაიზაროთ და შეეჩვიეთ კალორიების დათვლას. იმისთვის, რომ წონაში არ მოიმატოთ, უნდა მიიღოთ 800 კილოკალორია, რომ დაიკლოთ – 600-700. გარდა ამისა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ყველაზე კალორიული ტკბილეული, კერძოდ კი – ტორტის ნაჭერი და ნამცხვრები, უნდა მიირთვათ დღის 12 საათამდე – ასეთ შემთხვევაში ნამდვილად არ მოიმატებს თქვენი წელის გარშემოწერილობა, რადგან, დღის განმავლობაში აქტიური მოძრაობის წყალობით კალორიები საღამომდე დაიწვება.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ უნდა დავადგინო, ელის თუ არა მამაკაცს გამელოტება? ჩემს ქმარს ყოველდღიურად სცვივა თმის ღერები, მაგრამ, არ ვიცი, ჩვეულებრივი მოვლენაა ეს თუ სასწრაფოდ არის საჭირო ზომების მიღება?**

**პასუხი:** ყველაზე ობიექტურ პასუხს თქვენს კითხვებზე გასცემთ იმ შემთხვევაში, თუ თმის ბოლო დაბანიდან მინიმუმ 3 დღის გასვლის შემდეგ შეამოწმებს თქვენი მეუღლე თავისი თმის ღერების გამძლეობას, კერძოდ, გაშალოს ხელი მარაოსავით, შეიცუროს თითები თმაში და ძირებიდან ღერების ბოლომდე გაატაროს. შემდეგ ყველა ის ღერი, რომელიც თითებს ჩამოჰყვა, დააწყოს თეთრ ფურცელზე და დაითვალოს (ეს პროცესი ზედიზედ ხუთჯერ ჩაატარეთ).

ა) თუ ჯამში მხოლოდ 5 ღერამდე ჩამოჰყვა მის ხელს, ესე იგი, არაფერია საგანგაშო.

ბ) თუ 10-დან 15 ღერამდე დაგროვდა ფურცელზე, ესე იგი, საქმე გაქვთ სეზონურ ცვენასთან და, სასურველია, ცოტა ხელი წააშველოთ, რომ ეს პროცესი შეაჩეროთ.

გ) თუ ქაღალდზე 15 ღერზე მეტი დაითვალეთ, ესე იგი, ინტენსიურ ცვენასთან გაქვთ საქმე და სასწრაფოდ უნდა მიიღოთ რადიკალური ზომები: მენიუდან უნდა ამოიღოთ ალკოჰოლი, მწარე-ცხარე კერძები, სიგარეტი; შეეცადეთ, არ ინერვიულოთ; გარდა ამისა, გამოიყენეთ სპეციალური შამპუნი; გაიკეთეთ თმის ძირების გასამაგრებელი ნიღბები, ოღონდ, მანამდე აუცილებლად მიდით ექიმთან კონსულტაციის მისაღებად.

**კითხვა: გთხოვთ, მასწავლოთ რომელიმე ყველაზე ეფექტური ნიღაბი ხელებისთვის.**

**პასუხი:** ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია „ჰერკულესის“, ანანასისა და ნაღების ნიღაბი. გარდა იმისა, რომ ანანასი ხელს უწყობს გახდომას, ის კარგად ატენიანებს კანს, უნარჩუნებს მას ტონუსს და აფერხებს დაბერების პროცესს.

ნიღაბი მოამზადეთ შემდეგნაირად: 2 სადილის კოვზი „ჰერკულესი“ დაფქვით ყავის საფქვავში; ანანასი კარგად გარეცხეთ, მოათალეთ ქერქი, მოჭერით 3 სანტიმეტრი სისქის რგოლი და გახეხეთ საშუალო ზომის სახეხზე; 2 სადილის კოვზი სქელი ნაღები ოდნავ შეათბეთ და შეაზილეთ დაფქულ „ჰერკულესს“, შემდეგ ჩაუმატეთ გახეხილი ანანასი და კარგად ამოურიეთ, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ. წაისვით ხელებზე სქელ ფენად და გაიჩერეთ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს ნიღაბი იმითაა განსაკუთრებული, რომ სახისთვისაც გამოიყენება.



სახეზე წასმის შემთხვევაში, 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ჯერ თბილი წყლით, შემდეგ – მინერალურით, ბოლოს კი ყინულის კუბიკით გაიკეთეთ მასაჟი.

ალნიშნული ნიღაბი უნდა გაიკეთოთ 15-ჯერ, ყოველი ორი დღის გამოტოვებით – ესაა ერთი სრული კურსი. 3-4 თვის შემდეგ შეგიძლიათ, კურსი გაიმეოროთ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ვინ და რატომ მოაჭრა თავი „კაგებეს“ ქართველ ოფიცერს შერემეტიევოს ტყეში

თეთრი ფერის „ვოლგა“ შერემეტიევოს ტყეში შევიდა და უზარმაზარ ფიჭვთან დაამუხრუჭა. იქიდან სამი მამაკაცი გადმოვიდა და ტყის სიღრმისკენ აიღეს გეზი.

– აქ გაჩერდი, – თქვა წვერმოშვებულმა კაცმა, რომელსაც მარცხენა ლოყაზე იარა ეტყობოდა და თავის მეგზურებს შეავლო მზერა. შემდეგ მან კიდევ ორმოცდაათიოდე მეტრი გაიარა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

– სად წავიდა? – იკითხა ორმოცდაათიოდე წლის მელოტმა კაცმა, რომელიც შეშინებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით.

– ახლა ნახავ, თუ რა დღეში ვაგდებთ იმათ, ვინც ჩვენ გვეურჩება, – უთხრა მელოტს ცალთვალა კაცმა და გადააფურთხა, – თუ არ დაგვიჯერებ, შენც ამ დღეში ჩავარდები.

ამასობაში, სახენაიარევმა ტყის სიღრმიდან საშუალო სიმაღლის, მდიდრულად ჩაცმული ქერათმიანი კაცი გამოიყვანა. მას ხელები ჰქონდა გაკოჭილი, პირი კი – საიზოლაციო ლენტით აკრული. სახენაიარევმა ის გადაჭრილ ხის კუნძთან მიიყვანა და მოულოდნელად მუშტი ჩასცხო კეფაში. ქერათმიანი მიწაზე დაენარცხა და გონება დაკარგა. სახენაიარევმა ქერათმიანს კუნძზე თავი დაადებინა, შემდეგ „ვოლგის“ საბარგულიდან უზარმაზარი, სამართებელივით ალესილი ნაჯახი ამოიღო და კუნძისკენ გაემართა. მელოტი დაძაბული ადევნებდა თვალყურს სახენაიარევის ყოველ მოძრაობას.

**ფეხზე დადგა მთელი მოსკოვის „კაგებე“ და თავმოკვეთილი გეგეშიძის ცხედარი ბუჩქნარში, მიწაში ჩაფლული იპოვეს**

– აქეთ გამოახედე ეგ რქიანი, ახმად, – დაუძახა ცალთვალას სახენაიარევმა და ნაჯახი აღმართა. შემდეგ სწრაფად დაუშვა ძირს და ქერათმიანს თავი მოაჭრა...

ამ სანახაობის გამო მელოტს თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და ცალთვალას რომ ხელი არ შეეშველებინა, წაიქცეოდა.

– ახლა ხომ ნამდვილად დარწმუნდი, რომ ჩვენ ხუმრობა არ გვიყვარს, – გაეცინა სახენაიარევს და ნაჯახი კუნძზე დაარჭო. შემდეგ მოჭრილი თავი მარჯვენა ხელით ასწია, მარცხენით კი უსულო სხეულს დასწვდა და ბუჩქებისკენ წაათრია.

– ესეც შენსავით ჯიუტობდა და ხომ ნახე, როგორ მოაჭრა თავი ზორბეგმა? – უთხრა ცალთვალამ მელოტს, – ასე რომ, თუ სამ დღეში 500 ათასი მანეთი არ მოგიტანია, ჯერ შენი ოჯახის წევრებს წავაცლით თავებს და ამანათით გამოგიგზავნით, ბოლოს კი შენც ამ კუნძზე დაგადებინებთ თავს, გასაგებია?

– გასაგებია, – თავი დაუქნია მელოტმა და ტყიდან გასვლა დააპირა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და უგონოდ დაეცა ძირს.

– მანქანაში ჩავაგდოთ და გზაში აზრზე მოვა, – უთხრა ზორბეგმა ახმადს. შემდეგ მათ მელოტი „ვოლგის“ უკანა სავარძელზე დააწვინეს და მანქანა ადგილიდან დაძრეს.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მოსულიერებული მელოტი ახმადმა და ზორბეგმა სადოვოე კოლცოსთან ჩამოსვეს და წავიდნენ.

### უგზო-უკვლოდ დაკარგული

– თავმჯდომარე გელოდებათ, მობრძანდით, – თქვა ახალგაზრდა კაპიტანმა და „კაგებეს“ თავმჯდომარის კაბინეტის კარი შეაღო.

– მობრძანდით, დაბრძანდით, ამხანაგო ვასილიევ, – შეიპატიჟა თავის კაბინეტში იური ანდროპოვმა მაიორი ვასილიევი, რომელიც ოპერაცია „კაქტუსზე“ იყო პასუხისმგებელი, – რა ისმის ლეიტენანტ გეგეშიძის თაობაზე, ახალი არაფერია?

– არა, იური ვლადიმიროვიჩ, – თავი გააქნია ვასილიევმა, – მას მერე, რაც შოთა გეგეშიძე მისმა მეწყვილემ შეცვალა და ის სადარბაზოში შევიდა, სათადარიგო გასასვლელით რომ ესარგებლა და კონსპირაციულ ბინაში დაესვენა, ის გაქრა.

– ესე იგი, გეგეშიძე კონსპირაციულ ბინაში მიმავალ გზაზე გაქრა. რა მანძილია სამუშაო ადგილიდან ბინამდე და აკონტროლებდით თუ არა აგენტების მოძრაობას მათი მორიგეობის შემდეგ?

– მარჯვენა სანაპიროდან, სადაც სათვალთვალო პუნქტი გვაქვს, ჩკალოვის ქუჩამდე 5 წუთის სავალია ფეხით. მორიგეობის შემდეგ აგენტები ჩვენი თვალთახედვის არედან გადიან და მათ ველარ ვაკონტროლებთ.

– ნეტავ, სად უნდა გამქრალიყო გეგეშიძე და თუ ვინმემ მოიტაცა, საინტერესოა, რატომ? ლეიტენანტი აუცილებლად უნდა ვიპოვოთ. ფეხზე დააყენეთ საუკეთესო ძალები. ყველაზე წარმოუდგენელ ადგილებშიც კი მოძებნეთ და აუცილებლად იპოვეთ. არ შეიძლება, ადამიანი ასე უკვალოდ გაქრეს, მით უმეტეს, ჩვენი თანამშრომელი.

– არის, იური ვლადიმეროვიჩ! – გამოეჯგიმა ვასილიევი ანდროპოვს და კაბინეტიდან გავიდა.

ანდროპოვის ბრძანების შესაბამისად, „კაგებემ“ გეგეშიძის ძებნა გააძლიერა და გაუჩინარებული ლეიტენანტი შერემეტიევოს ტყის ფიჭვნარში იპოვეს. „კაგებეს“ თანამშრომლებმა, ჯერ გადაჭრილ კუნძზე აღმოაჩინეს სისხლის კვალი, შემდეგ მას გაჰყვნენ და ბუჩქებში ახალთახალი მიწაყრილი იპოვეს. ორმო გათხარეს და შიგ ლეიტენანტ გეგეშიძის თავი და სხეული აღმოაჩინეს. გეგეშიძე თბილისში ჩამოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს. თუმცა, მისი ახლობლებისთვის არ უთქვამთ, რომ თავი ჰქონდა მოკვეთილი და განაცხადეს, გმირულად დაიღუპაო.

ლეიტენანტი შოთა გეგეშიძე „კაგებეს“ ოპერატიული თანამშრომელი იყო. ის თბილისიდან სპეციალურად გამოიძახეს მოსკოვში ოპერაცია „კაქტუსში“ მონაწილეობის მისაღებად. მაწანწალას ტანსაცმელში გამოწყობილი გეგეშიძე ერთ-ერთ საბჭოთა მაღალჩინოსანს უთვალთვალებდა, რომელიც ჯაშუშობაში იყო ეჭვმიტანილი და „კაქტუსი“ მის გამოსააშკარავებლად ტარდებოდა...

### ფარული ექსჰუმაცია

შოთა გეგეშიძის უფროსი ძმა ნოდარი თბილისის მილიციის სამმართველოში მუშაობდა ოპერად. დაკრძალვიდან მესამე დღეს მან და მისმა უახლოესმა ორმა მეგობარმა შუაღამეს კუკიის სასაფლაოზე მძლავრი პროჟექტორები მიიტანეს და საფლავი გათხარეს. შემდეგ ცინკის კუბო გახსნეს და აღმოაჩინეს, რომ შოთას თავი მოკვეთილი ჰქონდა.

– უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა და ჩემი ძმის მკვლელს სამაგიერო გადავუხადო, – თქვა ნოდარმა. შემდეგ მან და მისმა მეგობრებმა ცხედარი ისევ დაკრძალეს.

მეორე დღეს ნოდარ გეგეშიძემ შვებულება აიღო და მოსკოვში გაემგზავრა.

მას შემდეგ, რაც ლეიტენანტ გეგეშიძის ცხედარი აღმოაჩინეს, უშიშროებამ ახალგაზ-



რდა ლეიტენანტის მკვლელობის გამოძიება დაიწყო, რომელსაც მაიორი პავლე ხურცილავა აწარმოებდა და პირადად ანდროპოვი კურირებდა.

ხურცილავამ, „კაგებეს“ საუკეთესო გამომძიებლები შეკრიბა და გეგეშიძის მკვლელობის ვერსიების შემუშავებას შეუდგნენ.

– ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ შოთა გეგეშიძე მაწანწალასავით იყო ჩაცმული, როდესაც ის, სავარაუდოდ, მოიტაცეს, – თქვა ხურცილავამ, – მისი გვამის აღმოჩენისას კი „პიერ კარდენის“ ძვირად ღირებულ სამოსში იყო გამოწყობილი. აშკარაა, მისი ასეთი სახეცვლილება ვიღაცას აწყობდა. მაგრამ, რატომ? აი, ესაა გასარკვევი.

– ამხანაგო მაიორო, – სიტყვა ითხოვა ანზორ გაგუამ, რომელიც ხურცილავას ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა იყო, – როგორც ეტყობა, გეგეშიძე საჩვენებლად მოკლეს.

– საჩვენებლად?

– დიახ, ამხანაგო მაიორო. მისმა გამტაცებლებმა არ იცოდნენ, თუ ვის იტაცებდნენ. მათ ეგონათ, რომ მაწანწალას, „ბომჟს“. შემდეგ ის ძვირფას სამოსში გამოაწყვეს და ჩემი აზრით, იმიტომ მოკლეს,

## ძმები ბასილაევების გვამები მოკვეთილი თავებიანად ბუჩქებში ეყარა და ჭიანჭველები ესეოდნენ

რომ ვიღაცაზე შთაბეჭდილება მოეხდინათ. მას ხომ თავი მოაჭრეს და ეს, ალბათ, ვიღაცის თვალწინ გააკეთეს.

– ლოგიკურია, – გაეცინა ხურცილავას, – როგორც ეტყობა, საქმე ფულის გამოძალვასთან გვაქვს. ამიტომ, ყველა იატაკქვეშა საქმოსანი შეკრიბეთ და იქნებ მათთან საუბარმა გაგვარკვიოს რამეში.

### ძმები ბასილაევები

პავლე ხურცილავას მეორე დღესვე მოსკოვის 80 იატაკქვეშა საქმოსანი მიუყვანეს, რომლებსაც ოპერატიული მონაცემების მიხედვით, ქალაქში ყველაზე დიდი ბიზნესი ჰქონდათ. მაიორი მათ სათითაოდ იძახებდა კაბინეტში და ეკითხებოდა, თუ ვინ გამოსძალა მათ ბოლო ერთი თვის განმავლობაში დიდი თანხა. თან, ჰპირდებოდა, რომ გამხელის შემთხვევაში, ციხეს აარიდებდა.

თითქმის ყველა საქმოსანი გამოჰკითხა ხურცილავამ და დადებით შედეგს ვერ მიაღწია. რომან როიტმანზე რომ მიდგა ჯერი, რომელიც 75-ე იყო, მან მაიორს უთხრა, რომ ზუსტად ერთი თვის წინ 500 ათასი მანეთი გამოსძალეს.

– სრული სიმართლე თქვით და როგორც შეგპირდით, ხელს არ გახლებთ, – შეახსენა ხურცილავამ როიტმანს.

– თვე-ნახევრის წინ მანქანაში ცალთვალა კაცი ჩამიჯდა და 500 ათასი მანეთის მიტანა მომთხოვა სამ დღეში. მე მისთვის სერიოზული ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ სამი დღის შემდეგ მან და მეორე სახენაიარევმა კაცმა ძალით წამიყვანეს ტყეში, შემდეგ ვიღაც მდიდარ კაცს თავი მოაჭრეს და ასე მაიძულეს ფულის გადახდა. მე ოჯახი მაქვს, ამხანაგო მაიორო და ფულიც ამის გამო გადავუხადე მათ, – უთხრა როიტმანმა ხურცილავას. შემდეგ სურათებზე გეგეშიძეც ამოიცნო...

უშიშროებამ მთელი მოსკოვის კრიმინალური სამყარო ფეხზე დააყენა. გაარკვიეს, რომ ქალაქში სულ რაღაც ორი თვის წინ გამოჩნდა ერთი ცალთვალა და ერთიც სახენაიარევი ახალგაზრდა. ცალთვალას ახმადი ერქვა, სახენაიარევს კი – ზორბეგი. ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან ჩამოსულები გვარად ბასილაევები იყვნენ. ძმები ბასილაევების ადგილსამყოფლის დადგენა „კაგებეს“ არ გასჭირვებია და როდესაც სპეცჯგუფი დასახლება „ჩერიომუშკებში“ მივიდა მათ ასაყვანად, ბასილაევები იქ აღარ დახვდნენ.

– ნუთუ იყნოსეს, რომ ვეძებთ და გაუჩინარდნენ? – ამბობდა მაიორი ხურცილავა, როდესაც კოლეგებთან ერთად უკან ბრუნდებოდა, – არა, აქ სხვა რაღაცაშია საქმე!

იმავე დღეს, ბასილაევებზე საკავშირო ძიება გამოცხადდა.

### შურისძიება

პავლე ხურცილავამ ივარაუდა, რომ ძმები ბასილაევები შემთხვევით არ გაუჩინარდნენ და მის გონებაში შურისძიების ვერსია ამოტივტივდა. მან დაადგინა, რომ შოთა გეგეშიძის უფროსი ძმა – ნოდარი შვებულებაში იმყოფებოდა და თბილისიდან სადღაც გაემგზავრა.

– ნამდვილად აქაა, მოსკოვში და თავისი ძმის მკვლელებზე ნადირობს, – ჩაილაპარაკა ხურცილავამ. შემდეგ ის კრიმინალურ ავტორიტეტთან, სანდრო „ტბილისსკისთან“ გაემართა.

– მოდი, მაიორო, – მიიპატიჟა ტბილისსკიმ ხურცილავა, – მართალია, ერთ საქმეს არ ვემსახურებით, მაგრამ ძველ უბნელთან შეხვედრა მიხარია.

– უნდა დამეხმარო, სანდრიკ. ძმები ბასილაევების ასავალ-დასავალი უნდა მითხრა, ან გამიგო. მათ სრულიად უდანაშაულო კოლეგა მოგვიკლეს და პასუხი თუ არ ვაგებინეთ, არც თქვენს სამყაროს დაადგება კარგი დღე მათგან და მათნაირებისგან.

– მათ უკვე აგეს პასუხი, – მიუგო ხურცილავას ტბილისსკიმ. შემდეგ ისინი შერემეტიევოს ტყეში გაემგზავრნენ და სანდრომ ხურცილავას ბუჩქებში ჩაყრილი ბასილაევების უთავო ცხედრები და მათი თავები უჩვენა, რომლებსაც ჭიანჭველები ესეოდნენ.

– ნოდარ გეგეშიძემ გააკეთა ეს? – ჰკითხა ხურცილავამ სანდროს.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ის გაკეთდა, რაც თქვენც გაწყობდათ და ჩვენც.

ძიებამ დაადგინა, რომ შოთა გეგეშიძე ძმების მიერ იყო მოკლული, ხოლო თავად ბასილაევების მკვლელის დადგენა არ მოხერხდა...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 10 ივნისი

1886 – ექიმთა კონსილიუმმა შეშლილად ცნო ბავარიის მეფე ლუდვიგი. ამ დიაგნოზის გამოტანიდან სამ დღეში ის ტბაში დაიხრჩო.

1898 – ამერიკელებმა დააარსეს გუანტანამოს სამხედრო ბაზა.

1909 – დაარსდა ქალაქი კანბერა (ავსტრალიის დედაქალაქი).

1943 – უნგრელმა ლასლო ბირომ გამოიგონა ბურთულიანი კალამი.

### 11 ივნისი

1930 – ამერიკელი ზოოლოგი უილიამ ბიბი და ინჟინერი ოტის ბერტონი ბატისკაფის საშუალებით პირველად ჩავიდნენ 400 მეტრ სიღრმეზე.

1937 – ამ დღეს საბჭოთა კავშირში განხორციელდა გენერალთა მასობრივი დახვრეტა (ტუხაჩევსკი, უბორევიჩი, იაკირი...).

1982 – ეკრანებზე გამოვიდა სტივენ სპილბერგის ფილმი „უცხოპლანეტელი“ (ითი).

1993 – ეკრანებზე გამოვიდა სტივენ სპილბერგის ფილმი „იურული პერიოდის პარკი“.

### 12 ივნისი

1963 – ნიუ-იორკში შედგა პრემიერა ფილმისა „კლეოპატრა“ ელიზაბეთ ტეილორის მონაწილეობით.

1965 – ჯგუფ „ბითლზის“ წევრებს მიენიჭათ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი ჯილდო.

### 13 ივნისი

1494 – ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა კუბა.

1825 – ამერიკელმა უოლტერ ჰანტმა დააპატენტა უხიფათო ქინძისთავი (ეგრეთ წოდებული „ბულავკა“).

1941 – საბჭოთა სადამსჯელო მანქანამ ბალტიისპირეთიდან ციმბირში გაასახლა 100 ათასი ოჯახი.

1944 – დაიწყო ლონდონის დაბომბვა გერმანული რაკეტებით – „ფაუ-1“.

1991 – რეკორდულ ფასად გაიყიდა 1776 წელს დაბეჭდილი ამერიკის შეერთებული შტატების დეკლარაციის ერთ-ერთი ეგზემპლარი. დონალდ შარმა მასში 2 420 000 დოლარი გადაიხადა.

### 14 ივნისი

1777 – კონტინენტურ კონგრესზე დაამტკიცეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა.

1834 – ისააკ ფიშერმა (ამერიკის შეერთებული შტატები) დააპატენტა საშრობი ქაღალდი.

1940 – საკონცენტრაციო ბანაკმა „ოსვენციმმა“ მიიღო პირველი პატიმრები.

1942 – ეკრანებზე გამოვიდა დისნეის მულტფილმი „ბემბი“.

### 15 ივნისი

1215 – ინგლისში თავისუფლების დიდი ქარტიით შეიზღუდა მონარქიული ხელისუფლება.

1844 – ჩარლზ გუდიერმა დააპატენტა ვულკანიზაციის მეთოდი.

1904 – დაარსდა საფეხბურთო კლუბი – ლევერკუზენის „ბაიერი“.

1978 – იორდანიის მეფე ჰუსეინმა ცოლად შეირთო ამერიკელი ქალი – ელიზაბეთ ჰალბი, რომელსაც ეწოდა ნურ ალ ჰუსეინი.

### 16 ივნისი

1533 – ინკვიზიციის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა გალილეო გალილეის.

1816 – ამ დღეს 19 წლის მერი შელის დაესიზმრა კოშმარი, რაც საფუძვლად დაედო მისივე მოთხრობას – „ფრანკენშტაინი“.

1865 – რუსეთმა დაასრულა უზბეკეთის დაპყრობა.

1925 – ყირიმში დაარსდა პიონერთა ბანაკი „არტეკი“.

**მანანა კოზაკოვასა და ლევან წულაძის (ჭოლას), 18 წლის შვილი, თინათინ წულაძე ერთი შეხედვით, საუბრის მანერითა თუ მიმიკებით, დედასაც ძალიან ჰგავს და მამასაც. რაც მთავარია, მისგან, ისევე, როგორც მისი მშობლებისგან, ბევრი დადებითი ემოცია მოდის და, შესაბამისად, მასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.**

# როგორი ურთიერთობა ჰქონდა თინათინ წულაძეს ბაბუასთან, მიხეილ კოზაკოვთან და რა ამბავი ატყდა მის გამო დანიაში

**თინათინ წულაძე**: ამ ეტაპზე ვცეკვავ, მთელი დღის განმავლობაში. თითქმის ერთი წელია, ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდე ხელი – ვარ სუხიშვილების ანსამბლის სტაჟიორი. ორი გადასარევი პედაგოგი მყავს: ტატა გომელაური და დავით უგრეხელიძე და ძალიან კმაყოფილი ვარ. ძალიან მიყვარს ეს საქმე და, ვფიქრობ, ჩემს მშობლებსაც ეამაყებათ. ჩემი არჩევანია და დიდი ხელშეწყობა მაქვს. მათთანაც ახლოს არის ჩემი პროფესია – ორივე სცენაზე დგას, ესმით ჩემი და სერიოზულად უდგებიან ჩემს გადაწყვეტილებას.

**– არასდროს გდომებია მსახიობობა ან რეჟისორობა?**

– რომ დავიბადე, უკვე ვიცოდი, რომ მინდოდა მაშველობა და მსახიობობა. ახლაც ძალიან მინდა მსახიობობა, თან, ამ სამყაროში ვარ გაზრდილი და არც ამ საქმეს ვუდგები მეორეხარისხოვნად, ორივე წინა პლანზე დგას. მინდა, ჯერ ერთი საქმე შევისწავლო კარგად და მერე – მეორე. მშობლები დიდ თავისუფლებას მაძლევენ, რასაც მე ავირჩევ, ყველაფერზე მომყვებიან. რა თქმა უნდა, თუ რაღაც სასწაულს არ გადავწყვეტ, მაგალითად, კვანტურ ფიზიკას, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მამაჩემი ძალიან ამაყი იქნება. ზუსტად ვიცი, გულის სიღრმეში ორივეს მოსწონს ის ფაქტი, რომ მე მსახიობობა მინდა. ხუთი წუთიც რომ მქონდეს დრო, მაშინვე თეატრში მივდივარ – ვერ ვძლებ ამ გარემოს გარეშე, ჩემი სახლია. თეატრი ჩემი წამალი და ყველაზე დიდი სიმშვიდეა. შეიძლება, სპექტაკლი არ იყოს და მაინც მივიდე. დედაჩემი ფეხმძიმედ იყო, როცა „სარდაფის“ მშენებლობა მიდიოდა და იჯდა გაჯში. კარგად მახსოვს, მთელი გულით ვოცნებობდი, ყველას გაეგო, რომ დედაჩემი იდგა სცენაზე და სპექტაკლის დროს ვეძახდი: „დედა!“ მინდოდა, რომ ხალხს დაენახა, ვინ იყო დედაჩემი. ყველა სპექტაკლის შემდეგ ავრბოდი სცენაზე და მათთან ერთად მეც გამოვდიოდი „პაკლონზე“. ერთხელ დედას მარჯანიშვილის თეატრში ჰქონდა სპექტაკლი და ჩემი თავი სცენის დამხმარე მუშას ჩააბარა. მოვკიდე ფარდას ხელი (მე რომ ვერ ვხედავდი ხალხს, მეგონა, ისინიც ვერ მხედავდნენ), გავედი სცენაზე, ოღონდ, მაყურებლისკენ ზურგით ვიდექი. მიდიოდა დედა და მეც მივყვებოდი, თან, ფარდა მეჭირა ხელში. ხალხი იხოცებოდა სიცილით. დედაჩემი ვერ მხედავდა და, შესაბამისად, ვერაფერს ხვდებოდა: ფიქრობდა, რამე ხომ არ მჭირსო.



**მოვკიდე ფარდას ხელი (მე რომ ვერ ვხედავდი ხალხს, მეგონა, ისინიც ვერ მხედავდნენ) და გავედი სცენაზე. ოღონდ, მაყურებლისკენ ზურგით ვიდექი. მიდიოდა დედა და მეც მივყვებოდი, თან, ფარდა მეჭირა ხელში**

**– ალბათ, მამას სპექტაკლებზეც სულ დადიხარ.**

– მახსოვს, „სამგროშიანი ოპერა“ იყო პირველი, სადაც პატარა როლი მქონდა – ვიღვიძებდი და დავდიოდი, მეტს არაფერს ვაკეთებდი და, მახსოვს, ამ გაღვიძებას როგორ გულიანად ვაკეთებდი... მერე იყო მარჯანიშვილის თეატრში „დაუსრულებელი სიზმარი“. დედაჩემს მივყავდი თეატრში და მეუბნებოდა: იცოდე, ახლა რასაც გეტყვის მამა, ყველაფერი დაუჯერეო. ისე ვნერვიულობდი, მაკანკალებდა და ველარ ვუჯერებდი. სულს ვთამაშობდი და ერთ სიტყვას ვამბობდი: „მამა.“ ამის გამო ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი. საოცრად მეამაყებოდა.

**– როგორი ურთიერთობა გქონდა ბაბუასთან, მიხეილ კოზაკოვთან?**

– გადასარევი, მაგრამ, ხშირი ურთიერთობა არ მქონია. მე მყავს ბაბუა, დედაჩემის დედის მეორე მეუღლე, რომელიც ჩემთვის არის შეუცვლელი ადამიანი, ძალიან მიყვარს და, დარწმუნებული ვარ, მასაც ასევე ძალიან ვუყვარვართ მეც და დედაჩემიც. მას უფრო მივიჩნევ ბაბუად, რადგან, მასთან უფრო ხშირი ურთიერთობა მქონდა ბავშვობიდან. მიშასთან, სამწუხაროდ, არ მქონია ხშირი ურთიერთობა, მაგრამ, როცა ჩამოსულა ან მე ჩავსულვარ, მასთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესოდ მამახსოვრდებოდა. თითოეული მისი სიტყვა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მე თქვენობით ველაპარაკებოდი და ამაზე სულ ჩხუბობდა. მახსოვს, საქართველოში იყო ჩამოსული, „თოლიას“ დგამდა. მარტო ვიყავი სახლში. სასმელი მომატანინა, სვამდა და მთელი საღამო მიყვებოდა თავის ამბებს. რა თქმა უნდა, მე ხმა არ ამომიღია, რადგან, მისი ყოველი სიტყვა მაინტერესებდა. ბევრი ცოლი ჰყავდა და მათზეც მესაუბრებოდა. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ძალიან აღფრთოვანებული იყო ბებიაჩემით, თუმცა, სხვა ცოლებზეც აღფრთოვანებული საუბრობდა. მაგრამ, ის ფაქტი, რომ ჩემს ბებიას ასე იხსენიებდა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

**– რომ გიყურებ და გისმენ, აშკარად დედასაც ძალიან ჰგავხარ და მამასაც.**

– მგონი, ორივეს ერთნაირად ვგავარ, თუმცა, მე მაინც სხვანაირი ადამიანი ვარ. დედაჩემი ჩემზე ბევრად ძლიერია, ჩემთვის მაგალითია ყველაფერში, ისევე, როგორც მამა. ვერ ვხვდები, რომლისკენ ვარ, ორივესი რაღაც მაქვს, მაგრამ, მაინც ინდივიდუალური ვარ, ჩემი ხასიათით. დედას ყველაფერს ვუყვები, თუმცა, როგორც წესი, როცა ყველაფერი ჩაივლის – მერე, რადგან, მუდმივად სწორ რჩევას მაძლევს და, ზოგჯერ არ მინდა, გავითვალისწინო, მინდა, არასწორად მოვიქცე. როცა რჩევას მაძლევს, მერე მიჭირს სხვანაირად მოქცევა. დედა იმდენად მეგობრულია, სულ გვერდში მიდგას, არასდროს არაფერში შეუშლია ხელი. მამასთან, ალბათ, ასე ხშირად ვერ ვილაპარაკებ, რადგან, მაინც მამაა და მის მიმართ უფრო მეტი სენტიმენტები მაქვს. თუმცა, როცა დედაჩემი არ ყოფილა, მამა ბევრჯერ დამხმარებია, ძალიან კარგი რჩევები მოუცია.

**ბაღში რომ დავდიოდი, ერთმა ბიჭმა გამომიგზავნა წერილი – ისარგაყრილი გული ეხატა. ბაბუა და მამა მთელი დღე განიხილავდნენ, თან მთელი სერიოზულობით: როგორი საზიზღარია ის ბიჭი, რას ჰქვია, გული გამოუგზავნაო**

**– როგორი მამაა?**

– ზუსტად ისეთები არიან დედაც და მამაც, როგორებიც ეკრანიდან ჩანან. ძალიან საინტერესო ურთიერთობა აქვთ. ჯერ ადრეა ჩემთვის ოჯახის შექმნა, მაგრამ, როცა შევქმნი, მინდა, მეც ასეთი ურთიერთობა მქონდეს მეუღლესთან. სულ საინტერესოდ ატარებენ დილას, საღამოს – საუბრობენ, კამათობენ. მუშაობის პროცესში მამა ძალიან მკაცრია, განსაკუთრებით – დედას მიმართ. დედა თავგანწირულია, დილიდან დაღამებამდე კითხულობს სცენარს, მუშაობს, მერე ნერვიულობს იმაზე, რას ეტყვის მამა. მამას სხვისი რამეც თუ არ მოსწონს, დედას ეუბნება. დედა ამას უკვე შეეჩვია და იცის, როდის ეხება ეს მას და როდის – სხვას. თუმცა, რაღაც მომენტში მაინც სწყინს, მაგრამ, როგორც წესი, ეს წყენაც მალე გადაუვლის ხოლმე.

**– მამებისთვის ძნელია იმის გაცნობიერება, რომ მათი გოგონა ოდესმე გათხოვდება, განსაკუთრებით, თუ ის ჯერ პატარაა.**

– ამ საკითხთან დაკავშირებით მამა იუმორის ყველანაირ გრძნობას კარგავს. ძალიან მძიმედ იტანს ამ ამბავს. ბაღში რომ დავდიოდი, ერთმა ბიჭმა გამომიგზავნა წერილი – ისარგაყრილი გული ეხატა. ბაბუა და მამა მთელი დღე განიხილავდნენ, თან, მთელი სერიოზულობით: როგორი საზიზღარია ის ბიჭი, რას ჰქვია, გული გამოუგზავნაო.

**– არ მიჰყავდი მშობლებს გასტროლებზე?**

– რამდენჯერაც მომინდა წასვლა, ყოველთვის რაღაც ხდება: ან რეპეტიცია მქონდა, ან გამოცდა და ვერ ვაცდენდი. თუმცა, ახლახან მე და მამა ვიყავით ლიტვაში, მანამდე კი მე და დედა – დანიაში. დედა უფრო ორგანიზებულია, მე ძალიან დაბნეული ვარ, მამა კი – ჩემზე უარესი.

**– თქვენს ოჯახში, ალბათ, ხშირად არის ხალხმრავლობა – საინტერესო ხალხი იყრის თავს...**

– ადრე უფრო იყო, რადგან, ახლა ბევრად დაკავებულები არიან. ჩემთან უფრო მოდიან სტუმრები, ყველაფერი ჩემთან ხდება. ადრე, დედას და მამას მეგობრები რომ მოდიოდნენ, ისე მიყვარდა, არ ვიძინებდი და სულ მათთან ერთად ვიყავი. ბეთანიაში გვაქვს აგარაკი და ძალიან მიყვარს იქ ყოფნა. არის პერიოდი, როდესაც ჩვენ სამნი მარტოები ვართ, ვუყურებთ ფილმებს, ვსაუბრობთ, სულ ერთად ვატარებთ დროს და ურთიერთობის მეტი საშუალება გვაქვს. ასევე, ყოველ წელს ტარდება თეატრალური ფესტივალი და მთელი თვე სამოთხეში ვარ, საოცარ დასებს ვნახულობ და მერე არის განხილვები.

**– მახსოვს, ცეკვის განხრით უცხოეთში აპირებდი სწავლის გაგრძელებას.**

– დანიაში ჩავაბარე ქორეოგრაფიულ სკოლაში ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე და მერე სხვა სკოლაში უნდა გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ, ვიზა არ მომცეს. მიზეზი – კერძო სკოლააო. ამაზე სკოლის დირექცია ძალიან გაბრაზდა – ეს ჩვენს ავტორიტეტზე მოქმედებსო. ამიტომ, დანიის გაზეთისთვის დამაწერინეს სტატია: მე, საწყალ გოგონას, როგორ არ მომცეს ვიზა. მოკლედ, დიდი ამბავი ატყდა. ახლა ჯერ აქ ჩავაბარებ და მერე კიდევ ვცდი, არსად მეჩქარება.

**ნათია უტიაშვილი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი დიზელზე, დაახლოებით 5 000-6 000 დოლარის ფარგლებში, გამძლე და პრაქტიკული, ძალიან მომწონს „სააბი”, რომელსაც, ამბობენ, რომ კარგი ძრავა აქვს. თქვენ რას მირჩევთ?**

**პასუხი:** „სააბი” საკმაოდ კომფორტული, არასტანდარტული და თავისებური დიზაინის ავტომობილია. მისი ძრავა მართლაც გამძლეა, რადგან, საავიაციო ქარხანა ამზადებს, რაც ნიშნავს, რომ, გამორიცხულია, გიმტყუნოთ. მაგრამ, საკმაოდ რთული იქნება საქართველოში მისი სერვისი. ჩვენში ამ ავტომობილის შესახებ ნაკლებად თუ იცის ვინმემ. ამიტომ სათუოა დააინტერესოს ვინმეს კონკრეტულად ამ ავტომობილისთვის ნაწილების შემოტანა, რადგან აქ ცოტა დადის და ბიზნესის კუთხით არ არის გამართლებული. თუმცა, უნდა ითქვას, კონსტრუქციულად ძალიან ახლოს არის გერმანულ ავტომობილებთან და, რიგ შემთხვევებში, ზოგჯერ

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

პირდაპირ, ზოგჯერ გადაკეთებით, მათი დეტალები ერთმანეთზე მიდის. პრობლემა ისეთი ადამიანის პოვნაა, რომელიც ამას მოახერხებს. ამიტომ, თუ ახირებული არ გაქვთ ამ მოდელის შეძენა, უმჯობესია, ისეთ ავტომობილებზე იფიქროთ, რომელიც საქართველოში ხშირია. რაც შეეხება დიზელის ძრავას, ვერაფერი შეცვლის იაპონურ დიზელს, მაგრამ, საკმაოდ რთული საშოვნელია და, თან, შედარებით ძვირი ღირს. ევროპაში იაპონური დიზელისძრავიანი ავტომობილები თითქმის არასდროს ფუჭდება, ამიტომ, ბოლომდე „წურავენ“ მის სიცოცხლეს, ამერიკაში კი დიზელის მსუბუქი ავტომობილები არავის სჭირდება და, შესაბამისად, შეძენა გაგიჭირდებათ. ამიტომ მივედით იმ დასკვნამდე, რომ უნდა მივადგეთ გერმანულ დიზელებს, რომელთა შორისაც ამ შემთხვევაში გირჩევდით „გოლფის” ან „აუდის” რომელიმე მოდელს. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ მათ შორისაც არსებობს უფრო კარგი და ნაკლებად გამომდგარი მოდელები, გამომდინარე კუბატურის და საწვავის მიწოდების სისტემიდან. თუ თქვენს გემოვნებას მოერგება შედარებით დიდი ხნის მანქანა, მაშინ, იდეალური ვარიანტი იქნებოდა „მერსედესის” რომელიმე მოდელი.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „გოლფ 4” „ჯეტეი” სისტემით, რომელზეც შევცვალე დისკები და საბურავები – ეყენა თხუთმეტიანები და დავაყენე ჩვიდმეტიანები. მეჩვენება ან მართლა მოხდა, რომ ავტომობილის სიმძლავრემ გაცილებით დაიკლო. ეს რამე დამთხვევაა თუ, შეიძლება, საბურავებისა და დისკების შეცვლა სიმძლავრესთან იყოს კავშირში?**

**პასუხი:** საბურავების დიამეტრი პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ავტომობილის სიმძლავრესა და აჩქარებას. რაც უფრო დიდი დიამეტრისაა დისკი (მით უმეტეს, თუ წონაშიც მძიმეა), მით უფრო უჭირს ძრავას მისი ბრუნვაში მოყვანა, შესაბამისად, უარესდება აჩქარება და გვექმნება შეგრძნება, რომ სიმძლავრე არ გვყოფნის. თუ გინდათ, აჩქარება იგივე ჰქონდეს, უნდა დაუბრუნოთ პირვანდელი ზომის დისკები, ხოლო, თუ პრიორიტეტს სილამაზესა და უკეთეს მანევრზე აკეთებთ, კომპრომისი სიმძლავრეში უნდა გააკეთოთ.

**კითხვა: მყავს „აუდი ა3”, რომელიც აღჭურვილია დაკიდების სპორტული სისტემით და ძალიან დაბალი და უხეშია. ამიტომ, თითქმის ყველგან ვედები და ზოგადად ძალიან მიჭირს თბილისში სიარული. რა შეიძლება გავაკეთო, რომ ძალიან ძვირი არ დამიჯდეს და ჩვენს გზებს მოერგოს, ანუ, რა და როგორ შევცვალო?**

**პასუხი:** სპორტული დაკიდების სისტემა სხვადასხვანაირი არსებობს. თუ კარგი სისტემაა, მინიმუმ, მას სიმაღლეების დასარეგულირებელი ექნება. ეს არის ზამბარის ქვეშ მოთავსებული რგოლი, რომელიც ბრუნვით იცვლის სიმაღლეებს ან სპეციალური ქვერგოლი, რომელიც, ასევე, იცვლის სიმაღლეებს, მაგრამ, არა ბრუნვით, არამედ, ამ ქვერგოლის ფიქსაციით. თუ კიდევ უფრო უკეთესი დაკიდების სისტემაა, მას უნდა ჰქონდეს სირბილისა და სიუხეშის დასარეგულირებელი სპეციალური გადასართველი. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ სპორტული დაკიდების სისტემა მხოლოდ მოკლე და უხეში ზამბარებით შემოიფარგლება (რაც ხშირ შემთხვევაში გვხვდება), მაშინ, მხოლოდ ზამბარების შეცვლა დაუბრუნებს მას ქარხნულ ინსტალაციას. ზამბარების შეძენა შესაძლებელია საკმაოდ იაფად, მეორადი ნაწილების ბაზრობაზე და არც მათი შეცვლა ჯდება ძალიან ძვირი.

**კითხვა: როგორ მივხვდე, ავტომობილის ძრავას პრობლემების დროს, რა სიმპტომები აჩვენებს მის გაუმართავ მუშაობას?**

**პასუხი:** პირველი ნიშანი: თუ დილით ავტომობილს ქოქავთ და ზეთის მაჩვენებელი ინდიკატორი არა მაშინვე, არამედ, რამდენიმე წამის შემდეგ ჩაქრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ძრავა, მისი შიდა დეტალები უკვე საკმაოდ გაცვეთილია; მეორე ნიშანი: დილით დაქოქვისას, როდესაც ძრავა ცივია, ის გამოსცემს ცივი წკრიალის ხმას, ეს ხმა სულ რამდენიმე წამს გრძელდება, მერე კი იდეალურად იწყებს მუშაობას და მთელი დღე არანაირ ხმას აღარ უშვებს. ეს ნიშნავს, რომ ძრავა სულ მალე გამოვა მწყობრიდან, თუკი დროულად არ მიხედავთ. დროული მიხედვა კი კარგი ხარისხის ზეთის ჩასხმაა. მესამე ნიშანი: უკვე იმ დროს იჩენს თავს, როდესაც ძრავას სერიოზული პრობლემა აქვს და ეს ხდება უკვე ავტომობილის, ანუ ძრავას გათბობის შემდეგ ამ დროს ზეთი თხელდება, გათხელებული ზეთი ველარ ავსებს გარკვეულ დეტალებში გაჩენილ ღრიჭოებს, ამ ღრიჭოების არსებობა კი უკვე სერიოზული პრობლემაა და საშუალო ბრუნებზე (2 500-დან 3 500 ბრუნამდე) აქვს ყრუ წკრიალის, არა ცივი, არამედ, მოგუდული კაკუნის ხმა. რაც უკვე ნიშნავს, რომ ძრავა მწყობრიდანაა გამოსული და სხვა რაღაცაზე დაბრალება აღარ გამოვა. ავტომობილი იმწამსვე უნდა გააჩეროთ და გადაიყვანოთ პროფილაქტიკაში.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი**
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს „სუბარუ ფორესტერი”. კომპიუტერზე შევაერთებინე და დიაგნოსტიკაზე მაჩვენა, რომ დეტონაციის სენსორი მწყობრიდან იყო გამოსული. სად დგას ეს დეტონაციის სენსორი, რას აკეთებს, რამდენად მნიშვნელოვანია მისი შეცვლა? ხელსაწყოების დაფაზე არც ერთი ნიშანი არ ინთება და ავტომობილიც ჩვეულებრივად დადის.**

**პასუხი:** დეტონაციის სენსორი არის მოწყობილობა, რომელიც კომპიუტერს აწვდის ინფორმაციას, რამდენად სუფთად ხდება წვა ავტომობილის ძრავაში, რის მიხედვითაც კომპიუტერი განსაზღვრავს, რა დოზით მიაწოდოს საწვავი ძრავას და რა რეჟიმით შეცვალოს ნაპერწკლის მიწოდება. ანუ, საწვავის ხარისხიდან გამომდინარე, კომპიუტერი ცდილობს, მიიღოს მაქსიმალური ეფექტი და არ

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

მოხდეს ძრავაში დეტონაცია, რაც ძრავას დეტალების დაზიანებას იწვევს. უკეთ აღქმისთვის, თუ რა არის დეტონაცია, აგიხსნით, რომ ეს არის ის წკრიალის ხმა, რასაც ცუდი საწვავის ჩასხმის დროს „კლაპნების ხმას” ვეძახით. ზემოჩამოთვლილიდან გამომდინარე, ავტომობილი, სრულად ან ნაწილობრივ, ავარიულ რეჟიმში იმუშავებს და, შესაბამისად, მინიმუმ, უფრო მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე მოიხმარდა. ანუ, ამ სენსორის გამოცვლა კარგი იქნებოდა. ხოლო, რაც შეეხება მის ადგილს, სენსორი განთავსებულია ძრავას ქვედა ნაწილის უკანა მხარეს, სადაც ის ერთი ჭანჭიკით („ბოლტით”) არის მიმაგრებული და მისი მოხსნის დროს არც წყალი დაიღვრება, არც ზეთი და, ამიტომ, მისი მოხსნა არ გაგიჭირდებათ.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



სანტექნიკური მოწყობილობა

ხევსურეთშია / ჩიბურდანიძე

იალქანი

იგავ-არაკის ბოლოსაა

ქნელი ანუ როგორი?

ასეთი ფერია აპრილი

ქალაქი ესტონეთში

უძველესი ქუთაისი

ნაცარქექიას სახელი

რუსეთის რესპუბლიკა

ერთგვარი ჯიხური

ვარდობისთვე

რა იმართება ხოლმე ბაგა-ბაღში დღესასწაულებზე?

ჩოჩქოლი, არეულობა

ზღაპრული ცხენი

„ახალი სამყარო“

რუსული მანქანა

პლეხანოველი ბიჭი ...

საბერძნეთი

ხომალდების შენაერთი

მთა პიატიგორსკთან

(.......) სოხაძე

(.......) ვაიკულე

უსულო სხეული

რეზერვი

მომღერალი რაფაელა

კოლუმბიელი მომღერალი

სოფელი გარდაბნის რაიონში

კლდეში ნაკვეთი ქალაქი

სურნელოვანი ნივთიერება

ჩვენგან მოშორებით, სხვაგან

(.......) ფრეინდლიხი

მსახიობი (.......) ანდრონიკაშვილი

წვერის სალებავი

იყო ასეთი რუსი გენერალი

ძვ.ეგვიპტის მთავარი ღვთაება

პატარა ივანე

ცუდი, უხარისხო, მიუღებელი

კენიაში მცხოვრები ტომი

სოფელი ბორჯომთან

ახლობელი

რუსთველის კალამი

ბერიკაშვილი

ყირგიზული ეპოსი

უდანაშაულობის საბუთი

განთიადი

სოკოებს შეისწავლის

მახრჩობელა გველიც და მისი მსგავსი ყელსახვევიც

სუკ-ის ყოფილი „შეფი“ ჩვენში

ჯარის წყობა / პატარა მწერი

გორკის რომანის პერსონაჟი

ადგილი ანუ?

„ოტელოს“ პერსონაჟი

ჯიში, მოდგმა

(......)-სახოცი / პარიზის მდინარე

ცხოვრება ასეთიც არის

დიდი მეტეორი / მესამე პირები

3,14 / ჯაყვა

ჩვენი მდინარე

კინობოევიკი ჩაკ.....

ინფორმაციას გადასცემს

კრასნოდარის მხარის კურორტი

იძულებითი სამუშაო

ცეკვა ანუ?

მშობელი

ელექტროდი

პირსაბურავი / მოლოდინი

აზიის ქვეყანა

კვერცხის სალებავი

გაზი / პირველი

აგულის შვილი

ეკალი

საზიდარი

რუსი მომღერალი / სიმღერა

დიდი ჩაქუჩი

თვალთანაა / პატარა ინდაური

შაქრის დაბა / ნავთის სანათი

(.......) ჩაპლინი

ქალოსნობის ილეთი

სესილია „ნატვრის ხეში“

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | 4 | 4 | | | | |
| | | | 4 | 5 | 6 | 6 | 7 | 7 | 7 | 8 | 8 | 8 | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 3 | 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 3 | 4 | 2 |
| 4 | 8 | 12 | 14 | 13 | 10 | 9 | 7 | 6 | 5 | 5 | 5 | 5 | 14 | 14 | 13 | 12 | 11 | 9 | 11 | 13 | 16 | 18 | 19 | 10 | 10 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 1 |

| | | |
|---|---|---|
| | | 3 |
| | | 5 |
| | 1 | 3 |
| | 1 | 1 |
| | 1 | 2 |
| | 2 | 1 |
| 3 | 3 | 1 |
| 5 | 5 | 2 |
| 11 | 3 | 4 |
| 13 | 6 | 1 |
| 13 | 6 | 1 |
| 13 | 6 | 1 |
| | 19 | 1 |
| | 18 | 2 |
| | 16 | 3 |
| 1 | 14 | 2 |
| 3 | 13 | 2 |
| | 6 | 16 |
| | | 26 |
| | | 28 |
| | | 29 |
| | 16 | 11 |
| | 11 | 12 |
| | 8 | 14 |
| | 7 | 11 |
| | 5 | 7 |
| | | 4 |
| | | 2 |
| | | 2 |
| | | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 9 | | | 1 | 5 | |
| | | 1 | | 3 | | | | 6 |
| 2 | 9 | | 1 | 5 | | | 3 | 7 |
| | 7 | 2 | 3 | 9 | 5 | | 6 | 4 |
| 8 | | 9 | | | 4 | 2 | | 3 |
| 3 | 6 | 4 | | 8 | 2 | | 9 | 1 |
| | | 8 | | 6 | | 3 | | 5 |
| 9 | 4 | 5 | 8 | 7 | 3 | 6 | 1 | |
| 6 | 2 | | 5 | | | | 8 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 4 | | | 1 |
| | 7 | | 2 | | | 9 | | |
| | | 4 | | 3 | | | | 2 |
| 4 | | | 1 | | | | | 9 |
| | | | | 4 | | 1 | | 8 |
| | | | 9 | | 6 | | | |
| 1 | 5 | | | | 7 | | | 3 |
| | 6 | | 4 | | | | | |
| | 4 | 9 | | 5 | 2 | | 1 | 7 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ ბიჭის თავის ხატვა



2. ბიჭს მიახატეთ ქოჩორი, წარბები და ყურები



3. მიახატეთ თვალები, ცხვირ-პირი და ყელი



3. მიახატეთ თვალები, ცხვირ-პირი და ყელი



3. მიახატეთ თვალები, ცხვირ-პირი და ყელი



4. მიახატეთ სპორტული მაისური და შარვალი



5. ბიჭს მიახატეთ ხელები, სპორტული ფეხსაცმელი და შარვალზე – ჯიბეები



6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზით ავა მთამსვლელი მწვერვალზე



## იპოვე განსხვავება



# ძაღლი და ყვავი

## (იგავ-არაკი)

ყვავმა ათენას ზვარაკი შესწირა. ძაღლმა ყვავს ჰკითხა:

– ტყუილუბრალოდ ათენას მსხვერპლს რად სწირავ, იმას რომ არ უყვარხარ, ხომ ხედავ, შენს მოდგმას ჯადოსნობის ძალა წაართვაო.

– მსხვერპლსაც იმიტომ ვწირავ, რომ მისი გული მოვიგოო.

ოღონდ საკუთარი თავი ასარგებლონ და ზოგნი მტერსაც კი აამებენო.

## რიცხვრებუსი

,,13, ,2, 2,,



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჟიაშვილი

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: მაინტერესებს, სასუნთქი გზების დაავადებებისთვის დამახასიათებელი რა არის?**

**პასუხი:** ქვემო სასუნთქი გზების დაავადებებისათვის დამახასიათებელია ღრმა სველი ხველა საერთო მდგომარეობის დათრგუნვით, უმადობით და მოწყენილობით. ქრონიკული ბრონქიტისათვის დამახასიათებელია მშრალი ჩუმი ხველა, რომელიც პერიოდულად გაივლის ხოლმე, რაც შემდგომში სხვადასხვა სახის პათოლოგიებით რთულდება, მაგალითად როგორებიცაა ათელექტაზი, ფილტვების ემფიზემა, ბრონქოექტაზია, ფილტვის ფიბროზი. ალერგიული ბრონქიტი მიმდინარეობს მწვავედ როგორც ალერგიული რეაქცია, ახასიათებს მწვავე შეტევითი ხასიათის ხველა. ბრონქებში უცხო სხეულით გამოწვეულ ბრონქიტის დროს ამოხველებითი ხასიათის ხველაა და გრძელდება მანამ, სანამ უცხო სხეულს არ მოიცილებს ორგანიზმი.

**კითხვა: რამდენი წლიდან ითვლება ძაღლი ასაკიანად?**

**პასუხი:** ძაღლი ასაკიანად ჯიშიდან გამომდინარე ითვლება, ანუ რაც უფრო დიდი ტანის არის ძაღლი, მით უფრო არახანგრძლივია მისი ცხოვრება. მაგალითად, თუ გერმანული დოგისათვის ხანში შესულობა 7 წლიდან იწყება, ჩიხუახუასთვის და ტოიტერიერისთვის 10-11 წლიდან.

**კითხვა: არის შემთხვევები, როცა ლეკვი სხვადასხვა ვეტერინართან დაჰყავთ. რამდენად არის ეს რეკომენდებული?**

**პასუხი:** სასურველი ნამდვილად არ არის, ლეკვი რამდენიმე ვეტერინართან ატაროთ, რადგან ყველა ექიმს განსხვავებული მკურნალობის მეთოდი აქვს. იგივე შეიძლება, გირჩიოთ კინოლოგზეც. ასე რომ, კარგად გაიკითხეთ და ისე მოიძიეთ თქვენი ოთხფეხასთვის პროფესიონალი ვეტერინარი და კინოლოგი.

**კითხვა: საკუთარი სახლი გვაქვს და გვინდა, ეზოსთვის დიდი ტანის ძაღლი შევიძინოთ. მაინტერესებს, ასეთ ძაღლებზე რას გვეტყვით?**

**პასუხი:** დიდი ტანის ძაღლები ძალზე ეფექტური, ყოვლისშემძლე და ღონიერები არიან. ისინი, ხშირ შემთხვევაში, თავიანთი გიგანტური ექსტერიერით, ისეთი ადამიანების ყურადღებას იქცევენ, რომელთათვისაც ასეთი გოლიათის ყოლა დაუშვებელია. არ არსებობს ცუდი ძაღლი, არსებობს ცუდი პატრონი! დიდი ტანის ძაღლის შეძენამდე, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მას კინოლოგის პროფესიონალური წვრთნა ესაჭიროება. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, კანონმდებლობის თანახმად, გიგანტ ძაღლებს პატრონები როგორც იარაღს, ისე იფორმებენ. დიდი ძაღლის პატრონთა 90 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოთხფეხა მეგობრის გვერდით საიმედოდაა დაცული. ეს მართლაც ასეა. ძნელად მოიძებნება დედამიწის ზურგზე ადამიანი, რომელიც შეძლებს წინ აღუდგეს კანე კორსოს, ბულმასტიფს, ბორდოულ დოგს, მასტინოს, კავკასიურ, გერმანულ და აზიურ ნაგაზებს.

**კითხვა: ფილტვის კიბო ყველაზე მეტად რომელ ცხოველში იჩენს თავს?**

**პასუხი:** ფილტვის კიბო უფრო ხშირად ასაკოვან ძაღლებში ვითარდება, რომელიც გამოწვეულია მეტასტაზების მოხვედრით ფილტვის ქსოვილში. მაგალითად, სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში, ძაღლებში იშვიათად გვხვდება ფილტვის პირველადი სიმსივნეები.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ლილიებს?**

**პასუხი:** ლილია ტროპიკული მცენარეა, ამიტომ მას არც ისე დიდი ყურადღება ესაჭიროება. მცენარე საკმაოდ ამტანია. ლილიები საერთოდ ადრე გაზაფხულზე ირგვება და მერე აღარ სჭირდება ნიადაგიდან ამოღება. ის ყინვაგამძლე და ძალიან იოლი მოსავლელია. მცენარე ყვავის ძალიან დიდი ხანი. ამიტომ, არ სჭირდება არანაირი საკვები ნივთიერებების მიცემა. ზაფხულში იტანს როგორც სიცხეს, ასევე ჩრდილსაც. ლილია მრავალწლოვანი და ძალიან ძვირად ღირებული მცენარეა. ამიტომ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეხვდებით. მცენარე მრავლობს ბოლქვით. ასევე, არსებობს ლილიების ისეთი სახეობები, რომლებიც თესლით მრავლდება. მცენარეს ახასიათებს მძაფრი ეთერზეთოვანი სურნელება. ასეთი ეთერზეთებით აკეთებენ სუნამოებს და ასევე, აბაზანის საშუალებებს. მცენარე ყოველ 3 წელიწადში შეგიძლიათ ამოიღოთ ნიადაგიდან და დაყოთ – იოლად იყოფა თავისივე ბოლქვით. მცენარე გვიან შემოდგომით თვითონვე ჩახმება. გამხმარი, დაყვავილებული ტოტი შეგიძლიათ მოჭრათ. გახსოვდეთ, არასდროს მცენარეს არ ამოაგლიჯოთ ნაყვავილარი ღერო. შესაძლოა, ამოგლეჯის დროს მცენარეს საყვავილე შიდა გული დაუზიანდეს, ლპობა დაიწყოს და საერთოდ გაქრეს ბოლქვი ნიადაგიდან. აზიური ლილიები იკეთებენ ფოთლის და ღეროს იღლიაში თესლოვან ბოლქვს. ეს შეგიძლიათ გვიან შემოდგომაზე აიღოთ და დათესოთ, რომ შემდეგ გაზაფხულზე ამოვიდეს. ახალი დათესილი და აღმოცენებული ლილია მეორე-მესამე წელს იწყებს ყვავილობას. შეგიძლიათ, მცენარე ზამთრის ბაღშიც ამყოფოთ. ზამთრის ბაღში მას ესაჭიროება მინიმალური ტემპერატურა +18-20 გრადუსი. ასეთ დროს მცენარემ არ იცის მოსვენება და დიდი ხანი არის მწვანე მდგომარეობაში. გაითვალისწინეთ, ყვავილოვანი მცენარის ნიადაგში უნდა შეიტანოთ ტორფი, ქვიშა და ასევე, გადამწვარი ნაკელი. გახსოვდეთ, არ დაუყაროთ აზოტოვანი სასუქი, რომ ბოლქვი არ დაიწვას. ზაფხულში მცენარე მორწყეთ ყოველ სამ დღეში ერთხელ, ხოლო ზამთარში წყლის დასხმა არ დასჭირდება.

**კითხვა: როგორ გავახარო შეფლერა?**

**პასუხი:** შეფლერა ნაკლებად ჭირვეული მცენარეა და კარგი განათება უყვარს. მისთვის ნორმალური ტემპერატურა +18-24 გრადუსია. რაც უფრო თბილა, მით მეტი ტენიანობა სჭირდება. აქტიური ზრდის პერიოდში ტენი არ მოაკლოთ. ზამთარში შედარებით იშვიათად მორწყეთ, მაგრამ მიწას მთლიანად ნუ გამოაშრობთ. ზრდის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. შეგიძლიათ, სიმაღლეში ზედმეტად გაზრდილი მცენარე გაზაფხულზე ნახევარზე გადაჭრათ. ასე, გვერდითი ტოტები ამოუვა და გაიბუჩქება. კარგია, თუ სასტუმრო ოთახში დადგამთ. სუფთა ფოთლები მცენარეს სიჯანსაღეს უნარჩუნებს. ფოთოლი ხელისგულზე დაიდეთ და სველი ნაჭრით რეგულარულად გაწმინდეთ. ეს მიმზიდველი, ჭრელფოთლიანი მცენარე საკმაოდ გამძლეა და ცოტა ხანს მოუვლელობასაც კი აიტანს. ის კარგად ეგუება ჰაერის სიმშრალეს და უძლებს თითქმის ყველანაირ პირობებს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# სიმამრის გატაცებისთვის სიძემ სიდედრს 10 ათასი გამოსძალა

*ადამიანის გატაცებისა და ფულის გამოძალვის ბრალდებით 42 წლის ფრიდონ ხ. ციხეში 14 წელს გაატარებს. მან არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი სიმამრი, 67 წლის ხვიჩა ს. გაიტაცა, რაშიც გატაცებულის ცოლს, ანუ სიდედრს, 10 ათასი დოლარი გამოსძალა. თავდაპირველი ვერსიით, ბრალდებულის ხელისშემწყობი მისი ცოლი, ნანა ს-ც იყო, მაგრამ არაოფიციალური ვერსია კატეგორიულად გამოირიცხა.*

*42 წლის ბრალდებული ციხეში მესამედ მოხვდა. თავდაპირველად, ის მანქანის გატაცებისთვის, შემდეგ კი ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის იხდიდა სასჯელს. პირველად 2, მეორედ კი – 5 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ციხეში დრო ტყუილად არ დაუკარგავს – ტელეფონით გოგონა გაიცნო, რომელსაც თვეების განმავლობაში ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდა. გათავისუფლების შემდეგ კი, ცოლად მოიყვანა. მოკლედ, როგორც ბრალდებულის დამ ჩვენებაში განაცხადა, მისი კრიმინალი ძმა ციხიდან „ქერის ორმოში" აღმოჩნდა – არაჩვეულებრივი ცოლი შეხვდა, რომლის ოჯახიც ყველანაირად უწყობდა ხელს, მაგრამ არაფერმა უშველმა, დანაშაულისკენ მიდრეკილებამ ისევ ციხის კარამდე მიიყვანა.*

## ციხეში დაწყებული რომანი

როგორ ჩაიგდო ხელში ფრიდონ ხ-მ საკანში ყოფნისას მობილური ტელეფონი, ეს ცალკე სასაუბრო თემაა. თუმცა, ეს იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ციხეში ნარკოტიკებიც კი შეჰქონდათ. როგორც ხდებოდა ხოლმე, ფროდონ ხ-მ უცნობ ნომერზე დარეკა და მისთვის სრულიად უცნობ გოგონას სატელეფონო ანგარიშზე თანხა ჩაარიცხვინა. პატიმარს გაუმართლა, უცნობი გოგონა ანკესს წამოეგო, რის შემდეგაც ის მას დროგამოშვებით ურეკავდა. ამ ლაპარაკ-ლაპარაკში ისე დაახლოვდნენ, სრულიად უცნობები სასიყვარულო თემებზე გადავიდნენ. მართალია, ფრიდონ ხ-ს ერთი ცოლი უკვე გამოცვლილი ჰყავდა, მაგრამ გოგონას ეს დაუმალა და ციხიდან სიყვარულის მტკიცება დაუწყო, რასაც ნანა ს-ს საპასუხო რეაქცია მოჰყვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელი თვეების განმავლობაში ერთმანეთთან მიმოწერაში ღამეებს ათენებდნენ. ამას ემატებოდა საჩუქრებიც – ფრიდონ ხ. ციხიდან გასულ მეგობრებს ნანასთან საჩუქრებს ატანდა.

არანაკლებ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნანა პატიმრის სანახავად ციხეში თავადაც მივიდა და მათი ბედი საბოლოოდ იქ გადაწყდა. ერთმანეთი მოეწონათ და ფრიდონის გათავისუფლების შემდეგ გაპარვა გადაწყვიტეს.

სატელეფონო რომანიდან დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ, ფრიდონ ხ-მ ციხე დატოვა. ის ჯერ მშობლიურ რაიონში ჩავიდა, შემდეგ კი ისევ თბილისში დაბრუნდა და ნანა ცოლად მოიყვანა. უფრო ზუსტად, საქმროზე 11 წლით უმცროსი გოგონა მშობლების უკითხავად ციხიდან ახლადგამოსულს ზღვაზე გაჰყვა. ერთკვირიანი ძებნის შემდეგ, ნანას მშობლებმა შვილი ქობულეთში აღმოაჩინეს. უნდოდათ, ყოფილი პატიმრისთვის დაეცილებინათ, მაგრამ არაფერმა გაჭრა, გოგონა ქმართან დარჩა, რის გამოც, მშობლები იძულებულები გახდნენ, სიძე არა მხოლოდ მიეღოთ, უმუშევარი და არაფრისმქონე საკუთარ სახლშიც ჩაესახლებინათ.

## როგორ გაიტაცა სიძემ სიმამრი

მიუხედავად უსაქმურობისა, ნანა ს-ს შეძლებული ოჯახი სიძეს ყველაფერს უკეთებდა – ბიზნესის დასაწყებად ფული მისცეს, სწავლაც შესთავაზეს, მაგრამ ფრიდონ ხ-მ თავი ვერაფერს მოაბა. როგორც დაზარალებულთა ჩვენებებიდან ირკვევა, მათ სიძისთვის არაფერი ენანებოდათ, მაგრამ იმას ვერ ეგუებოდნენ, რომ ციხის ძმაკაცები აკითხავდნენ, ის კი სიდედრ-სიმამრს იძულებულს ხდიდა, სათანადოდ დახვედროდნენ მათ. საბოლოოდ, უმუშევრობისა და მრავალი სხვა მსგავსი მიზეზის გამო, სიდე-სიმამრს გაუთავებელი კონფლიქტი ჰქონდათ. ყველაფრის მიუხედავად, სიძე დარწმუნებული იყო, რომ მის სიმამრს ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ მისთვის არ ემეტებოდა – ამცირებდა, მის პირად ცხოვრებაში უხეშად ერეოდა, პატარა ბიჭივით კაპიკებს აძლევდა.

საბოლოოდ, ნანას მშობლები ისე შეწუხდნენ, გადაწყვიტეს, ფიქრის გორაზე მდებარე სამოთახიანი ბინა გაეყიდათ და გარეუბანში ორი ბინა ეყიდათ. მათ უნდოდათ, ერთ ბინაში საცხოვრებლად შვილი და სიძე შეეშვათ, მეორე კი გაექირავებინათ, რაც ახალგაზრდა ცოლ-ქმრის შემოსავლის წყარო იქნებოდა. სიძე არ მუშაობდა, მათ ქალიშვილს კი მიზერული ხელფასი ჰქონდა.

სწორედ გაყიდული ბინის თანხა გამოსძალა სიძემ სიდედრს ისე, რომ ერთი თეთრიც არ დაუტოვა. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ცოლ-ქმარმა ფიქრის გორაზე ბინა მართლა გაყიდა, ორი ბინაც იყიდა, მაგრამ შვილმა და სიძემ ეს ამბავი მაშინ გაიგეს, როცა ყველაფერი დასრულებული იყო და საქმე რემონტზე მიდგა.

**გამტაცებლებთან ფული სიძემ წაიღო, რის შემდეგაც სიმამრი გაათავისუფლეს, მაგრამ 67 წლის კაცმა ინფარქტი მიიღო და ერთ კვირაში გარდაიცვალა**

საინტერესო დეტალი: ბრალდებულის სიდედრ-სიმამრს გაყიდული ბინიდან 10 ათასი დოლარი დარჩათ, რომელიც სიძე-ქალიშვილისა და გასაქირავებელი ბინის რემონტისთვის გადადეს.

სიძემ მათ სწორედ ეს არ აპატია და გეგმა შეიმუშავა. გადაწყვიტა, სიდედრ-სიმამრისთვის ფული გამოეძალა და უცხოეთში წასულიყო, რადგან გრძნობდა, რომ უსაქმურობისა და ლოთობის გამო, ცოლს აღარ უყვარდა და ადრე თუ გვიან, სახლიდან აუცილებლად გააგდებდა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ფრიდონ ხ-მ სიმამრისთვის ფულის გამოძალვა დაგეგმა და საქმეში თანასაკნელი – კახა ე. ჩართო. გეგმის სისრულეში მოყვანამდე კი, ხერხს მიმართა. სიმამრს მოაჩვენა, რომ მისადმი კარგად განეწყო, ახალი ბინისთვის მადლობა გადაუხადა და სთხოვა, ვინაიდან ახალ ბინაში მასა და მის ცოლს უნდა ეცხოვრათ, ერთად გაერემონტებინათ, ამ საქმის მცოდნე კი მისი მეგობარი იყო. სიმამრმა ჩათვალა, რომ სიძე გამოსწორდა და მის ნებას დაჰყვა. კერძოდ, დაუჯერა და იმ ბინის სანახავად წავიდა, რომელიც ფრიდონ ხ-ს თქმით, მისმა მეგობარმა გაარემონტა.

ბინის სანახავად ხვიჩა ს. 25 მაისს, დილის 10 საათზე წავიდა. ცოლს გულიკო ს-ს დაუბარა სადაც მიდიოდა და დაჰპირდა, მალე დავბრ-



უნდებიო, მაგრამ კაცი დაიკარგა. ბინაში რემონტის დაწყების გამო გატაცებულის ქალიშვილი დასასვენებლად იყო წასული. სიძის ნასამართლეობის გამო კი, სიდედრს მოერიდა მისთვის ქმრის დაკარგვის ამბავი ეთქვა. გულიკო ს. ადგილს ვერ პოულობდა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა. მაგრამ, გვიან ღამით უცნობმა დაურეკა და განუცხადა, რომ მისი ქმარი გატაცებულია და გამოსასყიდის სახით 10 ათას დოლარი უნდა გადაიხადოს. თან, გააფრთხილეს, ჭკუით იყავი, გაკონტროლებთ და პოლიციაში დარეკვა არ გაბედოო.

ამ ამბის გამო ქალი შოკში ჩავარდა, მაგრამ გონზე ისევ ტელეფონის ზარმა მოიყვანა. მოსაკითხად სიძე რეკავდა. ქალს სხვა გზა არ ჰქონდა და მომხდარის შესახებ უამბო. სიძე დაჰპირდა, რომ მალე მივიდოდა, მაგრამ საუბრის დასრულებისთანავე, ისევ ტელეფონმა დარეკა. კვლავ გამტაცებლები რეკავდნენ. ქალს დავალება მისცეს – ფული თქვენი ჭიშკრის გვერდზე მდებარე სათავსოში დადეთ და ისევ სასწრაფოდ სახლში შედით, ზარებს კი აღარ უპასუხოთ და არც ვინმე მიიყვანოთ სახლშიო. გაფრთხილების მიუხედავად, სიდედრმა სიძეს მაინც დაურეკა და კატეგორიულად გააფრთხილა, მასთან აღარ მისულიყო, რაზეც „ძლივს დაიყოლია".

რეალურად, გატაცებულის ცოლს, ფრიდონ ხ-ს დავალებით, დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილე ურეკავდა, რადგან სიძეს სიდედრისთვის ჯერ არ ეცალა და მასთან მისვლა უგვიანდებოდა. თუმცა, მოვლენები ისევ შეიცვალა. ის იყო ქალმა ფული წასაღებად გაამზადა, კვლავ ტელეფონმა დარეკა. გულიკო ს. დიდხანს არ პასუხობდა, მაგრამ რომ არ გაჩერდა, იძულებული გახდა ეპასუხა. კვლავ გამტაცებლები რეკავდნენ, რომელთაც ქალს ახალი დავალება მისცეს – ფული თქვენმა სიძემ გადმოგვცესო...

საბოლოოდ, გამტაცებლებთან ფული სიძემ წაიღო, რის შემდეგაც მისი სიმამრი გაათავისუფლეს, მაგრამ 67 წლის კაცმა ინფარქტი მიიღო და ერთ კვირაში გარდაიცვალა...

გატაცებულის სიძე პოლიციამ გასვენების შემდეგ აიყვანა, რომელიც სატელეფონო „ზარებით" გააბეს. მან თავი იმით იმართლა, თითქოს აშანტაჟებდნენ, ფულის შოვნის სხვა გზა არ ჰქონდა და ამიტომ წავიდა ასეთ რისკზე. მოგვიანებით, მან ჩვენება შეცვალა, განაცხადა თითქოს ეს გეგმა მან და მისმა ცოლმა მოიფიქრეს, მაგრამ არ დადასტურდა.

საბოლოოდ, ისიც გაირკვა, რომ გატაცებული ხვიჩა ს. თავდამსხმელებმა გლდანულას ტყეში აიყვანეს, სადაც არა მხოლოდ სასტიკად სცემდნენ, „დახვრეტის სცენებს" უწყობდნენ – იარაღს შუბლზე ადებდნენ, თითქოს მის მოკვლას აპირებდნენ, მაგრამ იარაღში ტყვია არ იყო. გათავისუფლებული ხვიჩა ს-ს თქმით, ის მუდმივად სტრესის ქვეშ იმყოფებოდა და დასცინოდნენ...

საბოლოოდ დამტკიცდა, რომ სიძემ სიმამრი ორ მეგობარს გაატაცებინა, რის გამოც ფრიდონ ხ-ს 14 წლით პატიმრობა მიესაჯა. რაც შეეხება მის მეგობრებს, გამოძიებამ მხოლოდ ერთის ვინაობის დადგენა შეძლო და რადგან მისი დაკავება მოგვიანებით მოხერხდა, მისი საქმე ცალკე განიხილეს.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №28(550)-23(649)

ეს, ერთი შეხედვით უბრალო სპეცოპერაცია ჩემთვის ერთ-ერთ დიდ საიდუმლოდ დარჩა, რადგან, ის თასიც გაქრა და ნივთი საქართველოს მუზეუმისთვის არ დაუბრუნებიათ და, ის ორი კაციც, ვინც ეს ნივთი გაიტაცა და ვინც მის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, ამ რამდენიმე წლის წინ, ინტერნეტში სრულიად შემთხვევით წავაწყდი ერთი კრიმინალური შემთხვევის ამსახველ სურათებს, მათზე მოსკოვის ერთ-ერთ ბინაში დახოცილი მამაკაცები ჩანდნენ. ამ სურათებში მე ოქროს ბარძიმის გამტაცებელი და ლონდონელი სექტანტი ამოვიცანი... ისინი სხვა გვარებით იყვნენ იქ წარმოდგენილები, მაგრამ ეჭვს არ იწვევდა, რომ ეს ის ორი მამაკაცი იყო, რომლებიც მე ოქროს ბარძიმთან ერთად მოსკოვში ჩამოვიყვანე მრავალი წლის წინ... იმ კრიმინალური ისტორიის აღწერაში ნათქვამი იყო, რომ ორივე მკვლელობა ძარცვის მიზნით გახლდათ ჩადენილი და იქვე იყო გაძარცული ნივთების სიაც, რომელშიც ოქროს თასის ხსენებაც არ იყო... ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ შჩუკინმა მოსკოვიდან შემატყობინა, რომ სოჭში შევხვედროდი და, როდესაც მივედი, მითხრა:

– კოკი, გახსოვს, ლონდონიდან რომ თბილისის მუზეუმიდან გატაცებული ისტორიული ნივთი ჩამოიტანე და მას ორი კაციც მოაყოლე?

– დიახ, მახსოვს. ის კაცები დახოცილები არიან, ხოლო გატაცებული ნივთების ნუსხაში გრაალი ნახსენებიც კი არაა, – მივუგე შჩუკინს.

– ალბათ, ინტერნეტიდან შეიტყვე, ხომ?

– დიახ.



– კოკი, უნდა დაგვეხმარო. აი ფოტო, – შჩუკინმა ერთი პირქუში კაცის სურათი მაჩვენა, – სავარაუდოდ, ეს თასი ან უკვე აქვს ამ კაცს, ან სულ მალე ჩაიგდებს ხელში. შენი ამოცანაა, ის უკან დაიბრუნო.

– ამხანაგო გენერალო, უფრო მეტი კონკრეტიკა არ შეიძლება?

– კოკი, ხომ იცი, როგორ გენდობი. ნუ იფიქრებ, რომ რაღაცას გიმალავ. ეს ნივთი, აუცილებლად ჩვენთან უნდა ინახებოდეს და, შენი წმიდათა წმინდა ვალია, ის უკან დააბრუნო.

– გასაგებია.

მეორე დღეს იმ კაცის კვალს დავადექი და ჯერ სტამბულში ჩავედი, რა თქმა უნდა, კონსპირაციულად და შენიღბული, შემდეგ კი მთელი ევროპა გავიარე და ბოლოს კვლავ ლონდონში აღმოვჩნდი.

ოქროს თასი იმ კაცს იმ დროს ავართვი, როდესაც მან ეს უძვირფასესი ნივთი ვილაც პირქუში ქალისგან ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში მიიღო. მეც იქვე ვიმყოფებოდი. ისინი ჯერ გავთიშე, შემდეგ თასი პალტოს ჯიბეში ჩავიდე და საზღვაო გზით ჯერ ბრიტანეთის კუნძულებს გამოვერიდე და, ყოველი შემთხვევისთვის, სადაზღვევო მანევრი გავაკეთე, შემდეგ კი მოსკოვში ჩავედი და ბარძიმი შჩუკინს ჩავაბარე. ვიქტორ იაკოვლევიჩმა ის მაღლა ასწია და სახეგაბრწყინებულმა მითხრა:

– ამას ამიერიდან ვერავინ გაგვტაცებს, დღეიდან საიმედოდ იქნება დაცული, – მერე პაუზა გააკეთა, თასი ძირს დაუშვა და დაამატა: – მოვა დრო, ჩემო კოკი, და ეს ბარძიმი კვლავ საქართველოში დაბრუნდება, რადგან, მისი ადგილი იქაა. ახლა კი დროებით აქ იქნება...

ამ თემას იმით დავხურავ, რომ შჩუკინს სჯერა – ეს ბარძიმი ძლევამოსილების წყაროა. ნათქვამია: „ნეტარ არიან მორწმუნენი". ღმერთმა ქნას, რომ ეს მართლაც ასე მოხდეს და საქართველოში დამკვიდრდეს ისეთი ძლევამოსილების წყარო, რომელიც ჩემს სამშობლოს ყოველგვარი უბედურებისგან იხსნის და დაიცავს...

შჩუკინისგან განსხვავებით, მე უფრო მატერიალისტი ვარ და, მართალია, ირაციონალურს არ უარვყოფ, მაგრამ, არც გადაჭარბებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ნივთებს, თუნდაც ძალიან ძველსა და ისტორიულს, რადგან მათ ჩემთვის უფრო სიმბოლური დატვირთვა აქვს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნივთს ძლევამოსილების დანიშნულება არ გააჩნია. მაგალითად, საკმარისოდ ძლევამოსილად ვგრძნობ თავს, როდესაც ხელში ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი მიპყრია...

იარაღი, თავისთავად ვერ მოგანიჭებს ძლევამოსილებას, თუ მისი გამოყენება არ იცი. ტრაბახში ნურავინ ჩამომართმევს, მაგრამ, ჩემ ხელთ არსებული ბრიტვა „სპუტნიკი," შეიძლება, ბევრად უფრო საშიში და მრისხანე იარაღი აღმოჩნდეს, ვიდრე სხვის ხელში – პისტოლეტი ან ავტომატი...

კოჯორში, სპეცმომზადების დროს, მაღალი კლასის ინსტრუქტორებმა კარგად და საფუძვლიანად შემასწავლეს ნებისმიერი, ერთი შეხედვით უწყინარი ნივთის სასიკვდილო იარაღად გამოყენება. ბრიტვა „სპუტნიკი" შემთხვევით არ მიხსენებია – ჩემს პრაქტიკაში მქონია შემთხვევა, როდესაც მისი მეშვეობით გამძვინვარებული, ავტომატმომარჯვებული ადამიანი მომიგერიებია.

ერთ ზაფხულს, ცოლ-შვილთან ერთად სოჭში, ერთ-ერთ ცნობილ ფეშენებელურ სანატორიუმში ვისვენებდი. ერთ დილას ვერანდაზე გავედი, რომ წვერი გამეპარსა და ხელში სწორედ „სპუტნიკი" მეჭირა, რომელიც საპარსში უნდა ჩამედო და სახეზე ჩამომესვა. მერიკო და ბავშვებიც იქვე იმყოფებოდნენ და ლაჟვარდოვან ზღვას გაჰყურებდნენ. უცებ, ვერანდის მარცხენა მხრიდან, ანუ, ჩვენი მეზობლის კუთხოვანი აივნიდან, ავტომატმომარჯვებული, ოფიცრის სამოსში გამოწყობილი, სახეშეშლილი მამაკაცი გადმოძვრა. მან იარაღი ჩემს ცოლშვილს მიუშვირა, მე კი მიბრძანა:

– ზედმეტი მოძრაობა, რომ გააკეთო, ამათ ტყვიებით მოვცელავ.

ალესილი ბრიტვა მარცხენა ხელში მეჭირა, თითებშუა და ავტომატმომარჯვებული მამაკაცი მას ვერ ხედავდა. მე ნელა ამოვისუნთქე და მივუგე:

– არანაირ ზედმეტ მოძრაობას არ გავაკეთებ, მხოლოდ გთხოვ, ავტომატი ძირს დაუშვი, შემთხვევით არ გავარდეს.

– ეი, მუჟიკ! – ზიზღით მითხრა თავდამსხმელმა, – ახლა შენ წინ გამიძღვები და მანქანით იქ წამიყვან, სადაც გეტყვი, შენი ცოლ-შვილი კი მძევლად მეყოლება. იცოდე, ხუმრობა არ მიყვარს!

– მანქანა რომ არ მყავს? – ვუთხარი უცნობს.

– არა უშავს, გარეთ ბევრი მანქანა დგას და ერთ-ერთით წავალთ. აბა, წინ! – კბილებში გამოცრა და მერიკოსკენ გაიწია, რომ მისთვის მხარში ჩაევლო ხელი და წინ აეფარებინა. ამ მომენტში მოძალადემ ავტომატი ძირს დაუშვა, რითაც მე ვისარგებლე: თითებშუა მოქცეული ბრიტვა ტყვიასავით ვტყორცნე ავტომატიანს, მარჯვენა საძილე არტერიაში გავარტყი და გადავუჭერი...

ეს ილეთი კოჯორში დამამულამებინეს. ზუსტად ვიცოდი, რომ მოძალადეს ავტომატი ხელიდან გაუვარდებოდა და ძალადობას ვეღარ შეძლებდა და მართლაც ასეც მოხდა – მან ორივე ხელი მარჯვენა საძილე არტერიაზე მოიჭირა, საიდანაც შადრევანივით იფეთქა სისხლმა, თან საზარლად აკივლდა და შველას ითხოვდა... მე მას მივვარდი და იატაკზე დავაწვინე, მერიკოს კი ვუთხარი:

– ჩქარა, ბავშვები გაარიდე აქაურობას, მე კი ამას გადავარჩენ. თან, მილიციას დაუძახე, რომელიც, ალბათ, სანატორიუმის ეზოში იქნება.

მერიკომ ბავშვები ოთახში შეიყვანა, მე კი აღრიალებულ მოძალადეს ჭრილობაზე დავაჭირე სამი თითი და ვუყვირე:

– ნუ ცქმუტავ, საშუალება მომეცი, გადაგარჩინო, თორემ, სული გაგძვრება!

მოძალადე გაირინდა. ამასობაში ვერანდა-

ზე ფორმიანი მილიციელები და სამხედროები გამოჩნდნენ და მათთან ერთად ის ოფიცერი სასწრაფოდ საავადმყოფოში მივიყვანეთ, სადაც ის ექიმებმა სიკვდილს გამოჰგლიჯეს ხელიდან. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თავდამსხმელი ოფიცერი სოჭის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მსახურობდა და თავის კოლეგებთან დაპირისპირება მოსვლია, რის გამოც ორი კაცი მძიმედ დაუჭრია, ავტომატი გაუტაცებია, გაქცეულა და ჩემს ვერანდაზე ამგვარად მოხვდა...

ყველაფერი რომ დასრულდა და რამდენიმე საათში უკან დავბრუნდით, მერიკო ჩამეხუტა და მითხრა:

– კოკი, საყვარელო, შენ რომ არა, ახლა, ალბათ ცოცხლებიც არ ვიქნებოდით.

– დაივიწყე, საყვარელო, რაც მოხდა.

– საყვარელო, ბოლომდე ვერც მე ვიაზრებ, რა მოხდა და იქნებ გამარკვიო.

– მოდი, დავივიწყოთ. მთავარი ისაა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა – ყველანი ცოცხლები და ერთად ვართ. ახლა კი სხვაგან გადავიდეთ, რომ ამ უსიამოვნო ადგილს მოვშორდეთ.

საცხოვრებელი ადგილი იმავე დღეს შევიცვალეთ, რომ ჩვენს შვილებს სტრესული გარემო არ შეჰქმნოდათ და სხვა სანატორიუმში გადავედით, თუმცა, ბავშვებისგან განსხვავებით, მერიკო ძალიან დაძაბული იყო შინაგანად და ფარულად მაკვირდებოდა. ის გრძნობდა, რომ რაღაცას ვუმალავდი და ამის გამო მოსვენება ჰქონდა დაკარგული. ერთი საღამოს, როდესაც მერიკომ ბავშვები დააძინა, მომიახლოვდა, ჩამეხუტა და მითხრა:

– კოკი, საყვარელო, ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ ლამის ჭკუიდან შევიშალო.

– რა გრძნობა?

– გაუცხოების. ზოგჯერ მგონია, რომ ის კოკი არ ხარ, რომელსაც მე ვიცნობ, რომელიც მე მიყვარს და ამის გამო სასოწარკვეთილება მიპყრობს.

მერიკო აბსოლუტურად მართალი იყო. ის გრძნობდა, რომ ორმაგი ცხოვრება მქონდა და აინტერესებდა, ვინ ვიყავი სინამდვილეში, მაგრამ, მე ამის გამხელის არც უფლება მქონდა და არც სურვილი. ამიტომ, მერიკოს მივუალერსე და ვუთხარი:

– მერიკო, საყვარელო, მესმის შენი, იმ შეიარაღებულმა ოფიცერმა აგაფორიაქა, მაგრამ, ყველაფერი დასრულდა. ხომ შევთანხმდით, რომ დავივიწყოთ ეს ამბავი და, მოდი, ნუღარ გავიხსენებთ.

მართალია, მერიკოს მეტი აღარაფერი უთქვამს სოჭის ინციდენტზე და თბილისში ერთი კვირის მერე დავბრუნდით, მაგრამ, ის დიდი ხნის განმავლობაში იყო შთაბეჭდილების ქვეშ და ზოგჯერ, ღამღამობით, ძილში აბოდებდა. ერთ ღამეს მერიკოს ხმამ გამომაღვიძა. მივაყურადე და ასეთ ფრაზას მოვკარი ყური: „კოკი, კოკი, საყვარელო ნურავის მოკლავ, გევედრები, ნურავის. ეს ღმერთის ნებაა და უფალს ნუ შეეწინააღმდეგები..."

რაც არ უნდა სუპერმომზადებული იყო, როდესაც ადამიანის გვერდით დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობ, თითქმის შეუძლებელია, ბოლომდე დაუმალო შენი ორმაგი ცხოვრება – ეს საიდუმლო რაღაც ფორმით ერთხელ მაინც იჩენს თავს. ასე დამემართა მეც და, მართალია, მერიკოსთვის არასდროს მითქვამს, რომ „კაგებეს" საიდუმლო აგენტი ვიყავი, მაგრამ, ჩემი ცოლი გრძნობდა ამას და, სანამ გარდაიცვლებოდა, მითხრა:

– მაპატიე, საყვარელო, რომ გღალატობ და გტოვებ. თავს გაუფრთხილდი, ხიფათს ერიდე და ნურავის ნურაფერს დაუშავებ...

სიმართლე რომ ვთქვა, მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს არავისთვის, არაფერი დამიშავებია და ჭიანჭველისთვისაც კი არ დამიბიჯებია ფეხი. ჩემი საქმიანობა ვინმესთვის რაიმეს დაშავება კი არა, საკადრისის მიზღვაა და მეტი არაფერი.



დაშავება მავნებლობაა და ის კანონით ისჯება, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები. საკადრისის მიზღვა კი კანონიერების აღდგენაა. თუმცა, ზოგჯერ კანონიერების აღდგენაც უმკაცრესად ისჯება უსამართლო კანონმდებლობით და, ის, რაც ერთისთვის კანონიერია, მეორისთვის, შეიძლება, უკანონო იყოს. მე კანონმორჩილი ადამიანი ვარ და ყოველთვის ვცდილობ, იმ ქვეყნის კანონები შევასრულო, სადაც ვიმყოფები და ხშირ შემთხვევაში, ეს კარგად გამომდის. მაგრამ, თუკი საჭიროება მოითხოვს კანონის დარღვევას, რაც უმაღლესი მართლმსაჯულებითაა გამოწვეული, მე კანონს ვარღვევ და უმაღლეს მართლმსაჯულებას ვახორციელებ. უმაღლესი მართლმსაჯულება ღვთიური სფეროა და ასეთ დროს ღმერთის მახვილის როლს ვასრულებ. მავანს, შეიძლება, სასაცილოდაც არ ეყოს ჩემი სიტყვები და შეშლილად ჩამთვალოს, მაგრამ ეს მართლაც ასეა და ვისაც რა უნდა, ის იფიქროს.

რამდენიმე წლის წინ თბილისში ერთი საზარელი დანაშაული მოხდა. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ უცნობმა ბოროტმოქმედებმა ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ბიზნესმენის 20 წლის ვაჟი გაიტაცეს და გამოსასყიდად, 2 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ერთი სიტყვით, ისე მოხდა, რომ გამტაცებლები შეშინდნენ, გატაცებულის მამასთან, რომელსაც 2 მილიონი დოლარი გამზადებული ჰქონდა, კონტაქტზე აღარ გავიდნენ და ბიჭი მოკლეს, მისი ცხედარი კი ცხრა თვის მერე მტკვარმა გამორიყა. სამი თვის შემდეგ, პოლონეთში ერთი ქართველი კრიმინალი დააკავეს და საქართველოში დააბრუნეს, რომელიც ბიზნესმენის შვილის გატაცებასა და მკვლელობაში სრულიად შემთხვევით გამოტყდა და დანარჩენი სამი თანამზრახველიც დაასახელა, რომლებიც აგრეთვე დააპატიმრეს. ბიზნესმენის დიდი აქტიურობის წყალობით, გამოძიება კომპეტენტურად წარიმართა, დანაშაული ოთხივეს დაუმტკიცდა, სასამართლომ მათ უვადო პატიმრობა შეუფარდა და ოთხივე გამოამწყვდიეს ციხეში. თუმცა, სულ მალე ხელისუფლება შეიცვალა და ახლად გამოჩეკილმა, ფსევდოუფლებადამცველებმა იმდენი მოახერხეს, რომ ოთხივე ბოროტმოქმედის საქმე ჯერ ხელახლა განიხილა სასამართლომ, შემდეგ კი ისინი გაამართლეს და გარეთ გამოუშვეს. ამ ამბით ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო დაინტერესებული, რომელსაც ახალ ხელისუფლებაში დიდი პოსტი ეკავა და ერთ-ერთი ბოროტმოქმედი მისი უახლოესი ნათესავი იყო. იმავე მაღალჩინოსნის ძალისხმევით, ციხიდან გამოშვებულ ბოროტმოქმედებს სახელმწიფომ საკმაოდ სოლიდური ფულადი ანაზღაურება გამოუყო მორალური ზიანის მიყენებისთვის და ისინი ქვეყნიდან აორთქლდნენ... სულ მალე, დაზარალებული ბიზნესმენიც აიძულეს, რომ პირში წყალი ჩაეგუბებინა და ისიც საქართველოდან წავიდა. საქართველოს მოსახლეობამ მშვენივრად იცოდა, რომ უკანონობა მოხდა,




ერთი ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31



ეს, თანაც, ბიუჯეტიდან ფულიც გადაუხადეს და უცხოეთში გაუშვეს. ამას ისიც დაემატა, რომ მე და ჩემი ცოლი და მეორე ვაჟი სამშობლოდან იძულებით განგვდევნეს და იქ ჩასვლის საშუალება მოგვისპეს. აი, ეს ხუთი ადამიანია დასასჯელი, – შემკვეთმა ხუთი ფოტო დამიდო წინ, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო საქართველოს მთავრობის სწორედ ის მაღალჩინოსანი, რომელიც ბოროტმოქმედებს მფარველობდა, – თითოეულის სიცოცხლის მოსპობაში 400 ათას დოლარს ვიხდი, რაც ჯამში 2 მილიონია. ეს ის ფულია, რაც ჩემი შვილის გამოსასყიდად მომთხოვეს და, მიუხედავად იმისა, რომ ვიხდიდი, მაინც არ აცოცხლეს.

მაგრამ, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა და ეს საქმე მაშინ ჩაიფარცხა. იმ ამბიდან ერთი წლის მერე, შემკვეთმა მოსკოვში დამიბარა, სადაც, რა თქმა უნდა, შენიღბული ჩავედი. რესტორან „არაგვში“ რომ მივედი, შემკვეთში ის ბიზნესმენი შევიცანი, ვისაც შვილი მოუკლეს, თვითონ კი, ფაქტობრივად, ქვეყნიდან გააძევეს. მას, რატომღაც, რუსი ვეგონე და რუსულად მითხრა:

– თქვენზე მითხრეს, საუკეთესოაო, ამიტომ, გადავწყვიტე, პირადად შეგხვედროდით და დაგლაპარაკებოდით.

– გისმენთ, ბატონო, ბრძანეთ, რა გნებავთ.

წვერმოშვებული ბიზნესმენის ჰაბიტუსი და ჩაცმულობა გაფიქრებინებდათ, რომ ის რელიგიის მსახური იყო. მან ღრმად ამოისუნთქა და მითხრა:

– რამდენიმე წლის წინ ოთხმა ბოროტმოქმედმა 20 წლის შვილი მომტაცა და მომიკლა. ისინი დააპატიმრეს და დასაჯეს, თუმცა, შემდეგ ოთხივე გაათავისუფლეს და გაამართლ-

– ობიექტების სავარაუდო ადგილსამყოფელზე ინფორმაციას ფლობთ?

– აი, ყველაფერი ამ კონვერტშია მოთავსებული, – შემკვეთმა პატარა კონვერტი დამიდო წინ და დაამატა: – თქვენ ახლა უფლის მახვილის როლი უნდა იკისროთ. მე ეს საქმე არ მესმის, თორემ, პირადად მოვუსპობდი მათ სიცოცხლეს. სამაგიეროდ, თქვენთვის ვილოცებ და როგორც კი სამართალი აღსრულდება, ბერად აღვიკვეცები.

ბიზნესდამკვეთმა თავისი სიტყვა შეასრულა: მან თავისი ბიზნესი შვილს დაუტოვა და, როგორც კი მისი შეკვეთა შევასრულე, თვითონ ბერად აღიკვეცა, მისი მეუღლე კი – მონაზვნად...

ხუთივე გარეწარი ევროპის ერთ-ერთი ფეშენებელური კურორტის საპრეზიდენტო აპარტამენტებში მოვიხელთე და დავხოცე, შეკვეთაში აღებული 2 მილიონი დოლარის ლომის წილი კი ერთ ძალიან პატიოსან ბერს მივეცი, რომელმაც ეს თანხა პატიოსან საქმეს მოახმარა და ბევრ გაჭირვებულ ქართველს გაუმართა ხელი. ამგვარად, ღვთიური საქმე გაკეთდა, დასანანი მხოლოდ ისაა, რომ ბიზნესმენის უდანაშაულო ვაჟს ვერაფერი ეშველა.

ნათქვამია: „სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც გაიკვლევს“ და „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“, მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ სიკეთის ქმნას, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი, პიროვნული ტრაგედია სჭირდება და მრავალ ადამიანს მხოლოდ მაშინ აეხილება თვალი, როდესაც სიკვდილი მის ოჯახშიც შეაბიჯებს და მის ახლობლებს შეეხება... ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში მასწავლიდა ცხონებული დედაჩემი, რომ სიკეთე ყოველგვარი ანგარების გარეშე უნდა აკეთო და ყოველთვის მომიწოდებდა, ამ გზიდან არასდროს გადამეხვია.

– კოკი, შვილო, არასოდეს მიატოვო განსაცდელში მოყვასი და დაჩაგრული დაიცავი, მშიერი დააპურე, ავადმყოფს უწამლე და ნურასოდეს იფიქრებ ანგარებაზე. ყოველთვის ღვთიური საქმე აკეთე და ღმერთი დაგიფარავს, – მმოძღვრავდა დედა.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება უანგაროდ ვასრულებ ღვთიურ საქმეს, მაგრამ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყოველთვის ვცდილობ დედაჩემის შეგონების შესრულებას და არც მოყვასი მიმიტოვებია განსაცდელში. მშიერიც ხშირად დამიპურებია, არც უწამლოდ დამიტოვებია ავადმყოფი, როდესაც მასთან მქონია შეხება და, საერთოდაც, მინდა ვთქვა, რომ ჩემი ქონებისა და შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ქველმოქმედებას – გაჭირვებული და ნიჭიერი ქართველების დახმარებას ხმარდება და ნაწილობრივ მაინც ვახერხებ დედაჩემის შეგონების განხორციელებას.

ღვთის გადმოსახედიდან, უცოდველი ადამიანები არ არსებობენ, მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ, არცთუ იშვიათად, საშინელი ცოდვის მორევში ის ეშვება, ვისაც უამრავი ადამიანის ბედი აბარია და, იმის ნაცვლად, რომ ხალხი ცოდვას განარიდოს, მათ ჯოჯოხეთისკენ უბიძგებს. აბა, რა ვაჟკაცობის მაგალითი უნდა აიღოს რიგითმა ჯარისკაცმა იმ სამხედრო მეთაურისგან, რომელიც შიშისგან მიწაზე ფორთხავს; ან, რა ზნეობრივი მაგალითი უნდა გადმოვიღოთ უზნეო, მრუში და გულბოროტი მმართველისგან, რომელსაც, სიყვარულის ნაცვლად, სძულს საკუთარი ხალხი და, კალიგულასი არ იყოს, მზადაა, ხმლის ერთი მოქნევით ყველას თავი წააცალოს?! ახლა ხშირად გაიგონებთ: გაფუჭდა ხალხი, უზნეობა ზეობს და კომუნისტების დროს ასე არ იყოო... უზნეობა და სხვა მანკიერებანი ყოველთვის იყო და მეტ-ნაკლებად იქნება კიდეც, მაგრამ, განსხვავება ისაა, რომ ეს ყველაფერი კომუნისტების დროს არ ფიარდებოდა, რადგან, სირცხვილად ითვლებოდა; არც თანამდებობის პირები ფორთხიალობდნენ მიწაზე შიშისგან და არც სახალხოდ მრუშობდნენ. თუმცა, მაშინაც იყვნენ, რბილად, რომ ვთქვათ, ცუდი ყოფაქცევის ადამიანები, რომელთა მოთოკვასაც, თუკი ამის საჭიროება შეიქნებოდა, ყო-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ბ | ლ | ა | | ს | | ქ | | | | | | |
| | ნ | | ი | ლ | ე | ტ | ნ | ა | ფ | | | | | |
| ო | დ | ა | ვ | უ | | ა | | ს | | | | | | |
| | ე | | ო | დ | ე | ლ | ო | ტ | | | | | | |
| ო | რ | ე | რ | ა | | ა | რ | ი | ა | | | | | |
| | ძ | | ნ | | ა | გ | ი | ლ | | | | | | |
| ა | ი | დ | ო | რ | | მ | | ი | ტ | ა | ლ | ი | კ | ი |
| ლ | | | | ი | დ | ი | პ | ა | რ | | ი | | ვ | |
| ი | მ | ზ | ი | ვ | ა | ტ | ა | | ე | ძ | ა | ვ | ი | ჩ |
| ბ | ა | ლ | | ე | ფ | ი | რ | ო | კ | | ნ | | რ | |
| ი | ნ | ა | ვ | ლ | ა | | ი | თ | ი | ლ | ა | გ | ა | მ |
| | ო | ტ | | ი | | ა | კ | ა | | ე | | ო | | ა |
| ი | ნ | ა | ბ | ნ | ა | | ი | რ | უ | ს | ა | ლ | ე | ქ |
| ლ | | | უ | ო | ს | ფ | | ი | | ი | | უ | | რ |
| ა | ნ | ო | ქ | | ა | | ლ | | ა | ნ | ქ | ა | რ | ა |
| | ო | | ი | ვ | ქ | ს | ა | ნ | | გ | | | | მ |
| გ | ე | ლ | ა | | ი | რ | ფ | | ა | ი | ლ | ი | მ | ე |
| რ | | ო | | პ | | ა | ი | ა | ნ | | ო | | ე | |
| ა | ი | ზ | ო | რ | ე | | | | ა | ნ | გ | ე | ლ | ა |
| ც | | ა | | ა | ტ | ი | ქ | ი | ნ | | ი | რ | ა | |
| ი | გ | ნ | ა | ი | ლ | | ვ | | ი | ტ | ნ | ა | ნ | |
| ა | ი | ა | | ა | ი | ნ | ო | ფ | ა | | ი | მ | ო | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 7 | 1 | 8 | 2 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 6 | 8 | 3 | 7 | 4 | 9 | 1 | 2 |
| 1 | 2 | 4 | 6 | 5 | 9 | 8 | 3 | 7 |
| 4 | 7 | 3 | 8 | 2 | 5 | 1 | 9 | 6 |
| 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 1 | 2 | 8 | 3 |
| 8 | 1 | 2 | 9 | 3 | 6 | 7 | 5 | 4 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 | 3 | 6 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 4 | 6 | 3 | 5 | 7 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 2 | 6 | 9 | 7 | 1 | 8 | 3 |
| 9 | 1 | 8 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 3 | 6 | 7 | 5 | 1 | 8 | 2 | 4 | 9 |
| 8 | 3 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | 1 | 2 |
| 7 | 2 | 4 | 1 | 8 | 3 | 9 | 5 | 6 |
| 1 | 5 | 9 | 7 | 6 | 2 | 4 | 3 | 8 |
| 6 | 9 | 1 | 3 | 7 | 5 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 8 | 3 | 9 | 4 | 1 | 6 | 7 | 5 |
| 4 | 7 | 5 | 8 | 2 | 6 | 3 | 9 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. დედამიწა და წყალი. 2. მშვიდობის მტრედი – პიკასო. 3. კატები. სწორედ ისინი ანადგურებდნენ ვირთხებს – შავი ჭირის გადამტანებს. 4. Walt Disney World. 5. გერმანული მილიტარიზმის. 6. ქურდები. 7. გალიფე (ფრანგი გენერლის, გალიფეს გვარის მიხედვით, რომელიც პარიზის კომუნის ჯალათი იყო). 8. დინოზავრი. პირველს ერქვა მეგალოზავრი, ანუ – „დიდი ხვლიკი.“ 9. დუაიტ ეიზენჰაუერს მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისთვის. 10. ედიტ პიაფი.**



ველთვის ახერხებდნენ... სწორედ ჩვენი, „კაგებეს“ ერთ-ერთი დანიშნულება იყო ასეთი კატეგორიის ადამიანების განეიტრალება და, აშკარად თუ ფარულად, ამას ყოველთვის ვახერხებდით.

ერთხელ შჩუკინმა დამიბარა და მითხრა:

– კოკი, შენთან ერთი დელიკატური და შეიძლება ითქვას, საკმაოდ სახიფათო დავალება მაქვს.

ვიქტორ იაკოვლევიჩისგან მსგავსი განცხადება, ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა, რადგან, სწორედ რთული და სახიფათო დავალებების შესრულება იყო ჩემი პირდაპირი მოვალეობა. ამიტომ, გენერალს ღიმილით ვუთხარი:

– ამხანაგო გენერალო, განა რომელიმე ჩემი დავალება უხიფათო და არადელიკატური იყო ოდესმე?

– დაჯექი და მომისმინე, – მითხრა შჩუკინმა და, როცა დავჯექი, განაგრძო, – ეს დავალება იმითაა დელიკატური და სახიფათო, რომ საქმე ეხება არა რომელიმე უცხოელ ჯაშუშს ან დასავლეთში გაქცეულ ჩვენს ყოფილ კოლეგას, არამედ, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პარტიულ მუშაკს, რომელსაც პირადად ლეონიდ ბრეჟნევი მფარველობს და სწორედ ეს ართულებს ჩვენს მისიას.

– მაინც, ვინაა, რა დააშავა და რა ზომებია მისაღები? – ვკითხე შჩუკინს.

– აი, ამ კაცის ძმისშვილია, – ვიქტორ იაკოვლევიჩმა ერთ-ერთი შუააზიური რესპუბლიკის მეთაურის ფოტო მაჩვენა, რომელზეც ის ძმისშვილთან ერთად იყო გადაღებული, – ამ ნაძირალას საკუთარი საემირო აქვს შექმნილი და ისე იქცევა, როგორც განუსაზღვრელი მბრძანებელი. აქვს უზარმაზარი ჰარამხანა, საკუთარი ციხე და, ვინც არ მოეწონება, ციხეში სვამს და საშინელი წამებით ხდის სულს, მოწონებულ ქალს კი ძალით იმორჩილებს და თავისი ჰარამხანის ტყვედ აქცევს. ერთი სიტყვით, იქ სრული განუკითხაობა სუფევს, რაც საბჭოთა მორალისთვის მიუღებელია. ეს უმსგავსობა უნდა აღვკვეთოთ და ეს შენ უნდა გააკეთო, რადგან, ჯერ ერთი, საუკეთესო ხარ, თანაც, სანდო და, არავინ არ უნდა გაიგოს, რომ ეს აქცია „კაგებემ“ ჩაატარა. უფრო სწორად, არანაირი ხელჩასაჭიდი და ფაქტობრივი მტკიცებულება არ უნდა გაჩნდეს ჩვენი უწყების წინააღმდეგ, თორემ, ბავშვიც კი მიხვდება, რომ ჩვენი მოწყობილია.

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას კანონიერი გზა არ ჯობია?

– ამ შემთხვევაში ეს გზა არ გაამართლებს. ჩვენ ვცადეთ ამის გაკეთება და გამოცდილი მუშაკი შევგზავნეთ იქ, რომ სამხილი მოეპოვებინა და საქმე კანონიერად აღგვეძრა. მაგრამ, ის გაშიფრეს და იმ ნაძირალა ძმისშვილმა, რომელიც სურათზეა გამოსახული, ჯერ საკუთარი ხელით აწამა ჩვენი კოლეგა, შემდეგ კი მოკლა და მისი სხეული მშიერ მგლებს შეაჭამა. ამიტომ, ძალას ძალა უნდა დავუპირისპიროთ და, ერთი მხრივ, შური ვიძიოთ, მეორე მხრივ კი, ბოროტების ეს ბუდე მიწასთან უნდა გავასწოროთ.

შჩუკინის სიტყვებიდან ნათელი იყო, რომ დავალება პირადად ანდროპოვისგან მომდინარეობდა. ის საკუთარი უწყების შეურაცხყოფას არავის აპატიებდა, „კაგებეს“ პოლკოვნიკის წამებით მოკვლა და მგლებისთვის შესაჭმელად მიგდება, მიუტევებელი ცოდვა იყო. ამიტომ, ჩემი მისია, გარდა იმისა, რომ ღირსების საკითხი იყო, იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა და ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მოქმედების გეგმის შემუშავებასა და დახვეწას ხუთი დღე დასჭირდა, რომელსაც ტექნიკური მომზადებისთვის კიდევ ორი დღე დაემატა. ერთი კვირის მერე კი, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიყავი. გამგზავრების წინ მუხინთან ერთად ვიქტორ იაკოვლევიჩს ვეახელი კაბინეტში, ჩემი სრული მზადყოფნა ვუპატაკე და ვუთხარი:

– ამხანაგო გენერალო, ნება მიბოძეთ, დავალების შესასრულებლად გავემგზავრო!

– მიდი, იმოქმედე! – მითხრა შჩუკინმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## მარსისკენ გზა სასიკვდილოა!

მარსმავალმა Curiosity-მ დაადასტურა ის, რაზეც მეცნიერები დიდი ხანია, შიშობდნენ: რადიაცია, რომლითაც ასტრონავტები გარდაუვლად დასხივდებიან წითელი პლანეტისკენ ფრენის დროს, მათთვის სასიკვდილო აღმოჩნდება.

რადიაციის ის რაოდენობა, რომელიც აპარატმა რვა თვის განმავლობაში მიიღო, სანამ მარსისკენ მიფრინავდა, ადამიანის ორგანიზმისთვის კრიტიკული აღმოჩნდა. ასეთი დოზებით დასხივებამ, შეიძლება, კიბოს განვითარებამდე მიგვიყვანოს, თანაც ლეტალური გამოსავლით. თუ მას იმ დროსაც მივუმატებთ, რომელიც მარსმავალმა პლანეტაზე გაატარა, საშიშროება კიდევ უფრო მოიმატებს.

რადიაციის დოზა, რომლითაც ასტრონავტები მარსისკენ ფრენისას დასხივდებიან, იმ მაქსიმალური უსაფრთხო დოზის ორი მესამედი იქნება, რომლებსაც ისინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიიღებენ. წითელი პლანეტისკენ ფრენისას ასტრონავტების ჯანმრთელობა აღმოჩნდება ორი ტიპის რადიაციის – კოსმოსური სხივებისა და მზიდან ამოტყორცნილი ენერგეტიკული ნაწილაკების საშიშროების ქვეშ: ორივე ტიპის რადიაციას შეუძლია, დააზიანოს ადამიანის დნმ და გაზარდოს კიბოს განვითარების რისკი.

დედამიწის ახლო ორბიტაზე ფრენისას ასტრონავტებს დედამიწის მაგნიტური ველი იცავს: ის პლანეტის ირგვლივ ქმნის გარსს, რომელიც ირეკლავს გამოსხივების ნაწილს. მაგრამ, ღია კოსმოსში ადამიანს რადიაციისგან 30 სანტიმეტრის სისქის ხომალდის მტკიცე კორპუსიც ვერ დაიცავს, დასხივება იმ დოზით იქნება, თითქოს ადამიანს ყოველ ხუთ-ექვს დღეში კომპიუტერულ ტომოგრაფიას უტარებენ. ასეთი შედარება მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ამერიკის კოლორადოს შტატის მეცნიერებისა და ტექნიკის კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა კერი ცეიტლინმა მოიყვანა.

საშიშ ნაწილაკთა ზემოქმედების შემცირება შესაძლებელი იქნებოდა იმ დროის რამდენიმე კვირამდე შემოკლებით, რომელიც საჭიროა მარსამდე მისაღწევად, მაგრამ ასეთი მძლავრი სარაკეტო ძრავები ჯერჯერობით არ არსებობს. პრობლემის გადაწყვეტის მეორე საშუალებაა ეფექტური დაცვა, მაგრამ მთელი ხომალდისთვის ასეთი დამცავი ეკრანის შექმნა შეუძლებელია. უფრო რეალურია ხომალდის შიგნით სპეციალური ეკრანირებული სამოდულო ნაკვეთის ჩადგმა, სადაც ასტრონავტები თავს შეაფარებენ მზის აქტივობის პერიოდის განმავლობაში.

ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემთხვევაში, მაგალითად ახალი ნივთიერების შექმნით, რომელიც მეცნიერებს დამცავი ეკრანის ან კაბინის კონსტრუირების საშუალებას მისცემს, პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ მოიხსნება. კოსმოსური რადიაცია პრობლემათა მხოლოდ ერთი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი სინათლე, სუფთა ჰაერი და ჩაკეტილ გარემოში ყოფნა დაარღვევს ასტრონავტების სადღელამისო რიტმს. შედეგი კი მეტად სავალალო იქნება – ყურადღების კონცენტრაციის და შრომისუნარიანობის დაქვეითება. მიკროგრავიტაციის პირობებში ყოფნა გამოიწვევს კუნთებსა და ძვლებში ცვლილებებს, გულს გაუჭირდება სისხლის მიმოქცევის ნორმალური რეგულირება. ამას გარდა, დიდი ხნის განმავლობაში ჩვეულ გარემოსთან, ადამიანებთან კონტაქტის გაწყვეტა სერიოზულ გავლენას მოახდენს მათ ფსიქიკაზე. დაბოლოს, დამატებითი პრობლემაა სუფთა ჰაერის, ახალი წყლისა და საკვების მარაგის მიწოდება...

## ქალების გამო IQ 14 პუნქტით შემცირდა

უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში დასავლეთის ცივილიზაციის რეგრესის მიზეზების კვლევის დასრულების შემდეგ, ფსიქოლოგებმა ასეთი დასკვნა გააკეთეს: საუკუნის განმავლობაში დედამიწის ამ ნაწილში IQ 14,1 პუნქტით შემცირდა. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ უფრო ჭკვიან ქალებს არ სურთ გამრავლება.

კვლევის ავტორების მიზანი კი იყო, გაერკვიათ, იყვნენ თუ არა ვიქტორიანული ეპოქის წარმომადგენლები უფრო ინტელექტუალურები. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ისტორიის ამ პერიოდზე (1837-1901 წლები) მნიშვნელოვნად დიდი იყო „სიახლეთა აფეთქებები“, დაიბადა მრავალი გენიოსი, შემდეგ კი ეს მაჩვენებლები ძალზე შემცირდა. გაჩნდა კითხვა: ხომ არ იყვნენ ჩვენი წინაპრები ჩვენს თაობაზე უფრო ჭკვიანები?

როგორც ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის, ამსტერდამისა და ირლანდიის ნაციონალური უნივერსიტეტების მეცნიერებმა ერთობლივი თანამშრომლობით გაარკვიეს, ათწლეულების განმავლობაში ევროპის მცხოვრებთა IQ 1,23 პუნქტით შემცირდა. თუ 14 სხვადასხვა კვლევის ანალიზის შედეგებით ვიმსჯელებთ, რომლებიც 1883 წლიდან 2004 წლამდე ჩატარდა, ვიქტორიანულ ეპოქაში ადამიანები გამოირჩეოდნენ მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უნარით, ხოლო რეაქციის დრო, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, კორელაციაშია ინტელექტის განვითარების დონესთან.

კვლევათა ავტორების აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ქალები, რომლებსაც უფრო მაღალი IQ აქვთ, ნაკლებად ტოვებენ შთამომავლობას, ვიდრე სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებსაც ინტელექტის შედარებით დაბალი დონე აქვთ.

კვლევათა შედეგებმა ძალზე გააკვირვა მეცნიერები: ადრე მიაჩნდათ, რომ ინფორმაციის თანამედროვე ნაკადს, რომელიც ყოველდღიურად თავს ატყდება თანამედროვე ადამიანს, უნდა გამოეწვია დაჩქარებული აღქმა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეცნიერები ადრეც წინასწარმეტყველებდნენ ევოლუციის დასასრულს. ბრიტანელმა ნეირობიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანის ტვინს არ შეუძლია მეტი ზრდა და ვერსაიდან აიღებს ენერგიას – სრულყოფილების შინაგანი რესურსი ამოწურულია.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-23(649)**

## ნათელი იდეები

თვითმფრინავი ნელა დაიძრა და თანაბრად უმატა სიჩქარეს. ვახო სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, გაიზმორა და თვალები დახუჭა.

– უჰ, არ მჯერა, რომ ის ქალი თავიდან მოვიშორეთ. მთელი სიამოვნება ჩაგვაშხამა... ბოლო ორი დღე მაინც, ნერვებზე თამაშობდა.

– რა დააშავა? იქაც გითხარი – უბრალოდ, ძალიან მხიარული და უკომპლექსოა. მგონი, შენი უხეშობა ეწყინა კიდეც.

ვახომ ცოლს ირონიულად გახედა:

– ეწყინა და ცივი წყალი პარიზშიც იშოვება. აბა, მაგას რომ ბილეთი გადაეცვალა და თვითმფრინავში დამენახა, ნამდვილად გავგიჟდებოდი.

– კარგი, რა... ჩვენთან ერთად უნდოდა მგზავრობა, რა არის ამაში ცუდი?

– ცუდი ის არის, რომ ტვინი გაბურღა. ვერ ვიტან ასეთ ქალებს-მეთქი, ხომ გითხარი! ენა არ გაუჩერებია, გაუჩერებლად ლაპარაკობდა, თანაც – სულ სისულელეებს. გეუბნები, მაგას ქმარი მარტო იმიტომ უშვებს უცხოეთში, რომ თვითონ ცოტა დაისვენოს. საცოდავი. არ ვისურვებდი მის ადგილას ყოფნას. ლამის გადავირიე. შენ რომ მაგას ჰგავდე... ეგრევე გაგეყრებოდი.

– გეხვეწები, არ გინდა. მართლა ნუ ჩამაშხამებ, რაც ვისიამოვნე. მისი შერჩეული პერანგები და ფეხსაცმელები ხომ ძალიან მოგეწონა და ულაპარაკოდაც იყიდე?! რაღაც, არ შემინიშნავს, რომ გაგეპროტესტებინოს.

– იმიტომ, რომ მასთან კამათის თავი არ მქონდა. ისე, ცუდი გემოვნება ნამდვილად არა აქვს – ამასაც ვაღიარებ სამართლიანობისთვის.



ქეთიმ წყრომით შეხედა:

– მაინც არ უნდა გეთქვა ასე უხეშად. რატომ უნდა იფიქროს ჩვენზე ცუდი?!

– ვაიმე, რაც უნდა, ის იფიქროს. საერთოდ არ მადარდებს. ჩვენ იმაზე ვიფიქროთ, რას მოგვართმევენ თვითმფრინავში და რას დავლევთ. მე შამპანურს შევუკვეთავ. შენ?!

– ყავას დავჯერდები. სულაც არ მინდა, თვითმფრინავში გამოვთვრე და არც შენ გირჩევ.

– ნუ გეშინია, თვითმფრინავში უფასო შამპანურს გამოსათრობად არავინ მოგცემს და ეგეთი ტონითაც ნუ მელაპარაკები. ნუ ვიჩხუბებთ ვიღაც ჩერჩეტი ქალისთვის და, კიდევ, თბილისში თუ არ მოძებნი და არ დაუმეგობრდები, ძალიან გამახარებ.

ქეთიმ მხრები აიჩეჩა და არაფერი უპასუხა. კაცი მისკენ გადაიხარა, ლოყაზე აკოცა და ყურში უთხრა:

– ნუ იბერები... პარიზში ხომ იყავი? ერთი წელი ხომ გეყოფა სატრაბახოდ?!

ქეთის ეწყინა:

– ეგ რაღა სათქმელი იყო? რა შუაშია ტრაბახი? რატომ არ შეგიძლია, გული არ მატკინო?! ბოლოს მაინც ყველაფერი უნდა გააფუჭო.

– გეხუმრე, გოგო, გეხუმრე... – ვახომ ამოიოხრა, ზოგჯერ მგონია, რომ მართლა ასეთი ხასიათი გაქვს.

– მაინც, როგორი „ასეთი"?! – გამოაჯავრა ქალმა, – ახლავე შეწყვიტე. არავითარი კამათი, რომელიც ჩხუბამდე მიგვიყვანს. შევირგოთ.

– კარგი აზრია – შევირგოთ! აი, ამისთვის ღირს დალევა!

***

... თიკომ ოთახის კარი ფეხით შეაღო და ყავის ფინჯნებიანი ლანგარი ფრთხილად დადგა მაგიდაზე.

– ვახო, არა, ბატონო ვახო! – შეუსწორა გოგომ დამცინავად და ყავით სავსე ფინჯნისკენ ხელი გაიწოდა.

თიკოს არ სწყენია.

– იყოს ბატონი ვახო, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჰოდა, ამ ბატონმა ვახომ დარეკა, ჩამოვედი და დღის მეორე ნახევარში გეახლებითო... ყველას ჩამოგიტანეთ სუვენირები და არსად წახვიდეთო.

– ვა, შეფიც ასეთი უნდა! – ხელები მოიფშვნიტა გოგომ, – ასწორებს, როცა უფროსობა შენზე ზრუნავს.

– მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენთვის საჩუქრების ყიდვის იდეა მის ცოლს ეკუთვნის. კაცები ამდენს ვერ ფიქრობენ, – განაცხადა თიკომ და იქვე დასძინა. – ძალიან კარგი გოგოა, ტყუილად კი არ მომეწონა.

– ოჰო, ამისი ვერსია ნახეთ, რა – ქალები ჭკვიანები ვართ, კაცები – სულელებიო...

თიკომ ენა გამოუყო.

– შენ ის ამბავი მოყევი, ჩვენს კლიენტს რომ „აბამდი", ისე, ვახოს ეს ამბავი არ მოეწონება, – „უკბინა" გიგიმ.

თიკო გაშრა. გიგიმ ხმამაღლა გაიცინა და თითის ქნევით განაგრძო:

– გეგონა, ვერ შეგნიშნე, თვალებს რომ უჟუჟუნებდი? გადარიე კაცი... ეჰ, ჩემო თიკო, შენ კი გგონივართ მამაკაცები სულელები, მაგრამ, რაღაც-რაღაცეებს ჩვენც ვამჩნევთ. გემოვნება კი ჰქონია: ფული ბევრი აქვს, შესახედავადაც არა უშავს. ნუ, ცოტა გოიმურად კი ეცვა, მაგრამ, ეგ ნაკლი არ არის. მით უმეტეს, ისეთი რესტორნის ფონზე, როგორშიც დაგვპატიჟა. რა თქვა, სხვა ბიზნესებიც მაქვსო?

– ყოჩაღ, სალად აზროვნებ! აბა, უფულო და არავისი ზუკაა და, თანაც, ცხვირწინ გყავს, – ახარხარდა გიგი.

თიკო განითლდა, რაღაც ჩაიბურტყუნა. ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკანვე შემოვარდა, თავის ყავას დაავლო ხელი და კარი გაიჯახუნა.

– ეს ახლა ვახოს ეტყვის ყველაფერს, – თქვა გიგიმ.

– მერე, შენც რას ალიზიანებ. შეეშვი, რა... – ხელი ჩაიქნია ზუკამ, – მით უმეტეს, გთხოვე, ჩემზე ასე ნუ ხუმრობ-მეთქი.

– მერე ვინ გითხრა, რომ ვხუმრობ? თავგამოდებით გმაჭანკლობ – მინდა, ორივე გაგაბედნიეროთ, მაგრამ, ვერ ხედავთ ჩემს სიკეთეს.

– გიგი, არ გინდა, რა! კიდევ ერთხელ გთხოვ, საერთოდ მორჩი ამაზე ლაპარაკს, გაიგე?

– ჰო, გავიგე, გავიგე... – გიგიმ საათს დახედა, – მე რომ ორი საათით გავიდე და მოვიდე, რამე დაშავდება?

ზუკამ მხრები აიჩეჩა:

– მე რას მეკითხები? შენი უფროსი წუთი-წუთზე მოვა.

– ჩემი უფროსი საღამომდე არ მოვა. ჯერ ხომ უნდა გამოიძინოს, თან, მხოლოდ თორმეტი საათია. ის ტიპი თუ მოვა, ჩემი შემკვეთი, ლოგო გავუკეთე და აჩვენე, კომპიუტერს ჩართულს ვტოვებ.

– სად მიდიხარ, ნინის უნდა შეხვდე?

გიგიმ თვალები მინაბა:

– ოო.. ნინის არა, ერთ მაგარ ნაშას. უჰ, ძალიან მაგარია. ორი თვე დამჭირდა შესაბმელად...

– თუ, იმან შეგაბა?

– აუ, ეგრეც არ არის, რა... იცი, რა მაგარი ვინმეა? თუ გინდა, ფოტოებს განახვებ.

ზუკამ ჩაიცინა:

– შენ არ ამბობდი, ფოტოზე ყველა ლამაზიაო? დაგავიწყდა?

– ჰო, უმეტეს შემთხვევაში, ფოტოშოპი ქაჩავს, მაგრამ ეს განსხვავებული ვინმეა.

შენც ხომ გაგიმართლა, რას წუწუნებ?

– არ ვწუწუნებ, უბრალოდ, საშინელ გუნებაზე ვარ.

– საყვარელმა გამოგაგდო?

– გეყოფა. ლიზა თბილისში საერთოდ არ არის.

– აჰა, ყველაფერი გასაგებია – ზნაჩიტ, მოგენატრა, არა უშავს, მონატრება ვნებას ამძაფრებს. თუ, შენ ისედაც არ უჩივი ვნების ნაკლებობას?

– ძალიან მივქარე, რომ საერთოდ გითხარი. მომავალში გავითვალისწინებ... შენ კი წადი იმ შენს ნაშასთან, არ დაიღალოს ლოდინით და არ გაგექცეს.

გიგიმ ამოიოხრა:

– ჰო, კარგი. შენი წყენინება არ მიფიქრია. შევრიგდეთ, ხომ იცი, ასეთი ვარ, ლადავისტი.

– ნინის ისევ ღალატობ?

– აუ... ნინი ჯერ ჩემი ცოლი არ არის და როგორ ვუღალატებ?

– შეყვარებული ხომ არის? ერთად ხომ ცხოვრობთ?

– ნუ დამაკონკრეტებინებ, დაკმაყოფილდი მოწოდებული ინფორმაციით – ჩვენ თავისუფალი ურთიერთობა გვაქვს.

– ნინიც რომ შეხვდეს ვინმე მაგარ ტიპს?!

გიგიმ მობილური აიღო და დარწმუნებით ჩაილაპარაკა:

– ნინი არავის შეხვდება.

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხარ? თუ გაიგებს, რომ ასე უპატივცემულოდ იქცევი და ფეხებზე გკიდია... რას იფიქრებს, შენი გართობების შესახებ რომ ეტყვიან? მეეჭვება, მშვიდად შეხვდეს ამ ყველაფერს.

– ძალიან ნაკლები შანსია, ვინმემ უთხრას, თუ შენ არ გამოიჩენ შემოქმედებით ინიციატივას.

– რა სისულელეა! – ზუკა უსიამოვნოდ შეიჭმუხნა, – ფუ, ჭორიკნობას ნამდვილად არ დავიწყებ, – უცებ ზუკას მობილურმა უცნაური ხმა გამოსცა და ბიჭმა მაშინვე სტაცა ხელი.

– მოგწერა? ესე იგი, კარგ გუნებაზეც დადგები. წავედი, წავედი, ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებ.

ზუკამ თავი გადააქნია – ანუ, რა აზრი აქვს შენთან ლაპარაკსო და კომპიუტერს მიუჯდა... შემოსული თიკო მაშინვე არ დაუნახავს. გოგო გვერდით რომ მიუჯდა და მკლავზე შეახო ხელი, მოულოდნელობისგან შეკრთა.

– რა იყო, თიკო?

– პიცა მოიტანეს. იქით დავჭერი. წამოდი, ვჭამოთ.

– რაღაც, არ მშია...

– აბა, მარტო მე შევჭამო იმხელა პიცა? გიგიც წავიდა.

– ჰო, წავიდა... კარგი, გამოვალ. ლაშასაც დაუძახე. სადღაც აქ ტრიალებდა.

– ვნახე და ვუთხარი კიდეც. ხელებს დაიბანს და მოვა. მაინც ბევრია... შენც ჭამე, რა...

– ისე მთხოვ, უარს ველარ გეტყვი. ორ წუთში მოვალ.

თიკომ გაუღიმა. გოგო გავიდა თუ არა, ზუკამ ხელმეორედ წაიკითხა მესიჯი. „ხვალ საღამოს ჩაგეხუტები... რომ იცოდე, როგორ მომენატრე... იმდენი საჩუქარი გიყიდე... უმაგრესი შმოტკები... მოგეწონება. მოვიწყინე და ერთი სული მაქვს, როდის გნახავ... დაელოდე ჩემს ზარს, საყვარელო...“

ზუკამ მობილური ჯიბეში ჩაიტენა და ოთახიდან გავიდა. თიკოს თავის მაგიდაზე სუფრა უკვე გაეშალა, მაგრამ, რატომღაც შემოსასვლელ კართან იდგა, ზურგით... ვის ელაპარაკებოდა, ოთახიდან არ ჩანდა.

– თიკო, ვახო მოვიდა?

გოგომ არ უპასუხა. რამდენიმე წუთში შემობრუნდა, ერთიანად გაწითლებული, ხელში ვარდების უზარმაზარი თაიგულით.

– ვა, თიკო?! ეგ რა არის? დაბადების დღე გაქვს?

– არა... ისე გამომიგზავნეს... იმ ტიპმა, რესტორანში რომ დაგვპატიჟა. გაოცებული ვარ, ნამდვილად არ ველოდი. ვიღაც ბიჭმა მომიტანა. ყვავილები და კიდევ, აი, ეს... – თიკომ ლამაზად შეფუთული კოლოფი დაანახვა.

– ეგ რაღაა?

– წარმოდგენა არ მაქვს. უნდა გავხსნა?

– რა შეშინებული კითხულობ, ბომბი ხომ არ იდება შიგ? გახსენი. მომეცი, თუ გინდა, მე გავხსნი.

ზუკამ შეფუთული გახსნა და წაუსტვინა:

– მე ამეებში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ, ძალიან ძვირფასი სუნამო უნდა იყოს.

– აუ... კიი, ბოლოა...

– ბოლო რას ნიშნავს, გოგო, – გაიცინა ზუკამ, – ან, რატომ გიყიდებით ეს ქალები სუნამოებზე... აუცილებლად ბრენდი უნდა გესხას?

– ჰო, აბა, რა, იაფფასიანი სუნამოთი ხომ არ ავყროლდებით?! „ბოლო“ იმას ნიშნავს, რომ „ნოუ ჰაუ“. ჯერ მაღაზიებშიც არ შემოუტანიათ წესიერად. რა მაგარია! უხერხული არ იქნება, უკან რომ არ დავუბრუნო და დავიტოვო?!

– დაბრუნება უფრო უხერხული იქნება. ადამიანს პატივისცემა უნდა და, უკან თუ დაუბრუნებ, იფიქრებს, არ მოეწონა და დამიწუნაო.

თიკო დაფიქრდა.

– თან, აშკარად ძალიან მოგეწონა, – განაგრძო ზუკამ.

– ჰო, ჩემი ნახევარი თვის ხელფასი მაინც ღირს... მაგ კაცს ახლოს იცნობ?

– ჩვენი კლიენტია. რა იყო?!

– ცოლი ჰყავს, ხომ?

– მგონი, ჰყავს. გულახდილად რომ გითხრა, არ დავინტერესებულვარ, კაცებს ასეთი დეტალები არ გვაინტერესებს. რაო, ხომ არ მოგეწონა?

– არა, უბრალოდ, თუ ცოლი ჰყავს, არ უნდა გამოეგზავნა. მე არ მომეწონებოდა, ჩემს ქმარს ვინმესთვის თაიგული და სუნამო რომ გაეგზავნა საჩუქრად.

– ო, ეს ქალები და თქვენი ახირებები! სუნამო და თაიგული რა საჩუქარია, მანქანა ხომ არ უყიდია? შეგაწუხა რამდენჯერმე და ამით გადაგიხადა მადლობა – სულ ეს არის.

– ვითომ? – თიკომ სუნამო გახსნა, დაყნოსა და სიამოვნებისგან თვალები მინაბა.

– ისე, იქ, რესტორანშიც რაღაცნაირად მიყურებდა.



– თიკო, ნუ იფიქრებ იმაზე, რაც არ ყოფილა. რატომ იცით ქალებმა არაფრისგან რაღაცის შექმნა? საშიშია ეს, დამიჯერე!

– გმადლობ რჩევისთვის, – თიკო ნაწყენი სახით შებრუნდა და მაგიდასთან მივიდა. ზუკა მიუახლოვდა და თმაზე გადაუსვა ხელი:

– ნუ ბრაზობ, ძალიან გთხოვ. შენი წყენინება არც მიფიქრია. მართლა კარგი გოგო ხარ.

– ჰო?! ამას გულწრფელად ამბობ?

– რა თქმა უნდა.

თიკომ ჩანთა აიღო, გახსნა და საფულიდან ორი ბილეთი ამოიღო:

– მაშინ, გულწრფელობისთვის პრიზი გეკუთვნის: კინოში გეპატიჟები საღამოს – პრემიერის მოსაწვევებია. დაქალი მუშაობს ადმინისტრაციაში და გამომიგზავნა. წამოხვალ?

ზუკამ უმწეოდ მიმოიხედა.

– უარს მეუბნები? – გაოცდა თიკა.

– არა, წავიდეთ, რა პრობლემაა... უბრალოდ... – ბიჭს ენა დაება.

– თუ სხვა გეგმები გაქვს საღამოსთვის, მითხარი, არ მეწყინება.

– არა, არა, წავიდეთ.

გოგოს თვალები გაუბრწყინდა:

– შენი მანქანით წავალთ, ხომ?

– ჰო, ოღონდ, გიგის არ უთხრა, კარგი? – სთხოვა ზუკამ.

– არ ვეტყვი, რადგან ასე გინდა. პრინციპში, რატომ უნდა ვუთხრათ, ჩვენი საიდუმლო იყოს.

– საიდუმლო არაფერ შუაშია, უბრალოდ, გიგის ამბავი რომ ვიცი, კუდს გამობამს და არ მაქვს მაგისი ლადავის ნერვები.

თიკომ თავი დაუქნია და პიცის მოზრდილი ნაჭერი პირისკენ გააქანა... სიხარულს ვერ მალავდა, ბიჭმა უარი რომ არ უთხრა კინოში გაყოლაზე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ჰკითხეთ აზრი!

**ადამიანებს უყვართ ოთხფეხი მეგობრები. ძაღლები დადებით გავლენას ახდენენ ჩვენს ხასიათზე და, როგორც გაირკვა, ძალიან საინტერესო თავისებურებებიც ვლინდება.**

**ჰკითხეთ თქვენს რჩეულს, რომელი ჯიშის ძაღლს იყოლიებდა მეგობრად და მისი პიროვნების შესახებ ბევრ რამეს შეიტყობთ.**

*1. ადამიანი, რომელსაც მოსწონს და უყვარს ჩალისფერი როტვეილერი, ოჯახის მოყვარული, ერთგული და ყურადღებიანია. ის ძალიან სერიოზულად უყურებს საპირისპირო სქესთან ურთიერთობას.*

*2. დალმატინელის მფლობელი კეთილმოყვარე, მეგობრული და საიმედოა. მისთვის ღალატი მიუღებელია და, ძნელი წარმოსადგენია, ოდესმე თავის პარტნიორს უღალატოს.*

*3. თუ თქვენი რჩეულის საყვარელი ძაღლი გერმანული ნაგაზია, იცოდეთ, რომ გვერდ-*



*ით პედანტი, წესრიგის მოყვარული ადამიანი გეყოლებათ. ის პირველ ადგილზე ყოველთვის საქმეს აყენებს და გადაწყვეტილებებსაც თავად იღებს.*

*4. თუ თქვენს პარტნიორს მოსწონს და უყვარს ფოქსტერიერი, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი იუმორის გრძნობა აქვს. მთავარია, თქვენ იყოთ მზად მისი ხუმრობებისთვის, რადგან, ზოგჯერ, შეიძლება, ნერვებიც მოგეშალოთ. ისე კი, საკმაოდ მსუბუქი ხასიათი აქვს და დამთმობია.*

*5. ინგლისური ბულდოგის მოყვარულები სნობები არიან. ისინი კარგი გემოვნებით გამოირჩევიან და ცოტათი მელანქოლიისკენ არიან მიდრეკილები. ასეთი ადამიანი ზოგჯერ მორიდებულია, ზოგჯერ – პრეტენზიული, ერთი სიტყვით, ადვილი არ იქნება მასთან ურთიერთობა.*

## „მომხიბვლელი“ რეზინი

გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ არა, მაგრამ რეზინის ფეხსაცმელები ძველ ინდიელებს უკვე ჰქონდათ, როცა მათ ევროპელები გაეცნენ. ინდიელები „რეზინის ფეხსაცმელებს“ ძალიან მარტივად ამზადებდნენ. ისინი, უბრალოდ ყოფდნენ ფეხებს „კაუჩუკის წვენში“ – ასე ეძახდნენ „ხის ცრემლებიო“, ანუ კაუ-შუჩუ. მზეზე კაუჩუკი შრებოდა. „ფეხსაცმელი“ გამძლეც იყო და ყველასთვის ხელმისაწვდომიც. მოდური იყო თუ არა, ამაზე ნაკლებად ფიქრობდა ვინმე.



გავიდა დრო, სანამ ვინმე მისტერ რედლი, ნესტიანი და წვიმიანი ლონდონის ბინადარი, დაღლილი ქრონიკული გაციებისგან, შექმნიდა კაუჩუკის წვენით გაჟღენთილ ქსოვილს. სწორედ ამ ქსოვილისგან დამზადდა პირველი კალოშები. მაგრამ ცდა არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. სიცხეში ფეხსაცმელი დნებოდა და იბრიცებოდა. სიცივეში კი იყინებოდა და იმსხვრეოდა.

ალბათ, ქალები მოდურ ფეხსაცმელს ვერ ეღირსებოდნენ, რომ არა ვულკანიზაციის გამოგონება. 1839 წელს ამერიკელ ჩარლზ გუდიერს ამ აღმოჩენამ სახელი გაუთქვა და გაამდიდრა. განთქმულ და მდიდარ კაცად აქცია. გაჩნდა ნამდვილი რეზინი. მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში მეორე ამერიკელმა – ჰატჩინსონმა გააუმჯობესა გუდიერის გამოგონება. დააპატენტა ის და ჩამოაყალიბა კომპანია „აიგლი“, რომელმაც რეზინის ჩექმების წარმოება მასიურად დაიწყო. წარმოებამ ისეთ აღმავლობას მიაღწია, რომ ამერიკის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გადაიტანეს. სხვათა შორის, ეს კომპანია დღესაც აწარმოებს რეზინის ჩექმებს.

კიდევ ერთი ამერიკული ბრენდი – „ჰანტერი“ შეიქმნა ფართო მოხმარებისთვის. მათ თავიანთი პროდუქცია მონადირეებზე, ქალაქგარეთ სეირნობის მოყვარულებსა და მეთევზეებზე გათვალეს. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის პირობებში წარმოება გადაკვალიფიცირდა და, ძირითადად, არმიის საჭიროებას აკმაყოფილებდა. ომის შემდეგ, უკვე ოფიციალურად იღებდა შეკვეთებს ბრიტანეთის სამეფო ოჯახისგან. დღეს „ჰანტერი“ პიკზეა. ის აკანონებს „რეზინის მოდას“. მისი რეზინის ჩექმებით მთელი ჰოლივუდი იწონებს თავს, მიუხედავად კალიფორნიის მზიანი ამინდებისა.

## უძველესია სუპერმარკეტი?!

არქეოლოგები დიდი ხანია, ცდილობენ ამოხსნან ქვის უცნაური ნაგებობების საიდუმლო, რომლებიც ბალტიის ზღვის სანაპიროზე გათხარეს. მათი მოხაზულობა ძალიან ჰგავს ქვის ხომალდებს. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ეს ნაგებობები განკუთვნილი იყო გარდაცვლილი ზღვაოსნებისა და მეთევზეების სულებისთვის. უკანასკნელ ხანს გაჩნდა ვერსია, რომ ქვის ორიგინალური ნაგებობები სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი „სუპერმარკეტები“. ალბათ, გიკვირთ, როგორ შეიძლება, რამდენიმე ათეული ათასი წლის წინ სუპერმარკეტი არსებულიყო. საქმე ისაა, რომ მეცნიერების ვარაუდით, ამ ტიპის ქვის ნაგებობები კეთდებოდა იქ, სადაც თავს იყრიდნენ მეზღვაურები სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთი საინტერესო დამთხვევაც – მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბალტიის ქვეყნების ბინადრებმა რკინის ნაკეთობების გამოყენება მაშინ დაიწყეს, როცა მათ სანაპიროებთან „ქვის ხომალდები“ გაჩნდა. ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ევროპაში ბრინჯაოს გავრცელებასთან. ბრინჯაო მალე იქცა ვაჭრობისთვის აუცილებელ ატრიბუტად. „ქვის ხომალდები“ იყო სწორედ ის სავაჭრო მოედნები, სადაც მიმდინარეობდა გაცხოველებული აღებ-მიცემობა. „ქვის ხომალდები“, უკლებლივ ყველა, აგებულია ყურეებსა და გემებისთვის ადვილად მისადგომ ადგილებში.

## ტურინის სუდარის ასაკი

ქრისტიანებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ტურინის სუდარაში იყო გახვეული იესო ქრისტე, როცა ის დაკრძალეს. თუმცა მეცნიერების ერთმა ნაწილმა სუდარა ყალბ მისტიფიკაციად გამოაცხადა. საპირისპიროდ ამისა, დაიწყო სუდარის სპეციალური და საგანგებო კვლევა, რათა დამტკიცებულიყო, ჰქონდა თუ არა სუდარას ქრისტესთან კავშირი. იტალიელმა მეცნიერებმა თანამედროვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეთოდები გამოიყენეს და გამოაქვეყნეს ძალიან სარწმუნო და საინტერესო კვლევა. მათ დაადგინეს, რომ სუდარაში მართლაც იყო გახვეული იესო... პირველი – ქსოვილი ნამდვილად დამზადებული იყო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქაში; მეორე – სუდარაზე აღბეჭდილი ქრისტეს გამოსახულება არის აბსოლუტურად ორიგინალური. მისმა რადიოანალიზმა ვერ ახსნა, როგორ შეიძლებოდა, სუდარაზე აღმოჩენილიყო ასეთი მკვეთრი გამოსახულება.

2013 წლის 31 მარტს ვატიკანმა უკვე მკაცრად აკრძალა ყოველგვარი შეხება ტურინის სუდარასთან და ტელევიზიითაც უკანასკნელად უჩვენეს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# ქალური ლოგიკა

## ელერი ქუინი

კლუბი „საშობაო თავსატეხი“ მოყვარული გამომძიებლებისგან შეიქმნა. წევრებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ კრიმინალისტიკასთან. მაგალითად, ექიმი-ფსიქიატრი, დოქტორი ვრილანდი; ასევე, სახელგანთქმული ადვოკატი საიერსი; რომ აღარაფერი ვთქვათ დეტექტივ დარნელზე. ის ახალი მიღებული იყო კლუბში და სერიოზული გამოცდაც ჩააბარა. საშობაოდ, კლუბის განაწესის თანახმად, სწორედ მას უნდა წარმოედგინა თავსატეხი კლუბის დანარჩენი წევრებისთვის. ჰქონდათ ინფორმაცია, რომ შეკრებას თავად ამერიკის პრეზიდენტიც დაესწრებოდა, რომელსაც კლუბის წევრობის დიდი სურვილი ჰქონდა. ბუნებრივია, გამოცდის ჩაბარება მასაც მოუწევდა. პრეზიდენტი მზად იყო ამისთვის, მაგრამ ბოლო წუთს, აზიის კრიზისთან დაკავშირებული მოვლენების გამო, „საშობაო თავსატეხის“ წევრები მაღალი რანგის სტუმრის გარეშე დარჩნენ.

– დარნელ, შენ უნდა გვიხსნა. რამე ისეთი თავსატეხი წარმოგვიდგინე, რაც კარგად ჩაგვაფიქრებს, – სთხოვა დეტექტივს კლუბის დამფუძნებელმა, დოქტორმა არკავიმ. კლუბის წევრები ამჟამად მის ბინაში იყვნენ შეკრებილნი, პარკ ავენიუზე.

– იმედი ვიქონიოთ, რომ პრეზიდენტი მალე აუცილებლად მოიცლის ჩვენთვის, – გაიღიმა დეტექტივმა, – ახლა კი ერთ საინტერესო გამოცანას შემოგთავაზებთ. სახელებს შევცვლი, რა თქმა უნდა. შევთანხმდეთ, რომ ეს მკვლელობა იქნება. მაგალითად, ცნობილი ქალის, ჰოლივუდის ვარსკვლავის, სექსუალურისა და მომხიბვლელის. დავარქვათ, პირობითად, ვიოლეტა ვან ბერენი. მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ბევრთა შორის ოთხი ძალიან სერიოზულად ეტრფოდა. უბედურება მაშინ მოხდა, როცა ვიოლეტა თავისი ახალი ფილმის პრემიერაზე ჩავიდა. საქმე მოითხოვს, დავაკონკრეტო სექს-ვარსკვლავის გულისა და ხელის მთხოვნელები. პირველი – სკანდალურად მდიდარი, მაგრამ უსაქმური ჯონ ტრაშზოტომ ტეილორ მესამე; მეორე – უოლ-სტრიტის მგელი, საქმოსანი პალმერ ჰარისონი; მესამე – ძალიან მოდური და პოპულარული, თანამედროვე მხატვარი ლეონარდო პრაისი; მეოთხე კავალერი კი პოპულარობაში ვიოლეტას არ ჩამოუვარდებოდა, ის ცნობილი ფეხბურთელი ბიფ ვილსონი იყო. ვიოლეტას ოთხივემ სთხოვა ცოლობა და ოთხივემ უარი მიიღო. სამი მათგანი გაგებით მოეკიდა ქალის უარს. ვიოლეტას იმ ეტაპზე გათხოვება არ სურდა. მაგრამ მეოთხემ ძალიან მძიმედ განიცადა ეს ამბავი. მან ქალს მუქარით სავსე წერილი მისწერა. მასში ისეთი სიტყვები ეწერა, რომ ვიოლეტას შეეშინდა და მე დამირეკა. პოლიციას არ შეატყობინა. სკანდალი გასაგები მიზეზების გამო არ უნდოდა. სამწუხაროდ, ვერაფრით დავეხმარე, ის მოკლეს. რა თქმა უნდა, იმან, ვინც ემუქრებოდა. რა იყო მკვლელობის იარაღი – ეს ნაკლებად საინტერესოა. თქვენ უნდა მითხრათ, ვინ არის მკვლელი იმ ოთხი კავალერიდან. შეგიძლიათ, კითხვები დამისვათ.

– მე მაქვს შეკითხვა, – თქვა ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ელენ საირზმა, – მითხარით, არსებობდა რამე ისეთი, რაც თქვენ ჩვენთვის არ გითქვამთ?

– კარგი შეკითხვაა. გიპასუხებთ: ვიოლეტას იმ ოთხი კავალერიდან სამს რაღაც საერთო ჰქონდა. რა? – ამას თქვენ უნდა მიხვდეთ. იმიტომ, რომ თავსატეხის გასაღები სწორედ ეს არის. მკვლელია ის, რომელიც რაღაც ნიშნით საერთოდ განსხვავებულია.

– მდა, საინტერესო მინიშნებაა, – შუბლი მოისრისა დოქტორმა არკავიმ, – დავუშვათ, რომ ფეხბურთელს, მხატვარსა და ვიოლეტას ერთმანეთის პოპულარობა ამსგავსებდათ. ისეთი პოპულარობა, რომელიც იღბალს მოაქვს, გამართლებაა. მაგრამ, ვერც მაგნატის შთამომავალს მივაკუთვნებთ ამ სიას და ვერც უოლ-სტრიტის საქმოსანს. ესე იგი, რაღაც გვეშლება.

– მეც ამაზე ვფიქრობ, – წკრიალა ხმით გამოეპასუხა ელენი, – მგონი, სინიორ დეტექტივი ცდილობს, გაგვაცუროს. ჩვენი ყურადღების გადატანას ცდილობს. უნდა ვიფიქრო...

დეტექტივმა დარნელმა გაიცინა:

– მგონი, გამოგივათ. აი, მის ელენი რაღაცას უკვე მიხვდა, თუმცა, ბოლომდე არა.

– პარტიული ნიშნით ხომ არ შეიძლება მათი დაჯგუფება? – ვარაუდი გამოთქვა დოქტორმა ვრილანდმა. მაგალითად, ვიოლეტა და კიდევ სამი კავალერი რესპუბლიკელები იქნებოდნენ, ერთი – დემოკრატი, ან პირიქით...

– რა სისულელეა, – ცხვირი შეიჭმუხნა პოეტესამ, – დიდი სისულელე. ჰოლივუდის ვარსკვლავები, მით უმეტეს, სექს-სიმბოლოები პარტიულები არ არიან. მათ ეს საკითხი ფეხებზე ჰკიდიათ. სხვა ვერსია გვჭირდება.

დეტექტივმა ისევ გაიცინა.

– პოლიტიკა... პრეზიდენტები... მართალი ხართ, სად იღბლიანი ვარსკვლავები და სად პრეზიდენტები...

– მოიცადეთ! – წამოიყვირა ელენმა, – პრეზიდენტი... ჩვენი შეკრების თემა ხომ პრეზიდენტი იყო. თურმე, რატომ მეჩვენებოდა ვიოლეტას გვარი უცნაურად. მე ვიცი პასუხი! ვიცი, ვინ არის მკვლელი!

– მადმუაზელ, ხომ არ ჩქარობთ? – დაეჭვდა დოქტორი.

– მისის, თამამად გამოთქვით მოსაზრება, – წააქეზა დეტექტივმა.

– მაშინ, დავიწყებ. გვარი, ბატონებო, აქ საქმე გვარშია... მომისმინეთ: დეტექტივმა მსხვერპლს პირობითად ვან-ბერენი დაარქვა. ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი ასეთი გვარით. მივყვეთ თანმიმდევრულად: კიდევ ერთი პრეზიდენტი მახსენდება – ტეილორი, ანუ – ჯონ ტრაშზოტომ ტეილორ მესამე – ჩვენი უსაქმური მაგნატი.

– დიახ, დიახ, თქვენი ლოგიკა გამაოგნებელია, – გაიბადრა დოქტორი... ჰარისონის გვარის ორი პრეზიდენტი მახსენდება. პალმერ ჰარისონი – ჩვენი საქმოსანი უოლ-სტრიტიდან... თავსატეხი თითქმის ამოხსნილია. გვრჩება ფეხბურთელი, ბიფ ვილსონი. პრეზიდენტი – შედევრი, ვილსონის გვარით როგორ შეიძლებოდა დაგვიწყებოდა?! დარჩა მხატვარი. რაღაც არ მახსენდება პრეზიდენტი გვარად პრაისი...

– დიახ, და მკვლელი სწორედ მხატვარია. მან მოკლა ვიოლეტა... მისტერ დარნელ, ძალიან მოხერხებულად შეარჩიეთ გვარები. ყველაზე „ცხელი“ პრეზიდენტები შეგვირჩიეთ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქალურმა ლოგიკამ გაიმარჯვა. რომ არა მისის ელენი, ნამდვილად შევრცხვებოდით... ბრავო, მისის ელენ, და ბრავო, ქალურ ლოგიკას!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**



# მკვდარი ვერსია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-23(649)**

მერაბ ინწკირველი ტელეფონით საუბრობდა. ზურაბის კაბინეტში შესვლისას თანამოსაუბრეს სწრაფად გადაულაპარაკა – მოგვიანებით გადმოგირეკავო, მერე მობილური გა-



თიშა და სტუმარს დაძაბულად გახედა.

– გამარჯობა, ბატონო მერაბ, – მიესალმა ზურაბი, – დამითმობთ რამდენიმე წუთს?

– რა თქმა უნდა... დაბრძანდით, – აჩქარდა მასპინძელი. ინწკირველი პირადად არ იცნობდა ზურაბს, თუმცა, კარგად იცოდა, რომ ის რაიონის კრიმინალურ პოლიციას ხელმძღვანელობდა.

– რით შემიძლია, გემსახუროთ? – განაგრძო ინწკირველმა, როგორც კი ზურაბი მაგიდას მიუჯდა.

– თქვენი ახლობლის, დიმიტრი გაბისონიას შესახებ მსურს თქვენთან საუბარი.

– დიმიტრი გაბისონია? – გაიკვირვა ინწკირველმა, – რაღაც გეშლებათ, ასეთ პიროვნებას არ ვიცნობ.

– არ იცნობთ?! – მოიღრუბლა ზურაბი, – მე უფრო გონიერი ადამიანი მეგონეთ!

– უგუნური რა ვთქვი? – ბრაზი მოერია ინწკირველს.

– ბატონო მერაბ, მე არ ვარ დამწყები გამომძიებელი, რომელიც ყურმოკრული მონაცემებით იწყებს საუბარს. კიდევ ერთხელ გიმეორებთ: საუბარს და არა დაკითხვას. მე თქვენი გონიერების იმედი მქონდა და ამიტომაც მოვედი აქ სასაუბროდ. როგორც ჩანს, დრო ფუჭად დავკარგე. ხვალ ჩემი გამომძიებელი დაგიკავშირდებათ და დაკითხვის დროს შეგითანხმებთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მის საქმეში არ ჩავერევი. დაველოდები იმ მომენტს, როდესაც ის თქვენს ჩვენებაში ოფიციალურად დააფიქსირებს, გაბისონიას არ იცნობთ, შემდეგ კი დაგაპირისპირებთ პიროვნებებთან, რომლებიც თქვენს ნაცნობობას დაადასტურებენ! – თქვა ზურაბმა და ასადგომად წამოიწია.

– ერთი წუთით, – სწრაფად თქვა ინწკირველმა, – თუ არ ვცდები, მართლაც უნდა ვიცნობდე ასეთ პიროვნებას.

ზურაბი სკამს დაუბრუნდა:

– უბრალოდ, იცნობდით თუ ახლო ურთიერთობა გქონდათ?

– სწორად გამიგეთ, – ყრუ ხმით წამოიწყო ინწკირველმა, – დიმასთან ურთიერთობას უსიამოვნებების მეტი არაფერი მოუტანია ჩემთვის. მე საერთოდ არ მსურს მის შესახებ საუბარი, მით უმეტეს – პოლიციელთან.

– მე მგონი, ხვდებით, რომ ამას ვერ გაექცევით, – შენიშნა ზურაბმა.

– ვხვდები, – ამოიოხრა ინწკირველმა.

– რა ურთიერთობა გქონდათ დიმასთან? – კითხვა გაუმეორა ზურაბმა.

– ჩემი შორეული ნათესავია. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ჩემთან ცხოვრობდა. პირველი სამი წელი ჩვეულებრივად სწავლობდა, როგორც ყველა სტუდენტი კონსპექტებით დადიოდა, შემდეგ კი სწავლაზე გული აიცრუა – ინსტიტუტში იშვიათად მიდიოდა. დღეების განმავლობაში სადღაც იკარგებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, თავის ნივთებს თავი მოუყარა და მითხრა, რომ მეგობართან ერთად ბინა იქირავა და იქ აპირებდა ცხოვრებას, ორიოდ თვეში კი ის ბინის ქურდობისას დააკავეს. პირველ ჯერზე სასამართლომ სამი წელი მიუსაჯა. მაგრამ, ციხეში ორ წელზე მეტი არ გაუტარებია – „სანიმუშო” ყოფაქცევისთვის საპატიმრო ვადის ამოწურვამდე გაათავისუფლეს, – ირონიით წარმოთქვა ინწკირველმა, – გათავისუფლების შემდეგ, ისევ მე მომაკითხა: არც წასასვლელი მაქვს, არც ბინა და არც – ფული. დამეხმარე, ფეხზე წამოვდგე და ვალში არ დაგრჩებიო. შემეცოდა. ფულიც მივეცი და სამსახურიც მოვუძებნე, მაგრამ, ამაოდ – ორი თვეც არ უმუშავია, ისევ წამოუარა ძველმა ხუშტურებმა და საბრალდებო სკამზე ყაჩაღობის გამო მოხვდა – მან და მისმა მეგობრებმა...

– ვიცი ეგ საქმე. დიმა მე ავიყვანე, – შეაწყვეტინა ზურაბმა, – როგორც ჩემთვისაა ცნობილი გათავისუფლების შემდეგ ისევ თქვენთან მოვიდა.

– დიახ, ჩემთან მოვიდა და იგივე ტექსტი გამიმეორა: არც წასასვლელი მაქვს, არც ბინა და არც – ფული. დამეხმარე, ფეხზე წამოვდგე და ვალში არ დაგრჩებიო...

– დაეხმარეთ? – ჰკითხა ზურაბმა.

– ნაწილობრივ – ფული მივეცი, თუმცა, კომპანიაში მისი დასაქმება არც ისე მარტივი იყო. რომ მომენდომებინა, ამასაც მოვახერხებდი, მაგრამ, აღარ ვენდობოდი. დარწმუნებული ვიყავი, ის ისევ ძველ გზას დაადგებოდა, კომპანიის ხელმძღვანელობა კი მე მომთხოვდა პასუხს ჩამოყალიბებული კრიმინალის სამსახურში მიღებისთვის. მოგვიანებით, მაინც მომეცა მისთვის სამსახურის გამონახვის შესაძლებლობა, რაშიც ერთი ჩემი თანამშრომელი დამეხმარა – მისი რეკომენდაციით, დიმამ იპოდრომზე დაიწყო მუშაობა.

– ვინაა ის თანამშრომელი?

## პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესია და სტუდენტთა კონფერენცია

მიმდინარე წლის 30 მაისს თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში, ტრადიციისამებრ, ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა რიგით მეცხრე სამეცნიერო სესია-კონფერენცია.



სესია სიტყვით გახსნა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა. ის მიესალმა სესია-კონფერენციის მონაწილეებს და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრებულია კეთილი ტრადიცია – სასწავლო წლის მიწურულს ერთგვარი შეჯამების მიზნით, კოლეგებსა და სტუდენტებს შორის მეცნიერული გამოცდილების გაცნობა-გაზიარებისა.

სესია-კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები: პროფესორები – ხ. არჩემაშვილი, მ. დღვილავა, ი. ქაფიაშვილი, დ. გულუა, ნ. ბჟალავა, ზ. სანადირაძე; სტუდენტები – თ. მუჯირიშვილი, თ. ჩოხელი, ნ. კირკიტაძე, თ. ბუცხრიკიძე (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტები). წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა დღევანდელობის საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებს სხვადასხვა სფეროდან.

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი – იზა კუპატაძე**

– კომპანიის მენეჯერია, დოდო კასრაძე, – ინწკირველმა მზერა გაუსწორა ზურაბს და დაამატა: – გთხოვთ, მას ნუ გარევთ ამ საქმეში. გარწმუნებთ, დოდოს სხვა არაფერი აკავშირებდა დიმასთან, ეს მხოლოდ ჩემი თხოვნით გააკეთა.

– სხვა რა გაკავშირებდათ მასთან?

– არაფერი. ნათესაობის გარდა, სხვა რა კავშირი უნდა მქონოდა ორჯერ ნასამართლევ მეჯინიბესთან?! – გაიკვირვა ინწკირველმა.

– ჩემთვის ცნობილია, რომ გაბისონია ხშირად მოდიოდა ოფისში, – განაგრძო ზურაბმა.

– მოდიოდა, მაგრამ, არა ჩემთან.

– ვისთან მოდიოდა?

– გოგონებთან... დიმა ძალიან კომუნიკაბელური ბიჭი იყო, თანაც, განსაკუთრებით იზიდავდა სუსტი სქესი. ჩემთან სიარულის პერიოდში ოფისის რამდენიმე თანამშრომელ ქალს დაუახლოვდა და შემდეგ პერიოდულად აკითხავდა მათ, – უპასუხა ინწკირველმა.

– კასრაძესაც?

– არა, არა... – თავი გააქნია ინწკირველმა, – დოდო სხვა კატეგორიის ქალია და დიმა ვერაფრით მოხიბლავდა – მას არც შესაბამისი ინტელექტი გააჩნდა და არც გემოვნება. მოკლედ რომ ვთქვა, ისინი სრულიად განსხვავებული ადამიანები იყვნენ. თანაც, დოდო პროკურატურის ყოფილი გამომძიებელია. რა უნდა ჰქონოდა მას საერთო ორჯერ ნასამართლევ კრიმინალთან?!

– მაგრამ, ის მაინც დაეხმარა სამსახურის მოძებნაში, – თქვა ზურაბმა.

– ხომ გითხარით, ეს მხოლოდ ჩემი თხოვნით გააკეთა.

– თქვენთვის ცნობილია, რომ დიმიტრი დაიღუპა? – ჰკითხა ზურაბმა.

– რა თქმა უნდა. საშინელებაა. არ მეგონა, თუ ასე დაასრულებდა სიცოცხლეს. ბოლო ხანებში მართლაც დავიჯერე, რომ გამოსწორების გზას დაადგა: მუშაობდა, იპოდრომის ხელმძღვანელობა კმაყოფილი იყო მისით. თან, არც ისე დაბალი ანაზღაურება ჰქონდა, ფულს მოუყარა თავი და მანქანა იყიდა. ბოლო შეხვედრისას მითხრა, რომ ბინის შეძენასაც აპირებდა. წინ იყურებოდა, მომავალზე ფიქრობდა და ასეთი უბედურება შეემთხვა.

– ვინმესთან უსიამოვნება ხომ არ ჰქონია?

– ვერაფერს გეტყვით. თბილისში ჩემ გარდა სხვა ნათესავი არ ჰყავდა, მაგრამ, მე პრაქტიკულად, არაფერი ვიცოდი მისი საქმიანობის შესახებ. ის განსაკუთრებული გულწრფელობით არ გამოირჩეოდა. მით უმეტეს, არაფერს მეტყოდა თავისი კრიმინალური საქმეების შესახებ.

– თქვენი აზრით, რას უნდა უკავშირდებოდეს მისი მკვლელობა? – განაგრძო ზურაბმა.

– ზუსტად ვერაფერს გეტყვით. მგონია, რომ მის წარსულს. კრიმინალური საქმიანობა და ციხე თავისთავად აახლოებს ადამიანს მსგავსი შეხედულებების მქონე პიროვნებებთან. ისინი კი, ჩვენგან განსხვავებით, სრულიად სხვა კანონებით ხელმძღვანელობენ.

– კეთილი... – ზურაბი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: – ერთი საკითხიც მაინტერესებს – რა იცით დიმიტრის საპატიმროდან გათავისუფლების შესახებ?

– ვერაფერს გეტყვით, ეს ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. სასამართლომ დიმას ცხრა წელი მიუსაჯა. ხუთი წლის განმავლობაში სისტემატურად ვურიცხავდი ფულს – თვეში ორმოცდაათ-სამოც ლარს. რამდენჯერმე პაემანზეც შევხვდი, მაგრამ, მთელი ამ დროის განმავლობაში, ერთხელაც არ უთქვამს, რომ რამეს ჩალიჩობდა ზონიდან გამოსასვლელად. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემი კაბინეტის კარი მშვიდად შემოაღო. სიმართლე გითხრათ, მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ შოკში ჩამაგდო. მეგონა, ზონიდან გამოიქცა და მაშინვე წასვლა ვუბრძანე. მაგრამ, დამამშვიდა – მითხრა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს საპატიმროდან და შესაბამისი დოკუმენტიც მაჩვენა.



– როგორ გამოიყურებოდა?

– ჩვეულებრივად. უფრო სწორად, იმაზე კარგად, ვიდრე უნდა გამოიყურებოდეს პიროვნება, რომელმაც საპატიმროში ხუთი წელი გაატარა, – უპასუხა ინწკირველმა.

– პირდაპირ გეტყვით: მე არ მჯერა თქვენი! – ცივად თქვა ზურაბმა.

– არ გჯერათ?! – დაიძაბა ინწკირველი, – რატომ?

ამ დროს ზურაბის ტელეფონმა დაიწკრიალა და ეკრანზე შეტყობინების ნიშანი აციმციმდა. ზურაბმა სწრაფად გადაიკითხა ტექსტი. შეტყობინებას ნიკა უგზავნიდა:

„დოდომ უარი მითხრა რაზმაძის ხელშეკრულების ჩვენებაზე. ინწკირველი უნდა დაითანხმო".

ზურაბმა მობილური ჯიბეში ჩააბრუნა და ისევ თანამოსაუბრეს მიუბრუნდა:

– დიმიტრის აშკარად ვილაც მფარველობდა – სხვანაირად ის ვერაფრით გათავისუფლდებოდა საპატიმროდან ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიზეზით. მაგრამ ამას ზონიდან ვერ მოახერხებდა, მას უნდა დახმარებოდა თავისუფლებაზე მყოფი პიროვნება, ის, ვინც ამ საქმისთვის საჭირო თანამდებობის პირებთან დაამყარებდა კავშირს. უფრო მარტივად რომ ვთქვა, პიროვნება, რომელიც მოისყიდიდა სამედიცინო კომისიას და დიმიტრისთვის მიიღებდა ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადების დამადასტურებელ დასკვნას. მე ვფიქრობ ის პიროვნება თქვენ ხართ!

– თქვენი საქმისა თქვენ იცით. მე კი ერთ რჩევას მოგცემთ: ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს ამ ვერსიის დასამტკიცებლად. მე დიმასთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მქონდა და ასეთ არასერიოზულ საქციელს არასდროს ჩავიდენდი, – მშვიდად უპასუხა ინწკირველმა.

– ისე, თქვენს კომპანიაში საქმისადმი ასეთი მიდგომა უცხო ხილი არ უნდა იყოს, – ირონიით შენიშნა ზურაბმა.

– კომპანიის საქმეები თქვენ არ გეხებათ! – ბრაზით უპასუხა ინწკირველმა.

– სამწუხაროდ, მეხება!

– რას გულისხმობთ?

– რომელი ერთი გითხრათ, მაგრამ, ახლა მხოლოდ ერთი საქმე მაინტერესებს: მგონი, იცნობთ აკაკი რაზმაძეს, – თქვა ზურაბმა.

– რა თქმა უნდა, – მშვიდად დაუდასტურა ინწკირველმა.

– მასთან ურთიერთობაზე რას მეტყვით?

– განსაკუთრებულს ვერაფერს. კაკოს „ინტელგრუპჯორჯიაში" მოსვლამდეც ვიცნობდი. კომპანიაში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა, როდესაც აკაკი დამიკავშირდა. ჯერ დაწვრილებით გამომკითხა კომპანიის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მეორე დღეს ოფისშიც მეწვია და დეტალურად გაეცნო მისთვის საინტერესო დოკუმენტაციას, შემდეგ კი კომპანიაში ფულის ჩადება გადაწყვიტა.

– რამდენი ჩადო რაზმაძემ კომპანიაში?

– ნახევარი მილიონი.

– ლარი?

## გიორგი (გია) ზამთარაძის

### გახსენება



სამწუხაროდ, აქედან მანდ, ვირტუალურად გილოცავ დაბადების დღეს – 7 ივნისს 58 წლის გახდი და შენი ოჯახის გარეშე უკვე მეხუთედ შეხვდი ამ დღეს.

რომ იცოდე, როგორ მენატრები...

რომ იცოდე, როგორ მიჭირს უშენოდ...

რომ იცოდე, როგორ მინდა შენი ხმის გაგონება... – მეტს ვერაფერს გეტყვი...

**ეთერი**



– დიახ, – დაუდასტურა ინწკირველმა.

– და, რა მიიღო იმ ხელშეკრულებიდან?

– მაპატიეთ, მაგრამ, მე არ შემიძლია ამ საკითხზე თქვენთან საუბარი. ნებისმიერი ხელშეკრულება კომპანიის კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს და ეს ყოველივე არაფრით უკავშირდება დიმას მკვლელობას! – გაუბედავად ჩაილაპარაკა ინწკირველმა.

– მე გადავწყვეტ, რა უკავშირდება გაბისონიას მკვლელობას და რა – არა! – მკაცრად თქვა ზურაბმა.

– თქვენ რა, დიმას მკვლელობას რაზმაძეს უკავშირებთ?! – დაიბნა ინწკირველი, – ეს, უბრალოდ, აბსურდია! აკაკი არასდროს წავიდოდა ასეთ საქმეზე. თანაც, რა პრეტენზია უნდა ჰქონოდა დიმასთან? ისინი ერთმანეთს არც კი იცნობდნენ!

– ბოლოს როდის შეხვდით რაზმაძეს? – ჰკითხა ზურაბმა, – თუ, ესეც კომპანიის კომერციული საიდუმლოებაა?!

– ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით ერთი თვის წინ მომინახულა.

– რა მიზეზით?

– არ დაგიმალავთ. ის ძალიან გაღიზიანებული იყო. ფულის დაბრუნებას ითხოვდა. შევეცადე, ყველაფერი მშვიდად ამეხსნა მისთვის. ამჟამად კომპანიას გარკვეული სირთულეები შეექმნა, მაგრამ ჩვენ უკვე შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და ერთი წლის განმავლობაში ყველა აქციონერს ავუნაზღაურებთ ზარალს. აკაკიმ არც კი მომისმინა. დამემუქრა, რომ ერთი კვირის განმავლობაში თუ არ დავუბრუნებდი ფულს, მომკლავდა. მერე კი კარი გაიბრახუნა და წავიდა. მას შემდეგ აღარ მინახავს.

– მოგკლავდათ?!

– ნუ მიაქცევთ ყურადღებას. აკაკი ცნობილი იყო ფიცხი ხასიათით. მაგრამ, როგორც წესი, მის მუქარას არავინ აქცევდა ყურადღებას, – უპასუხა ინწკირველმა.

– მე რაზმაძესა და „ინტელგრუპჯორჯიას" შორის დადებული ხელშეკრულების ასლი მჭირდება!

– ვერაფრით დაგეხმარებით, – თავი გაიქნია ინწკირველმა, – რომც მინდოდეს, არ მაქვს ამის უფლება.

– ვის შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტა?

– სასამართლოს მიმართეთ, – ურჩია ინწკირველმა, – მისი დადგენილება თუ მივიღე, უპრობლემოდ გადმოგცემთ ხელშეკრულების ასლს.

* * *

ნიკა მანქანის ფრთაზე ჩამომჯდარი ეწეოდა სიგარეტს. ზურაბის მიახლოებისას ნამწვავი შორს მოისროლა და ჰკითხა:

– როგორაა საქმე?

– სახარბიელოს ვერაფერს გეტყვი. უარზეა. სასამართლოზე მიმითითა, – უპასუხა ზურაბმა, – იქნებ, დოდო დაითანხმო.

– გამორიცხულია, – თავი გაიქნია ნიკამ, – ხელშეკრულების ასლის გადაღებაში ხელს ვერავინ შეუშლის, მაგრამ, საერთოდ აღარ სურს რაზმაძეზე საუბარი – მისთვის ეს პრინციპის საკითხია. ისევ სასამართლო გზით უნდა ვცადოთ მისი მიღება.

– დაივიწყე, – ხელი ჩაიქნია ზურაბმა, – ამას შეიძლება მთელი თვე დასჭირდეს. თანაც, სასამართლოს თუ მივმართეთ, დოდოს ხსენებაც მოგვიწევს, შენ კი ეს არ გინდა.

– მე პირობა მივეცი დოდოს, – სწრაფად თქვა ნიკამ.

– მახსოვს... – ზურაბმა პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: – ის ხელშეკრულება განსაკუთრებით არც გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ნინუასა და სირაძესთან დადებული ხელშეკრულებების ასლი იქნება. უბრალოდ, საქმისადმი ინწკირველის დამოკიდებულების გარკვევა მსურდა.

– გაარკვიე? – ჰკითხა ნიკამ.

– სიმართლე რომ გითხრა, ვერა. ერთი შეხედვით, გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ, ვგრძნობ, რომ რაღაცას მიმალავს.

– ახლა როგორ მოვიქცეთ? – ჰკითხა ნიკამ.

– არ მომწონს რაზმაძის მოულოდნელი გაუჩინარება. უპირველესად, მისი ადგილსამყოფლის დადგენა უნდა ვცადო, შენ კი ბანკის საქმეს მიხედე – სასამართლოსთვის ბანკის სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების ამოღების მოთხოვნა მოამზადე, – თქვა ზურაბმა და მანქანას მიუბრუნდა.

* * *

გურამი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შენობასთან შეეგება ზურაბს.

– გამარჯობა, – მანქანიდან გადმოსვლისთანავე მიესალმა ზურაბი.

– გაგიმარჯოს, – უპასუხა გურამმა, – რამ შეგაწუხა?

– ერთ საქმეზე შენი კონსულტაცია მჭირდება.

– რა საქმეზე? – დაინტერესდა გურამი.

– სამი დღის წინ ფონიჭალის მიდამოებში, მტკვრის ნაპირას, მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს.

– ჰო, ვიცი, – დაუდასტურა გურამმა, – ოპერატიულ ცნობაში ამოვიკითხე ამის შესახებ.

– გარდაცვლილის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. მე დაწვრილებით შევისწავლე ბოლო ხანებში დაკარგულ მოქალაქეთა სია, მაგრამ, აღმოჩენილ ცხედართან მიახლოებული ვერავინ აღმოვაჩინე, – თქვა ზურაბმა.

– ესე იგი, მისი დაკარგვის შესახებ არავის განუცხადებია. შეიძლება, მარტოხელაა, ან, სულაც, უსახლკარო მაწანწალა, ან კიდევ, ოჯახის წევრებს სხვაგან ეგულებათ და არ ღელავენ. მოკლედ, არ გესწავლება, ასეთი რამ ხშირად ხდება.

– ამიტომაც მჭირდება შენი კონსულტაცია. ამჟამად ცხედარი ექსპერტიზის პროზექტურაშია.

– კარგი, წამოდი, ვნახოთ, რისი გაკეთებაა შესაძლებელი, – უპასუხა გურამმა და შენობის შესასვლელს მიაშურა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომლებს ცხედრის გამოკვლევა უკვე დაესრულებინათ. ყველა მონაცემი ცალკე საქაღალდეში ინახებოდა, რომელიც გასაცნობად მისცეს გურამსა და ზურაბს.

ამ მონაცემების თანახმად, გარდაცვლილი მამაკაცი მტკვრის პირას მეთევზეებმა აღმოაჩინეს. შემდეგ საქმეში პოლიცია ჩაერთო. გვამის ვიზუალური დათვალიერებისას გაირკვა მისი დაღუპვის მიზეზი – სამი ნატყვიარი: ორი – მკერდში და ერთი – კეფაში. გარდაცვლილს არანაირი საბუთი არ აღმოაჩნდა. ამიტომაც, მისი ვინაობა ვერ დაადგინეს. სავარაუდოდ, ცხედარი არანაკლებ ათი-თორმეტი დღის განმავლობაში იმყოფებოდა წყალში, შემდეგ კი ის მდინარემ ნაპირზე გამორიყა. ზაფხულის ცხელმა ამინდმა და მწერებმა ისე დაამახინჯა ცხედარი, რომ მისი ვიზუალურად ამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ცხედარს ტანსაცმლიდან შარვალი და ქამარი შემორჩენოდა – მხოლოდ ამ ელემენტებით იყო გარდაცვლილის იდენტიფიკაცია შესაძლებელი. მაგრამ, საქმეს ერთი გარემოება ართულებდა: პოლიციისთვის არავის მიუმართავს მსგავსი ან თუნდაც მიახლოებული მონაცემების მქონე პიროვნების დაკარგვის განცხადებით. მომხდარის შესახებ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ, ჯერჯერობით გამოძიებას ახალი მონაცემები არ გააჩნდა.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა გურამმა და საქმის მასალებზე დართული ფოტოსურათები ზურაბს გაუწოდა, – დამწყები გამომძიებელიც მიხვდება, რომ განზრახ მკვლელობასთან გვაქვს საქმე. გარდაცვლილი სამი გასროლით მოკლეს. კეფაში მიყენებული ჭრილობა აშკარად საკონტროლოა. მკვლელობის შემდეგ გვამი მტკვარში გადააგდეს. გარკვეული დროის შემდეგ კი ის მდინარემ გამორიყა.

ზურაბი მის საუბარს უსმენდა და თან შემთხვევის ადგილზე გადაღებულ სურათებს ათვალიერებდა. მათზე სხვადასხვა რაკურსით იყო აღბეჭდილი მტკვრის პირას აღმოჩენილი ცხედარი.

– ერთ გარემოებას მიაქციე ყურადღება, – განაგრძო გურამმა, – შარვალი და ქამარი. გვამის დათვალიერების ოქმში მითითებულია, რომ შარვალი „არმანის" წარმოებისაა, ნიანგის ტყავის ქამარი კი – „გუჩის." რიგითი ადამიანი ასეთ ტანსაცმელს არ ყიდულობს. აშკარაა, რომ ეს პიროვნება ფულის ნაკლებობას არ განიცდიდა და ისიც კარგად იცოდა, რაში უნდა დაეხარჯა ის ფული. კიდევ ერთი დეტალი, – ამ სიტყვებთან ერთად გურამმა ფოტოსურათი გამოართვა ზურაბს და ცხედრის მუცელზე მიანიშნა, – გვამს აშკარად ეტ-

ყობა ძველი ნაიარევი. ამ ნაიარევის უკეთ დათვალიერება თავად გვამზეც შეიძლება, მაგრამ, შემიძლია, ახლავე გითხრა, რომ გარდაცვლილს კუჭის ოპერაცია აქვს გაკეთებული. დასაწყისისთვის არც ისე ცოტაა. გაქვს რამე მოსაზრება გარდაცვლილის ვინაობის შესახებ?

– მაქვს, – ამოიოხრა ზურაბმა, – მაგრამ, ძალიან მინდა, რომ ვცდებოდე.

– ვინ გგონია?

– აკაკი რაზმაძე!

– ოჰო!.. – გაოცებით ჩაილაპარაკა გურამმა, – რა გაძლევს ასეთი ეჭვის საბაბს?

– რაზმაძე ორი კვირის წინ გაუჩინარდა. ექსპერტის დასკვნით, ეს პიროვნება დაახლოებით ამ დროს დაიღუპა. უფულობას ისიც არ უჩიოდა, გემოვნებაც კარგი ჰქონდა და, რაც ყველაზე ძალიან მაეჭვებს, მასაც იგივე ურთიერთობა ჰქონდა „ინტელგრუპჯორჯიასთან", რაც ნინუასა და სირაძეს. ემთხვევა ასაკიც – 35-დან 40 წლამდე. შეუძლებელია, ყოველივე ეს ბანალური დამთხვევა იყოს... – ზურაბმა ფოტოსურათები კონვერტში დააბრუნა და დაამატა: – ამ საქმის გადადება არ შეიძლება, ვერსია დღესვე უნდა შემოწმდეს!..

* * *

მაკამ კარი გააღო და გაოცებულმა შეხედა ზურაბს. მისი სტუმრობიდან ერთი დღე-ღამეც არ იყო გასული და ქალი არ ელოდა მასთან ასე მალე შეხვედრას.

– გამარჯობა, თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვს, – წამოიწყო ზურაბმა.

– უკვე ძალიან მომაბეზრეთ თავი. აღარ ვაპირებ თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემას, – დაუფარავი უკმაყოფილებით უპასუხა მაკამ, – თანაც, ახლა სტუმრები მყავს.

– მაპატიეთ, მაგრამ, ამ საქმეს ვერ გადავდებთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მაკამ ეჭვით გახედა და შემდეგ ყოყმანით თქვა;

– კარგი, ათ წუთს დაგითმობთ. მობრძანდით.

დიასახლისმა ჩაუარა სასტუმრო ოთახს, საიდანაც რამდენიმე ქალის საუბარი ისმოდა და ზურაბი სამზარეულოში მიიწვია.

– რა საქმე გაქვთ ჩემთან? – მაკამ სამზარეულოს კარი მიხურა და ზურაბს მიუბრუნდა.

– თქვენი მეუღლის შესახებ რამდენიმე კითხვა უნდა დაგისვათ.

– ესე იგი, ჯერაც ვერ გაარკვიეთ მისი ადგილსამყოფელი? – ირონიით წარმოთქვა მაკამ.

– სამწუხაროდ, ვერ გავარკვიეთ.

– კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

– როგორ იქცეოდა აკაკი გაუჩინარებამდე? რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ მის საქციელში... მაგალითად, ხომ არ ღელავდა, ან, რამე ხომ არ უთქვამს თქვენთვის თავისი საქმეების შესახებ?

– უხასიათოდ იყო. მეჩვენებოდა, რომ ღელავდა. საათების განმავლობაში ჩაფიქრებული იჯდა და ერთ წერტილს იყო მიშტერებული.

– მიზეზი არ უთქვამს?

– არა. მას საერთოდ არ უყვარდა თავის საქმეებზე ჩემთან საუბარი.

– შეგიძლიათ, ზუსტად გაიხსენოთ როდის ნახეთ უკანასკნელად თქვენი მეუღლე? – ჰკითხა ზურაბმა.

– ის ზუსტად თექვსმეტი დღის წინ გავიდა სახლიდან.

– მისმა მობილურმა იმ დღესვე შეწყვიტა მუშაობა?

– დიახ... ზუსტ დროს ვერ გეტყვით. შუადღემდე ორჯერ ვესაუბრე. საღამოსაც ვცადე დარეკვა, მაგრამ, იმ დროისთვის ტელეფონი უკვე გათიშული ჰქონდა, – უპასუხა მაკამ.

– რა ეცვა სახლიდან გასვლისას აკაკის? – განაგრძო ზურაბმა.

– ზუსტად არ მახსოვს, – თავი გააქნია მაკამ.

– გთხოვთ, გაიხსენოთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მაკა მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– შავი შარვალი და თეთრი პერანგი.

– შარვალი „არმანის" ფირმის იყო?

– დიახ, ეს კაკოს საყვარელი ფირმაა.

– ფირმა „გუჩის" ნიანგის ტყავის ქამარს ატარებდა?

– დიახ... – დაიძაბა მაკა, – რაღაცას ბოლომდე არ მეუბნებით, ბატონო პოლიციელო!

– თქვენს მეუღლეს მუცლის მიდამოებში ნაიარევი ჰქონდა? – ჰკითხა ზურაბმა.

– დიახ... ოთხი წლის წინ კუჭის ოპერაცია გაიკეთა... რამე იცით მის შესახებ?

– ვინ გყავთ სტუმრად? – კარს გახედა ზურაბმა.

– ჩემი მეგობრები არიან... ბოლოს და ბოლოს, მეტყვით თუ არა, რისთვის მოხვედით?

– მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ, რა აზრი აქვს დამალვას... სამი დღის წინ ფონიჭალის მიდამოებში, მტკვრის ნაპირზე, გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს. გარდაცვლილს ტანსაცმლიდან მხოლოდ შავი ფერის „არმანის" შარვალი და ნიანგის ტყავის „გუჩის" წარმოების ქამარი შერჩა. მუცელზე კი ნაიარევი აქვს და, ექსპერტის აზრით, ეს ქირურგიული ოპერაციის შედეგი უნდა იყოს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ის აკაკია?! – გაჭირვებით წარმოთქვა მაკამ.

– მე ვსაუბრობ ოპერატიულ მონაცემებზე, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნია. ამოცნობის პროცედურის ჩატარებამდე ვერანაირ დასკვნას ვერ გამოვიტან, – თქვა ზურაბმა.



– არა... არა... არ მჯერა!.. – მოულოდნელად წამოიყვირა მაკამ და სახე ხელებში ჩარგო.

მისი ყვირილის გაგონებაზე სასტუმრო ოთახში მყოფმა ქალებმა საუბარი შეწყვიტეს და სამზარეულოს მოაწყდნენ.

– რა ხდება აქ?... ვინ ხართ?! – ერთხმად მიაყარეს ზურაბს ნანახი სურათით გაოცებულმა ქალებმა.

– დამშვიდდით, მე პოლიციიდან ვარ, – უპასუხა ზურაბმა.

მაკა ერთ-ერთ ქალს მკერდში ჩაეკრა და ტირილით თქვა:

– მან მითხრა, რომ კაკო დაიღუპა!...

– დაიღუპა?! – ქალებმა შიშით აღსავსე მზერა მიაპყრეს ზურაბს.

– ეს მხოლოდ ვარაუდია. საჭიროა ამოცნობა.

– ახლავე წავიდეთ. სად არის კაკო?! – ტირილით ჩაილაპარაკა მაკამ.

– მარტოს ვერ წაგიყვანთ. უნდა იცოდეთ, რომ იქ საკმაოდ მძიმე სანახაობა გელით, – თქვა ზურაბმა.

– არა... მაინც წამოგყვებით. უნდა დავრწმუნდე, რომ ის არ არის. ჰო... ის არ არის!

– თქვენც გამოჰყვებით? – მაკას მეგობრებს მიმართა ზურაბმა.

– რა თქმა უნდა, – უპასუხეს მათ.

– კეთილი. მე სადარბაზოსთან დაგელოდებით, – თქვა ზურაბმა და გასასვლელ კარს მიაშურა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ირაკლი ანდრიაძის გახსენება



ბატონო ირაკლი! ერთი წელი გახდა, რაც ჩვენთან აღარ ხართ; ერთი წელია, უზომოდ ენატრებით თქვენს უსათნოეს მეუღლეს – ციალა დეიდას, თქვენს დიდ და ლამაზ მონაგარს, ახლობლებს და მეგობრებს, რომელთა შორის მეც გეგულებით ალბათ დღესაც.

ვინც გიცნობდათ, ვისთანაც ერთხელ მაინც გისაუბრიათ, არასდროს დაავიწყდებით.

თქვენი ხსოვნის სანთელი თქვენი სასახელო ოჯახია და დიდი სამების ტაძარი, რომელშიც თქვენი სულის ნაწილია ჩადებული.

თქვენი უმცროსი მეგობარი

**თამრიკო ზამთარაძე**

**მურთაზ და ლიკა შელიების უფროსი შვილი, 14 წლის ანა შელია, მიუხედავად პატარა ასაკისა, სამოდელი სფეროში საკმაოდ პოპულარულია და ამ კუთხით უკვე არაერთ წარმატებას მიაღწია. მშვენიერი გარეგნობის ანა საყვარელი, ხალისიანი გოგონაა და მასთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.**

# როგორ უწინასწარმეტყველა ანა შელიას ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა „ვარსკვლავობა“ და რა შემოთავაზება მიიღო მან პარიზული სააგენტოებიდან

**ანა შელია:** მერვე კლასში ვსწავლობ, ვარ 14 წლის. დილით ვდგები, მივდივარ სკოლაში და ვრჩები 4 საათამდე. მერე მივდივარ ინგლისურზე. დიღომში ვცხოვრობთ, მთელი დღე ქალაქში მიწევს ყოფნა. ამიტომ, დილის 8 საათზე რომ გავდივართ, საღამოს 8 ან 10 საათზე ვბრუნდებით სახლში. მოკლედ, მთელი დღე ქუჩაში ვარ. პლუს ამას, ვმეცადინეობ. დავდიოდი თაკო ჩხეიძის სააგენტოში, ახლა უკვე გადავედი ძირითად მოდელებში და ყოველდღე სიარული აღარ მჭირდება. „ჯეო მოდელსში“ ბევრ რამეს გვასწავლიან. საინტერესო გაკვეთილები გვაქვს მეტყველების, ფსიქოლოგიის, ცეკვის. ბავშვობაში ძალიან ბევრ რამეზე დავდიოდი: ჩოგბურთზე, ბალეტზე. ძალიან მიყვარს ბალეტი, თან, პუანტებზე არასდროს ვმდგარვარ და მინდა, დავდგე. სიმღერაზეც დავდიოდი ჭოხონელიძეებთან. როგორც ბებიაჩემი ამბობს: ყველაფერში მაქვს ნიჭი, მაგრამ ზარმაცი ვარ, თან ძალიან.



**მამა ბავშვობაში მეხუმრებოდა, აუცილებლად მეგრელს უნდა გაჰყვე, თან ფეხბურთელსო. ერთხელ, მაგის გამო ვიტირე: არ მინდა მეგრელი ქმარი-მეთქი**

**– განსაკუთრებით, სწავლასთან დაკავშირებით?**

– არდადეგებზე დედა მეჯდა გვერდით და მასწავლიდა გეოგრაფიას. კონსპექტებს მაწერინებს. ბოლო დროს გადაღებები მქონდა, პარიზში ვიყავი. ამიტომ, სკოლაში ბევრი გაცდენა დამიგროვდა. არ ვიცი, მაპატიებენ თუ არა, უნდა ჩავაბარო. ამიტომ დამსვა დედამ და მამეცადინა. ახლა ისტორია უნდა მამეცადინოს.

**– რა ხდებოდა პარიზში – დასასვენებლად იყავით თუ საქმეებზე?**

– მამაჩემი პარიზში წავიდა საქართველო-საფრანგეთის თამაშის საყურებლად, დედაც გაჰყვა. თაკო ჩხეიძემ უთხრა დედას: ბარემ ანაც წავიყვანოთ, სააგენტოებში მივიყვანოთო. ძალიან ბევრ ცნობილ და წარმატებულ სააგენტოში ვიყავით. 16 წლამდე იქ მოდელობა არ შეიძლება. თუმცა, მე ძალიან მოვეწონე და ასე მითხრეს: 16 წლის, რომ გახდები, ჩამოდი, გელოდებითო. მერე იაპონიაში უნდა წავსულიყავი. უბრალოდ, ძალიან პატარა ვარ და 3 თვე იაპონიაში ძალიან გამიჭირდება. ან როგორ უნდა ვიარო, არაფერი ვიცი. ალბათ, უფრო მომავალ წელს წავალ. მაისში ერთ-ერთი სააგენტოს წარმომადგენელი აპირებს ჩამოსვლას და არ ვიცი, რას იზამენ. იაპონიაში ძალიან კარგია, მანქანას მიჰყავხარ-მოჰყავხარ. პარიზში უფრო რთულია, მეტროთი უნდა ვიარო, თან, ძალიან ცივი ხალხია და უფრო იაპონიაში მირჩევნია წასვლა.

**– ასეთ პატარას მშობლები მარტოს გიშვებენ?**

– კი, დედა ძალიან მეხმარება, გვერდში მიდგას. მამას უხარია, ჩემს წარმატებებს რომ ხედავს.

**– თაკოც გეხმარება წარმატებების მიღწევაში?**

– თაკოს მეუღლე, რუსლან აბაშიძე – ჩემი ნათლია, სულ ახერხებს ჩემს ნახვას, ტალინშიც ჩავდივართ ხოლმე. ერთი-ორჯერ კონცერტზეც ვიყავით ერთად: ჯერ მადონას, შემდეგ ლედი გაგასი. პარიზში როცა ვიყავი, ჯასტინ ბიბერის კონცერტზე წავედი. თან, სულ მარტო ვიყავი, დედაჩემმა გამიშვა. თავიდან ძალიან დავიბენი და მერე ჩვეულებრივ ვიჯექი, ძალიან მომეწონა, ისეთი ლამაზი შოუ ჰქონდა. მადონას კონცერტზე ტალინში ვიყავით: მე, დედაჩემი, ჩემი და ელენა, თაკო, თაკოს მეუღლე, მათი შვილი სერგი და ჩემი ბიცოლა – ანა კოშაძე. ლედი გაგას კონცერტზე მე, ელენა, სერგი, თაკო და ლიკა ვიყავით, ძალიან კარგად გავერთეთ.

**– როგორ გარემოში იზრდებოდი, ალბათ, ხშირად გიწევდა მამის, დედის მეგობრების გარემოცვაში ყოფნა?**

– ცალკე მამაჩემის მეგობრები მოდიოდნენ, ცალკე – დედაჩემის. თემურ ქეცბაია ხშირად არის ჩვენთან, ირგვლივ ყველას ვიცნობთ. სამოდელო სააგენტოშიც ძალიან ბევრი ნაცნობი გვყავს და ყველას უნდოდა, მოდელი ვყოფილიყავი. ბავშვობაში არ მინდოდა, არ მომწონდა, მაგრამ მერე შევეჩვიე. ძალიან რთულია. სანამ „ფეშენ ვიქი“ დაიწყებოდა, წინა დღეს „პრიმერკები“ გვქონდა. დილის 7 საათზე „იმედის დილაში“ ვიყავი, 12 საათზე – „პრიმერკაზე“, მერე ქასთინგზე, მერე ისევ „პრიმერკაზე“, მერე რეპეტიციაზე და ბოლოს სახლში სამ საათზე მოვედი. მეორე დილას „ფეშენ ვიქი“ იწყებოდა.

**– ძმაც გყავს არა?**

– მე ვარ უფროსი, 12 წლის და მყავს და 6 წლის – ძმა. მამას უნდა, რომ ფეხბურთელი გამოვიდეს. ერთხელ ასეთი ამბავი მოყვა: ბაღში მივაკითხე, მასწავლებელმა მითხრა, ფეხბურთს თამაშობენო. მივედი, ყველა თამაშობდა და მარტო ეს იჯდაო... კინაღამ გული გაუსკდა. ელენაზე ამბობდნენ, რომ ბიჭი დაიბადებოდა და მამაჩემსაც ბიჭი ეგონა, მაგრამ გოგო დაიბადა. რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა. ჩემს ძმაზეც ამბობს – მომავალი ფეხბურთელიაო, მაგრამ ერთი ადგილიდან არ დგება. სულ ზის, ან ტელევიზორს უყურებს, ან აიპედშია ჩართული.




**– როგორია მურთაზ შელია, როგორც მამა?**

– ძალიან საყვარელია. ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. გვერდში მიდგას, უხარია ჩემი წარმატებები და არ მიკრძალავს მოდელობას. ხშირად მივდივართ ერთად. სულ მეუბნება: შენი „ფეისბუქი“ ჩამირთეო, მაინცდამაინც არ მინდა, მაგრამ მაინც ვურთავ. მამას უნდა, რომ ერთად ვიაროთ სადმე: კუს ტბაზე ავდივართ, კაფეში ვსხდებით. ვერ იტანს, როცა კომპიუტერთან ვზივარ. მეჩხუბება: ერთმანეთს ეკონტაქტეთ, ასე ჯობიაო. დედა ძალიან მკაცრია, სულ მამეცადინებს. უნდა, ჭკვიანი ვიყო და ენები ვიცოდე. მაგრამ, ძალიან მეგობრულია, ყველაფერს ვუყვები, ისეთ რაღაცასაც, რასაც მეგობრებსაც ვერ მოვუყვები. ბიჭებზეც ყველაფერი იცის, ბევრ რჩევას მაძლევს: ასე არ მოიქცე, ისე არ მოიქცეო. გატაცების ასაკში ვარ, არის რაღაცეები, მაგრამ სერიოზული არა. მამას ასეთ რაღაცეებს არ ვუყვები, მაგრამ იცის, ვინც მომწონს. ბავშვობაში მეხუმრებოდა, აუცილებლად მეგრელს უნდა გაყვე, თან ფეხბურთელსო. ერთხელ, მაგის გამო ვიტირე: არ მინდა მეგრელი ქმარი-მეთქი. ახლანდელი თაობა ძალიან გაფუჭებულია, სიგარეტს ეწევიან და ასე შემდეგ. ეშინიათ, მეც არ გავაკეთო რამე. მაგრამ არ ვარ ასეთი, არც მაქვს ასეთი რაღაცეების კეთების სურვილი. ახლა ხომ მოდაშია ვაკეში სიარული, ჩემები არ მიშვებენ. დიღმის იქით ვერ გავდივარ. მწერენ მეგობრები: როდის გამოხვალო და მე არ ვიცი. ბოლოს იმდენი მეგობარი მყავს სანახავი, აღარ ვიცი, ვინ ვნახო.

**– ალბათ, ერთი სული გაქვს, როდის გახდები სრულწლოვანი.**

– კი, სულ ვოცნებობ. მაგრამ, მგონი, არც მაშინ გამიშვებენ.

**– მოდელობა შენი სურვილით გადაწყვიტე?**

– კი, მე მინდოდა ძალიან. დედაჩემი ვერ გახდა მოდელი, ავარიაში მოყვა და მთელი ამბები იყო. ამ ამბავს არ იხსენებს, მაგრამ ვამჩნევ, რომ გული სწყდება. თაკომ ხომ გახსნა სამოდელო სააგენტო „ჯეო მოდელსი“ და უნდოდა, მივსულიყავი. ძალიან მომწონს სააგენტოში, ბევრი მეგობარი გავიჩინე, შინაურად ვგრძნობ თავს.

**– უცებ გახდი პოპულარული. „ფეშენ ვიქის“ სახე უკვე ორჯერ იყავი.**

– ეს არ ხდება თაკოს დახმარებით, სხვები გვარჩევენ ქასთინგებით. ძირითადად, ქასთინგებით მივდივარ. არ მინდა, ვინმემ თქვას, ეს ამის შვილია, ამის ნათესავიაო. ჩემით მინდა, მივაღწიო წარმატებას. ამიტომ, სულ დავდივარ ქასთინგებზე, რომ ვინმეს თვალში მოვხვდე და მერე გადამიღონ.

**– „თბილისი ფეშენ ვიქის“ შემდეგ ცნობილმა დიზაინერმა მარკ ბაუერმა მის შოუში მონაწილეობა შემოგთავაზა.**

– ძალიან გამიხარდა. ჯერ ინსტაგრამზე ჩემს სიახლეებს გაეცნო – „დამაფოლოვა“, ამაზე ხომ საერთოდ გავგიჟდი. მანამდე თაკოს უთხრა, ძალიან მომწონსო. როგორც გავიგე, სულ მაკვირდებოდა. ერთი ჩვენების შემდეგ გარეთ გამოვედი, ვიღაც უცხოელი მოვიდა, არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა, მითხრა: შეიძლება, ფოტო გადავიღოთო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მერე მითხრა: ძალიან ლამაზი ხარ და მინდა, ჩემს შოუში მიიღო მონაწილეობაო. ეს თაკოსთვისაც უთქვამს. მერე ჩემი ფოტოებიც მოიწონა და იქაც დამიწერა იგივე: შენ დიდი ვარსკვლავი იქნები და მინდა, ნიუ-იორკში ჩემს შოუში მიიღო მონაწილეობაო. ისე გამიხარდა, ძალიან ცნობილი დიზაინერია, წითელი ხალიჩისთვის აცმევს ბიონსეს, ანჯელინა ჯოლის, შარლიზ ტერონს, ედი კლუმს, უიტნი ჰიუსტონსაც აცმევდა. ძალიან ლამაზი კოლექციები აქვს.

**თაკოს მეუღლე, რუსლან აბაშიძე, ჩემი ნათლია, სულ ახერხებს ჩემს ნახვას, ტალინშიც ჩავდივართ ხოლმე. ერთი-ორჯერ კონცერტზეც ვიყავით ერთად: ჯერ მადონას, შემდეგ ლედი გაგასი**

**ნათია უტიაშვილი**

**ტარიელ მაისურაძე ბელორუსში ძალიან ცნობილი მომღერალი, კომპოზიტორი, მსახიობი და ტელეწამყვანია, თუმცა, სამწუხაროდ, მას ქართული პუბლიკა ნაკლებად იცნობს. ტარიელი გუდაუთიდან ლტოლვილია და ომის საშინელმა ქარტეხილმა მისი ოჯახიც ძალიან დააზარალა... მის სახელს უკავშირდება სკანდალური განქორწინების პროცესი, რომელიც მან სასამართლოში მოიგო.**

# რა ტრაგედია გადაიტანა ტარიელ მაისურაძემ და როგორ გახდა ის ლუკაშენკოს ერთ-ერთი საყვარელი შემსრულებელი



**ალმოჩნდა, რომ ვიღაც იტალიელთან ჰქონდა რომანი და იტალიაში წავიდა... გამაფრთხილა, ჩემს შვილს არ გაეკარო, თორემ პედოფილიაში დაგდებ ბრალსო**

**ტარიელ მაისურაძე:** ძირითადად, რუსულად ვმღერი. ამიტომ, რუსული პროგრამა უფრო აქტუალურია. ვაპირებ ქართული სიმღერების შესრულებას ახლებური ჟღერადობით. სექტემბრიდან მექნება გასტროლები ასევე უკრაინაში, ორი ინგლისურენოვანი სიმღერა უნდა გადავცე ბელგიურ რადიოსადგურებს, რომ დაატრიალონ... ბელორუსის მოქალაქეობა კურიოზულად მივიღე – მე ვარ როგორც საქართველოს, ასევე ბელორუსის მოქალაქე. კონკურსზე უნდა წავსულიყავი პოლონეთში, სადაც სხვათა შორის, გრანპრი ავიღე. საბჭოთა პასპორტი მქონდა. აფხაზეთში გაგანია ომი მიდიოდა, მე კი აქ სტუდენტი ვიყავი. ჩემი ოჯახი უკვე ლტოლვილი იყო. იძულებული გახდნენ, მეორე მოქალაქეობა მოეცათ. ადრე არ იყო ასეთი მკაცრი კანონები, ყველანი საბჭოთა მოქალაქეები ვიყავით.

– **თბილისში არაფერი გაქვთ, ტარიელ?**

– არაფერი, სამწუხაროდ. 14 წელია ლტოლვილების სიაში ვარ, შევხვდი დიასპორის მინისტრსაც 2010-ში, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ყველა რაღაცას მპირდება, მაგრამ აქამდე არაფერი მოუციათ. ეგ ყველაფერი სპორტლოტოა ***(იცინის).*** მშობლები ჩემს დაბადებამდე თბილისში ცხოვრობდნენ, მერე მამამ ბინა გაყიდა და გუდაუთაში გადავიდნენ, ზღვისპირას. ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა...ერთმანეთისგან 30 ნაბიჯში იყო ქართული და აფხაზურ-რუსული სკოლები... ერთად ვთამაშობდით, ხან შეხლა-შემოხლაც გვქონდა, მაგრამ სერიოზული არაფერი. ჩვენს სამეზობლოში ინციდენტები არ ყოფილა. ომი რომ დაიწყო, სოხუმიდან ბანდფორმირებები შემოვიდნენ, მარადიორობდნენ, ხალხს ხოცავდნენ... ჩემმა ოჯახმა ბევრი ტკივილი გადაიტანა. ჩვენ საერთოდ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავით. მოდიოდა ხალხი და ყვებოდნენ ხან აფხაზებზე, ხან მხედრიონზე... ჩვენც შემოგვიცვივდნენ სახლში. ჩვენს სახლთან დიდი სატვირთო გაჩერდა – 20 კაცი იქნებოდა, გზიდან სახლებს ესროდნენ. სახლი გაჩხრიკეს, მე და მამაჩემს სასტიკად გვცემეს, მანქანის გასაღები წაგვართვეს, ფეხებში გვესროდნენ. დაგვემუქრნენ, ხვალაც მოვალთ და ფული რომ გაქვთ შენახული, გაამზადეთო. ჩემი აფხაზი ნათლია გამოვიდა ჩვენს დასაცავად – აფხაზურად უყვიროდა, რას აკეთებთო. იმასაც ფეხებში ესროლეს დასაშინებლად... სახლში შედი და სხვის საქმეში ნუ ეჩრებიო. მერე მე ბელორუსში წამოვედი, აქ ჯარში ვმსახურობდი და დავბრუნდი. მშობლები დარჩნენ, ჩვენ მოხუცები ვართ, ხელს არ გვახლებენო. ჩემს ძმას ოჯახი ბიჭვინთაში ჰყავდა, ძლივს მოახერხა მათი ტყვეობიდან გამოხსნა – აფხაზ ტყვეებში გაცვალა. ჩემი შუათანა ძმა – ფრიდონი, ამ ომში დაიღუპა. მანდარინის პლანტაციაში ვიპოვეთ, 21 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, თავი – კონდახით გატეხილი... ვინც ომში წასვლაზე უარს ამბობდა, ყველას ხოცავდნენ... ჩემთვის ძალიან მძიმე იყო ეს პერიოდი, წვერი მოშვებული მქონდა, ძმას ვგლოვობდი და მუსიკალურ კონკურსზე მომიწია გასვლა. მეც ჩავფრინდი სოხუმში, მინდოდა ომში წასვლა, მაგრამ გამომაგდეს, პატარა ხარო... აფხაზებთან ახლა მიმოწერაც კი არ მაქვს, საშიშია, უკრძალავს მთავრობა ქართველებთან კონტაქტს.

– **როგორ დაიწყო ბელორუსში თქვენი კარიერის აღმავლობა?**

– თავიდან პრობლემა მქონდა, საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა, აქაც იყო ნაციონალისტური მოძრაობის ტალღა და მაიძულებდნენ, ბელორუსული მესწავლა. თუ არ გინდა, წადი შენს საქართველოშიო, მეუბნებოდნენ. მთელ ჯგუფში მარტო მე ვიცოდი ბელორუსული, დანარჩენი ყველა რუსულად ლაპარაკობდა. ის კი არა, მუსიკალური ტერმინებიც თავიანთ ენაზე შემოიღეს, სანოტო ნიშნები ***(იცინის).*** სწავლის დამთავრების შემდეგ, წასასვლელი არსად მქონდა, არც თბილისში, არც აფხაზეთში... აქაც საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, ლტოლვილის სტატუსს ვერ ვღირსე. მოხდა ისე, რომ ორკესტრთან დავიწყე მუშაობა, როგორც უმაღლესი რანგის შემსრულებელმა – სადაც ჯაზკონცერტები იყო, ყველგან ვმღეროდი. „სლავიანსკი ბაზრის“ და ბევრი კონკურსის ლაურეატი ვარ. „სლავიანსკი ბაზარზე” ტაისია პავალისთან ერთად ვმღეროდი, კონკურსანტები ვიყავით. სურათიც მაქვს ***(იცინის).*** მე მეკუთვნის სიმღერა – რომელსაც საკმაოდ ბევრი ცნობილი შემსრულებელი ასრულებს, ასრულებენ კონკურსებზეც. ასევე, მაქვს დაწერილი სიმღერა, რომელსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ბრაზილიელი გოგონა მღერის და თან, რაღაც ეროვნულ საკრავზე უკრავს ***(იცინის).*** არადა თავიდან სულ პრობლემა მქონდა – ჯერ აქცენტი, მერე აქ ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ, ცუდი თვალით მიყურებდნენ. ერთი მომღერალია, ბელორუსის სახალხო არტისტი, კონცერტისას კულისებში მოვიდა და მითხრა, ეს სიმღერა არ იმღერო, ეგ ჩვენ უნდა შევასრულოთო. მას მერე ბევრი დრო გავიდა, თითქოს ვმეგობრობთ კიდეც, მაგრამ მაშინდელი ამბავი მაინც ხინჯად დგას ჩვენს შორის. ვიყავი ასევე რადიოწამყვანი და ლექტორი უნივერსიტეტში, სადაც გავრცელდა პირველად კომპიუტერული არანჟირება ჩვენს წრეში. ის სიმღერა, ზემოთ რომ ვახსენე, საკმაოდ ცნობილი პოეტის ლექსზეა შექმნილი. მე, ძირითადად, ჩემ მიერ დაწერილ სიმღერებს ვასრულებ. ვარ მსახიობი და

**საკმაოდ, ხშირად მპატიჟებენ კონცერტებზე და პრივატულ წვეულებებზე, სადაც თავად ბატონ ლუკაშენკოს შეუძლია, თავს უფლება მისცეს, თავისუფლად იყოს, გაერთოს, იცეკვოს**

შესრულებული მაქვს კინოროლები. ასევე, რამდენიმე წლის წინ მიმყავდა ტელეეთერით გასართობი გადაცემები.

– **პირად ცხოვრებაზე მინდა, გკითხოთ და სკანდალურ პროცესზე, რომელიც თქვენს სახელთანაა დაკავშირებული..**

– სასამართლო პროცესი 2009 წელს მქონდა... მეუღლესთან მანამდე დიდი ხნით ადრე დამეწყო პრობლემები. არ ვიცი, შემთხვევით მოხდა თუ არა, ჩემი სიდედრის დაქალი ოსი იყო, ადრე პროკურორად ნამუშევარი. ამ ქალმაც ერთ-ერთი როლი ითამაშა ჩვენი ურთიერთობის დაძაბვაში, მას შემდეგ, რაც ოსეთში ომი დაიწყო... ბევრ სერიოზულ თანამდებობის პირთან მომიწია „ჭიდაობა“. 2001 წლიდან ერთად ვცხოვრობდით, სამოქალაქო ქორწინებაში. 110 სასამართლო სხდომა გაიმართა ამ საქმეზე.

– **მართალია, რომ თქვენ ტატიანას გამო მიატოვეთ პირველი მეუღლე?**

– არა, მე პირველ მეუღლესთან უკვე გაცილებული ვიყავი და ეგ ჟურნალისტების მოგონილია. მე და ტატიანა ერთად ვმუშაობდით, ის რადიოში პროგრამების დირექტორი იყო, მე – მუსიკალური დირექტორი. საერთო საქმემ, კორპორატიულმა წვეულებებმა, თემებმა დაგვაახლოვა.. მას უკვე ჰყავდა პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი – ანია. არასოდეს მიკითხავს, სად იყო მამამისი, შვილს მარტო ვზრდიო, გამომიცხადა. ნელ-ნელა შემაჩვია ბავშვი, მიმყავდა-მომყავდა, მამას მეძახდა მისი შვილი უკვე... მერე მითხრა, ასე როდემდე უნდა ვიაროთო და გადავედით ერთად საცხოვრებლად. მის შვილს საკუთარი შვილივით ვზრდიდი. იმ პერიოდში გასტროლებზე ხშირად დავდიოდი ესპანეთში, პორტუგალიაში... რომ ჩამოვედი, ვნახე, რომ ჩემს ცოლს და მის დაქალს ერთობლივი ბიზნესი წამოუწყიათ – საქორწინო სააგენტო ჰქონდათ გახსნილი. გვიანობამდე არ ბრუნდებოდა სახლში, იკარგებოდა. ასეა საჭიროო, – გამომიცხადა. მერე მითხრა: თანამედროვე ევროპელი ქალი ვარ, როცა მინდა წავალ და მოვალ, შენ ვინ ხარო. გავგიჟდი! მერე აღმოჩდა, რომ ვიღაც იტალიელთან ჰქონდა რომანი და იტალიაში წავიდა. გამაფრთხილა, ჩემს შვილს არ გაეკარო, თორემ პედოფილიაში დაგდებ ბრალსო. არადა ბავშვს ძალიან ვუყვარდი. ორი წლის შემდეგ წერილების წერა დაიწყო, ბოდიშებს მიხდიდა, მაპატიეო, ხალხს მიგზავნიდა, მაგრამ არავის ვიკარებდი. ერთხელ შუა ზამთარში მანქანის წინ გზა გადამიკეტა და მუხლებზე დაიჩოქა, თუ გინდა, გამიტანე, მაგრამ მომისმინეო. მერე ღამის 12 საათზე მომადგა ბავშვით... დილამდე მუხლებზე ფორთხავდა, ტირილით. მოკლედ, ვაპატიე... პირადს რაც შეეხება, გუდაუთაში მყავდა ქართველი შეყვარებული... შემომთავაზა, დავქორწინდეთო. კრასნოდარში სამედიცინოზე აბარებდა. უარი ვთქვი, სწავლა მინდოდა. მერე ჩემს ჯიბრზე გათხოვდა. მთელი კლასი იყო ქორწილში ჩემ გარდა ***(იცინის).*** რაღაც დროის მერე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. იტირა, ლოთია ჩემი ქმარი, მის სუნსაც კი ვერ ვიტანო. მთხოვა, გავიქცეთო. რა უნდა მექნა, ისევ უარი ვუთხარი... რომელი სრულ ჭკუაზე მყოფი კაცი მოსტაცებს სხვა კაცს ცოლს და შვილს. მაინც გასცილდა ქმარს, გალოთდა და განარკომანდა. მე სოხუმში წავედი გაბრაზებული, ავღანეთში საომრად წასვლა მინდა-მეთქი. ბიძაჩემი რაიკომის მეორე მდივანი იყო და გაგიჟდა, შენ ხომ არ გასულელდი. თუ ჯარში გინდა, ბელორუსში წადი იქ იმსახურეო. ასე აღმოვჩნდი ბელორუსში.

– **ლუკაშენკოს კარგად იცნობ?**

– კი, საკმაოდ. ხშირად მპატიჟებენ კონცერტებსა და პრივატულ წვეულებებზე, სადაც თავად ბატონ ლუკაშენკოსაც შეუძლია, თავს უფლება მისცეს, თავისუფლად იყოს, გაერთოს, იცეკვოს... კარგი და ცუდი ყველა ადამიანს აქვს. მას ძალიან უყვარს და აინტერესებს კულტურული ცხოვრება.

– **თქვენს შვილებზე მიამბეთ, უფროსს გიორგი ჰქვია, გოგონას – თინათინი.**

– უფროსი ვაჟი უნივერსიტეტში სწავლობს, საკმაოდ პრესტიჟულ ფაკულტეტზე. ქართული არ იცის, სამწუხაროდ. არც თინათინმა იცის ქართული, თუმცა სურვილს გამოთქვამს, ისწავლოს. გიჟდება ჩემზე. მეც განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ. ალბათ, გიორგი რომ გაჩნდა, მაშინ ასაკით პატარა ვიყავი და იმდენად ვერ აღვიქვამდი, რა იყო მამობა. სხვათა შორის, მშვენივრად მეხერხება კულინარობა და ჩემი შვილისთვის სიამოვნებით ვამზადებ ხოლმე. ლამაზი და ნაზი გოგოა ჩემი თინათინი.

**ქეთი დიდებულიძე**

**ჩვენი საზოგადოება უკვე იცნობს არატრადიციული მედიცინის მეთოდებს. ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ამ მიმდინარეობისა არის ქართველი ენერგობიოკორექტორი, აკადემიკოსი ჯუნა დავითაშვილი. საქართველოში არსებობს მისი სახელობის ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია. აკადემიკოსი გია სულაქველიძე არა მხოლოდ საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ძალიან პოპულარულია. ექიმი-ფსიქოთერაპევტი დიდი ხანია სწავლობს ალტერნატიული მედიცინის მიმდინარეობებს და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული არაერთი ადამიანი აღმოუჩენია. მათ შორისაა ენერგობიოკორექტორი ნანა მამაგულაშვილი, რომლის განსაკუთრებული ნიჭითა და მკურნალობის კომპლექსური მეთოდიკით აზერბაიჯანშიც დაინტერესდნენ.**

**გვესაუბრება ალტერნატიული მედიცინის დამოუკიდებელი ექსპერტი, აკადემიკოსი, ექიმი-ფსიქოთერაპევტი გია სულაქველიძე.**

# რატომ არის ალტერნატიული მედიცინა მედიცინის ერთ-ერთი მიმართულება და მკურნალობის რა კომპლექსური მეთოდები აქვს ენერგობიოკორექტორ ნანა მამაგულაშვილს

**– ბატონო გია, რა არის ალტერნატიული მედიცინა და რატომ გაიზარდა მისი ავტორიტეტი?**

– ალტერნატიული მედიცინა არის მედიცინის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც მკურნალობაში არ იყენებს წარმოების გზით მიღებულ სამკურნალწამლო საშუალებებსა და ქირურგიულ მეთოდებს. ალტერნატიულ მედიცინაში პაციენტი განიხილება მთლიანობაში და მის მიმართ არის ინდივიდუალური მიდგომა, რადგან, ქიმიურ წამლებს აქვს ბევრი გვერდითი მოვლენა. ალტერნატიულმა მედიცინამ მსოფლიოში ავტორიტეტი აიმაღლა მისი შედარებით უსაფრთხოების გამო... დღეს ამ მიმართულებით საქართველოში ორგანიზაციულ დონეზე აქტიურობა არ იკვეთება და ძირითადად ინდივიდუალური ორგანიზაციები ფუნქციონირებენ.

**– ანუ, არ არსებობს სპეციალური სამედიცინო დაწესებულება, სადაც თავმოყრილი იქნებიან მედიცინის ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები?**

– დიახ, თითქმის მიმიხვდით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2001 წელს მიიღო იურიდიული დოკუმენტი ხალხური და კომპლემენტარული (ალტერნატიული) მედიცინის შესახებ. ამ დოკუმენტში თავმოყრილია 120 ქვეყნის გამოცდილება. საქართველოს ეროვნულ აკადემიაში ალტერნატიული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი ვარ და ჩემი რეკომენდაციით საპატიო წევრად მივიღეთ ქალბატონი ნანა მამაგულაშვილი. ნანას აქვს კომპლექსური მეთოდიკა (ავტორისეული): ნუმეროლოგია, ქანქარა, ჩაკრების დიაგნოსტიკა... ვეძებდი პარტნიორებს და გამოგვეპასუხა ერთ-ერთი საერთაშორისო ინსტიტუტი (შტაბ-ბინა აზერბაიჯანშია), სადაც არის კურსები: პარაფსიქოლოგია, ბიოენერგეტიკა, ექსტრასენსული უნარების განვითარება). ალტერნატიული მედიცინის ავტორიტეტი გაამყარა და მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა ჯუნა დავითაშვილმა, რომელიც, რომ არ მოხვედრილიყო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ყურადღების არეალში, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რით დამთავრდებოდა მისი კარიერა და რამდენი ხნით დამუხრუჭდებოდა ბიოენერგეტიკული მეცნიერების განვითარება.



**– ანუ, ქალბატონ ნანას აქვს უნარი, განკურნოს ადამიანები?**

– ნანა რომ გავიცანი, მივხვდი, რომ განსაკუთრებულ შემთხვევასთან მქონდა საქმე. ასეთი ბუნებრივი ნიჭი და შესაძლებლობები იშვიათად მინახავს. არსებობს ცნება – „კოსმიური სუფთა ენერგიები“ და ნანა თითქოს იზიდავს ამ ენერგიებს, რათა მერე იმას გადასცეს, ვისაც ის რეალურად სჭირდება. ნანას გარშემო მყოფი ადამიანები დადებითი ენერგიის მოზღვავებას გრძნობენ და მათი ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლება. ნანა მამაგულაშვილის ხალას ნიჭსა და ფენომენს ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის. საკმაოდ საინტერესო ჯგუფი შედგა და, ვაპირებთ, საქართველოს ფარგლებს გარეთაც ვიმუშაოთ, მასტერკლასები გავმართოთ. მე შევხვედრივარ ვანგას, კარგად ვიცნობ ქალბატონ ჯუნა დავითაშვილს და ვიცი, რას ნიშნავს ნანა მამაგულაშვილის ფენომენი. ასეთები ბევრნი არ არიან, თანაც, არა მხოლოდ საქართველოში. ძალიან ბევრი კარგის თქმა შემიძლია ნანაზე.

**– ქალბატონო ნანა, საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრობა. ეს დიდ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ.**

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. დიპლომი რომ გადმომცეს, საოცარი შეგრძნება მქონდა. პასუხისმგებლობას რაც შეეხება, მე ყოველთვის უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ჩემთან მოსული თითოეული ადამიანის მიმართ. საპატიო დიპლომი იოლადაც არ მომიპოვებია ***(იღიმება).*** ბატონი გია საკმაოდ დიდი ავტორიტეტია. ის არა მარტო საქართველოს კომპლემენტარული (ალტერნატიული) მედიცინის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტია, არამედ, ალტერნატიული მედიცინის დამოუკიდებელი ექსპერტიც. ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და ცნობილი ექიმი-ფსიქოთერაპევტიცაა. ტესტების ჩაბარების მერე მითხრა, უდიდესი პოტენციალი გაქვს, შეგიძლია, ადამიანებს ძალიან დაეხმაროო.




**– თქვენ ხომ აქამდეც აკეთებდით ამას.**

– დიახ, მაგრამ, სულ სხვაა, როცა აკადემიკოსები აღიარებენ შენს ნიჭს. ძალიან დიდი გეგმები მაქვს. ბედნიერებაა, როცა შენი შრომა ასე ფასდება. სერიოზულად მოვემზადები უცხოეთში მასტერკლასებისთვის. მართალია, უახლოეს მომავალში ქვეყნიდან გასვლა მომიწევს, მაგრამ, ჯერ აქ ვარ, მობილურიც სულ ჩართული მაქვს (577-75-54-18) და, მზად ვარ, ყველას მოვუსმინო.

**ნინო წულუკიძე**

# როგორ მიიღო ბერიამ საყვედური სტალინის დაკარგული ჩიბუხის გამო და რატომ ჩაუკაკუნა ბელადმა ხრუშჩოვს თავში



ლავრენტი ბერია უმაღლესი დონის პროფესიონალი, ჭკვიანი და ძალიან გაქნილი ადამიანი იყო, მაგრამ, ზოგჯერ ამლაშებდა ხოლმე, რითაც დიდ ბელადს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. 1946 წლის 15 იანვარს, როგორც კი პოლიტბიუროს სხდომა დამთავრდა, სტალინმა ბერია დაიტოვა და უთხრა: „ლავრენტი, შენ, როგორც მთავარ ჟანდარმს, – ზოგჯერ ასე მიმართავდა ხოლმე მას სტალინი პირადი საუბრისას, – გავალებ, იპოვო ჩემი ჩიბუხი, რომელიც ამ დილით საძინებელში ვერ ვნახე. ღამით ვეწეოდი და, სად გაქრა, წარმოდგენა არ მაქვს. სტალინს ჩერჩილის ნაჩუქარი, „დანჰილის“ ფირმის ორი ჩიბუხი ჰქონდა, მაგრამ, მხოლოდ ერთს ხმარობდა. დიდი ბელადის საძინებელში არავინ შედიოდა დამლაგებლისა და თავად სტალინის ან მის მიერ იქ მიწვეული სტუმრის გარდა. ჩიბუხის მოპარვის ფაქტი თითქმის გამორიცხული იყო, რადგან, ყველა, ვისაც კი შეხება ჰქონდა სტალინის დაცვასთან ან მომსახურებასთან, შემოწმებული იყო. ერთი სიტყვით, ჩიბუხი სადღაც იქვე იყო, მაგრამ, ვერ პოულობდა. თუმცა, ბერია ასე არ ფიქრობდა და, მისი ბრძანებით, იმავე საღამოს, სტალინის დამლაგებელი ევგენია მატვეევნა, 60 წელს მიტანებული ქალი, დაკითხეს. მან ქურდობის ფაქტი აღიარა, მაგრამ, ვერ ახსნა, სად წაიღო ნაქურდალი. ბერია სტალინის საამებლად ავანტიურაზე წავიდა და, საბჭოთა დაზვერვის ინგლისური რეზიდენტურის მეშვეობით, მეორე დილას, სტალინს ჩიბუხი მიუტანა, თანაც, დამლაგებლის აღიარებაც დაურთო, სადაც ეწერა, რომ ჩიბუხი იმ ქალს სახლში ჰქონდა გადამალული. სტალინს რომ ეს მოახსენა, სტალინმა უნდობლად გადააქნია თავი, ჩიბუხი შეათვალიერა და თქვა: „ეს ჩემი ნივთი არაა. ნამდვილად „დანჰილის“ ფირმისაა და სათანადოდაც მოგიძველებიათ, მაგრამ, მაინც არაა ჩემი ჩიბუხი“. ბერია გაფითრდა, თუმცა, შეკამათება ვერ გაბედა. ბელადმა კი განაგრძო: „ლავრენტი, ეგ მოხუცი ქალი რომ დაგიპატიმრებია და გამოგიტეხავს ქურდობაში, ხომ არ გგონია, დაგიჯერებ? ის ჩემი ერთგულია, ან, ჩიბუხი რად უნდოდა?! ახლავე დააბრუნე უკან და ეს საზიზღრობები შეწყვიტე!“ ბერია უხმოდ გავიდა კაბინეტიდან, თუმცა, დანა პირს არ უხსნიდა. იმავე საღამოს დამლაგებელი ქალი კრემლში დააბრუნეს, სტალინმა კი მეორე ჩიბუხი გააბოლა (ბერიას მოტანილი მასვე გაატანა უკან). გავიდა ორი დღე, სტალინი საკმაოდ მწყრალად იყო ბერიაზე, არ იძახებდა და ტელეფონითაც აღარ ელაპარაკებოდა.

1946 წლის 19 იანვარს პოლიტბიუროს მორიგი სხდომა იმართებოდა, რომელზეც ბერიაც უნდა მისულიყო. პოლიტბიუროს წევრები ადრე მივიდნენ და სტალინს ელოდნენ. მათ შორის იყო ბერიაც. დიდი ბელადი რომ შემოვიდა, თავისი ადგილი დაიკავა და სხდომაც დაიწყო. სულ რამდენიმე განსახილველი საკითხი იყო და სხდომა მალე დამთავრდა, დასასრულს კი სტალინმა აიღო სიტყვა, მცირე შესავალი გააკეთა და თქვა: „რამდენიმე დღის წინ ჩიბუხი დავკარგე და მისი პოვნა ბერიას დავავალე, მან კი ახალი ჩიბუხი ჩამომიტანა ინგლისიდან და თან უდანაშაულო დამლაგებელი დააპატიმრა „აღიარებით“, რაც ყოვლად შემაძრწუნებელია და ამ საქციელის გამო მას საყვედურს ვუცხადებ თქვენ წინაშე, – შემდეგ სტალინმა ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, პოლიტბიუროს წევრებს დაანახვა და განაგრძო – აი, ამხანაგებო, ის „მოპარული“

**სტალინს გაეღიმა, შემომხედა და მითხრა: „უწესობად კი ითვლება ასეთი რამ, მაგრამ, მათთან სხვაგვარად არაფერი გამოვა. მოდი, გავიგოთ, რა ხდება პოლიტბიუროს წევრების თავში, როდესაც ისინი მარტო ან სანდო ადამიანებთან არიან“**

ჩიბუხი, რის გამოც ბერიამ „აღიარება“ მოიპოვა! ეს ნივთი ჩემი ტახტის უკან შემთხვევით აღმოვაჩინე ამ დილით – როგორც ჩანს, იქ ჩამივარდა“. ბერია თავჩაღუნული იჯდა, ხოლო პოლიტბიუროს დანარჩენი წევრები გასუსულები ისხდნენ. სტალინის წასვლის შემდეგ ყველანი დაიშალნენ. ისე მოხდა, რომ იმ დღეს სტალინთან ვიყავი დაბარებული. დიდ ბელადთან რომ შევედი, ჩემს საქმეს მოვრჩი და გამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ, სტალინმა შემაყოვნა და მითხრა: „არ გაინტერესებს, რას ფიქრობენ შენზე შენი ხელქვეითები?“ სიტყვის თქმაც არ მაცალა, რომ იქვე დასძინა: „მე ეს ძალიან მაინტერესებს და სათანადოდაც ვარ აღჭურვილი“. მე ხმა არ ამომიღია, თუმცა, მშვენივრად ვიცოდი, რომ ოციან წლებში, პირადად სტალინის დავალებით, ერთმა ჩეხმა ინჟინერმა კრემლის ყველა კაბინეტი (სტალინის კაბინეტის გარდა) და კრემლის მთელი სატელეფონო ქსელი მოსასმენი აპარატურით აღჭურვა, რომლის ცენტრიც სტალინის პატარა ოთახში იყო და მას შეეძლო თავისი ქვეშევრდომების საუბრების მოსმენა როგორც ტელეფონში, ასევე მათ სამუშაო ოთახებშიც. პატარა ოთახში გავედით. სტალინი მოზრდილ მაგიდასთან მივიდა და სკამზე დაჯდა, მე კი იქვე, მეორე სკამზე ჩამოვჯექი. სტალინს გაეღიმა, შემომხედა და მითხრა: „უწესობად კი ითვლება ასეთი რამ, მაგრამ, მათთან სხვაგვარად არაფერი გამოვა. მოდი, გავიგოთ, რა ხდება პოლიტბიუროს წევრების თავში, როდესაც ისინი მარტო ან სანდო ადამიანებთან ერთად არიან, – შემდეგ სტალინმა რაღაც ღილაკს დააჭირა ხელი და თქვა: – აი, თუნდაც, რას აკეთებს ახლა ხრუშჩოვი“. დინამიკში მკაფიოდ გაისმა ნიკიტა ხრუშჩოვის ხმა, რომელიც მკვეთრად გამოხატული ქართული აქცენტით ლაპარაკობდა – აშკარა იყო, რომ სტალინს ჰბაძავდა. სტალინმა ჯერ წარბები ასწია გაოცებისგან, შემდეგ გაეცინა, დინამიკი გამორთო და მითხრა: წამო, ერთი სეირი ვუჩვენოთ მაგ მასხარასო და კაბინეტიდან გავედით. ბელადი ხრუშჩოვის კაბინეტთან შეჩერდა, მომიტრიალდა და მითხრა: ჩუმად მომყევი, არ დავაფრთხოთ და ფაქტზე დავიჭიროთო. სტალინმა მალულად შეაღო კარი და შევედით. ხრუშჩოვი მარჯვენა კუთხეში, დიდ სარკესთან იდგა, მარცხენა ხელი სტალინივით იდაყვში ჰქონდა მოხრილი, მარჯვენაში კი ვითომ ჩიბუხი ეჭირა, თან, საულვაშეზე ისვამდა და სტალინის მანერით, მკვეთრად გამოხატული ქართული აქცენტით ამბობდა: „ყველას დაგხვრეტთ, ყველას, ვინც კი ჩემს ნებას არ დაემორჩილება და წინ გადამიდგება!“ ერთხანს ხრუშჩოვის მატრაბაზობას ვუცქერდით, რომელიც ისე იყო გართული ამ მაიმუნობით, რომ ვერ გვამჩნევდა. სტალინმა უცებ ხმა ამოიღო: „მაინც, ვის დახვრეტას აპირებ ასე სასტიკად, ნიკიტა?“ ხრუშჩოვი მოულოდნელობისგან შეხტა, გაფითრებული შემოტრიალდა და ოფლის სქელ-სქელმა წვეთებმა დაასხა, შემდეგ უეცრად აკანკალდა, თან პატიებას სთხოვდა. სტალინს გაეცინა, ჩიბუხი თავში ჩაუკაკუნა ხრუშჩოვს და უთხრა: „ნიკიტა, სულელო, კიდევ კარგი, რომ სტალინი არ ხარ, თორემ, ვინ იცის, რა საშინელებებს ჩაიდენდი...“

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

**„მეცხრე არხის“ „შუადღემ“ ქართულ, ბოლო დროს ასე პოპულარულ დღის ეთერებს შორის, ყველასგან განსხვავებული და საინტერესო ადგილი დაიკავა. „ცხელი შუადღე“ განსაკუთრებით მიმზიდველი, უნდა ვაღიაროთ, რომ შალვა რამიშვილის გამოა – ეს გადაცემის მთავარი, როგორც უწოდებენ, „იზიუმინკაა“. მძიმე და სერიოზული პოლიტიკური თემები შალვას დახმარებით ადვილად ხდება მსუბუქად მოსასმენი და ყველასთვის გასაგები. ნატა მაღალაშვილი და ქეთი კეკელია კი დღის ეთერის მაყურებელს ყოველდღე საინტერესო რჩევებით ხვდებიან.**

# რატომ ეშინოდათ თანაწამყვანებს შალვა რამიშვილის და რატომ არ მოსწონს მას ვანო ჯავახიშვილი და ოთარ ტატიშვილი

**– ყველა ტელეარხმა გააკეთა შუადღის გადაცემები, დიდი ბრძოლები მიმდინარეობს რეიტინგებში და, როგორ ფიქრობთ, „ცხელმა შუადღემ“ იპოვა თუ არა მათ შორის თავისი ადგილი?**

**შალვა რამიშვილი**: სიმართლე გითხრათ, არსებული შუადღის გადაცემების კონკურენტად არ მიგვაჩნია თავი, რადგან, უფრო განსხვავებულ გადაცემას ვაკეთებთ. განვსხვავდებით წაყვანის სტილით. შუადღის სხვა გადაცემების წამყვანებისგან განსხვავებით, გაცილებით გამოცდილი სატელევიზიო სახეები ვართ როგორც ასაკით, ისე სტაჟით. ჩვენს შუადღეში არის პოლიტიკური ნაწილი, სადაც ძალიან მწვავე თემებზე ვსაუბრობთ. ვართ უფრო თავისუფლები და, ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლოა, რაღაც არასტანდარტული მოხდეს – სტუმარი იყოს ან კითხვა დაისვას ისეთი, რომელსაც სხვა გადაცემაში ვერ ნახავთ და ვერ მოისმენთ.

**– კი მაგრამ, მაყურებელი ხომ მაინც ერთი გყავთ?**

**ქეთი კეკელია**: შეიძლება, მაგრამ, ჩვენს გადაცემას მაინც უყურებენ ისინი, ვისაც პოლიტიკა აინტერესებთ. მოგვიანებით, ჩემი და ნატას რუბრიკები იწყება, სადაც, ის მაყურებელი, რომელმაც პოლიტიკური ინფორმაცია საკმაო დოზით მიიღო, საჭირო რჩევებს ისმენს.

**– როგორია შალვასთან მუშაობა, ანუ, რამდენად იოლია, მისი არაპროგნოზირებადობიდან გამომდინარე?**

**ნატა მაღალაშვილი**: შალვამ ისაუბრა ჩვენს გამოცდილებაზე, მაგრამ, ჩემთვის პირდაპირ ეთერში მუშაობის პირველი ნაბიჯებია. მქონდა პატარ-პატარა ჩართვები, რუბრიკა სხვა არხზე, მაგრამ, სტუდიიდან პირდაპირ ეთერში არასდროს მიმუშავია. ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი რთული იქნებოდა, მაგრამ, შეიძლება, გაგიკვირდეთ და, ეს ყველაფერი შალვამ ძალიან გამიადვილა.

**ქეთი:** შალვა არის ადამიანი, რომელთანაც დაძაბული ვერ იქნები, უპრობლემო თანაწამყვანია. პირდაპირ ეთერში თუ პირდაპირ გითხრა რაღაც ისეთი, რაც, შესაძლოა, ეთერისთვის უცნაურია, შენც უპასუხებ და არაფერი პრობლემა ამაში არ არის.

**ნატა**: მესმის, რასაც მეკითხებით, რადგან, არა მხოლოდ თქვენ, არამედ, თითქმის ყველამ, ვინც გაიგო, რომ შალვასთან ერთად ვიწყებდი გადაცემის წაყვანას, მეკითხებოდა „არ გეშინია?“ – ამან ცოტა მართლა შემაშინა და დამაფრთხო, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ აღმოჩნდა – საოცრად კოლეგიალურია.

**ქეთი**: როდესაც შალვასთან ერთად ზიხარ ეთერში, უნდა იცოდე, რომ ხუთოსანი მოსწავლე არ უნდა იყო...

**– ოროსანი უნდა იყო?**

**შალვა**: ოროსანი არა, რამდენოსანიც ხარ, იმდენოსანი. *(იცინიან).*

**ქეთი**: არ უნდა იყო არც ზედმეტად თავშეკავებული არც ზედმეტად და არაბუნებრივად აქტიური, უნდა იყო ჩვეულებრივი. თან, ყოველდღიურ გადაცემაში ამდენს ვერ ითამაშებ, შენ თვითონ დაიღლები, რომ დღეში ორი საათი მაყურებელს თავი სხვა ადამიანად მოაჩვენო.

**შალვა**: ჩემთან მუშაობას რაც შეეხება, მე და ქეთი 1996 წლიდან ვმუშაობთ ერთად. ძალიან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს.

**– თანაწამყვანებს როგორ ეგუები?**

– დავიწყოთ იმით, რომ გენდერული ბალანსი აუცილებელი იყო და, საერთოდ, მომწონს ის ფაქტი, რომ ეს ორი ქალბატონი ჩემი თანაწამყვანია. მამაკაცი და ქალი ეთერში – ეს უკვე არის გარკვეული ინტრიგა. მათ აბსოლუტურად სხვა შეხედულება აქვთ სამყაროზე, მე – სრულიად სხვა, ანუ, ჩვენი აზრები ხშირად საპირისპიროა, ზოგჯერ თანხვედრაც არის, მაგრამ, ინტრიგას შეიცავს – ეს ერთი; მეორე – ორივე ქალბატონი ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანია. ურთიერთობა არ მაქვს ბავშვებთან, რითაც ხაზი მინდა გავუსვა სამწუხარო ტენდენციას, თუ რამდენი ბავშვი ზის ეთერში. ეს აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის. პირდაპირი ეთერი,



**შალვა: „ვანო ჯავახიშვილი ისეთი ტიპია „დურაჩოკს“ რომ თამაშობს და ძალიან ბევრი თამაშიც არ სჭირდება“**

სატელევიზიო პროფესიონალიზმის, ოსტატობის რანგის მიხედვით, უმაღლესი მწვერვალია. რეპორტიორის, ჟურნალისტის, პროდიუსერის ასისტენტისა და მსგავსი საფეხურები არ აქვთ გავლილი. ამასთან, ჩემს თანაწამყვანებს აქვთ ძალიან მდიდარი შინაგანი სამყარო და მათთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა.

**– კომფორტულად ხარ, ესე იგი.**

– კომფორტულად რომ არ ვიყო, საერთოდ ვერ ვიმუშავებდი. პირდაპირი ეთერი ისეთი ვირული სამუშაოა, თუ კომფორტულად არ ხარ

**შალვა: „მამაკაცი და ქალი ეთერში - ეს უკვე არის გარკვეული ინტრიგა. მათ აბსოლუტურად სხვა შეხედულება აქვთ სამყაროზე, მე – სრულიად სხვა“**

და, რაღაცნაირად, წამყვანი არ გევასება, ვერ გაძლებ ფიზიკურად. თუ გასევდიანებს თანაწამყვანი, მაშინ, გადაცემაც არ გამოდის.

**– თემებზე ერთად მუშაობთ?**

– არანაირ თემაზე არ ვმუშაობ.

**ქეთი**: შალვა პირველს რომ ხუთი წუთი აკლია, მაშინ იგებს, ვინ ჰყავს სტუმრად. ძალიან კარგი პროდიუსერები გვყავს, რომლებიც თემებზე მუშაობენ. მაგრამ, ზოგადად, როგორი იყოს გადაცემა – როგორი შინაარსისა და ფორმატის, ამაზე ყველა ერთად ვიკრიბებით, სადაც ყველა თავის გენერალურ აზრს გამოთქვამს. რაც შეეხება კონკრეტულ ეთერებს ამაზე პროდიუსერები მუშაობენ.

**– კიდევ რა გადაცემებს უნდა ელოდოს მაყურებელი შალვა რამიშვილისგან?**

– ერთი კარგი „ნაით შოუს“ გაკეთება მინდა, რომელიც არ იქნება მხოლოდ იუმორისტული. მიმაჩნია, რომ ის „ნაით შოუები“, რომლებიც ახლა გვაქვს, არ ვარგა, წამყვანები არ უვარგა. ვანომაც მაპატიოს და ოთარმაც, მაგრამ, ეს მათი პროფესია არ არის. ვანო ჯავახიშვილი ისეთი ტიპია, „დურაჩოკს“ რომ თამაშობს და ძალიან ბევრი თამაშიც არ სჭირდება. ნაკლებად განათლებული ტიპია, უბრალოდ, კარგად დაიჭირა ეს სახე, ეს ნიშა, მაგრამ... ტატიშვილი კარგი ბიჭია, განათლებული, მის შოუში ვიყავი და გავილაღე, მომეწონა, მაგრამ, ეს მისი საქმე არ არის – არ არის შოუმენი. ამიტომაც მინდა, გავაკეთო „ნაით შოუ“, რომ ხალხმა ნახოს, რას წარმოადგენს ნამდვილი, კარგი „ნაით შოუ“ – ეს ხალხმა ნამდვილად დაიმსახურა. ამის გაკეთებას ვაპირებ ახალი სეზონიდან.

**– თქვენ რამდენად თავისუფალი ხართ სტუმრების, თემების შერჩევის დროს?**

**ქეთი**: აბსოლუტურად თავისუფლები ვართ. ჩვენ ჩვენი ბლოკები გვაქვს და თავად ვწყვეტთ, რაზე და როგორ უნდა ვისაუბროთ თუნდაც უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში.

**– მეგობრობა თანამშრომლობაში ხელს არ გიშლით?**

– ჩვენი ამდენწლიანი ურთიერთობა გვეხმარება ეთერის დროს. როცა არ იცნობ ადამიანს, შეიძლება მასთან გქონდეს ნიადაგის მოსინჯვის ეტაპი, როდესაც არ იცი რა თემაზე რა რეაქცია ექნება – ასეთი გამოცდილება სხვა გადაცემებში მქონდა კიდეც. როდესაც პირდაპირ დაგვსვეს ეთერში და თან გვთხოვდნენ, რომ ერთმანეთთან ძალიან თავისუფლად და გახსნილად ვყოფილიყავით, ეს ხელოვნური ჩანდა და სხვანაირად ვერც იქნებოდა. ამ შემთხვევაში კი სრულიად თავისუფლები და ლაღები ვართ და, მგონია, რომ ეს გადაცემასაც ეტყობა. მიხარია აქ მოსვლა.

**ნატა**: ძალიან კარგად ვგრძნობ თავს – დიდ მხარდაჭერას პირველი დღიდან. ყველა გვერდში დამიდგა, მით უფრო, რომ ეს ჩემთვის სრულიად ახალი ამპლუა იყო.

**– ახალი სეზონიდან „გაგრძელდებით“?**

**შალვა**: აუცილებლად. შეიძლება სეზონი გვიან დავხუროთ – შვებულება ან მოგვიწევს ან არა, იმის მიხედვით, თუ როდის დაინიშნება არჩევნები. თუ არჩევნები 1 ოქტომბერს დაინიშნება, აგვისტო უკვე კამპანიის თვეა და ნამდვილად ძალიან ცხელი იქნება.

**ქეთი**: ჩვენი გადაცემა კიდევ უფრო გაცხელდება.

**– ახლა რა ტემპერატურა გაქვთ?**

**შალვა**: ოცდათექვსმეტი და ექვსი, გენაცვალე, ჯანმრთელი ადამიანები ვართ. ჯანმრთელები და ჯანსაღები ყველა გაგებით!

**სალომე გველესიანი**

**ნიკო ნერგაძეს კარგად იცნობს ჟურნალისტური საზოგადოება, ხოლო ხალხმა ის „ჯეოსტარის“ მეშვეობით გაიცნო. იმასაც ხუმრობენ, რომ ნიკო ნერგაძე „ჯეოსტარმა“ სთარი გახადაო. უფრო ადრე ის ჟურნალ „ფლეიბოის“ ქართული ვერსიის რედაქტორი იყო და საერთოდ, წლებია, ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა: გახლდათ რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი, ბლოგერი და მუსიკის კრიტიკოსი. დღემდე კითხულობს ლექციებს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, რამდენიმე კვირის წინ დაინიშნა საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. გთავაზობთ მის პირველ ვრცელ ინტერვიუს აღნიშნული თანამდებობის დაკავების შემდეგ.**

# რატომ მოუწია ნიკო ნერგაძეს ოჯახის მიტოვება და რით განსხვავდება მისი „ფლეიბოური“ და პარლამენტარული ცხოვრება

**– ნიკო, გილოცავთ ახალ თანამდებობას. თქვენი პირველი ინტერვიუ „ჯეოსტარის“ ჟიურის წევრობის დროს, ჩვენთან გქონდათ და დღესაც – როცა სიახლეა თქვენს კარიერაში. როგორ შეეგუეთ ახალ საქმიანობას?**

– შეგუების პროცესში ვარ. თითქმის ერთი თვეა, დავინიშნე პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

**– რა კრიტერიუმებით მოხდა თქვენი შერჩევა აღნიშნულ თანამდებობაზე?**

– არ ვიცი. მე უკვე შერჩევის პროცესის შემდეგ დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს. ჩემი და კიდევ რამდენიმე თანამდებობა არის პარლამენტის თავმჯდომარის დისკრეცია. ანუ, პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია, პირდაპირი წესით დანიშნოს ნებისმიერი პირი აღნიშნულ თანამდებობებზე. შესაბამისად, მის მიერ მოხდა შემოთავაზება, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი.

**– არ გაგიჭირდათ ძველი სამსახურისა და პროფესიის მიტოვება?**

– ადრე უფრო ხშირად ვიცვლიდი სამსახურებს და ეს არ ყოფილა ჩემთვის პრობლემა. სულ სიახლის ძიებაში ვარ, მაგრამ ბოლო მუდმივი სამსახური რადიო „თავისუფლება“ იყო, სადაც 6 წელი ვიმუშავე და მას ვუთავსებდი სხვა საქმიანობებს. ამიტომ, თავისთავად ცხადია, ძალიან გამიჭირდა რადიოს მიტოვება. ის უბრალოდ სამსახური კი არა, ჩემი მეორე სახლი იყო. ზოგისთვის ერთ-ერთი საუკეთესო

**„ფლეიბოიმდეც“ ბევრი საინტერესო საქმე მქონდა. 15-წლიანი სამუშაო სტაჟი მაქვს და აქედან „ფლეიბოის“ მხოლოდ ერთი წელი ეთმობა**

მედიასაშუალებაა და ჩემთვის ერთადერთი.

**– რამ დაგაინტერესათ ყველაზე მეტად?**

– საბოლოო ჯამში, მაინც ცნობისმოყვარეობამ მძლია. სანამ წინადადებას დავთანხმდებოდი, ჯერ გავეცანი აღნიშნული თანამდებობის მოვალეობებს, თუ რა პასუხისმგებლობები მეკისრებოდა და რა უნდა შემესრულებინა. კარგად გავიაზრე, რის გაკეთებას შევძლებდი, ან, საერთოდ, მეყოფოდა თუ არა რესურსი ამ საქმის წარმატებით განსახორციელებლად და ამის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება. ჩათვალე, რომ შევძლებდი ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც გამოადგება სახელმწიფოს.

**– საინტერესო აღმოჩნდა პარლამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელობა?**

– სამუშაო ბევრად საინტერესოა, ვიდრე თავიდან მეგონა. პროცესში აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი საინტერესო საქმეა მათ შორის, რაც აქამდე მიკეთებია. საყვარელ საქმიანობად მაინც ის რჩება, რასაც აქამდე ვაკეთებდი, როგორც ჟურნალისტი და მუსიკის კრიტიკოსი. ბევრი საქმეა გასაკეთებელი, ასაწყობია სტრუქტურები და სრული ჩართულობაა საჭირო. ერთი სიტყვით, კრეატიული საქმეა და მომწონს ასეთი აქტიური საქმიანობები.

**– ახლა თბილისში რატომ ხართ?**

– როცა სასესიო კვირაა, მაშინ ყველა პარლამენტში ვართ და როცა არა, მაშინ საჭიროების მიხედვით, ჩემი დეპარტამენტიდან და პროტოკოლიდან რამდენიმე ყოველთვის იქ არის, სადაც პარლამენტის თავმჯდომარეა, ან სადაც მოვლენებია. აქაც და იქაც, ერთნაირი დატვირთვით ვმუშაობ, იმ განსხვავებით, რომ სამსახურის შემდეგ სახლში ცოლ-შვილი მხვდება.



**ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპებს, საინტერესოა. მთავარია, რას იღებ შენი მოქმედებიდან**

**– მსგავსი თანამდებობა თქვენთვის პირველია?**

– საჯარო სამსახურში მუშაობა – კი. კომუნიკაციის მხრივ, აქამდეც მქონდა გამოცდილება, მაგრამ უფრო მარკეტინგისა და რეკლამირების კუთხით. თუმცა, ფიარზე არასოდეს მიმუშავია. საერთოდ, მაგისტრატურა მარკეტინგის განხრით მაქვს დამთავრებული და „ჯიპაშიც“ ვასწავლიდი. მართალია, ფიარი და მარკეტინგი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ მონათესავე პროფესიებია.

**– აქამდე როგორი იყო თქვენი გრაფიკი?**

– ძირითადი ჩემი საქმიანობა რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტობა იყო. ვაკეთებდი ერთ გადაცემას, ასევე, დილის ეთერს ვუძღვებოდი, ვიყავი ბლოგერი, როგორც უკვე გითხარით, „ჯიპაში“ ვკითხულობდი ლექციებს და საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მქონდა.

**– „ფლეიბოიდან“ – პარლამენტარის პრესცენტრამდე...**

– „ფლეიბოიმდეც“ ბევრი საინტერესო საქმე მაქვს გაკეთებული. 15-წლიანი სამუშაო სტაჟი მაქვს და აქედან „ფლეიბოის“ მხოლოდ ერთი წელი ეთმობა, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ საინტერესო ერთი წელი იყო, სადაც ახალი რაღაცეები აღმოვაჩინე, ვისწავლე და შევიძინე. ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპებს, საინტერესოა. მთავარია, შენ რას იღებ შენი ქმედებიდან.

**– ის ფაქტი, რომ პარლამენტი ქუთაისშია, დისკომფორტს არ გიქმნით?**

– ზოგადად, ეს ყველას უქმნის დისკომფორტს. ძალიან ძნელია წინ და უკან სიარული და ოჯახის გარკვეული პერიოდით მიტოვება. ისეც არ ხდება, რომ ოჯახთან ერთად გადაბარგდე ქუთაისში, რადგან ვიღაცის მეუღლე, შესაძლოა, თბილისში მუშაობს, ვიღაცის შვილი სწავლობს და ასე...

**– ამბობენ, რომ პარლამენტის წევრები და თანამშრომლები „სადიას“ ქათმებივით იხარშებიან მინის ქვაბში.**

– *(იცინის)* როგორ გითხრა? მე სადაც ვარ, კონდიცირება არის, მაგრამ სერიოზული უჰაერობაა, ფანჯრები არ იხსნება და საკმარისია, რამდენიმე წუთით გაითიშოს კონდიციონერი, შესაძლოა უჟანგბადობით მოკვდე ან მოიხარშო.

**– ნიკო, ჟურნალისტები, ზოგადად, უჩივიან პრესსამსახურების უფროსებთან კონტაქტს. ამას წინათ, სოციალურ ქსელში ჩემი კოლეგების მოსაზრებებს ვკითხულობდი, სადაც წერდნენ, რომ ბევრ მათგანს მინისტრი ჰგონია თავი, რადგან თვით მინისტრები გაცილებით კონტაქტურები არიან, ვიდრე მათი პრესსამსახურის უფროსები. რა იქნება თქვენი პრიორიტეტები და თქვენთანაც ხომ არ გაჭირდება დაკონტაქტება რაღაც პერიოდის შემდეგ?**

– სამინისტროებისგან განსხვავებით, პარლამენტი ცოტა სხვა სისტემაა საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე ყველაფერი ჩამოყალიბების პროცესშია, ვინ, სად, როგორ და რა ფუნქციებს გადავინაწილებთ. ამ ეტაპზე რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის ნახვა რომ გინდოდეთ, უნდა მიმართოთ იმ ფრაქციის ან კომიტეტის ოფიციალურ წარმომადგენელს, რომელიც დაგეხმარებათ. თუმცა, ესეც ამ ეტაპზე ძალიან პირობითია და, როგორც უკვე გითხარით, დამუშავების პროცესშია. კონკრეტულად ჩემი საქმე ამ ეტაპზე ის არის, რომ პარლამენტის მუშაობა იყოს უფრო გამჭვირვალე, ანუ ჩანდეს, ერთი მხრივ, კანონპროექტი ნებისმიერ მომენტში რა ეტაპზეა; მეორე მხრივ, იმ საქმიანობის გადმობარება, რასაც ამ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციები აკეთებენ და ცოტა ხანში, ჩვენი გასაკეთებელი იქნება. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ამ დროისთვის სისტემა მოუქნელია, იგივე ვებ-გვერდი, რომელიც ძალიან სასარგებლოა მედიისთვის, ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობის მხრივ ან თუნდაც, საგანაცხადო აპლიკაციის მარტივად შევსების თვალსაზრისით.

**ბესო მახარაშვილი**

# ბრძნული აზრები

**კოლატი**: ტექნიკური პროგრესი არის ახალი მანქანა; სულიერი პროგრესი – შეცდომის განრიდება.

**ბელინსკი**: ვინც წინ არ მიდის უკან მიდის. ერთ ადგილზე დგომა არ არსებობს.

**ტორეზი**: ისტორია გვაჩვენებს, რომ პროგრესი შეუძლებელია ბრძოლის გარეშე.

**ბოიტელროკი**: სიკეთე ის არის, როცა კაცი ჩუმად აკეთებს იმას, რის შესახებაც სხვები გაჰყვირიან.

**ნაპოლეონი**: სიმდიდრე არის არა განძთა მფლობელობა, არამედ მათი გამოყენების ნიჭი.

**იბსენი**: სიმხდალე რომ თავის მწვერვალს მიაღწევს, ულმობლობად იქცევა.

**ფრიში**: ადამიანის ღირსება მის არჩევანშია.

**სენეკა**: მცირე, გამოუსწორებელი შეცდომები ადვილად გადადის დიდ მანკიერებაში.

**ფონტენელი**: შეცდომა მოსდის ყველა ადამიანს, ოღონდ დიდი ადამიანები აღიარებენ თავის შეცდომებს.

**ჰეროდოტე**: ისა სჯობს, შურდეთ ჩემი, ვიდრე ვებრალებოდე.

**პლავტუსი**: ის მირჩევნია, მტრებს შეშურდეთ ჩემი და არა მე – მტრებისა.

**პრუსი**: ჩვეულება მეორე ბუნებაა; იგი ხელს გვიშლის, გავეცნოთ პირველს, რომლის ულმობლობა და მომხიბვლელობაც მას არ გააჩნია.

**ელიოტი**: სინანულს შობს სიმართლის შემეცნება.

**სვედენბორგი**: სინდისი არის ღმერთის არსებობა ადამიანის არსებაში.

**ჰეგელი**: სირცხვილი შინაგანი ზღუდეა შეცოდების წინააღმდეგ.

**ტოლსტოი**: სიტყვა იგივე საქციელია.

**ოლკოტი**: კამათი ბევრს ეხერხება, მაგრამ უბრალო საუბარი ცოტა ვინმემ თუ იცის.

**ლოგერგერი**: ლაპარაკი მსჯელობაა, დუმილი – უკვე გამოტანილი მსჯავრი.

**პომპონიუსი**: თუ ლაპარაკი არ იცი, ისწავლე მოსმენა.

**ჯორჯი**: კულტურა არის თანამშრომლობა.

**ბალზაკი**: კრიტიკა ჯაგრისს ჰგავს. მეტისმეტად ნაზ ქსოვილზე იგი არ უნდა იხმარონ, თორემ მისგან აღარაფერი დარჩება.

**ჰალერი**: კანონი არის სახელმწიფო ძალმომრეობის მჭევრმეტყველება.

**დიუმა-მამა**: ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ლურსმანი, რომელზეც სურათი ჰკიდია.

**ლამარტინი**: იდეალი არის სიმართლე შორიდან და სხვა არაფერი.

**პლუტარქე**: როდის ვიქნებით თავისუფალი? როდესაც სიკვდილს არად ჩავაგდებთ.

**გოეთე**: თავაზიანობა იმის ხელოვნებაა, რომ შენიღბოთ ბუნებრივი იმპულსები.

**არცეინი**: ქორწინებას, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ინარჩუნებენ, რომ გვერდით ჰყავდეთ ადამიანი, რომელსაც ყველაფერი შეიძლება უსაყვედურონ, რაც საკუთარი თავისთვის უნდა ესაყვედურებინათ.

# თუ გაქვთ ინტერესი

1. ბაბილონელთა რელიგია გარკვეულწილად განსხვავებულია ტრადიციული ევროპული რელიგიისგან. მათ სამყაროს, ცხოვრების სათავედ ქალური საწყისი მიაჩნდათ. მამაკაცური საწყისი იყო მზე და ცეცხლი. **დაასახელეთ მათი შესაბამისი ქალური წყვილი.**

2. ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა აიღო სულიწმიდის საეკლესიო სიმბოლო და ისე შეაბრუნა, რომ გამოსახულება მარცხნივ იყო მიმართული – ასე მიიღო მხატვარმა ის, რაც 1949 წელს პარიზში გამართული მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის ემბლემა გახდა. **რა არის გამოსახული ამ ემბლემაზე?**

3. ევროპაში მათ დიდხანს დევნიდნენ როგორც ეშმაკეულებს. მათ აბრალებდნენ შავი ჭირის გავრცელებას და ხოცავდნენ. სინამდვილეში კი სწორედ მათ შეუძლიათ, დაიცვან ადამიანები შავი ჭირისგან. **ვინ არიან ისინი?**

4. ამ ზღაპრული ქვეყნის ტერიტორია სრულიად რეალურია და ექვსი ნაწილისგან შედგება: სასაზღვრო, თავგადასავლების ქვეყანა, ფანტაზიის ქვეყანა, მთავარი ქუჩა, თავისუფლების მოედანი და მომავლის ქვეყანა. **დაასახელეთ ეს ქვეყანა.**

5. ფრიდრიხ ვილჰელმ მეორე, როგორც მას უწოდებენ – „რომანტიკოსი ტახტზე", შეყვარებული იყო რაინდულ ეპოქაზე. სწორედ მან მოიგონა მახვილბოლოიანი ჩაფხუტი. **რისი სიმბოლო გახდა ეს ჩაფხუტი?**

6. ონორე დე ბალზაკი ამბობდა: „ყველგან გრძნობენ თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში მხოლოდ მეფეები, მეძავები და..." **დაასახელეთ მესამე.**

7. რუსეთის სამოქალაქო ომში წითელარმიელებს აჯილდოებდნენ შარვლით, რომელიც 1871 წელს კომუნარებზე სისხლიანი ანგარიშსწორებით სახელგანთქმული ადამიანის გვარს ატარებდა. **რა ერქვა ასეთ შარვალს?**

8. 1822 წელს ინგლისელმა მეცნიერმა პირველმა აღწერა ეს ცხოველი. მას შემდეგ ამ სახეობის მრავალი ცხოველი იქნა აღწერილი, მაგრამ, მას ვერც ერთ ზოოპარკში ვერ ნახავთ. **რა ცხოველია ეს და რა ერქვა პირველს, რომელიც აღწერეს?**

9. **რომელ ამერიკელ პრეზიდენტს ჰქონდა მიღებული გამარჯვების საბჭოთა ორდენი?**

10. ბიოგრაფები ამბობენ, რომ ამ სახელგანთქმული მომღერლის გვარი პირველად ცირკის აფიშაზე გამოჩნდა 1932 წელს. **ვინ იყო ის?**

***პასუხები იხილეთ 60-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

*1884 წელს ერთმა ინჟინერმა წამოაყენა წინადადება, რომ ძრავას სიმძლავრე გაეზომათ ცხენის ძალის ერთი მესამედის ეკვივალენტით და ამ ერთეულისთვის ეწოდებინათ... ვირის ძალა.

* ალბათ, ტყუილად არ შეურქმევიათ ამ საოცარი ბალჩეულისთვის საზამთრო: წინათ მას გარედან ალებასტრით ფარავდნენ (ამ პროცედურას ორჯერ იმეორებდნენ), შემდეგ თოკს შემოახვევდნენ და კიდებდნენ – ასე ის მთელი წლის განმავლობაში ინახებოდა.

* ყოველ წამში მსოფლიოს 140 ქვეყანაში ორი თოჯინა ბარბი მაინც იყიდება. ირანში ის აკრძალულია როგორც გარყვნილების სიმბოლო. იყო მისი პორნომოდელად გამოყენების მცდელობა, რამაც სასამართლოში საჩივრის შეტანა გამოიწვია.

* არქეოლოგებმა სტილმა და მეისმა იორქშირის საგრაფოში სოფელ უორემ პერსიში აღმოჩენილი, მეთერთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში მცხოვრები 80 გლეხის ექსჰუმაცია ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ მათ შორის 16 პროცენტი ცაციაი იყო. დღეს მსოფლიოს მოსახლეობაში, იმის მიხედვით, განათლების სისტემა რამდენად ერევა მათი წერის მანერაში, სხვადასხვა ქვეყანაში 3-დან 15 პროცენტამდე ცაციაა.

* 1964 დანიელი ინჟინრის, კარლ კროილერის იდეის მიხედვით, მოხერხდა ელ-კუვეიტთან ჩაძირული გემის სწრაფად ამოზიდვა ფსკერიდან, რამაც იქაურობა ეკოლოგიურ კატასტროფას გადაარჩინა. ინჟინრის მითითებით, მცირე ხვრელები და ბზარები პენოპლასტით ამოავსეს და შეკეთება მხოლოდ დიდ დაზიანებას დასჭირდა. მაგრამ, კროილერს პატენტი არ მისცეს, რადგან, მას, თურმე, უოლტ დისნეიმ დაასწრო – ერთ-ერთ მულტფილმში სწორედ ასე, ოღონდ, პინგ-პონგის ბურთების დახმარებით ამოჰქონდა ჩაძირული ნავი... იხვ დონალდს.

* არცთუ დიდი ხნის წინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მდინარე კოლუმბიის ნაპირებზე, არქეოლოგებმა უძველესი ხანის ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს, რომლის ასაკი 8 ათასი წლით განისაზღვრეს. არქეოლოგებისთვის ეს ჩონჩხი სულაც არ აღმოჩნდა ძალიან „მოხუცი", მაგრამ, მათ შოკი მოჰგვარა ანალიზის პასუხმა, რომელმაც დაადასტურა, რომ ეს ჩონჩხი თეთრკანიან ადამიანს ეკუთვნოდა... გამოდის, რომ კონტინენტზე თეთრკანიანები ინდიელებზე ადრე ბინადრობდნენ.

* ევენკური ენა, ალბათ, არავინ იცის, მაგრამ გეცოდინებათ, როგორ ჟღერს ამ ენაზე სიტყვა „ფეხსაცმელი" – უნტები.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მფb5-b4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ერთი ახალგაზრდა ყოველ საღამოს უთვალთვალებდა მოპირდაპირე კორპუსში მცხოვრებ გოგონას ბინოკლით. ერთ დილასაც ტელეფონის ზარია:




– შენ ხომ არ დაგინახავს, წუხელ ლიფი სად დავდე?

***

– ახლა უარს ვერანაირად ვერ მეტყვი, მე თვითონ დაგინახე, ავტობუსში ვიღაც ბიჭთან კოცნაობდი! ვინ არის?

– რა ნომერი ავტობუსი იყო?

***

– მიტუა, ნახევარი ლიტრა კახური რომ დალიო იმუშავებ?

– მა როგორ, უკეთა...

– ლიტრაზე?

– ვიმუშავებ, მა?

– ორ ლიტრაზე?

– ახლა, მუშაობის რა გითხრა, მაგრამა, ხელმძღვანელობით მაგრა ვუხელმძღვანელებ...

***

სკოლაში ახალგაზრდა ინგლისურის მასწავლებელი მივიდა. დირექტორმა – გაკვეთილზე დაგესწრებიო და სანდროს გვერდით, სულ უკანა მერხზე დაჯდა. მასწავლებელი ნერვიულობს, ადგა – სკამს წამოედო, დაფაზე წინადადებას წერს – ცარცი დაუვარდა, დაიხარა აილო და ძლივს დაასრულა წერა... შემდეგ შემობრუნდა და კლასს ეკითხება:

– აბა, ვინ გადათარგმნის?

ბავშვებმა ხელი აიწიეს. მასწავლებელმა სანდროს მიმართა. ადგა სანდრო და:

– ჯობდა, უფრო მოკლე კაბა ეცვას...

– რა სისულელეს ამბობ, ახლავე დატოვე კლასი...

სანდრომ გაბრაზებულმა გადახედა დირექტორს და მიაძახა:

– თუ არ იცოდი, რას მკარნახობ?!

***

ორი ტიპი მიდის. შეხვდათ მაგარი ქალი მაგარი ფეხებით.

– ო, ჩემს ცოლს რომ ასეთი ფეხები ჰქონდეს... – თქვა ერთმა.

ცოტა ხნის შემდეგ მაგარმკერდიანი ქალი შეხვდათ.

– ო, ჩემს ცოლს რომ ასეთი მკერდი ჰქონდეს... – თქვა ისევ იმ ტიპმა.

უცბად ხედავს, მისკენ ცოლი მოდის.

– საყვარელო, იცი, მთელი გზა შენზე ვფიქრობდი...

***

ყოფილი საბჭოთა ინგლისურ „პაბში“ შედის.

– „ვან ბირ“ – ერთი ლუდი!

ოფიციანტმა ლუდის კათხა მუყაოს ლამაზ სადგარზე დადებული მიუტანა.

მან დალია და მეორეც შეუკვეთა.

მოიტანა ოფიციანტმა ისევ, ხედავს სადგარი არ დევს.

„ალბათ, სუვენირად აილო“, – გაიფიქრა და სხვა სადგარზე დადო.

მესამეც შეუკვეთა. კვლავ იგივე განმეორდა, „ალბათ, მეგობრისთვის აილო სუვენირად“ და სადგარი აღარ მიუტანა.... შეხედა კლიენტმა, რომ ოფიციანტმა კათხა პირდაპირ მაგიდაზე დადგა და გაკვირვებით იკითხა:

– „პეჩენია“?

***

– თქვენ სასწრაფოდ გჭირდებათ ოპერაცია...

– ექიმო, არ შეიძლება, გადავდოთ... ნახევარი წელია, კბილების პროთეზს ვიკეთებ, ცოტაღა დამრჩა...

ექიმი ჩაფიქრდა.

– ექიმო, რატომ არ შეიძლება?

– წარმოვიდგინე: ისმის შოპენი, ყველა ტირის, თქვენ კი ახალთახალი, ქათქათა თეთრი ჩაწიკწიკებული კბილებით... კუბოში წევხართ.

***

– მამი, გველები ლაპარაკობენ?

– ჰა, რას გაჩუმებულხარ, შვილიშვილს აინტერესებს! – გასძახა მიხომ სიდედრს.

***

წესიერი გოგონა არ იჭმუხნის ცხვირს, როდესაც შემთხვევით მასთან უზრდელი სიტყვა წამოგცდებათ, ნამდვილი წესიერი გოგონა იკითხავს: რას ნიშნავს ეს სიტყვა?

***

ტიპი ქუჩაში მიდის და ერთ-ერთი სახლის ფანჯარაში შიშველი ქალი დაინახა, მიუკაკუნა და ეკითხება:

– რამდენი?

– 500 ლარი.




– რა ამბავია?

– მეტალოპლასტმასია და თანაც, ორმაგი მინა.

***

როგორც იქნა დამტკიცდა შრომით კოდექსში 8-საათიანი სამუშაო დღე. ამრიგად, გაჩნდა დრო სხვა სამსახურისთვის – ერთი პატარა ხელფასი რომ მაინც გამოვიდეს.

***

უკულტურო ხალხი ნაგავს ყრის იქ, სადაც მოესურვება და არც იმჩნევს, კულტურულებიც ასე იქცევიან, მაგრამ ძალიან განიცდიან.

***

წყვილი რესტორანშია. ვაჟმა მსუბუქი სალათა შეუკვეთა. გოგონა ჩანგლით აწვალებს დიდ თეფშზე დარჩენილ სალათის ფოთოლს და დროდადრო სხვა სუფრებს გადახედავს... როგორც იქნა, წარმოთქვა ბიჭმა:




– რამე ცხელი ხომ არ შეგვეკვეთა?

– კი, კი! – გაეხარდა გოგოს.

– ოფიციანტო! ორი ჩაი, თუ შეიძლება...

***

მარო არიგებს ქალიშვილს:

– შვილო, დაიხსომე: ქმარი ჭკუით უნდა აირჩიო... ნახე, მამაშენსა ყველაფერი შეუძლია: კრანი გაფუჭდება – გააკეთებს, უთო გაფუჭდება – იმასაცა; ავეჯი გატყდება – იმასაც შააპაჩინკებს, მაშა; მანქანასაც კი თვითონ არემონტებს... ხოდა, იცოდე, თუ ასეთ კაცს გაჰყვები, ახალი არასდროს არაფერი გეღირსება...

***

ცოლი: საყვარელო, დედა ჩამოდის, 22 ივნისს, დილის 5 საათზე...

ქმარი: ზუსტად ისე, როგორც 41 წელს...

***

დღეს დაქორწინდე მდიდარი და გავლენიანი კაცის ქალიშვილზე, იგივეა, რომ მისი ყმა გახდე... რა თქმა უნდა, არ გინდა, მაგრამ, სხვა გზაც რომ არ გაქვს?!

***

– ალერსიანად მკითხა: „სად იყავი აქამდე, ჩემო სიყვარულოო“ – და მე ავტირდი... თვალწინ დამიდგა, თუ სად, ვისთან და როგორ ვყოფილვარ...

***

– შვილო, შენ კი მოგწონს ეგ შენი შეყვარებული, მაგრამ, იცი, რომ, რასაც გეუბნება, ნახევარი ტყუილია?! მართალია, საბურთალოზე ცხოვრობს სამოთახიან ბინაში, მაგრამ, მშობლებთან და ორ უფროს ძმასთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი ცოლშვილიანია; მობრუნებული დაც იქაა 3 წლის შვილით; კი, ნამდვილად მუშაობს ციფრული ტექნიკის მაღაზიაში, მაგრამ, არა დირექტორ-მენეჯერად, არამედ, უბრალო გამყიდველად; შემჩნეულია სმასა და ჩხუბში, რამდენჯერმე ჯარიმაც კი გადაახდევინეს; ინტერნეტიდან კი ძირითადად ბოევიკებსა და პორნოს ქაჩავს...

– საკმარისია, მამა, საკმარისი... გასაგებია, სანამ შენ მაგ სტრუქტურაში იმუშავებ, მე ვერ გავთხოვდები.

# ვინ შეიცნო კახელმა მძღოლმა ინსპექტორის ფორმაში და რატომ სთხოვდა მას „პრავის“ გადახევას

გასული საუკუნის შუა პერიოდია. ფილმში ავტოინსპექტორის როლს ვასრულებ. გადაღება თელავის მახლობლად მიმდინარეობს. დილაადრიან (ზაფხულია) დაიწყო გადაღება.

რეჟისორმა სპეციალურად გადააკეტვინა გზა ინსპექციას ადგილობრივი მანქანებისთვის, რომლებითაც კარიერიდან ქვიშას ეზიდებოდნენ ინტენსიურად.

მე ჩემი მოტოციკლით ინსპექტორის ფორმით და ჭრელი ჯოხით დავდექი პოზიციაზე. სადაცაა ფილმში გადასაღები ჩვენი მანქანა გამოივლის. მე უნდა გავაჩერო, საბუთები მოვთხოვო და ასე შემდეგ (სცენარით).

– მატორრრ! – ჩასძახა მეგაფონს გადამღებმა რეჟისორმა.

კამერები კარგა 50-60 მეტრითაა ჩემგან დაშორებული, მაგრამ შენიღბულია და უცხო თვალი ვერ შენიშნავს.

მე რომ ამ ჩვენი კინოსტუდიის მანქანას ველოდები, უცბად ნირი მეცვალა. ეტყობა, ინსპექტორებს დაუსხლტა და უზარმაზარი, ხრეშით დაგრუზული ლურჯი „ზილი“ („გრუზავიკ-სამასვალი“) მობღუილობს გაცოფებული კამეჩივით ჩემი მიმართულებით... მოდის და მოაქვს მტვრის კორიანტელი. ახლა დაბნევა როგორ შეიძლება!

ჩავბერე „შვიშტოკს“ და ავწიე ჭრელი ჯოხი.

ჩემდა გასაკვირად, მანქანა ცოტა გამცდა და ქსიტინით გაჩერდა. გაიღო კარი და უზარმაზარი, ახმახი მძღოლი ჩამოსრიალდა „სიდენიიდან“. გაღეღილსაროჩკიანი და ღიპგადმოგდებული. თავისფეხანით მომიახლოვდა.

– რაშია საქმე, უფროსო?!

– შენა, კაცო... დავიწყე მძიმედ, რომ მობღუილობ ამ შარაგზაზე და ამტვერებ აქაურობას, რა უფლებით?!

– ხრეში მიმაქ ობიექტზე, უფროსო...




„რას ვერჩი... კაცი პატიოსნად ასრულებს თავის საქმეს“... მაგრამ კამერა ხომ ჩართულია!“ რაღაც უნდა მოვიფიქრო...

– მერე, რაა, რო?! ნელა ვერ ივლი?!

– სამოცით მივდიოდი, უფროსო.

– სამოცით არაა! სამოცით კი არა, კარგა სამოცდახუთითაც! (ვითომ რამე ვთქვი).

მგონი, ხმა ეცნო (თელავში ვინ არ მიცნობს). ცოტა შეფიქრიანდა, თავი მოიფხანა და სახეზე უნდა, დამაკვირდეს, მაგრამ ჩემზე ბევრად მაღალია. მოიხარა, რომ სახეზე შემხედოს („კასკა“ მახურავს).

– ის რომ მოიხარა, მეც დავიხარე... კიდევ მოიხარა... კიდევ დავიხარე... კიდევ მოიხარა ეს ამოდენა ვერზილა და მეც კიდევ დავიხარე, მაგრამ როდემდე? უკვე მიწაზე მიდევს „კასკა“.

ის „ვირიც“... მოულოდნელად ზურგზე გაგორდა და ქვემოდან ამომხედა:

– ეეე?! – აღმოხდა, ეე, კაცოო, გივი!!! ჩვენი გივი არა ხარ, კაცო, შენა – ბერიკაანთი?!

უარყოფა უსინდისობა გამოვიდოდა:

– ჰო, გივი ვარ. გივი. ადექი, კაცო, ადექი! გადაღებააა...

ახმახი ელვის უსწრაფესად წამოხტა, ხელში ამიტაცა და ჩამკოცნა.

– ვაა, ე რა დილა გამითენდა, კაცო! ვინ დამიჯერებს, რო გივი ბერიკაშვილი ჩავიხუტე! – როგორც „ამილო“, ისევე ფრთხილად „დამდო“.

გაიქცა, მანქანიდან „პრავა“ დაითრია და ხელში ჩამიდო.

– ესა, ჩემი „პრავაა“. გადახიე რა... გადახიე!

– რას ჰქვია, გადავხიო. შენ ხომ არ გაგიჟდი, კაცო! – შევიცხადე.

დედამიწის ზურგზე ამას არავითარ შემთხვევაში არც ერთი მძღოლი არ იზამდა.

– გადახიე, რა! – არ მეშვება.

– რატომ, კაცო, რატომ?

– რატომ და... „პრავი“ დედა არ ვატირე?! – სახსოვრად მექნება, ცოლ-შვილს და მეზობლებს ვეტყვი, ეს პრავა თვით გივი ბერიკაშვილმა გადამიხია-მეთქი. მიდი, გადახიე, რააა!

... თუ როგორ ვუყვარვარ თელაველებს, აგერ გაგიხმოვანეთ, თუ როგორ „მაფასებენ“ თბილისელი ინსპექტორები, უახლოეს მომავალში მოგახსენებთ.

**გივი ბერიკაშვილის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რამდენ დღეს გაგრძელდა ჩინელი ბიჭის ქართული ქორწილი და რატომ დაუგროვდათ ახალდაქორწინებულებს სახლში უამრავი ჭიქა

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მომენატრე. მე არა მიშავს, ნელ-ნელა ვეჩვევი ოჯახურ ცხოვრებას. დედა, როგორც იცი, ჩემს ქორწილში მეტ-ნაკლებად ყველა ნასიამოვნები დარჩა, ჩემ გარდა. ჯერაც არ მომრჩენია სილურჯეები მას შემდეგ, რაც ლამზირას ბიძამ, პატივისცემის თუ რაღაც ამგვარის ნიშნად, შუბლი შუბლზე დამარტყა მთელი ძალით.

როცა ქორწილი დამთავრდა, ანუ, დილის 5 საათზე, მე და ლამზირა დედამისმა ცალკე ოთახში გაგვიყვანა მოსასვენებლად, მაგრამ, ვინ გაცალა მარტო დარჩენა! დილის 7 საათზე ჩვენს ოთახში სიმღერით შემოცვივდნენ ლამზირას მთვრალი ნათესავები და შამპანურები გახსნეს, თან ყვიროდნენ – ბიჭი უნდა გაგორდეს, ცხრა თვეში, თორემ, სიძეს დავკოდავთო.




ლამზირას მამამ ყური ისე ამოიწია, ლამის ბოლომდე ამახია და თან მითხრა: შენ როგორ მიუწვექი ჩემს გოგოს ღამით, კაცს მაინც ჰგავდეო. მეწყინა, მაგრამ, რა მექნა. დიდხანს მღეროდნენ და სვამდნენ ჩვენს ოთახში, საღამოსთვის კი ყველამ დაიძინა. მე მეგონა, დამთავრდა ქორწილი, მაგრამ, დაახლოებით სამი დღის განმავლობაში, სანამ ერთი ნაჭერი პური და ერთი ჭიქა ღვინო კიდევ ეგულებოდათ სტუმრებს, კაციშვილი არ წასულა სახლში.

დედა, ძალიან გამიხარდა, რომ მეც მიყიდეს ოქროს ბეჭედი. ჯერ ლამზირასთვის ჩემი ნაყიდი ბეჭედი წაილეს, აწონეს და იმის მიხედვით მიყიდეს მეც, რომ ჩემი უფრო მძიმე არ გამოსულიყო.

ერთ კვირაში თბილისში დავბრუნდით, ჩვენს სახლში გადავედით და ჩვეულებრივი ცხოვრება გავაგრძელეთ. ლამზირამ სამსახურს თავი დაანება. მე ძალიან მინდოდა, რომ ლამზირას სამსახური გაეგრძელებინა, მაგრამ, კატეგორიული უარი მითხრა – მე ბავშვები უნდა გავზარდოო. სად დაინახა ბავშვები, არ ვიცი. მე ისევ გავმართე ვაგზალზე ჩემი დახლი და ბიზნესის ამბებს ვაწესრიგებ. საღამოს ძალიან მინდა ხოლმე სახლში დასვენება, მაგრამ, ვინ მაცდის – თბილისში ჩამოვედით თუ არა, ლამზირას ნათესავები უწყვეტ ნაკადად მოემართებიან ჩვენი სახლისკენ, საჩუქრად კი, რატომღაც, ყველას კიდეებშემოცვეთილ ქაღალდის ყუთებში ჩაწყობილი ჭიქები მოაქვთ. იმდენი ჭიქა დაგვიგროვდა, სად წავიღოთ, აღარ ვიცით. დაუპატიჟებელი სტუმრები გვიანობამდე რჩებიან და დაწვრილებით ათვალიერებენ სახლს. ერთხელ ლამზირას ვუთხარი, როდემდე უნდა იაროს ამდენმა ხალხმა ჩვენთან-მეთქი. მითხრა: რა ვქნა, ბევრი ნათესავი მყავს, შენსავით გადაშენებული კი არ ვარო. ამას ჰგონია, მე ნათესავები არ მყავს. არ იცის, რომ მთელი ამისი ნათესავების ოდენი მარტო ბიძაშვილები მყავს. თვითონაც ძალიან წუხდება, დედა, კი არ უხარია, მაგრამ, აქ წესი ყოფილა ასეთი და, რა ქნას.

ჯერჯერობით სულ ეს არის, მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**


LOCA LOUNGE
მისამართი:
ალ. ყაზბეგის 14 ბ
ტელეფონი:
598 514 555
571 070 505
არსებობს ადგილები, სადაც მოხვედრა დაუვიწყარ მოგონებებს უტოვებს მნახველს, LOCA LOUNGE ერთ-ერთი მათგანია
თუ გსურთ, თქვენი ბანკეტი, დაბადების დღე, ქორწილი ან, უბრალოდ, ერთი დღე სასწაულად იქცეს, ეწვიეთ „ლოკა ლაუნჯს"!


HAIRLINE INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
ვარსკვლავები თმას ჰეარლაინში ინერგავენ
230 00 30
მის. ქავთარაძის 16
www.hairline.ge

ნ32/24

F1267
2013


# ზოგჯერ ბაწარიც კი ვერ უძლებს...



## პერსენი®, პერსენ ფორტე®

კატაბალახა, პიტნა, ბარამბო




## გაუფრთხილდით ნერვებს!

1/697/GE/23.04.2013

**პერსენი, პერსენ ფორტე არ იწვევენ მიჩვევას და არ ახასიათებთ მოხსნის სინდრომი**

გამოყენების ჩვენება: გადატვირთული გონებრივი მუშაობა, ნერვული დაძაბულობა, მოუსვენრობა, მომატებული აგზნებადობა, უძილობა

დოზირება: პერსენ ფორტე *მოზრდილებში და ბავშვებში 12 წლის ზემოთ:* 2 კაფსულა ერთ მიღებაზე

პერსენი *ბავშვებში 3 წლიდან 12 წლამდე*:* 1 ან 2 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში

* მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

SANDOZ
a Novartis company

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 298 27 30, 298 27 50